

# საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №11

## საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი

### საძიებელი

1. მეუღლეთა თანასაკუთრება ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი
2. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ
3. ნაპოვნი ბავშვის დროებითი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა
4. სამკვიდროს მიღება-გაყოფა
5. ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა
6. სამკვიდროს გახსნა კომლში
7. კანონისმიერ მემკვიდრედ ცნობა
8. სავალდებულო წილი
9. ანდერძის ბათილად ცნობა
10. სამკვიდროს მიღება და გაყოფა  
სამკვიდროს მიღება;  
სამკვიდროდან წილის გამოყოფა სამკვიდროს მიღება;  
სამკვიდრო მოწმობის გაუქმება  
სამკვიდროს მიღება და გაყოფა  
სამკვიდროს მიღება  
სამკვიდროს გაყოფა  
სამკვიდროს მიღების ვადა  
სამკვიდროს მიღებად დადგენილი ვადის გაგრძელება
12. უარი სამკვიდროს მიღებაზე
13. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ

# 1. საოჯახო

## 1. მეუღლეთა თანასაკუთრება ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესი

### განჩინება

<sup>1</sup>ას-314-296-2010

28 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნუნუ კვანტალიანი (თავმჯდომარე),  
ლალი ლაზარაშვილი,  
ვასილ როინიშვილი

**დავის საგანი:** უძრავ ნივთზე მოპასუხის საკუთრების უფლების აღრიცხვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. ბ-შვილისა და ლ. ჩ-ას მიმართ ზ. ბ-შვილის კუთვნილ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დავალდებულების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში, რა დროსაც შეეძინათ ორი შვილი – ი. ბ-შვილი და დ. ბ-მე. 2006 წლის სასამართლო გადაწყვეტილებით ზ. ბ-შვილს დაეკისრა არასრულწლოვანი ი. ბ-შვილის სასარგებლოდ ალიმენტი, რომელსაც მოპასუხე ნებაყოფლობით არ იხდის. ქ.თბილისში, ... ქ.152-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც ზ. ბ-შვილისა და ლ. ჩ-ას რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში იქნა შეძენილი და მათ თანასაკუთრებას წარმოადგენს, რეგისტრირებულია მხოლოდ ლ. ჩ-ას საკუთრებაში. მოპასუხე ბოროტად იყენებს აღნიშნულ ფაქტს კანონით გათვალისწინებული და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით. მისი საალიმენტო დავალიანება 3000 ლარს აღემატება. ზემოხსენებული საცხოვრებელი სახლის ნახევარი ზ. ბ-შვილის საკუთრებაა, თუმცა აღნიშნული საჯარო რეესტრში დაფიქსირებული არ არის, შესაბამისად, სააღსრულებო ბიურო დაკისრებული ალიმენტის გადახდის უზრუნველსაყოფად ვერ აყადაღებს მას. უძრავი ქონება მეუღლეებს გადაეცათ 1994 წელს ორდერის საფუძველზე, თუმცა იგი მხოლოდ ლ. ჩ-ას სახელზე დარეგისტრირდა.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ სადავო უძრავი ქონება ლ.ჩ-ას საკუთრებაა და ზ.ბ-შვილს მასზე უფლება არ გააჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ.მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ნ.მ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებით ნ.მ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: ნ. ბ-მე და ზ. ბ-შვილი იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ 2 შვილი – ი. ბ-შვილი და დ. ბ-მე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ძის სარჩელი ზ. ბ-შვილის მიმართ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ზ. ბ-შვილს შვილის – 1995 წლის 11 ოქტომბერს დაბადებული ი. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის – ყოველთვიურად 150 ლარის გადახდა მის სრულწლოვანებამდე. აღნიშნული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, 2006 წლის 28 ნოემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

ზ. ბ-შვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ლ. ჩ-ასთან 1984 წლის 26 ივნისიდან. ქორწინების განმავლობაში მათ შეეძინათ შვილი – ზ. ბ-შვილი. საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქ.თბილისში, ... ქ. 152-ში მიწის ნაკვეთზე მდებარე სადავო 57 კვ.მ ფართზე რეგისტრირებულია ლ. ჩ-ას საკუთრების უფლება. ლ. ჩ-ას განმარტებით, მეუღლეები 1992 წლიდან ცხოვრობენ ცალ-ცალკე, რაც მოპასუხე ზ. ბ-შვილსა და მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდიათ.

პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასაბუთება, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1170-ე და 1168-ე მუხლების თანახმად, არსებობს ქ.თბილისში, ... ქ.152-ში მდებარე უძრავი ქონების ლ. ჩ-ას ინდივიდუალურ საკუთრებად მიჩნევის სამართლებრივი საფუძველი და მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ვერ დაადასტურა ის გარემოებები, რომლებზეც იგი თავის მოთხოვნას ამყარებდა. სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიიჩნია, რომ ქ.თბილისში, ... ქ.152-ში მდებარე 57 კვ.მ ფართი (32 კვ.მ საცხოვრებელი ფართი) წარმოადგენდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას. მუნიციპალური საცხოვრებელი სადგომების პრივატიზებას აწესრიგებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 2 აპრილის 107.13.114

დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალური საცხოვრებელი სადგომების მოქალაქეებისათვის საკუთრებაში გადაცემას მათთან შესაბამისი ხელშეკრულების დადებით. შესაბამისად, სადავო ბინის მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემა განხორციელდა «საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 107 დადგენილებისაგან განსხვავებული წესით. ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ... ქ.152-ში მდებარე 57 კვ.მ (32 კვ.მ საცხოვრებელი ფართი) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 2 აპრილის 107.13.114 დადგენილების საფუძველზე უსასყიდლო საკუთრებაში გადაეცა ლ. ჩ-ას. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა აპელანტის არგუმენტს, რომ სადავო ბინის ლ.ჩ-ას სახელზე აღრიცხვით დაირღვა ზ. ბ-შვილის უფლებები, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრული დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ზემოხსენებული საკითხი თავად ზ.ბ-შვილს სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. მ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა ის გარემოება, რომ სადავო ბინა მოპასუხეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს და, კასატორის თხოვნის მიუხედავად, არ გამოითხოვა საარქივო მასალები, რომლებიც სარჩელის სისწორეს ადასტურებს. პალატამ სათანადოდ არ შეაფასა ნ.მ-მის მიერ წარდგენილი ბინის ორდერი, რომლის მიხედვით სადავო ბინა გადაეცათ რეგისტრირებულ მეუღლეებს – ლ.ჩ-ასა და ზ.ბ-შვილს. დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითება, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1170-ე და 1168-ე მუხლების შესაბამისად, არსებობს სადავო ბინის ლ.ჩ-ას ინდივიდუალურ საკუთრებად მიჩნევის საფუძველი, ვინაიდან ამ უკანასკნელმა სადავო უძრავი ნივთი დაიკანონა ზ.ბ-შვილის, როგორც მსახიობის სახელით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია რა წარმოუდგენია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ზ. ბ-შვილი 1984 წლის 26 ივნისიდან რეგისტრირებულ ქორწინებაშია ლ. ჩ-ასთან, რომელთანაც ჰყავს შვილი – ზ. ბ-შვილი. საჯარო რეესტრის მონაცემებით, ქ.თბილისში, ... ქ. 152-ში მიწის ნაკვეთზე მდებარე სადავო 57 კვ.მ ფართზე რეგისტრირებულია ლ. ჩ-ას საკუთრების უფლება. ლ. ჩ-ას განმარტებით, მეუღლეები 1992 წლიდან ცხოვრობენ ცალ-ცალკე, რაც მოპასუხე ზ. ბ-შვილსა და მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდიათ. ასევე დადგენილია, რომ სადავო ფართი წარმოადგენდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას და იგი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 2 აპრილის 107.13.114 დადგენილების საფუძველზე უსასყიდლო საკუთრებაში გადაეცა ლ. ჩ-ას.

ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ქ.თბილისში, ... ქ.152-ში მდებარე სადავო ქონება ლ. ჩ-ას ინდივიდუალური საკუთრებაა. სასამართლო ამ დასკვნას აფუძნებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სადავო ფართი წარმოადგენდა რა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, ლ.ჩ-ას იგი საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 2 აპრილის 107.13.114 დადგენილებით, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალური საცხოვრებელი სადგომების მოქალაქეებისათვის საკუთრებაში გადაცემას მათთან შესაბამისი ხელშეკრულების დადებით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტსა და ლ.ჩ-ას შორის დადებული ნივთის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების საფუძველად მხოლოდ ზემოაღნიშნული დადგენილება მიეთითა და ქონების გადაცემა ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით განხორციელდა.

სადავო ბინის ლ. ჩ-ას საკუთრებაში გადასვლის დროისათვის ზ. ბ-შვილი და ლ. ჩ-ა ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე. სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზ. ბ-შვილს ფაქტობრივად სხვა ოჯახი ჰქონდა შექმნილი და 1992 წლიდან აღნიშნულ მისამართზე – თბილისი, ... ქ.152-ში არ უცხოვრია. ზ.ბ-შვილს აღნიშნულ ნივთთან დაკავშირებით რაიმე უფლებაზე პრეტენზია არ განუცხადებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე სავსებით სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და

თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში. ამავე კოდექსის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო, 1161-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, თითოეული მეუღლის საკუთრებას წარმოადგენს ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით. აღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა ზ. ბ-შვილის საკუთრებაში აღირიცხოს ქონება მისი ვალების დასაფარად, ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან სადავო ქონებაზე მოცემული ფაქტობრივი გარემოებებით ზ.ბ-შვილის უფლება არ დგინდება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **2. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ**

### **განჩინება**

1ას-1356-1194-2010

4 მარტი, 2011 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)**

**თ. თოდრია,**  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ე. ქ-ავამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ე. ყ-ანის მიმართ არასრულწლოვანი შვილის – ც. ყ-ანის სასარგებლოდ ალიმენტის – 800 ლარისა და მიუღებელი ალიმენტის სახით 2500 ლარის დაკისრების მოთხოვნით იმ მოტივით, რომ მოპასუხე მხარეთა საერთო არასრულწლოვანი შვილის აღზრდაში მონაწილეობას არ იღებს.

მოპასუხემ სარჩელი გადაუხდელი ალიმენტის დაკისრების ნაწილში არ ცნო, ხოლო ალიმენტის დაკისრების მოთხოვნა ცნო 167 ლარის დაკისრების ნაწილში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ე. ქ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ე. ყ-ანს არასრულწლოვანი შვილის – 1999 წლის 27 თებერვალს დაბადებული ც. ყ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 600 ლარის ოდენობით სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2009 წლის 8 დეკემბრიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, ე. ქ-ავას სარჩელი წარსული დროის ალიმენტის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ე. ყ-ანმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ყ-ანის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ალიმენტის – 600 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით ე.ქ-ავას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ე.ყ-ანს 1999 წლის 27 თებერვალს დაბადებული შვილის – ც.ყ-ანის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის – 500 ლარის გადახდა სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2009 წლის 8 დეკემბრიდან, ბავშვის სრულწლოვანებამდე შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: ქ. ყ-ანსა და ე. ქ-ავას ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ერთი შვილი 1999 წლის 27 თებერვალს დაბადებული ც. ყ-ანი. არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს დედასთან. მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე. ე. ქ-ავა, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, ცხოვრობს ყოფილი მუსიკალური ტექნიკუმის შენობაში პენსიონერ მშობლებთან ერთად, სადაც არ აქვს ბავშვის აღზრდისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები.

2001 წლის 28 აპრილიდან ქ. ყ-ანი ქორწინების რეგისტრაციაში იმყოფება თ. ყ-ანთან.

ქ. ყ-ანი მუშაობს ... უნივერსიტეტში მენეჯმენტის ლექტორად და მისი ყოველთვიური, ხელზე ასაღები ხელფასი შეადგენს 675 ლარს, ასევე ის მუშაობს საქართველოს ... კანცელარიის უფროსის მოადგილედ – ... დეპარტამენტის უფროსად და მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2720 ლარს.

ე. ქ-ავა მუშაობს საქართველოს ... კომიტეტის აპარატის მთავარ სპეციალისტად და მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1189 ლარს.

1999 წლის 27 თებერვალს დაბადებული ც. ყ-ანი 2008 წლის ოქტომბრიდან ვარჯიშობს, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია ხრიდოლის სპორტულ კლუბ «...» და არის ქორეოგრაფიული ანსამბლ «...» სოლისტი.

ქ. ყ-ანი ... ბანკიდან აღებული კრედიტის გადახდის მიზნით ყოველთვიურად იხდის საშუალოდ 142 ლარს. 2010 წლის 21 იანვრის მდგომარეობით, საბოლოო ნაშთი შეადგენს 1299,00 ლარს, ხოლო საქართველოს ბანკიდან აღებული კრედიტის (ოვერდრაფტის) გადახდის მიზნით ყოველთვიურად იხდის საშუალოდ 248,08 აშშ დოლარს. 2010 წლის 25 იანვრის მდგომარეობით, საბოლოო ნაშთი შეადგენს 6969,11 აშშ დოლარს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება, რომ ქ. ყ-ანის კმაყოფაზე იმყოფება მისი დედა – ნ. ყ-ანი, რომლის ერთადერთი შემოსავალი 90 ლარის ოდენობის პენსიაა, ვინაიდან ქ. ყ-ანის მიერ 2010 წლის 1 მაისის მდგომარეობით შევსებული ქონებრივი დეკლარაციით დასტურდება, რომ ნადია ყ-ანი მუშაობს თბილისის ... უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად და წლიურად მიღებული აქვს 6412 ლარის შემოსავალი.

პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ ქ. ყ-ანის მიერ კრედიტის გადახდა მეტყველებს არა მის გადახდისუუნარობაზე, არამედ მის ქონებრივ შესაძლებლობაზე. ამასთან, კრედიტის თანხის გადახდა ხდება დროებით, ხოლო, სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვის სარჩენად ალიმენტი მოპასუხეს ეკისრება ბავშვის სრულწლოვანებამდე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1212-ე, 1214-ე მუხლებით და დაადგინა, რომ ქ. ყ-ანს შვილის – 1999 წლის 27 თებერვალს დაბადებული ც. ყ-ანის სასარგებლოდ ალიმენტი არ დაკისრება და აღნიშნული მოთხოვნით მის მიმართ სარჩელი აღიძრა 2009 წლის დეკემბერში.

ქ. ყ-ანი მუშაობს ... უნივერსიტეტში მენეჯმენტის ლექტორად და მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენს 675 ლარს, ასევე ის მუშაობს საქართველოს ... კანცელარიის უფროსის მოადგილედ, ... დეპარტამენტის უფროსად და მისი თანამდებობრივი სარგოა 2720 ლარი. ე. ქ-ავას უკავია საქართველოს ... კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტის თანამდებობა და იღებს ხელფასს 1189 ლარის ოდენობით.

მშობლების შემოსავლების შეფასების საფუძველზე, ასევე იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქ. ყ-ანს სხვა არასრულწლოვანი შვილებიც გააჩნია, სასამართლომ ჩათვალა, რომ ალიმენტის ოდენობა უნდა განისაზღვროს ყოველთვიურად 500 ლარით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ქ. ყ-ანმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და სადავო ნაწილში ე. ქ-ავას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ქ. ყ-ანის რეალური მატერიალური შესაძლებლობები და არ გაითვალისწინა, რომ კასატორი ყოველთვიურად იხდის კრედიტს 142 ლარის, 367 აშშ დოლარის ოდენობით, ასევე კომუნალურ გადასახადებს. ქ. ყ-ანის კმაყოფაზე იმყოფება მისი მეუღლე – თ. ნ-იანი, დედა და ორი შვილი. ამასთან, მეუღლე არ მუშაობს და დიასახლისია, ხოლო დედის – ნ. ყ-ანის შემოსავალი სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ძველი მონაცემების მიხედვით. ნ. ყ-ანის ამჟამინდელი შემოსავლის შესახებ დოკუმენტი დაერთო საკასაციო საჩივარს.

ამდენად, სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის მოთხოვნა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ე.ქ-ავას შემოსავალია დაახლოებით 1500 ლარი, ვინაიდან გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული თანამდებობის გარდა მოსარჩელე მუშაობს ... უნივერსიტეტში ლექტორად, რაც მან სასამართლოს დაუმალა.

სააპელაციო სასამართლოს კასატორის შემოსავლის ოდენობად უნდა მიეჩნია მხოლოდ ის თანხა, რაც ქ. ყ-ანს საკრედიტო და კომუნალური გადასახადების გადახდის შემდეგ რჩება. ასეთს შეადგენს ყოველთვიურად 1950 ლარი. აღნიშნული თანხიდან ც. ყ-ანისათვის 500 ლარის გადახდის შემთხვევაში დაირღვევა კასატორის დანარჩენი ორი შვილის კანონიერი უფლებები.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ე. ქ-ავამ წარმოადგინა 1... განცხადება, რომელთაც დაურთო მასალები 3 ფურცლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შემოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ქ. ყ-ანის საკასაციო საჩივარი არ უნდა აკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლები მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს და გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა კანონი, კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის მიხედვით, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები. ამავე კოდექსის 1213-ე მუხლით დადგენილია, რომ არასრულწლოვანი შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, 1214-ე მუხლის თანახმად, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

კანონის ზემოხსენებული დანაწესი ადგენს მშობელთა ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების მატერიალური კეთილდღეობა. აღნიშნული მიზნით მშობლები თანხმდებიან შვილის სარჩენად განკუთვნილი ალიმენტის ოდენობის შესახებ, თუმცა მითითებული შეთანხმების მიუღწევლობისას გადაწყვეტილებას ალიმენტის მოცულობის თაობაზე მიიღებს სასამართლო.

კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენისათვის აუცილებელ მინიმალურ, ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისი მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი, სარჩენი ბავშვის ასაკი, მისი საჭიროებანი, ალიმენტის გადამხდელი მშობლის სხვა შვილის (შვილების) არსებობა. ცხადია, ალიმენტის გადამხდელ მშობელთან მისი დანარჩენი შვილების ცხოვრების შემთხვევაში მათ სარჩენ არასრულწლოვანთან მიმართებით რაიმე სახის უპირატესობა არ ენიჭებათ.

ამდენად, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო აფასებს თითოეული მშობლის მატერიალურ მდგომარეობას, მეორე მშობლის მიერ მისთვის ბავშვის სარჩენად დახმარების აღმოჩენის საჭიროებასა და ობიექტურ შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ქ.ყ-ანსა და ე.ქ-ავას ქორწინებაში შეეძინათ 1999 წლის 27 თებერვალს დაბადებული ც. ყ-ანი. მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე. არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს დედასთან. ე. ქ-ავა, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, ცხოვრობს ... შენობაში პენსიონერ მშობლებთან ერთად, სადაც არ აქვს ბავშვის აღზრდისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები. იგი მუშაობს საქართველოს ... კომიტეტის აპარატის მთავარ სპეციალისტად და მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1189 ლარს.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქ. ყ-ანს ჰყავს მეუღლე – თ. ყ-ანი, ორი შვილი და დედა – ნ. ყ-ანი.

ქ.ყ-ანი მუშაობს ... უნივერსიტეტში მენეჯმენტის ლექტორად ხელფასით 675 ლარი, ასევე არის საქართველოს ... კანცელარიის უფროსის მოადგილე, ... დეპარტამენტის უფროსი და მისი თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2720 ლარს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სადავო ალიმენტის ოდენობა 500 ლარით მართებულად განსაზღვრა.

დაუსაბუთებელია კასატორის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში ქ. ყ-ანის რეალური მატერიალური შესაძლებლობები გათვალისწინებული არ ყოფილა და ალიმენტის მოცულობის დადგენისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიეღო კასატორის ისეთი სახის დანახარჯები, როგორცაა საბანკო კრედიტი და კომუნალური გადასახადები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარის შემოსავალში იგულისხმება ის თანხა, რასაც იგი ამა თუ იმ საქმიანობის შედეგად იღებს და ალიმენტის გამოანგარიშება უნდა მოხდეს სწორედ მისი ოდენობიდან. რაც შეეხება შემოსავლის განკარგვას, მხარე უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულების, შესაძლებლობისა და საჭიროებისამებრ განკარგოს შემოსავლის ის ნაწილი, რაც მას კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულების შემდეგ დარჩება.

აღსანიშნავია, რომ კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებაში მოიაზრება მხარის მოვალეობა, არჩინოს ყველა ის პირი, რომელზე ზრუნვაც მას კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე ეკისრება, მის კმაყოფაზე იმყოფება და რჩენას საჭიროებს.

განსახილველ შემთხვევაში ქ. ყ-ანს ევალება მეუღლის – თ. ყ-ანის, მასთან შეძენილი ორი შვილისა და არასრულწლოვანი ც. ყ-ანის რჩენა. შესაბამისად, ალიმენტის ოდენობა უნდა გამომდინარეობდეს აღნიშნულ პირთა ობიექტური მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ასეთ მოთხოვნილებად უნდა ჩაითვალოს კასატორის მიერ მითითებული კომუნალური გადასახადებიც, რადგან მათი არსებობა განპირობებულია ქ.ყ-ანის ამჟამინდელი ოჯახისათვის კარგი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნით.

საკასაციო სასამართლომ სავსებით სწორად შეაფასა ქ.ყ-ანის არგუმენტი კასატორის მიერ საბანკო სესხის დაფარვის ხარჯებთან დაკავშირებით, როდესაც აღნიშნული, როგორც დროებითი მოვლენა, ალიმენტის ოდენობის შემცირების საფუძველად არ ჩათვალია.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააკასაციო პალატის მოსაზრებას, რომ კასატორის დედა ვერ ჩაითვლება მის კმაყოფაზე მყოფ პირად, რადგან ქ. ყ-ანის მიერ 2010 წლის 1 მაისის მდგომარეობით შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, ნადია ყ-ანი მუშაობს თბილისის ... უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად და წლიურად მიღებული აქვს 6412 ლარის შემოსავალი. აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოება მხარემ კანონის მოთხოვნათა დაცვით ვერ დაადასტურა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. ქ-ავას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 1... განცხადებაზე დართული წერილობითი მტკიცებულებები 3 ფურცლად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ქ. ყ-ანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ**

#### **განჩინება**

1ას-2-2-2011

31 მაისი, 2011 წ., ქ.თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**პ. ქათამაძე,**

**ბ. ალავეძე**

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება, მამობის დადგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ე. ნ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. გ-ვის მიმართ მამობის დადგენისა და ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: 1993 წელს მოსარჩელემ გაიცნო დ. გ-ვი და ორი წელი მეგობრობდნენ. მხარეები 1995 წელს დაქორწინდნენ და გაემგზავრნენ ქ.მოსკოვში საცხოვრებლად. გართულებული ორსულობის გამო მოსარჩელე იძულებული გახდა, დაბრუნებულიყო საქართველოში. 1996 წლის 13 თებერვალს შეეძინათ შვილი – ა. ნ-ია. დ. გ-ვი არ იჩენს მზრუნველობას ბავშვის მიმართ. მოსარჩელის ოჯახი აფხაზეთიდან დევნილია, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას.

მოპასუხე დ. გ-ვმა სარჩელი არ ცნო იმ საფუძველით, რომ მას ე.ნ-იასთან არასოდეს ჰქონია ურთიერთობა. მისთვის სარჩელიდან გახდა ცნობილი, რომ, თითქოს ანა ნ-ია მისი შვილია, ასევე უარყო ე.ნ-იასთან მოსკოვში დაქორწინებისა და თანაცხოვრების ფაქტი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით ე. ნ-ის სარჩელი მამობის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდა, 1996 წლის 6 თებერვალს დაბადებული ა. ნ-ის მამად დადგინდა დ. გ-ვი, ასევე დ. გ-ვს ანა ნ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის სრულწლოვანებამდე 150 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ნ-ის წარმომადგენელმა ნ. ს-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1-ლი ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. ნ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ჩგაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ე. ნ-ის სარჩელი ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და დ. გ-ვს არასრულწლოვანი შვილის, 1996 წლის 6 თებერვალს დაბადებული ა. ნ-ის, სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის მომენტიდან, 2009 წლის 27 ოქტომბრიდან, მის სრულწლოვანებამდე დაეკისრა ყოველთვიურად ალიმენტის 200 ლარის გადახდა. ე. ნ-ის სარჩელი გასული პერიოდის ალიმენტის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძვლებით: პალატამ დადგინილად ცნო, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება მამობის დადგენის ნაწილში არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში, კერძოდ, დადასტურებულად ცნო, რომ 1996 წლის 6 თებერვალს დაბადებული ა. ნ-ია დ. გ-ვისა და ე. ნ-ის შვილია. დ. გ-ვი იმყოფება ქორწინებაში ქ. ბ-მესთან და ჰყავს ორი შვილი: 2003 წლის 15 იანვარს დაბადებული შ. გ-ვი და 2007 წლის 17 სექტემბერს დაბადებული ც. გ-ვი. დ. გ-ვი არის შპს «... გრუფის» ხელმძღვანელი, შპს «... 2007-ის» წილის მფლობელი და შპს «... XXI-ის» დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი. დადგინილად ცნო ისიც, რომ ე. ნ-ის სარჩელის აღძვრამდე არასოდეს მოუთხოვია, მოპასუხისათვის გადაეხადა ალიმენტი. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1212-ე და 1214-ე მუხლებით და მიუთითა, რომ დ. გ-ვი ვალდებულია, არჩინოს არასრულწლოვანი შვილი - ა. ნ-ია. სასამართლომ საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგინილად ცნო, რომ დ. გ-ვი შპს «... გრუფის» ხელმძღვანელი, შპს «... 2007-ის» 25%-იანი წილის მფლობელი, შპს «... XXI-ის» დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია, ასევე საქმეში წარმოდგენილი შედარების აქტების საფუძველზე დადასტურებულად ცნო, რომ შპს «... 2007-მა» და შპს «... XXI-მა» 2009 სამეურნეო წელი დასასრულის აქვს მოგებით, ამდენად, მიიჩნია, რომ დ. გ-ვს, გააჩნია შემოსავალი. ამასთან, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ გარდა ა. ნ-ისა, დ. გ-ვს კმაყოფაზე ჰყავს არასრულწლოვანი და მცირეწლოვანი შვილები. პალატამ დაადგინა, რომ დ. გ-ვს მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, უნდა დაეკისროს ალიმენტის ყოველთვიურად 200 ლარის გადახდა. ვინაიდან ე. ნ-ის სარჩელის წარდგენამდე არასოდეს მოუთხოვია მოპასუხისათვის ალიმენტის გადახდა, სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მეორე ნაწილზე დაყრდნობით, პალატამ აპელანტის მოთხოვნა ამ ნაწილში უსაფუძვლოდ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ნ-ის წარმომადგენელმა ნ. ს-მემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ა. ნ-ის მიმე საცხოვრებელი პირობები, კერძოდ, მოსარჩელის ოჯახი აფხაზეთიდან დევნილია, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბ-ში და იღებს საარსებო შემწევას. ა. ნ-ია ცხოვრობს სახელმწიფო ბაგა-ბაღში მოხუც ავადმყოფ მეურვესთან ერთად და არის ავად. დ. გ-ვი კი, ბიზნესმენია და მატერიალურად უზრუნველყოფილია. დ. გ-ვს 14 წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია ა. ნ-ის აღზრდასა და მკურნალობაში და თავს არიდებდა ალიმენტის გადახდას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე და 1234-ე მუხლების თანახმად, მშობლები ვალდებული არიან, არჩინონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათზე და აღზარდონ ისინი მათი ინტერესების გათვალისწინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა და მის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასარწმუნოობა, კერძოდ:

ე. ნ-ის სარჩელი დ. გ-ვის მიმართ გასული პერიოდის ალიმენტის დაკისრების ნაწილში სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ ე. ნ-ის სარჩელის წარდგენამდე არასოდეს მოუთხოვია მოპასუხისათვის ალიმენტის გადახდა და არავითარი ზომა არ მიუღია მის მისაღებად.

სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მეორე პუნქტით, ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან. წარსული დროის



ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას.

აღნიშნული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სარჩელის წარდგენამდე სარჩოს მოთხოვნისა და ვალდებული პირის მიერ ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულებაზე თავის არიდების ფაქტები, რომელთა დამადასტურებლად ე.წ.-იამ სარჩელშიც და სააპელაციო საჩივარშიც მიუთითა მოწმეთა ჩვენებებზე. ამ მტკიცებულებათა შეუფასებლობა წარმოადგენს რა კასატორის დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ მიმართებით სააპელაციო სასამართლოს სრულად და უტყუარად არ გამოუყველევია ზემოხსენებული მტკიცებულებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ფაქტობრივი დასაბუთებულობის შემოწმების დროს სასამართლო უნდა გამოარკვიოს, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება თუ არა საქმეში არსებული ან ახლად წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არ დაასაბუთა, თუ რატომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნა ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლოს დასკვნა ამა თუ იმ სადავო ფაქტის არსებობასთან ან არარსებობასთან დაკავშირებით უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსის შესწავლასა და მათი იურიდიული ძალის დადგენას. ამასთან, როდესაც პირი სადავოდ ხდის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას, როგორც მისთვის მიუღებელსა და არადამაჯერებელს, სააპელაციო სასამართლომ, რომელიც ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, დასაბუთებულად უნდა განუმარტოს აპელანტს, თუ რატომ, რომელ ფაქტებსა და ნორმებზე დაყრდნობით არ იზიარებს მის თითოეულ პრეტენზიას, რატომ არ არის დამაჯერებელი აპელანტის მიერ მითითებული მტკიცებულება სადავო ფაქტის დასადგენად. კანონი იმპერატიულად ავალდებულებს სააპელაციო სასამართლოს, დასაბუთებული პასუხი გასცეს სააპელაციო საჩივრის პრეტენზიებს. სასამართლოს უპირველეს ფუნქციას სწორედ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და იმ პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა წარმოადგენს, რაც გააჩნია მოდავე მხარეს.

ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს კასატორის მოწინააღმდეგე მხარის პოზიციაზე ყურადღების გამახვილებას, კერძოდ: მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტით, წინა წლების ალიმენტის მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან დ.გ-ვის მამობის ფაქტი წინამდებარე სარჩელით დადგინდა. საკასაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ მშობლების უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველია შვილის წარმომავლობა და არა ამ წარმომავლობის ფაქტის დამოწმება. მშობლის უფლება-მოვალეობები შვილის მიმართ წარმოიშობა ბავშვის დაბადებიდან და არა იმ მომენტიდან, როცა მამობა სასამართლო წესით იქნა დადგენილი.

სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის თანახმად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. ამავე კოდექსის 1214-ე მუხლით, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1996 წლის 6 თებერვალს დაბადებული ა. ნ-ია დ.გ-ვისა და ე.წ.-იას შვილია. დ.გ-ვი იმყოფება ქორწინებაში ქ. ბ-მესთან და ჰყავს ორი შვილი: 2003 წლის 15 იანვარს დაბადებული შ. გ-ვი და 2007 წლის 17 სექტემბერს დაბადებული ც. გ-ვი. დ.გ-ვი არის შპს «... გრუფის» ხელმძღვანელი, შპს «... 2007-ის» 25%-ის წილის მფლობელი, შპს «... XXI-ის» დამფუძნებელი და 100%-იანი მფლობელი. შპს «... 2007-ს», და შპს «... XXI-ს» 2009 სამეურნეო წელი დასრულებული აქვს მოგებით. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ა. ნ-ია რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და იღებს საარსებო შემწეობას, აქვს ლტოლვილის სტატუსი, იმყოფება ქვეყნის გარეთ, ბავშვი კი – ცხოვრობს მეურვესთან ერთად. ა. ნ-ია ავადაა და საჭიროებს გეგმიურ ოპერაციულ ჩარევას.

მოცემულ დავაზე დადგენილი არასრულწლოვან ა. ნ-იას მძიმე ჯანმრთელობისა და ეკონომიური მდგომარეობის საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები არასრულწლოვანის მამას – დ. გ-ვს

არ წარმოუდგენია. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ნ-ის სარჩენად ალიმენტის ოდენობის ყოველთვიურად 200 ლარით განსაზღვრაც ხელახალ შემოწმებას და შეფასებას საჭიროებს ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლობაში შეფასებით.

საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ მხოლოდ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებისა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ უნდა გამოიტანოს დასკვნები ფაქტობრივი გარემოებების არსებობა-არარსებობის თაობაზე და შეაფასოს სათანადოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ე. ნ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1-ლი ნომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

1ას-58-49-2011

27 ივნისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 30 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ხ-მემ მოპასუხე ზ. ა-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრება არასრულწლოვანი შვილების – ბ. და ნ. ა-ძეების სარჩენად თითოეულ ბავშვზე 150-150 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა 2001 წლის 26 აპრილიდან. თანაცხოვრების პერიოდში მათ შეეძინათ ორი შვილი: ბ. ა-ძე და ნ. ა-ძე. ამ დროისათვის ქორწინება შეწყვეტილი იყო. შვილების აღზრდა მოითხოვდა აუცილებელი ხარჯების გაღებას. ამას ემატებოდა ისიც, რომ უმცროსი შვილი, ნ. ა-ძე არის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე, მე-2 ჯგუფის ინვალიდი, იგი დაავადებულია ბრონქიალური ასთმით. მისი მკურნალობა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა. მოპასუხე თავს არიდებდა მშობლის მოვალეობის შესრულებას. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ მოპასუხეს ალიმენტის გადახდის ფინანსური შესაძლებლობა გააჩნდა, იგი გადახდისუნარიანი იყო. სარჩელზე თანდართული ცნობით დგინდებოდა, რომ ზ. ა-ძე წარმოადგენდა ინდემწარმეს და ქ. ქუთაისში, ... 165-ში მას ჰქონდა ხის საამქრო. მოპასუხეს ასევე გააჩნდა დამატებითი შემოსავლის წყარო მუსიკოსობიდან. მის გადახდისუნარიანობას ცხადყოფდა ის გარემოებაც, რომ 2008 წლის 25 ივლისს მოპასუხეს საკუთარი ბიზნესისათვის სს «...ბანკიდან» აღებული ჰქონდა კრედიტი, 2000 აშშ დოლარი, ერთი წლის ვადით, თვეში 190 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულებით. მოპასუხემ კრედიტის გადახდა შეძლო ყოველგვარი ვადის გადაცილებისა და დარღვევის გარეშე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ:

მოსარჩელის მიერ გამოთქმული მოსაზრება, ინდემწარმეობიდან რაიმე სახის მატერიალური შემოსავლის მიღების შესახებ, მოკლებული იყო რეალობას. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხის გადამამუშავებელი საამქროს მუშაობის წამგებიანობის გამო, კომერციული თვალსაზრისით გაუმართლებელი შეიქმნა მისი შემდგომი ფუნქციონირება და იგი ძულებული გახდა 4 თვის წინ დაეხურა საწარმო. ამჟამინდელი მდგომარეობით იგი უმუშევარი იყო და არავითარი შემოსავლის წყარო არ გააჩნდა. მიუხედავად არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობისა, იგი ყოველთვის ეხმარებოდა შვილებს და ამჟამადაც თანახმა იყო ალიმენტის სახით თითოეულ ბავშვზე გადაეხადა 50-50 ლარი. ყოველთვიურად 300

ლარის გადახდას კი ვერ შეძლებდა, რადგან არ მუშაობდა, ამასთან, ჰყავდა ხანშიშესული დედა, რომელიც ხშირად ავადმყოფობდა და ფინანსურ დახმარებას საჭიროებდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნ. ხ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ზ. ა-მეს დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილების, ბ. და ნ. ა-ძეების, სასარგებლოდ თითოეულ ბავშვზე 100-100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად სარჩელის აღძვრის მომენტიდან, 2010 წლის 30 ივლისიდან მათ სრულწლოვანებამდე.

#### **სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ნ. ხ-მე და ზ. ა-მე 2001 წლის 26 აპრილიდან იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ თანაცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი ბ. და ნ. ა-ძეები;

არასრულწლოვანი შვილები ცხოვრობენ დედასთან, ნ. ხ-მესთან;

არასრულწლოვანი ნ. ა-მე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მკურნალობას;

2010 წლის 1 სექტემბერს ზ. ა-მემ შეწყვიტა სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა;

სასამართლომ მოწმე ფ. ი-მის ჩვენებით დადგინდა მიიჩნია, რომ ზ. ა-მე შვილების მიმართ იჩენდა მზრუნველობას.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის ყოველთვიური შემოსავალი შეადგენდა 1000 ლარს. აღნიშნული გარემოებები საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე, 103-ე მუხლებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე კოდექსის 1212-ე მუხლის შესაბამისად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის ეს დებულება თავისი შინაარსით ზოგადი ხასიათის ნორმას წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს მშობლების მოვალეობას არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო შვილების მიმართ. მშობლების მიერ შვილების რჩენის მოვალეობის შინაარსი მოიცავს ალიმენტის სახით დახმარებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ალიმენტის დაკისრებისას დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ მოდავე მხარეების შვილები – ბ. და ნ. ა-ძეები, არიან არასრულწლოვანები (მცირეწლოვანები), რაც სასამართლოს მოსაზრებით, ქმნიდა სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძველს.

სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის მიხედვით, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის დასახელებულმა დებულებამ, ალიმენტის ოდენობის დადგენა სასამართლო კომპეტენციას მიაკუთვნა. ნორმის ამგვარი დათქმა, თავისთავად არ გულისხმობს, რომ სასამართლომ თავისი სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს ალიმენტის ოდენობა. ზემოთ მოყვანილი დებულება ადგენს იმ კრიტერიუმებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ამ ვითარებაში, კერძოდ, გონივრული და სამართლიანი შეფასების სტანდარტს. ამავე მუხლით განსაზღვრულია, თუ რას მოითხოვს გონივრულობა და სამართლიანობა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ერთი მხრივ, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი პირობების შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, ითვისისწინებდეს მშობლის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. სამოქალაქო კოდექსის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ იგი ცდილობს მაქსიმალურად დააბალანსოს, როგორც შვილის, ისე ვალდებული პირის (ამ შემთხვევაში მამის) ინტერესები.

საქალაქო სასამართლომ, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე მიიჩნია, რომ მოპასუხის რეალური მატერიალური და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არასრულწლოვანი ბავშვების ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში ალიმენტის გონივრული და სამართლიანი ოდენობა იქნებოდა თვეში 100-100 ლარი თითოეულ ბავშვზე.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და მიიჩნია, რომ მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების (ბ. და ნ. ა-ძეები) სასარგებლოდ სარჩელის აღძვრის მომენტიდან (2010 წლის 30 ივლისი) უნდა დაკისრებოდა ყოველთვიურად ალიმენტის სახით 100-100 ლარის გადახდა მათ სრულწლოვანებამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ა-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული საალიმენტო თანხის, რაც ჯამში ყოველთვიურად 200 ლარს შეადგენდა, 80 ლარამდე შემცირება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ა-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ხ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ზ. ა-მეს 2010 წლის 30 ივლისიდან (სარჩელის სასამართლოში შეტანის დროიდან) არასრულწლოვანი შვილების, ბ. და ნ. ა-ძეების, სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა 50-50 ლარის ოდენობით, მათ სრულწლოვანებამდე ან მდგომარეობის შეცვლამდე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიუთითა მათზე და დამატებით აღნიშნა შემდეგი:

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ზ. ა-მემ განმარტა, რომ ადრე ჰქონდა ინდუსტრიული მანქანა, მაგრამ ამჟამად მისი სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობა შეწყვეტილია და არ აქვს არანაირი საშუალება გადაიხადოს ალიმენტის სახით ყოველთვიურად 200 ლარი;

ზ. ა-მემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ასევე განმარტა, რომ აღარ ცხოვრობს მეუღლის სახლში, იგი მის სახლში ცხოვრობს დედასთან, რომელიც არის ინვალიდი და მის კმაყოფაზე, ამასთან, ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ნ. ხ-მის მოსაზრება, რომ რადგან სესხის პროცენტებს ზ. ა-მე კეთილსინდისიერად ფარავდა, მას ჰქონდა ეკონომიური საშუალება გადაეხადა ალიმენტის სახით 200 ლარი ყოველთვიურად. სასამართლომ მოსაზრებით, სესხზე გათვალისწინებული პროცენტის კეთილსინდისიერად დაფარვა არ მეტყველებდა იმაზე, რომ აპელანტს ჰქონდა ეკონომიური საშუალება იმ ოდენობით ეხადა ალიმენტი, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკისრა.

სააპელაციო სასამართლომ მითითებით, საქალაქო სასამართლოს სხდომაზე აპელანტმა განმარტა, რომ იგი თანახმა იყო დაკისრებოდა ალიმენტის სახით ორივე შვილზე 50-50 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ ფაქტობრივი რეალობის პირობებში, როდესაც არ დგინდებოდა ზ. ა-მის ყოველთვიური მყარი შემოსავლის ოდენობა (მას აღარ ჰქონდა ინდუსტრიული; მის კმაყოფაზე იყო ინვალიდი დედა და და; დედამისი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისთვის 100-100 ლარის (სულ 200 ლარი ყოველთვიურად) ოდენობით ალიმენტის თანხის დაკისრება დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან ნ. ხ-მემ ვერ წარადგინა მტკიცებულებები იმის დასტურად, მართლაც ჰქონდა თუ არა აპელანტს მყარი ყოველთვიური შემოსავალი, მხოლოდ მხარის განმარტებას ამ საკითხზე სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია აპელანტ მხარეს მისი ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით დაკისრებოდა ალიმენტის სახით 50-50 ლარის გადახდა (სულ 100 ლარი) ყოველთვიურად მისი არასრულწლოვანი შვილების ბ. და ნ. ა-ძეების სასარგებლოდ ყოველთვიურად მათ სრულწლოვანებამდე ან მდგომარეობის სხვაგვარად შეცვლამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხ-მემ. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნა შემდეგ არგუმენტებზეა დაფუძნებული:

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კანონის რიგი ნორმები: ა. სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის მოთხოვნა, რომლითაც დადგენილია მშობლების მოვალეობები შვილების მიმართ; ბ. 1212-ე მუხლის დანაწესი, რომელიც შეეხება შვილების რჩენის მოვალეობას; გ. 1214-ე მუხლი, რომელშიც საუბარია ალიმენტის ოდენობის განსაზღვრაზე სასამართლოს მიერ; დ. 1202-ე მუხლი, რომელიც ადგენს განქორწინებული ან ცალ-ცალკე მცხოვრები მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს შვილების მიმართ. სასამართლომ უგულებელყო ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია;

გადაწყვეტილების გამოტანისას სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ მოპასუხის მცირეწლოვანი შვილი ნ. ა-მე არის მე-2 ჯგუფის ინვალიდი, იგი დაავადებულია ბრონქიალური ასთმის მძიმე ფორმით. ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მუდმივ მკურნალობას ჰორმონალური პრეპარატებით. 50 ლარი, რა თანხის გადახდაც მოპასუხეს დაეკისრა, დღეისათვის არსებული საარსებო კალათის მესამედსაც არ წარმოადგენს. დავის ამგვარად გადაწყვეტა ზიანის მომტანია მე-2 ჯგუფის ინვალიდი შვილისათვის, რომელსაც ყოველთვიურად მხოლოდ 200 ლარის ჰორმონალური პრეპარატი ესაჭიროება;

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ თავად მოსარჩელეც მე-2 ჯგუფის ინვალიდია, მას შეზღუდული აქვს შრომისუნარიანობა, ესაჭიროება ძვირადღირებული ჰორმონალური პრეპარატები;

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოპასუხე დასაქმებულია, ის არის მუსიკოსი, ვაჭრობს ავტომობილებით, არის ინდემწარმე და ინდემწარმეობის რეგისტრაციის გაუქმება მოხდა სწორედ სასამართლოში საქმის წარმოების მიმდინარეობის დროს. ამასთან, მიუხედავად ამისა, მოპასუხე დღესაც

აგრძელებს სამეწარმეო საქმიანობას ქუთაისში, ... '165-ში. მოპასუხეს სოფელში აქვს ძლიერი მეურნეობა. მოპასუხე არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში და არ იღებს საარსებო შემწეობას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ მხარეებს, მოსარჩელე ნ. ხ-ძესა და მოპასუხე ზ. ა-ძეს, ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 2002 წლის 19 აგვისტოს დაბადებული ბ. ა-ძე და 2004 წლის 3 აპრილს დაბადებული ნ. ა-ძე; ნ. ა-ძე ბავშვობიდან ინვალიდია, იგი დაავადებულია ბრონქიალური ასთმის შერეული ფორმით, მძიმე მიმდინარეობით (ჰორმონდამოკიდებული ფორმა, II-III ხარისხის სუნთქვის უკმარისობა), მას დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მკურნალობას; ბავშვების დედა, მოსარჩელე ნ. ხ-ძე, ასევე ბავშვობიდან ინვალიდია, იგი არის მეორე ჯგუფის ინვალიდი უვადოდ და მასაც ესაჭიროება მკურნალობა; ბავშვები ცხოვრობენ დედასთან, ამ უკანასკნელის მშობლების სახლში; მოპასუხე ზ. ა-ძე ოფიციალურად უმუშევარია, იგი ცხოვრობს სოფელში დედასა და დასთან ერთად, აქვთ დაახლოებით 1 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ჰყავთ საქონელი, სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ყიდნიან ბაზარში; მოპასუხის დედა არის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი.

სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. ამავე კოდექსის 1202-ე მუხლის მიხედვით, მშობლებს თანაბრად აქვთ ყველა უფლება და მოვალეობა თავიანთი შვილების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განქორწინებული არიან ან ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ხოლო, ამავე კოდექსის 1212-ე მუხლის შესაბამისად, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები.

სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის შესაბამისად, თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას.

კანონის ზემოხსენებული დანაწესი ადგენს მშობელთა ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი შვილების მატერიალური კეთილდღეობა. აღნიშნული მიზნით მშობლები თანხმდებიან შვილის სარჩენად განკუთვნილი ალიმენტის ოდენობის შესახებ, თუმცა მითითებული შეთანხმების მიუღწევლობისას გადაწყვეტილებას ალიმენტის მოცულობის თაობაზე მიიღებს სასამართლო.

კანონმდებელი არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელი ხარჯების ზღვრულ ოდენობას არ ითვალისწინებს და შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ალიმენტის მოცულობა დაადგინოს ისეთი გარემოებების ობიექტურად და სამართლიანად შეფასების შედეგად, როგორცაა მშობლების რეალური ფინანსური შესაძლებლობები, სარჩენი ბავშვის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი საჭიროებანი, თითოეული მშობლის კმაყოფაზე მყოფ პირთა რიცხვი და სხვა.

მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე ზ. ა-ძე არის შრომისუნარიანი პირი, ხოლო მოსარჩელე მეორე ჯგუფის ინვალიდია უვადოდ და მკურნალობას საჭიროებს. ამასთან, მართალია, მოპასუხე ოფიციალურად უმუშევარია, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს მისი თვითდასაქმებისა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას. თავად მოპასუხის განმარტებით, იგი ავტომანქანებით ვაჭრობდა, ჰქონდა ხის საამქრო, ასევე, როგორც მუსიკოსი, შეკვეთებით იღებდა შემოსავლებს. ამდენად, მოპასუხე თვითდასაქმებული იყო და შემოსავლებიც გააჩნდა, თუმცა, მისივე განმარტებით, ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობას მან თავი დაანება ალიმენტის თაობაზე სარჩელის შეტანამდე რამდენიმე თვით ადრე. უდავოა, რომ ინდემწარმედ რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მოპასუხემ საგადასახადო ორგანოს მიმართა მის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შემდეგ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ ზემოაღნიშნული იძლევა იმ პრეზუმფციის დაშვების შესაძლებლობას, რომ მოპასუხე შესაძლოა, ამჟამადაც დასაქმებული იყოს იმავე ან სხვა საქმიანობით. ამასთან, ეს პრეზუმფცია სარწმუნოდ გაქარწყლებულიც რომ იყოს, მოპასუხე არ უარყოფს, რომ მოსარჩელესთან განქორწინების შემდეგ, იგი ცხოვრობს სოფელში დედასა და დასთან ერთად, სადაც აქვთ დაახლოებით 1 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ჰყავთ საქონელი და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ყიდნიან ბაზარში, შესაბამისად, აქვთ შემოსავალიც. განსახილველ შემთხვევაში, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს ასევე მიღებული ის გარემოება, რომ მცირეწლოვანი ნ. ა-ძე (ისევე როგორც მოსარჩელე) დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით და, გარდა ჩვეულებრივი ყოველდღიური მოთხოვნებისა, საჭიროებს დამატებით სახსრებს მკურნალობისათვის, მედიკამენტებისა და ექიმების მომსახურებისათვის. საკასაციო

პალატის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოებაც, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ალიმენტის ოდენობა მინიმალურად მაინც უნდა უზრუნველყოფდეს არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, ანუ – საარსებო მინიმუმს. ალიმენტგაღებულის უმუშევრობა, თუ ეს არაა გამოწვეული ავადმყოფობით ან სხვა საპატიო მიზეზით, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ უარი თქვას არასრულწლოვანის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფაზე და არ დაავალდებულოს მშობელი, გადაიხადოს ალიმენტი ამ ოდენობით.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრული ალიმენტის ოდენობა მინიმალურადაც კი ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს ორი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ალიმენტის გადახდა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თითოეული ბავშვის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დასაკისრებელი ალიმენტის ოდენობა, რომელიც მინიმალურად უზრუნველყოფს მათი რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, უნდა განისაზღვროს 100 ლარით. ამდენად, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, თითოეული ბავშვის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 150 ლარის დაკისრების წინაპირობა რომც არსებობდეს, მოცემულ შემთხვევაში, ამ ფარგლებში სარჩელი ვერ დაკმაყოფილდება, ვინაიდან პროცესუალურად ეს შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხის მიმართ საქმე საუარესოდ შებრუნდება. საკასაციო სასამართლო ამოწმებს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მართლზომიერებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო, თავის მხრივ, უფლებამოსილია, შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. მითითებული ნორმა ემყარება დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო შეზღუდულია სააპელაციო საჩივრის, ანუ ამ საჩივარში ჩამოყალიბებული აპელანტის მოთხოვნის ფარგლებით. ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, დაუშვებელია საქმის საუარესოდ შებრუნება. საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას, რომ გადაწყვეტილება, რომელიც საჩივრის ავტორის სასარგებლოდაა გამოტანილი, არ შეიცვლება მის საზიანოდ. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ნ. ხ-ძეს სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 100-100 ლარის ოდენობით, ანუ მოსარჩელეს საქალაქო სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის დაკისრებული თანხის ოდენობა სადავოდ არ გაუხდია. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს სარჩელის დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლებში და იგი არაა უფლებამოსილი, მოპასუხის საუარესოდ შეაბრუნოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად სწორად არ შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. აღნიშნულის გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ნ. ხ-ძის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, მოპასუხე ზ. ა-ძეს უნდა დაეკისროს ალიმენტი არასრულწლოვანი შვილების, ბ. და ნ. ა-ძეების, სასარგებლოდ თითოეულ ბავშვზე 100-100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად სარჩელის აღძვრის მომენტიდან, 2010 წლის 30 ივლისიდან მათ სრულწლოვანებამდე (სამოქალაქო კოდექსის 1234-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, დაეკისრება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით. აქედან გამომდინარე, მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სარჩელზე შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა, ხოლო საკასაციო საჩივრისათვის – დავის საგნის ღირებულების 5 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა. განსახილველ შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 108 ლარს (300X12X3%), ხოლო საკასაციო საჩივარზე – 300 ლარს (200X12X5%). აქედან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად

ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იქნება 222 (108:3X2+300:2X1) ლარი, რომლის გადახდაც უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ნ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ხ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. მოპასუხე ზ. ა-ძეს დაეკისროს ალიმენტი არასრულწლოვანი შვილების, ბ. და ნ. ა-ძეების, სასარგებლოდ თითოეულ ბავშვზე 100-100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად სარჩელის აღდგრის მომენტიდან, 2010 წლის 30 ივლისიდან, მათ სრულწლოვანებამდე;
5. მოპასუხე ზ. ა-ძეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის - 222 ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**3. ნაპოვნის ბავშვის დროებითი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა**

**გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა**

1ას-1213-1064-2010 14 მარტი, 2011 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** კანონიერი საფუძვლის გარეშე ოჯახში მყოფი ბავშვის გამოყვანა

**აღწერილობითი ნაწილი:**

... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონულმა განყოფილებამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. შ-ძისა და კ. გ-ვას მიმართ ოჯახში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი ბავშვის გამოყვანის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 2010 წლის 4 იანვარს ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონულ განყოფილებას ნ. შ-ძემ აცნობა, რომ მის საცხოვრებელ სახლთან დატოვებულ იქნა მდედრობითი სქესის ახალშობილი. მოსარჩელის მიმართვის საფუძველზე, 2010 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით, ნ. ლ-ძე აღიარებულ იქნა მიტოვებულად. ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების მიერ ნ. ლ-ძეს მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი. მოსარჩელის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეები იმყოფებიან მშვილებელთა რეესტრში აღრიცხვაზე, ბავშვს თავისთან ამყოფებენ ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, რასაც არ დაეთანხმნენ ნ. და კ. გ-ვა და მოითხოვეს ნაპოვნი ბავშვის შვილად აყვანა.

ნ. შ-ძემ და კ. გ-ვამ სარჩელი არ ცნეს შემდეგი საფუძვლებით: 2009 წლის 1 მარტიდან ზრდიან ბავშვს, რომელსაც ყველა პირობა შეუქმნეს ნორმალური აღზრდისათვის. 2010 წლის 29 იანვრიდან ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების გადაწყვეტილებით მიტოვებული ბავშვის – ნ. ლ-ძის შვილად აყვანას არ დაეთანხმა ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილება, ვინაიდან მიიჩნია, რომ შვილად აყვანის წესი გათვალისწინებულია კანონმდებლობით და იგი საჭიროებს შესაბამისი ორგანოს დასკვნას.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ნ. შ-ძისა და კ. გ-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა; არასრულწლოვანი ნ. ლ-ძე, დაბადებული 2009 წლის 1 მარტს, გაშვილებამდე დარჩა ნ. შ-ძისა და კ. გ-ვას ოჯახში, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონულმა განყოფილებამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, დადგენილად ცნო, რომ 2010 წლის 16 ივნისის ზესტაფონის რაიონული

სასამართლოს გადაწყვეტილებით ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების განცხადების საფუძველზე ნ. ლ-ძე, დაბადებული 2009 წლის 1 მარტს, აღიარებულ იქნა მიტოვებულად. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზესტაფონის სამსახურის მიერ 2010 წლის 2 ივნისს გაცემული დაბადების მოწმობის საფუძველზე დადგენილად ცნო, რომ ნ. ლ-ძის დაბადების თარიღად მითითებული იყო 2009 წლის 1 მარტი. ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. გ-ვა და ნ. შ-ძე აყვანილი არიან შვილად აყვანის მსურველ კანდიდატთა აღრიცხვაზე. ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უფროსის წერილზე დაყრდნობით დადასტურებულად ცნო, რომ სოფელ ... .. მცხოვრებ კ. გ-ვას საცხოვრებელი სახლის ეზოში დატოვებული ჩვილის ბიოლოგიური მშობლების ვინაობა ვერ დადგინდა. 2010 წლის 15 იანვარს ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების სოცმუშაკის მიერ შედგენილი დასკვნის თანახმად, მიიჩნია, რომ კ. გ-ვასა და ნ. შ-ძეს ოჯახში საყოფაცხოვრებო და ... პირობების თაობაზე მიეცათ რეკომენდაცია, რათა ისინი აყვანილი ყოფილიყვნენ აღრიცხვაზე მშვილებელთა რეესტრში. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზესტაფონის სამსახურის მიერ გაცემული ქორწინების მოწმობის თანახმად, ნ. შ-ძე და კ. გ-ვა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 2009 წლის 5 მარტიდან. ინდივიდუალური საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობის შესაბამისად, კ. გ-ვა რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ და რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში. დაახლოებით ერთ წელზე მეტია, რაც ნ. შ-ძე და კ. გ-ვა თავიანთ ოჯახში ზრდიან ნ. ლ-ძეს. მეუღლეებს, ნ. შ-ძესა და კ. გ-ვას, აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ნაპოვნი ბავშვი სრულფასოვნად აღზარდონ.

სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას საქართველოს კანონის «შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ» გამოყენების თაობაზე და მიუთითა, რომ, როდესაც კ. გ-ვამ და ნ. შ-ძემ აცნობეს აპელანტს ბავშვის მიტოვების შესახებ და მათ ამავე დაწესებულებას მიმართეს მშვილებელთა რეგისტრაციაში აყვანასთან დაკავშირებით, იმ დროს მოქმედებდა საქართველოს კანონი «შვილად აყვანის შესახებ». პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს კანონის «შვილად აყვანის შესახებ» მე-4 მუხლის «დ» პუნქტით, ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით და დადგენილად ცნო, რომ ნ. ლ-ძე აღიარებულია მიტოვებულად და მას მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი. გამოიყენა «შვილად აყვანის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილი, ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, ამავე კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, ამავე კანონის მე-4 ნაწილი, ამავე კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტი და მიუთითა, რომ ბავშვი კარგად არჩევს ერთმანეთისგან ოჯახის წევრებს და ძალიან უყვარს თავისი აღმზრდელები, ფაქტობრივად იგი თავს გრძნობს მშობლიურ გარემოში, რაც დადებითად მოქმედებს მის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე. ბავშვი წელიწადზე მეტია იზრდება მოპასუხებთან ოჯახში, აღზრდისათვის ნორმალურ გარემოში.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1242-ე მუხლით, 1287-ე მუხლით, 1239-ე მუხლით, ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-3 მუხლით, ამავე კონვენციის 21-ე მუხლით და აღნიშნა, რომ, მართალია, კ. გ-ვასა და ნ. შ-ძესთან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იმყოფება მცირეწლოვანი ბავშვი – ნ. ლ-ძე, მაგრამ პირველ რიგში გასათვალისწინებელია ბავშვის ინტერესები, კერძოდ, ბავშვი არის რაქიტული, აქვს სუსტი ძვლები, სისტემატურად უკეთდება მასაჟი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, საჭიროებს მეთვალყურეობას, წელიწადზე მეტია იზრდება მოპასუხეთა ოჯახში – აღზრდისათვის ნორმალურ გარემოში. ბავშვი კარგად არჩევს ერთმანეთისაგან ოჯახის წევრებს და ძალიან უყვარს თავისი აღმზრდელები, ფაქტობრივად იგი თავს გრძნობს მშობლიურ გარემოში, რაც დადებითად მოქმედებს მის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე. ჭკალატამ მიიჩნია, რომ მცირეწლოვანი ნ. ლ-ძის გაშვილებამდე მისი მოპასუხებთან დარჩენა კანონიერია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ... .. სააგენტომ და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: «შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, «ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენისას ბავშვის დროებითი განთავსების საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო». გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შეუძლებელია კანონის მოთხოვნის შესრულება. დაუშვებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილებით კონკრეტულმა მშვილებელმა პირებმა მოიპოვონ შვილად აყვანის უპირატესი უფლება, რითაც დაცული იქნება «შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ» კანონით დადგენილ მშვილებელ პირთა დაკმაყოფილების «რიგითობის პრინციპი». არასრულწლოვანი ნ. ლ-ძე აღიარებულ იქნა მიტოვებულ ბავშვად. სამოქალაქო კოდექსის 1275-ე და 1282-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მიტოვებულად აღიარებული ბავშვის მიმართ მეურვის სათანადო ვალდებულებების შესრულება ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. შექმნილ ვითარებაში საკანონმდებლო ვალდებულებების ხარისხიანი შესრულება შეუძლებელია. შესაბამისად, იქმნება ისეთი არასასურველი მდგომარეობა, როდესაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აღებული აქვს პასუხისმგებლობა არასრულწლოვანი პირის მიმართ, მაგრამ მასზე უფლებამოსილებას ვერ ახორციელებს. შესაძლებელია, საფრთხე შეექმნას სახელმწიფოს მხრიდან გაცემულ ბავშვთა დაცვის გარანტიებს.



სასამართლოს მოსაზრება არასრულწლოვანი ნ.ლ-ძის გაშვილებამდე მოპასუხეებთან დარჩენასთან დაკავშირებით არასწორია. ბავშვის გაშვილების სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება «შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ» კანონის მე-17 მუხლით, რომელიც განმარტავს მშვილებელი კანდიდატებისათვის გასაშვილებელი ბავშვის შეთავაზების იმპერატიულ პრინციპებს. ამ ნორმიდან გამომდინარე, შეუძლებელია, მოპასუხეები განხილულ იქნენ, როგორც ნ. ლ-ძის მშვილებელი კანდიდატები. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გასაშვილებელი სტატუსის მქონე ბავშვი ნ.ლ-ძე, შვილად ასაყვანად უნდა შესთავაზონ «მშვილებელ კანდიდატთა ერთიან რეესტრში» დარეგისტრირებულ მშვილებელ პირებს, რიგის მიხედვით.

მოპასუხეები კი, «მშვილებელთა ერთიან რეესტრში» დარეგისტრირებული არიან 2010 წლის 2 თებერვალს და სიაში მათი (რიგის) ნომერია 1180. ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლებელია, რომელიმე მშვილებელთან დაიწყოს და წარიმართოს ნ. ლ-ძის გაშვილების საქმე, კერძოდ, გაუმართლებელია მშვილებელმა კანდიდატმა გასაშვილებელი ბავშვი მონახულოს მოპასუხეების ოჯახში, ჩაუტაროს მას საჭირო სამედიცინო გამოკვლევა, მის მიმართ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ გასცეს დადებითი დასკვნა, გაიმართოს შვილად აყვანის სასამართლო პროცესი და სხვა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრება მიტოვებულად აღიარებული ბავშვის გაშვილებამდე მოპასუხეებთან დარჩენის თაობაზე, არასწორია.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ ... .. სააგენტოს საკასაციო საჩივარი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია გასაჩივრებული განჩინებით საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების არასრული გამოკვლევა და არასარწმუნოება, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენს არასრულწლოვანი ნ. ლ-ძის გაშვილებამდე ნ. შ-ძისა და კ. გ-ვასთან მისი ყოფნის კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დადგინდა ცნო და სადავოს არ წარმოადგენს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2009 წლის 5 მარტიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ნ. შ-ძე და კ. გ-ვა ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების 2010 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით აყვანილი არიან შვილად აყვანის მსურველ კანდიდატთა აღრიცხვაზე. ზესტაფონის რაიონის სოფელ ... .. მცხოვრებ კ. გ-ვას საცხოვრებელი სახლის ეზოში 2009 წლის 1 მარტს დატოვებული ჩვილის ბიოლოგიური მშობლების ვინაობა ვერ დადგინდა და ჩვილს ამ პერიოდიდან ზრდიან შ-ძე და გ-ვა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ... .. სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების განცხადების საფუძველზე ნ. ლ-ძე, დაბადებული 2009 წლის 1 მარტს, მიტოვებულად იქნა აღიარებული.

სასამართლოს დასკვნა მცირეწლოვანი ნ. ლ-ძის გაშვილებამდე მოპასუხეებთან ცხოვრების კანონიერად მიჩნევის თაობაზე ეფუძნება საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის შედეგად დადგინდულ შემდეგ ფაქტებს: ბავშვი წელიწადზე მეტია (სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ამჟამად კი უკვე ორი წელია) იზრდება მოპასუხეებთან ოჯახში – აღზრდისათვის ნორმალურ გარემოში. ბავშვი კარგად არჩევს ერთმანეთისგან ოჯახის წევრებს და ძალიან უყვარს თავისი აღმზრდელები, ფაქტობრივად იგი თავს გრძნობს მშობლიურ გარემოში, რაც დადებითად მოქმედებს მის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე. ბავშვი არის რაქიტული, აქვს სუსტი ძვლები, სისტემატურად უკეთდება მასაჟი, საჭიროებს მეთვალყურეობას, იგი იზრდება მოპასუხეთა ოჯახში, აღზრდისათვის ნორმალურ გარემოში. მეუღლეებს, ნ. შ-ძესა და კ. გ-ვას, აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ ნაპოვნი ბავშვი სრულფასოვნად აღზარდონ.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოხსენებული ფაქტების საწინააღმდეგოდ კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია, უფრო მეტიც, ეს გარემოებები კასატორის – სააგენტოს თანამშრომლის მიერ ნაპოვნი ბავშვის მოპასუხეებთან საცხოვრებელი პირობების ადგილზე შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნის საფუძველზეა დადგენილი.

განსახილველი განჩინების გაუქმების საფუძველია ის გარემოება, რომ სასამართლოს არ გაუთვალისწინებია კანონის დანაწესების განსაკუთრებულობა საოჯახო დავების განხილვასთან დაკავშირებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია რა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ

საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა. აღნიშნულიდან განსხვავებით, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო ვალდებულია აქტიურად ჩაერთოს დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვაში. მითითებული დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIII თავიდან, რომელიც აწესრიგებს რა საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებებს, 354-ე მუხლის პირველი პუნქტით ადგენს, რომ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. უფრო მეტიც, სასამართლო კანონით გათვალისწინებულ (მათ შორის ბავშვის უფლებების დადგენის) შემთხვევებში, ამავე კოდექსის 354-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილია, მიიღოს დროებითი განკარგულება, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებაში გამონაკლისის წარმოადგენს და უზრუნველყოფს ამ სფეროში უფლებების დარღვევაზე სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას.

ამდენად, საოჯახო დავების განხილვისას სასამართლო არ არის შეზღუდული შეჯიბრებითობის პრინციპით, მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ. კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით სასამართლომ უნდა იმოქმედოს სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპით – თავისი ინიციატივით უტყუარად უნდა გამოარკვიოს და დაადგინოს ფაქტები, რაც უზრუნველყოფს ბავშვის დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას.

მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტისა, რომ მცირეწლოვანი ნ. ლ-მე კ.გ-ვასა და ნ.შ-მესთან აღზრდისათვის ხელსაყრელ გარემო პირობებში იმყოფება, აღნიშნული საკმარის არ წარმოადგენს ბავშვის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ოჯახში დატოვების გადაწყვეტილების გამოსატანად. ამ დასკვნას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სასამართლოს არ გამოურკვევია, კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უკეთეს პირობებში ხომ არ მოხდება ბავშვის განთავსება და რა გავლენას მოახდენს ბავშვზე საცხოვრებელი გარემოს შეცვლა.

მითითებული საკითხების გამორკვევის აუცილებლობა განპირობებულია «შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ» საქართველოს კანონის დანაწესებით და ამავე კანონით აღიარებული სახელმწიფოს მიზნით – დაიცვას ბავშვის ინტერესები და იმპერატიული რეგულაციებით მაქსიმალურად აღმოფხვრას ბავშვის უფლებების დარღვევა, მათ შორის უკანონო გაშვილება.

ამავდროულად, დავის თავისებურებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

«შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ» კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, «ნაპოვნი ბავშვის აღმოჩენისას ბავშვის დროებითი განთავსების საკითხს წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო». ამდენად, კასატორი ... სააგენტოს ზესტაფონის რაიონულმა განყოფილება უფლებამოსილია, გადაწყვიტოს მიტოვებულად აღიარებული ბავშვის გაშვილებამდე დროებითი განთავსების საკითხი. ამასთან, ეს უფლებამოსილება არ შეიძლება განხილულ იქნეს ბავშვის უფლებათა კონვენციით აღიარებული ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებისაგან დამოუკიდებლად. «შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ» საქართველოს კანონის მესამე მუხლით შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მათ შორის გაეროს კონვენცია «ბავშვის უფლებათა შესახებ» და სხვა სამართლებრივი აქტები.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მიზანია მსოფლიოს ყველა ბავშვი სარგებლობდეს სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების უფლებით; უზრუნველყოფილი იყოს მზრუნველი ოჯახური გარემოთი, გართობისა და კულტურასთან ზიარების უფლებით. კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ბავშვის ინტერესების დაცვა. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებისას და განხორციელებისას, რომლებიც ეხებათ ბავშვებს ან ბავშვთა ჯგუფებს. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება – მთავრობამ, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელობამ თუ თვით ოჯახმა. კონვენციით სხვა უფლებებთან ერთად ყველა ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს ალტერნატიული მზრუნველობით, როდესაც ოჯახური გარემოს შენარჩუნება ვერ ხერხდება.

კონვენცია მხედველობაში იღებს რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ «ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუშწიებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ», ადგენს სახელმწიფოების ვალდებულებას ცხოვრების სათანადო დონის შექმნაზე, ხოლო ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვისათვის განსაკუთრებულ მფარველობასა და დახმარებაზე (კონვენციის მე-20, 27-ე მუხლები).

აღსანიშნავია კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ ... უზრუნველყოფის საკითხებზე,

სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

ამდენად, ბავშვის უფლებათა კონვენციით დადგენილი დებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, უპირველესად, ბავშვის ინტერესს აღიარებს. შესაბამისად, ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერი ორგანო ვალდებულია, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს და პრიორიტეტი ბავშვის პიროვნების სრულ და ჰარმონიულ განვითარებას მიანიჭოს, რაზედაც არსებით გავლენას სწორედ ოჯახური გარემოს შექმნა ახდენს. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანონი ითვალისწინებს გარკვეული მოქმედებების განხორციელებას კომპეტენტური ორგანოების მიერ, უპირველესად, უნდა გაირკვეს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისა თუ არა ეს მოქმედება ბავშვის ინტერესს. ბავშვის ინტერესების დაცვისას სრულად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რომლითაც ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ბავშვის საცხოვრებელ გარემოს ეხებოდა მიუთითა, რომ სასამართლო აღიარებს რომ ასეთი საკითხის გადაწყვეტისას, ადგილობრივი სასამართლოები აწყდებიან ისეთ ამოცანას, რომელიც ძალიან რთულად გადასაწყვეტია. მათი მხრიდან მკაცრი, მოუქნელი პროცედურების დაცვის მოთხოვნა, უფრო მეტ პრობლემებს წარმოშობს. ამიტომ, მათ უნდა მიეცეს ფართო დისკრეციული მოქმედების საშუალება ასეთი საკითხების გადაწყვეტისას. ამგვარად, თუკი ბავშვი მოაცილეს ბიოლოგიურ მშობლებს და მოათავსეს ალტერნატიული მზრუნველობის ქვეშ, ანუ აღსაზრდელად გადასცეს აპეკუმებს, დროთა განმავლობაში ბავშვსა და ამ უკანასკნელს შორის შესაძლოა, ჩამოყალიბდეს ახალი კავშირები, რომლებიც, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, რომ არ დარღვეულიყო, ან შეწყვეტილიყო ადრინდელი გადაწყვეტილებების გასაჩივრებით, რომლითაც მშობლებს აკრძალათ, ან შეეზღუდათ თავიანთი (იგულისხმება მშობლის) უფლებები (R.A.M.E. OF ჯ. ვ. თHE UNIტED KINGDOM - (Aპპლიკაციონ ნო.9749/82; 8 ჟულაი 1987 იგივე მოსაზრებაა გამოთქმული ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში (იხ. R.A.M.E. OF KEEGAN ვ. IტELAND - (Aპპლიკაციონ ნო.16969/90; 26 მაი 1994), R.A.M.E. OF BHEPELEV ვ. IტUშIA - (Aპპლიკაციონ ნო.58077/00; 26 ჟულაი 2007), რომლებითაც კანონით დადგენილი მშობლისა და სხვა კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების საწინააღმდეგოდ პრიორიტეტი ბავშვის ინტერესს ენიჭება, თუკი კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ამა თუ იმ გარემოდან მოცილება ან მის ცხოვრების წესის შეცვლის აუცილებლობა და უკეთესობა მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის.

კასატორი მიტოვებულად აღიარებული ბავშვის გაშვილებამდე სხვაგან (სავარაუდოდ, ბავშვთა სახლში) განთავსების აუცილებლობას ასაბუთებს მხოლოდ იმ მოტივით, რომ ბავშვის მიმართ გაშვილების პროცედურა გამარტივდება. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ კასატორის ეს პოზიცია გასათვალისწინებელია, მაგრამ არ არის გადამწყვეტი. მოცემულ შემთხვევაში არსებითს წარმოადგენს ბავშვის ინტერესი და კასატორის მიერ მითითებული კანონიც სწორედ ამ ინტერესის უკეთ დაცვას ემსახურება. ცხადია, განსახილველ დავაში არსებობს ინტერესთა კონფლიქტი (ერთი მხრივ – კასატორის უფლება, გადაწყვიტოს ნაპოვნი ბავშვის დროებითი განთავსების ადგილი და მეორეს მხრივ – ბავშვის ოჯახურ გარემოში, თუმცა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ყოფნის ფაქტი). ასეთ შემთხვევაში დავა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა გადაწყდეს და უპირატესობა უფრო ღირებულ სიკეთეს – ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესს უნდა მიენიჭოს, რაც, უდავოა, კასატორისათვისაც, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, უპირველეს წარმოადგენს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. მოცემულ დავაში ნაპოვნი ბავშვის დაცვის ჭეშმარიტი ინტერესი მისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნაა, რაც სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების უმთავრესი ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

ამ მიზნით კი სასამართლო ვალდებულია, თავისი ინიციატივით ყოველმხრივ და სრულად გამოარკვიოს ყველა ის ფაქტი, რაც ბავშვის უფლებებზე გავლენას მოახდენს და შეუქმნის მყარ რწმენას, რომ მიღებული გადაწყვეტილებით ბავშვის ინტერესი საუკეთესოდ დაცულია. კერძოდ, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს:

სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ბავშვის საცხოვრებელ პირობებთან შედარებით, ხომ არ არის ბავშვის უკეთეს პირობებში განთავსების შესაძლებლობა, რაც უნდა შემოწმდეს კასატორის მიერ შემოთავაზებული ბავშვის განთავსების ადგილთან მიმართებით;

არსებული ვითარებიდან ბავშვის სხვა გარემოში გადაყვანა რა გავლენას მოახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, რისთვისაც სასამართლომ უნდა გამოიყენოს სათანადო სპეციალისტის ცოდნა;

ბავშვის გაშვილებამდე, შესაძლებელია თუ არა ნაპოვნი ბავშვისათვის ალტერნატიული ოჯახური გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, რისი შესაძლებლობაც კასატორს მოქმედი კანონის ფარგლებში გააჩნია;

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

სიპ ... სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**II. მემკვიდრეობის სამართალი**

**4. სამკვიდროს მიღება-გაყოფა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

1ას-839-788-2010

18 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი ძირითად სარჩელში:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

**შეგებულ სარჩელში:** მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ ცნობა, ანდერძის, ჩუქების ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

დ. ყ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ყ-შვილის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის მამა ი. ყ-შვილი გარდაიცვალა 1998 წლის 1 თებერვალს. ქ.დედოფლისწყაროში, ... ქ.119-ში მცხოვრებმა დედამ – ნ. ყ-შვილმა, 1998 წლის 22 ოქტომბრის ანდერძით მთელი თავისი ქონება, მათ შორის, სახლი დაუტოვა მოსარჩელეს, ხოლო მის დას – თ. ყ-შვილს, როგორც უღირს მემკვიდრეს, ჩამოართვა ყველაწილი მემკვიდრეობა. ნ. ყ-შვილი გარდაიცვალა 2005 წლის 23 მაისს. მოსარჩელემ კანონით დადგენილ ვადაში მიიღო მემკვიდრეობა, სამკვიდრო ქონება დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში და გახდა ბინის მესაკუთრე. მოსარჩელე არჩენდა მშობლებს და მანვე გასწია მშობლების დაკრძალვის ხარჯები. მოპასუხე უკანონოდ ფლობს მის საკუთრებაში არსებულ ბინას და არ ათავისუფლებს.

მოპასუხე თ. ყ-შვილმა შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს თავდაპირველი მოსარჩელე დ. ყ-შვილის, მოპასუხეების – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, დედოფლისწყაროს რაიონის ნოტარიუსის – მ.ა-ურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მემკვიდრედ და თანამესაკუთრედ ცნობა, ანდერძის, ჩუქების ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: ქ.დედოფლისწყაროში, ... ქ.119-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ირიცხებოდა მოპასუხის – მამის ი. ყ-შვილის სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1998 წლის 1 თებერვალს. მამის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის მისაღებად მიმართა ნოტარიუსს, რომელმაც 1998 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფის თაობაზე შეუთანხმებლობის გამო. ავადმყოფობის გამო სამკვიდროს გაყოფის თაობაზე მას კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოსთვის არ მიუშრთავს; 2005 წლის 23 მაისს გარდაიცვალა დედა ნ. ყ-შვილი; კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მისაღებად მიმართა ნოტარიუსს, რომელმაც 2005 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის მიცემაზე იმ საფუძვლით, რომ მემკვიდრეებს შორის შეუთანხმებლობისას დავას განიხილავდა სასამართლო; მოგვიანებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ სადავო სახლი აღრიცხული იყო დედის – ნ. ყ-შვილის სახელზე, რომელმაც 1999 წლის 13 ივლისს სადავო სახლი აჩუქა მოსარჩელე დ. ყ-შვილს. თ. ყ-შვილმა შეგებებული სარჩელით მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი ქ.დედოფლისწყაროს გამგეობის 1998 წლის 14 სექტემბრის 128 დადგენილება; ცნობილ იქნეს მამის კანონისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ სამკვიდრო ქონების – საცხოვრებელი სახლის ნახევრის 1/3 წილზე; გაუქმდეს 1999 წლის 13 ივლისს ნ. ყ-შვილსა და დ. ყ-შვილს შორის დადებული ბინის ჩუქების ხელშეკრულება, ტექტიურს მიერ განხორციელებული ჩანაწერი, გაუქმდეს ნ. ყ-

შვილის სახელზე რეგისტრაცია, გაუქმდეს სახლისა და მიწის ნაკვეთის დ. ყ-შვილის სახელზე საჯარო რეესტრის ჩანაწერები, გაუქმდეს 1998 წლის 22 ოქტომბერს შედგენილი ანდერძი და ცნობილ იქნეს დედის სამკვიდროდან – მთლიანი ბინის 2/3-ის ნახევარზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ; ანდერძის ძალაში დატოვების შემთხვევაში თ. ყ-შვილს მიეცეს სავალდებულო წილი, განხორციელდეს შესაბამისი რეგისტრაციები საჯარო რეესტრში, ასევე მიეკუთვნოს დედის მიუღებელი პენსიიდან 321 ლარი და 40 თეთრი, მამის სამკვიდროდან 7177 მანეთი და 232 857 კუპონი.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დ. ყ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. ყ-შვილი ოჯახთან ერთად გამოსახლდა ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან; თ. ყ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თ. ყ-შვილს მიეკუთვნა პენსიიდან 321 ლარი და 40 თეთრი, მამის სამკვიდროდან 7177 მანეთი და 323 857 კუპონი, შეგებებული სარჩელის დანარჩენ მოთხოვნებს უარი ეთქვა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ყ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ნოემბრის განჩინებით მოცემულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო თ. ყ-შვილის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა დედოფლისწყაროს გამგეობის 1998 წლის 14 სექტემბრის 128 დადგენილების ბათილად ცნობის ნაწილში და იგი განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას; იმავე განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება დ. ყ-შვილის სარჩელზე უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის ნაწილში და თ. ყ-შვილის შეგებებული სარჩელის შემდეგ მოთხოვნებზე: მამის სამკვიდრო ქონების – საცხოვრებელი სახლის 1/3 წილზე კანონისმიერ მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, 1999 წლის 13 ივლისის ნ. ყ-შვილსა და დ. ყ-შვილს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების, ტექნიურის მიერ განხორციელებული ჩანაწერის, ნ. ყ-შვილის რეგისტრაციის გაუქმების, სახლისა და მიწის ნაკვეთის დ. ყ-შვილის სახელზე საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმების, 1998 წლის 22 ოქტომბრის შედგენილი ანდერძის გაუქმებისა და დედის სამკვიდროდან – მთლიანი ბინის 2/3 მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ყ-შვილის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი დედოფლისწყაროს გამგეობის 1998 წლის 14 სექტემბრის 128 დადგენილება. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილება თ. ყ-შვილის ოჯახით გამოსახლებისა და თ. ყ-შვილის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. ყ-შვილის სარჩელი თ. ყ-შვილის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, არ დაკმაყოფილდა, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თ. ყ-შვილის შეგებებული სარჩელი, კერძოდ, 1/4 ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი 1999 წლის 13 ივლისის ჩუქების ხელშეკრულება, დადებული ნ. ყ-შვილსა და დ. ყ-შვილს შორის, ამავე ნაწილში გაუქმდა საჯარო რეესტრში განხორციელებული დ. ყ-შვილის საკუთრებაში უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერი, თ. ყ-შვილი ცნობილ იქნა ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის) 1/4 ნაწილის მესაკუთრედ, თ. ყ-შვილის სარჩელი 1998 წლის 22 ოქტომბრის ანდერძის გაუქმების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი აღრიცხული იყო ი. ყ-შვილის სახელზე, რომელიც გარდაიცვალა 1998 წლის 1 თებერვალს. ი. ყ-შვილს გარდაცვალების შემდეგ დარჩა ოთხი რიგის მემკვიდრე მეუღლე – ნ. ყ-შვილი, შვილები – დ. ყ-შვილი, თ. ყ-შვილი (ქორწინებამდე გვარი ყ-შვილი) და ამჟამად გარდაცვლილი და, რომელსაც ჰყავს შვილები; ი. ყ-შვილის გარდაცვალებიდან 6 თვის გასვლამდე თ. ყ-შვილმა მიმართა სანოტარო ბიუროს მამის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, მაგრამ ქ. დედოფლისწყაროს ნოტარიუსის 1998 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით თ. ყ-შვილს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ საფუძველზე, რომ სამკვიდრებელს ჰყავდა თანამესაკუთრე მეუღლე ნ. ყ-შვილი, რომელიც ასევე მოითხოვდა მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მიღებას. ქ. დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის 1998 წლის 14 სექტემბრის 128 დადგენილებით ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე აწ გარდაცვლილი ი. ყ-შვილის სახელზე რიცხული სახლი გადაუფორმდა მის მეუღლეს – ნ. ყ-შვილს, როგორც კომლის უკანასკნელ წევრს. 1998 წლის 22 ოქტომბერს ნ. ყ-შვილმა მთელი თავისი ქონება უანდერძა შვილს – დ. ყ-შვილს. 1999 წლის 13 ივლისს ნ. ყ-შვილსა და დ. ყ-შვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ნ. ყ-შვილმა დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, მიწასთან ერთად აჩუქა დ. ყ-შვილს. პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ანდერძი და ჩუქების ხელშეკრულება შედგენილ იქნა ნ. ყ-შვილის ნების გამოვლენის საფუძველზე და 1999 წლის 13 ივლისს 1345 ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, სადავო უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა დ. ყ-შვილის სახელზე. სააპელაციო პალატამ მოცემული დავის გადაწყვეტისას გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1307-ე მუხლი, 1336-ე მუხლი, 1157-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1161-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტი, 1421-ე მუხლის პირველი ნაწილი და 1424-ე მუხლი.

სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ.119-ში მდებარე უძრავი ქონება ი. ყ-შვილის მიერ შეძენილ იქნა ნ. ყ-შვილთან ქორწინების რეგისტრაციამდე და მიიჩნია, რომ აღნიშნული ქონება მის სიცოცხლეში წარმოადგენდა მხოლოდ ი. ყ-შვილის ინდივიდუალურ საკუთრებას, ხოლო გარდაცვალების შემდეგ, მის სამკვიდროში შემავალ ქონებას; ი. ყ-შვილს ანდერძი არ დაუტოვებია და მისი გარდაცვალების შემდეგ მის სამკვიდრო ქონებაზე კანონით მემკვიდრეობის მიღების თანაბარი უფლება წარმოეშვა სამკვიდროს გახსნის დროს ცოცხალ ოთხ პირს – მეუღლესა და სამ შვილს (პირველი რიგის მემკვიდრეებს); მამის გარდაცვალებიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში, თ. ყ-შვილმა გამოხატა მემკვიდრეობის მიღების ნება და სანოტარო ბიუროს მიმართა სამკვიდრო მოწმობის მიღების მოთხოვნით; თ. ყ-შვილმა კანონით დადგენილ ვადაში მიიღო მამის, ი. ყ-შვილის, სამკვიდრო, მემკვიდრეთა რაოდენობის (4 მემკვიდრე) გათვალისწინებით სამკვიდროში შემავალი ქონების 1/4 წილის ოდენობით; პალატამ მიიჩნია, რომ, მიუხედავად იმისა, თ.ყ-შვილის საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ ყოფილა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის დანაწესით იგი დედოფლისწყაროში, ... ქ.119-ში მდებარე უძრავი ქონების 1/4 ნაწილის მესაკუთრედ ითვლება. ნ. ყ-შვილმა მის სახელზე აღრიცხული მთლიანი ქონება 1999 წლის 13 ივლისის ხელშეკრულებით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა დ. ყ-შვილს. აღნიშნულით მან განკარგა ქონების ის 1/4 ნაწილიც, რომელიც თ. ყ-შვილის საკუთრებას წარმოადგენდა და რომლის გასხვისების უფლებამოსილებაც მას არ გააჩნდა. სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლზე.

მოდვე მხარეები წარმოადგენენ რა ოჯახის წევრებს, თანაბარი უფლების მქონე მემკვიდრეებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ყ-შვილის მიმართ ვერ გავრცელდება სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო რეესტრის მონაცემთა სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია (აღნიშნული წარმოადგენს პრეზუმფციას მესამე პირთათვის და არა ოჯახის წევრთათვის). სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე მითითებით, პალატამ მიიჩნია, რომ ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაუქმდეს იმ მოცულობით, რამდენადაც იგი თ. ყ-შვილის უფლებებსა და კანონიერ ინტერესს შეეხო, ამავე ჩუქების ხელშეკრულება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი 1/4 ნაწილში, შესაბამისად, 1/4 ნაწილში უნდა გაუქმდეს საჯარო რეესტრში დ. ყ-შვილის საკუთრების უფლების რეგისტრაციის ჩანაწერი, როგორც ხელშეკრულების ბათილად ცნობის თანამდევი შედეგი და თ. ყ-შვილი ცნობილ იქნეს, ქ.დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე, მამის – ი. ყ-შვილის სამკვიდრო ქონების 1/4 მესაკუთრედ.

პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ვინაიდან, თ.ყ-შვილს ნოტარიუსის 1998 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე და იგი კანონით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია, მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, თ.ყ-შვილი სამკვიდროს გახსნის დღიდან ითვლება მამის სამკვიდროდან კუთვნილი წილის მესაკუთრედ და სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის დადგენილების გაუსაჩივრებლობა ვერ იმოქმედებს მისი, როგორც მესაკუთრის, უფლებების განხორციელებაზე. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს დედის, ნ. ყ-შვილის, სამკვიდროდან წილის მიკუთვნების შესახებ თ. ყ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან ნ. ყ-შვილმა, გარდაცვალებამდე გააჩუქა კუთვნილი ქონება. ამდენად, გარდაცვალების მომენტისათვის დედოფლისწყაროში, ... ქ.119-ში მდებარე უძრავი ნივთი მის საკუთრებას აღარ წარმოადგენდა, შესაბამისად, იგი სამკვიდრო მასაში ვერ შევიდოდა. პალატამ ასევე მიუთითა, რომ არ არსებობს 1999 წლის 22 ოქტომბრის ანდერძის გაუქმების შესახებ თ.ყ-შვილის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან მიიჩნია, რომ ნ. ყ-შვილის სამკვიდროს გახსნის დროისათვის აღარ არსებობდა ანდერძში მითითებული უძრავი ქონება, როგორც სამკვიდრო ქონება და სადავო ანდერძი იურიდიული ძალის არმქონეა. სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1402-ე მუხლზე. ნ.ყ-შვილის სამკვიდროში შემავალი სხვა ქონება – პენსია 321,4 ლარის ოდენობით, დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით, მიეკუთვნა თ.ყ-შვილს და ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, ამდენად, ანდერძის იმ ნაწილს, რომლითაც მონადერძის მიერ მას, როგორც უღირს მემკვიდრეს, ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, რაიმე სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ თ.ყ-შვილს ანდერძის ბათილად ცნობის მიმართ არ გააჩნია იურიდიული ინტერესი. არ უნდა დაკმაყოფილდეს დ. ყ-შვილის თავდაპირველი სარჩელი თ. ყ-შვილის მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ, რადგან მიიჩნია, რომ თ. ყ-შვილი და დ. ყ-შვილი წარმოადგენენ დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრეებს, რის გამოც თ. ყ-შვილს, დ. ყ-შვილის თანაბრად უფლება აქვს, ფლობდეს და სარგებლობდეს საზიარო საგნით, შესაბამისად, ნივთს არამართლზომიერად არ ფლობს. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილზე, 173-ე მუხლის პირველი ნაწილზე და 955-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ყ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: პალატამ არასწორად დაადგინა მოცემულ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, არც ერთ მხარეს სადავოდ არ გაუხდია გარდაცვლილი დის ქონებრივი წილი და არ მოუთხოვია იგი, პალატა კი გასცდა სააპელაციო საჩივრისა და

მოწინააღმდეგე მხარის შესაგებლის მოთხოვნებს; პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლისა და 1421-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები და მიუთითა, რომ მამის გარდაცვალებიდან კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში თ. ყ-შვილმა გამოხატა მემკვიდრეობის მიღების ნება და სანოტარო ბიუროს მიმართა სამკვიდროს მოწმობის მიღების მოთხოვნით, მაშინ, როდესაც მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეები დარჩნენ თვითონ და დედა, რომლებმაც სანოტარო წესების დაცვით მოითხოვეს სამკვიდროდან წილი. მოწინააღმდეგე მხარეს და არც გარდაცვლილი დის შვილებს კანონით დადგენილ ვადაში და არც შემდგომ არ მიუძღრათ სანოტარო ბიუროსათვის სამკვიდრო მოწმობის მიღების მოთხოვნით. პალატამ სამართლებრივად ვერ დაასაბუთა, თუ რატომ ცნო ბათილად ჩუქების ხელშეკრულება 1/4 ნაწილში და რატომ გააუქმა 1/4 ნაწილში საჯარო რეესტრში მისი საკუთრების უფლების რეგისტრაციის ჩანაწერი; პალატამ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილი და მიუთითა, რომ ნ. ყ-შვილმა გარდაცვალებამდე გააჩუქა კუთვნილი ქონება, ამდენად, გარდაცვალების მომენტისათვის დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე უძრავი ნივთი მის საკუთრებას აღარ წარმოადგენდა, შესაბამისად, იგი სამკვიდრო მასაში ვერ შევიდოდა, მაშინ, როდესაც, ნ. ყ-შვილი, როგორც გარდაცვალებამდე, ისე გარდაცვალების შემდეგ არ გამხდარა მთლიანი ქონების განმკარგავი, ვინაიდან მას ეს უფლება მოუსპო ადმინისტრაციული პალატის მიერ 1998 წლის 14 სექტემბრის 128 დადგენილების გაუქმებამ. სამართლებრივად დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრებები, ვინაიდან ნ. ყ-შვილის სამკვიდროს გახსნის დროისათვის აღარ არსებობდა ანდერძში მითითებული უძრავი ქონება, როგორც სამკვიდრო ქონება, სადავო ანდერძი იურიდიული ძალის არმქონეა, ასევე დაუსაბუთებელია, რომ კასატორი თითქოს ცნობილი იყო უღირს მემკვიდრედ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ – ქონების 1/3 ნაწილის მიკუთვნების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს სამკვიდროს გაყოფის კანონიერება, ვინაიდან კასატორ თ. ყ-შვილის წილი სამკვიდრო ქონებაში არასწორად განისაზღვრა. დანარჩენ ნაწილში საკასაციო სასამართლო სრულიად იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ი. ყ-შვილს გარდაცვალების შემდეგ (1998 წლის 1 თებერვალი) დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე – ნ. ყ-შვილი, შვილები – დ. ყ-შვილი, თ. ყ-შვილი და ამჟამად გარდაცვლილი და, რომელსაც ჰყავს შვილები; ი. ყ-შვილის გარდაცვალებიდან 6 თვის გავლამდე თ. ყ-შვილმა მიმართა სანოტარო ბიუროს მამის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად, მაგრამ დედოფლისწყაროს ნოტარიუსის 1998 წლის 3 აგვისტოს დადგენილებით თ. ყ-შვილს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ მამკვიდრებელს ჰყავდა თანამესაკუთრე მეუღლე ნ. ყ-შვილი, რომელიც ასევე მოითხოვდა მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მიღებას. დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის 1998 წლის 14 სექტემბრის 128 დადგენილებით ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე აწ გარდაცვლილი ი. ყ-შვილის სახელზე რიცხული სახლი გადაუფორმდა მის მეუღლეს – ნ. ყ-შვილს, როგორც კომლის უკანასკნელ წევრს. 1998 წლის 22 ოქტომბერს ნ. ყ-შვილმა მთელი თავისი ქონება უანდერძა შვილს – დ. ყ-შვილს. 1999 წლის 13 ივლისს ნ. ყ-შვილსა და დ. ყ-შვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ნ. ყ-შვილმა დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, მიწასთან ერთად აჩუქა დ. ყ-შვილს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ ი. ყ-შვილის სამკვიდროს მიღება მოდავე მხარეების აწ გარდაცვლილი დის ან მისი მემკვიდრეების მიერ, სასამართლოს არ დაუდგენია და ეს ფაქტი არც სადავოდ არ მიუჩნევიან. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ნ. ყ-შვილმა და თ. ყ-შვილმა სამკვიდრო მოწმობის მიღების მოთხოვნით კანონით დადგენილ ვადაში მიმართეს სანოტარო ბიუროს. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე, 1424-ე და 1433-ე მუხლების შესაბამისად, მათ მიერ სამკვიდრო მიღებულია. რაც შეეხება მეოთხე მემკვიდრე დ. ყ-შვილს, ი. ყ-შვილის სამკვიდროზე მისი მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია თვით თ. ყ-შვილის მიერ, რომელიც ხაზგასმით უთითებს და მოითხოვს, რომ აწ

გარდაცვლილი ი. ყ-შვილის სამკვიდრო ორ მემკვიდრე – დ. ყ-შვილსა და თ. ყ-შვილს შორის უნდა გაიყოს. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამდენად, ი. ყ-შვილის სამკვიდრო მიღებული აქვს სამი პირველი რიგის მემკვიდრეს – ნ. ყ-შვილს, დ. ყ-შვილსა და თ. ყ-შვილს. ასევე დადგენილია, რომ ნ. ყ-შვილმა ჩუქების ხელშეკრულებით სადავო ქონება მთლიანად საკუთრებაში გადასცა დ. ყ-შვილს.

სამოქალაქო კოდექსის 1452-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ. მითითებული ნორმიდან და ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სამკვიდრო მიღებულია რა სამი თანაბარი უფლებების მემკვიდრის მიერ, სამკვიდრო მათ შორის თანაბრად უნდა განაწილდეს და თ. ყ-შვილს უნდა მიეკუთვნოს ი. ყ-შვილის სამკვიდროდან 1/3 წილი. იმავე ოდენობით – თითოეულს 1/3 წილზე მემკვიდრეობის უფლება უნდა განესაზღვროს დანარჩენ მემკვიდრეებს – ნ. ყ-შვილს და დ. ყ-შვილს. შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს გასაჩივრებული ჩუქების ხელშეკრულებაში და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში, ვინაიდან ნ. ყ-შვილმა ჩუქების ხელშეკრულებით არაკანონიერად განკარგა თ. ყ-შვილის 1/3 წილიც, რისი უფლებამოსილებაც მას არ გააჩნდა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტს, რომ ნ. ყ-შვილს ქონების განკარგვის – გაჩუქების იურიდიული უფლება არ ჰქონდა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია ნ. ყ-შვილს მიერ კანონით დადგენილ ვადაში ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით სამკვიდროს მიღების ფაქტი და ეს ფაქტი დასაბუთებულია საქმეში არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას, ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. დადგენილი ფაქტობრივი გარემოების საწინააღმდეგოდ კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ თ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ – სადავო სამკვიდრო ქონების 1/3-ის მიკუთვნების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული გადაწყვეტილებაც აღნიშნულ ნაწილში უნდა გაუქმდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

თ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება თ. ყ-შვილის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ბათილად იქნეს ცნობილი ნ. ყ-შვილსა და დ. ყ-შვილს შორის დადებული 1999 წლის 13 ივლისის ჩუქების ხელშეკრულება ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე უძრავი ქონების 1/3 ნაწილში; ამავე ნაწილში გაუქმდეს საჯარო რეესტრში განხორციელებული დ. ყ-შვილის საკუთრების უფლების სარეგისტრაციო ჩანაწერი.

თ. ყ-შვილი ცნობილ იქნეს ქ. დედოფლისწყაროში, ... ქ. 119-ში მდებარე უძრავი ქონების 1/3 ნაწილის მესაკუთრედ.

დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## 5. ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა

### განჩინება

1ას-274-258-2011

22 ივლისი, 2011 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი,  
ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

რ. თ-მემ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე ა. ქ-იას მიმართ და მოითხოვა 2009 წლის 27 იანვარს გარდაცვლილი ე. ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრედ აღიარება, ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ა. ქ-იას სახელზე გადაცემული 2009 წლის 16 თებერვლის '28 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა და ქ. ქუთაისში ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-მის საკუთრებად აღიარება და საჯარო რეესტრში მის სახელზე დარეგისტრირება შემდეგი საფუძვლებით:

მოსარჩელის განმარტებით, ქ. ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავ-მომრავი ქონების ნახევარი, შინაურული ანდერძით დაუტოვა 2009 წლის 27 იანვარს გარდაცვლილმა ე. ქ-იამ. აღნიშნულ ქონებაზე სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის გასვლამდე 2009 წლის 16 თებერვალს გადაცემული '28 საკუთრების მოწმობით პრივატიზება განუხორციელებია ე. ქ-იას შვილს – რუსეთში მცხოვრებ ა. ქ-იას, რომელმაც ბინის პრივატიზაციის განხორციელებისას, შინაურული ანდერძის შესახებ არ აცნობა ავტოქარხნის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს. საკუთრების უფლება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და ა. ქ-ია ცდილობს ბინა გაასხვისოს ნათესავ – ჯ. ბ-შვილზე, ხოლო შემდეგ კვლავ დაბრუნდეს რუსეთში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, ანდერძის თანახმად, მას გააჩნია სადავო საცხოვრებელი ბინის 1/2 ნაწილის პრივატიზებისა და მასზე საკუთრების მოპოვების უფლება, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით რ. თ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ცნობილ იქნა ე. ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრედ, 2009 წლის 16 თებერვალს თვითმმართველ ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე ბინაზე ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი და ქ. ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილის მესაკუთრედ ცნობილ იქნა რ. თ-მე, რაც აღირიცხა საჯარო რეესტრში.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1364-ე, 1328-ე მუხლებით, «საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ» საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1107 დადგენილებით, «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს პერზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის '73 ბრძანებულებით და მიუთითა, რომ რ. თ-მის სახელზე დაწერილი ანდერძი აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნას, რის გამოც რ. თ-მე უნდა მიჩნეულიყო ე. ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრედ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, ი. ქ-იას სახელზე გაცემული ბინის ორდერი, ოჯახის წევრებს, ე. და ა. ქ-იებს, აძლევდა სადავო ბინის პრივატიზაციის უფლებას, რაც შინაურული ანდერძით ე. ქ-იასაგან მემკვიდრეობით გადაეცა რ. თ-მეს, შესაბამისად, საკუთრების მოწმობა არ უნდა გაცემულიყო ა. ქ-იას სახელზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ქ-იამ და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და რ. თ-მის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულ იქნა ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და, საბოლოოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ა.ქ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინებით რ. თ-ძის სასარჩელო მოთხოვნის გაცალკევებული განხილვის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მისი სასარჩელო მოთხოვნა ე. ქ-იას ადერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და ამ ნაწილში საქმე განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 იანვრის განჩინებით ა. ქ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც რ. თ-ძე ცნობილ იქნა ე. ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრედ.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნა, რომ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი, კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ 2007 წლის 21 იანვარსა და 2008 წლის 14 თებერვალს ე. ქ-იას მიერ დაწერილი და ხელმოწერილი შინაურული ანდერძები ნამდვილი იყო, რ. თ-ძეს აღნიშნული ანდერძის საფუძველზე, ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა სამკვიდრო, მათ შორის მამკვიდრებლის – ე. ქ-იას, როგორც კანონიერი მოსარგებლის უფლება საცხოვრებელი ბინის 1/2 ნაწილის თავის სახელზე პრივატიზებისა. ამდენად, მითითებული მუხლის შესაბამისად, სასამართლომ რ. თ-ძის სასარჩელო მოთხოვნა ე. ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის თაობაზე საფუძველიანად მიიჩნია.

აპელანტის მოსაზრება მასზე, რომ ე. ქ-იას ანდერძში უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ნამდვილი ნება არ გამოვლენილა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მითითებული მოსაზრების საწინააღმდეგო დამტკიცებული იყო კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით, სხვა მტკიცებულება კი, რაც უარყოფდა ან გააქარწყლებდა ამ ფაქტს და დაადასტურებდა აპელანტის მოსაზრების მართებულობას, მას არ წარმოუდგენია.

იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ და, შესაბამისად, ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის თაობაზე რ. თ-ძის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებით ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღო, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ქ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც რ. თ-ძე ცნობილ იქნა ე. ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრედ და აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილების მიღებისას სააპელაციო სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმეში არსებული მასალები, სრულად და ობიექტურად არ შეუფასებია მტკიცებულებები, რის გამოც ზოგადი დასკვნების საფუძველზე, მიიღო მცდარი გადაწყვეტილება. ნაცვლად იმისა, რომ სააპელაციო პალატას გაერკვია ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა თუ არა სადავო ფაქტობრივი გარემოებები და შეესწავლა სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, მას საერთოდ არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია საქმისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება – ჰქონდა თუ არა უფლება ე. ქ-იას მოპასუხე რ. თ-ძისათვის ანდერძით დაეტოვებინა ე. ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე არაპრივატიზებული ბინა და აღნიშნული ქონება საერთოდ ეკუთვნოდა თუ არა გარდაცვალების მომენტისათვის მოანდერძეს. ამასთან, სასამართლომ არ გამოუკვლევია და არ დაუდგენია რა ქონების მესაკუთრე იყო ანდერძის შედგენისას ე. ქ-ია და თავდაპირველად და ბოლოს შედგენილი ანდერძი ეხებოდა თუ არა სადავო ბინას, ასევე, არ გამოკვლეულა, რა ნება გამოავლინა ე. ქ-იამ.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი, ვინაიდან აღნიშნული ნორმა მოცემულ დავას არ აწესრიგებს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ქ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნა, რომ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი, კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009

წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ 2007 წლის 21 იანვარსა და 2008 წლის 14 თებერვალს, ე. ქ-იას მიერ დაწერილი და ხელმოწერილი შინაურული ანდერძები ნამდვილი იყო, რ. თ-მეს აღნიშნული ანდერძის საფუძველზე, ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა სამკვიდრო, მათ შორის მამკვიდრებლის, ე. ქ-იას, როგორც კანონიერი მოსარგებლის უფლება საცხოვრებელი ბინის 1/2 ნაწილის თავის სახელზე პრივატიზებისა. ამდენად, მითითებული მუხლის შესაბამისად, სასამართლომ რ. თ-მის სასარჩელო მოთხოვნა ე. ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის თაობაზე საფუძველიანად მიიჩნია.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა ანდერძის ნამდვილობა, რომელსაც სადავოდ ხდიდა ა. ქ-ია. კონკრეტულ შემთხვევაში დავას წარმოადგენს ამ ანდერძით მემკვიდრისათვის (რ. თ-მისათვის) დატოვებული ქონების ნაწილის მესაკუთრედ ცნობა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის დავას იწვევს მხოლოდ ე. ქ-უთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილი, კერძოდ, წარმოადგენდა თუ არა ზემოაღნიშნული ქონება მამკვიდრებლის საკუთრებას და, შესაბამისად, შედის თუ არა ეს ქონება სამკვიდრო მასაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

განსახილველი ნორმა უთითებს იმ უფლება-ვალდებულებებზე, რომლებიც შედიან სამკვიდრო მასაში და რომლებიც გადადის მემკვიდრეზე.

რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ სამკვიდროში, ასევე შედის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე (მოთხოვნები, უფლებები), რაც გააჩნდა მამკვიდრებელს სიკვდილის მომენტში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა «კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლისათვის უსაყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულება, კერძოდ, მითითებული ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის «ე» ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერი მოსარგებლეს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართით, ხოლო კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში – მისი მემკვიდრე.

ამდენად, განსახილველი წესის შესაბამისად, კანონიერ მოსარგებლედ მოიაზრება, ასევე კანონიერი მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი მემკვიდრე (ივარაუდება, როგორც კანონისმიერი, ასევე ანდერძისმიერი მემკვიდრე).

საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმას, რომ სადავო ანდერძების კანონიერება დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგინდა, რომ მამკვიდრებელმა გამოხატა ნება თავისი უძრავ-მომრავი ქონების რ. თ-მისათვის დატოვების შესახებ. სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ რ. თ-მემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ კასატორი არ უთითებს, ამდენად, აღნიშნული გარემოება სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ რ. თ-მემ ანდერძის საფუძველზე მოიპოვა კანონიერი მოსარგებლის უფლება, რაც მას აძლევს სადავო ფართის პრივატიზების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნა, მისი, როგორც ე. ქ-იას ანდერძისმიერი მემკვიდრედ ცნობა, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა მისი შინაარსი, რომელიც ეხება ე. ქ-უთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-ს, რომლის კანონიერ მოსარგებლეს კასატორთან ერთად წარმოადგენდა მამკვიდრებელი ე. ქ-ია.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა წილები და არ გაითვალისწინა კანონისმიერი მემკვიდრის (ა. ქ-იას) უფლება სავალდებულო წილზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, შშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ანდერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა, მოსარჩელის დანარჩენი მოთხოვნები გამოყოფილია ცალკე წარმოებად, რაც შეჩერებულია სასამართლოს განჩინებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ ამ მოთხოვნის განხილვა, მოსარჩელის შესაბამისი იურიდიული ინტერესის გათვალისწინების გარეშე, მიზანშეუწონელია, კერძოდ, რ. თ-მე სარჩელით

ითხოვს ე. ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრედ აღიარებას, ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ა. ქ-იას სახელზე გადაცემული 2009 წლის 16 თებერვლის 128 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობას და ქ. ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-ის რ. თ-ძის საკუთრებად აღიარებასა და საჯარო რეესტრში მის სახელზე დარეგისტრირებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 დეკემბრის განჩინებით რ. თ-ძის სასარჩელო მოთხოვნის განცალკევებული განხილვის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მისი სასარჩელო მოთხოვნა ე. ქ-იას ადერძისმიერ მემკვიდრედ ცნობის ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და ამ ნაწილში საქმე განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქ. ქუთაისის მერიის საბინაო ფონდის აღრიცხვის, მართვისა და რეგულირების საქალაქო სამსახურის მიერ ა. ქ-იას სახელზე გადაცემული 2009 წლის 16 თებერვლის 128 საკუთრების უფლების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობას და ქ. ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის საკუთრებად რეგისტრაციის ნაწილში დადგენილ იქნა, რომ საქმე განხილულ იქნეს ადმინისტრაციული საქმის წარმოების წესით და მოცემული ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეჩერდეს ე. ქ-იას ანდერძით მემკვიდრედ ცნობის ნაწილში გამოყოფილი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის ზემოაღნიშნული მოთხოვნები ურთიერთდაკავშირებულია და გამომდინარეობენ ერთმანეთისგან. ამ მოთხოვნების განხილვისათვის აუცილებელია მისი საფუძვლების დიფერენციაცია და, შესაბამისად, მოსარჩელის უფლების განსაზღვრა, რაც წარმოადგენს ამ მოთხოვნათა საფუძვლების განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ კრიტერიუმს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნების ცალ-ცალკე განხილვა ართულებს დავის გადაწყვეტას, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნები ე. ქ-იას ადერძისმიერ მემკვიდრედ ცნობისა და ქ. ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ნაწილის რ. თ-ძის საკუთრებად რეგისტრაციის ნაწილებში ურთიერთდაკავშირებულია, გააჩნიათ ერთი და იგივე საფუძვლები და მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს 19.11.2009 წლის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ე. ქ-იას მიერ 2007 წლის 21 იანვარს და 2008 წლის 14 თებერვალს დაწერილი და ხელმოწერილი შინაურული ანდერძები ნამდვილია. ამდენად, აღნიშნული ფაქტით დასტურდება, რომ რ. თ-ძე წარმოადგენს ე.ქ-იას ანდერძისმიერ მემკვიდრეს, ხოლო ფაქტობრივი გარემოებებიდან, რომლებიც უთითებენ ქ. ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების ნაწილზე, როგორც სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებაზე, გამომდინარეობს რ. თ-ძის ორი მოთხოვნა: ე. ქ-იას ადერძისმიერ მემკვიდრედ ცნობა (იგულისხმება სადავო უძრავი ქონების ნაწილი) და ამავე ქონების (ქ. ქუთაისში, ... 2/6-ში მდებარე უძრავი ქონების) 1/2 ნაწილის რ. თ-ძის საკუთრებად რეგისტრაცია.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის ძირითად მოთხოვნას, რომელსაც უკავშირდება და საიდანაც გამომდინარეობს დანარჩენი მოთხოვნები, წარმოადგენს სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობა (აღიარება), შესაბამისად, იმ ფაქტის დადგენა, რომ სადავო ქონება, იმ უფლებრივ მდგომარეობაში, რაც გააჩნდა მამკვიდრებელს გარდაცვალების მომენტში, შედიოდა სამკვიდროს მასაში, იწვევს ამ ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილებას კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოსარჩელის მითითებული ორივე მოთხოვნის გაერთიანებაზე და იმსჯელოს ამ მოთხოვნების საფუძვლიანობაზე, ზემოაღნიშნული მითითებების გათვალისწინებით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. ქ-იას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 იანვრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 6. სამკვიდროს გახსნა კომლში

### განჩინება

1ას-503-814-09

14 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** მემკვიდრედ ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერების გაუქმება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 22 დეკემბერს სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. კ-შვილმა, მ. მ-მემ, ლ. კ-მემ და ლე. კ-შვილმა მ. ბ-ძის, ვ. კ-შვილის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სამოქალაქო რეესტრის სამსახურის, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ საჯარო რეესტრში განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმებისა და მემკვიდრედ ცნობის შესახებ.

2008 წლის 25 იანვარს მოსარჩელებმა სასამართლოს მიმართეს გადიდებული სარჩელით და საბოლოოდ მოითხოვეს: ბათილად იქნეს ცნობილი სოფელ ... შ. კ-შვილის კომლში ვ. კ-შვილის 1986 წლის 22 აგვისტოს და მ. ბ-ძის (თვე, წელი და რიცხვი დაუდგენელია) საკომლო წიგნში მათი კომლის წევრად ჩაწერა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თერჯოლის სამსახურის მიერ 1998 წლის 10 ნოემბერს განხორციელებული ვ. კ-შვილისა და 2005 წლის 27 სექტემბერს მ. ბ-ძის რეგისტრაცია სოფელ ... , ასევე ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის სააგენტოს თერჯოლის სამსახურში 2007 წლის 23 ოქტომბერს (ნაკვეთი 1028 0.190 კვ.მ, ნაკვეთი 1031 0.140 კვ.მ ნაკვეთი 1033, 0,181, ნაკვეთი 134 0.082, ნაკვეთი 1063 0.249 კვ.მ) სარეგისტრაციო ზონა თერჯოლა, სექტორის სოფელი ... , ასევე 2007 წლის 10 დეკემბერს ნაკვეთი 0.166 კვ.მ 1029, (რომელზედაც საცხოვრებელი სახლია განთავსებული, საერთო ფართი 614,21 კვ.მ) განხორციელდა რეგისტრაცია, რომლითაც თანასაკუთრების უფლებით ვ. კ-შვილისა და მ. ბ-ძის დაურეგისტრირდათ ზემოთ მითითებული ქონება.

შ. კ-შვილის შვილები, მოსარჩელები მ. კ-შვილი, მ. მ-მე, ლ. კ-მე, ლე. კ-შვილი ცნობილ იქნენ მემკვიდრეებად აწ გარდაცვლილი შ. კ-შვილის დანაშთ ქონებაზე და ამგვარად აღირიცხა თერჯოლის საჯარო რეესტრის სამსახურში.

მოსარჩელები სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვენ შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. კ-შვილსა და შ. კ-შვილს ჰყავდათ ხუთი შვილი. 1990 წელს გარდაიცვალა ა. კ-შვილი, ხოლო 2007 წელს შ. კ-შვილი. დედის გარდაცვალების შემდეგ ერთ თვეში გარდაიცვალა შ. კ-შვილის ერთი შვილი თ. კ-შვილი, რომელსაც დარჩა შვილი ვ. კ-შვილი და რეესტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე მ. ბ-მე.

მოსარჩელები მიუთითებენ, რომ შ. კ-შვილის ქონება, რომელიც კანონით მის შვილებზე უნდა გადასულიყო, უკანონოდ გაიფორმეს მხოლოდ თ. კ-შვილის მეუღლე მ. ბ-მემ და თ.-ს შვილმა ვ. კ-შვილმა, ანუ საჯარო რეესტრის თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურმა ისინი უკანონოდ დაარეგისტრირა შ. კ-შვილის საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებად, კერძოდ, თავის დროზე ვ. კ-შვილისა და მ. ბ-ძის შ. კ-შვილის კომლში ჩაწერა უკანონოდ, დარღვეულ იქნა «საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ» საქართველოს კანონის მოთხოვნები.

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. კ-შვილის, მ. მ-ძის, ლ. კ-ძისა და ლე. კ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურმა, ასევე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ვ. კ-შვილმა და მ. ბ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურის, ვ. კ-შვილისა და მ. ბ-ძის სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერების ბათილად ცნობის, შ. კ-შვილის დანაშთ ქონებაზე მოსარჩელეთა მემკვიდრედ ცნობისა და საჯარო რეესტრში შესაბამისად რეგისტრაციის განხორციელების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. კ-შვილი, მ. მ-მე, ლ. კ-მე და ლე. კ-შვილი ცნობილ იქნენ შ. კ-შვილის დანაშთი ქონების, თერჯოლის რაიონის სოფელ ... მდებარე 108 კვარტალში არსებული, 1028 0190 ჰა, 1031 0,149 ჰა, 1033 0181 ჰა, 1034 0,082 ჰა, 10,63, 0,249 ჰა, 1029, 0,166 ჰექტარი და ამ მიწის ნაკვეთზე მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/5-

ის მემკვიდრედ, ასევე შევიდა შესაბამისი ცვლილებები საჯარო რეესტრის ჩანაწერებში. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ დადგენილი, რომ თერჯოლის რაიონის სოფელ ... არსებობდა კოლმეურნეობა, რომელიც 1968 წლის 1 იანვარს შეუერთდა თერჯოლის სანერგე მეურნეობას და შეწყვიტა ფუნქციონირება. თავის მხრივ, თერჯოლის სანერგე მეურნეობა გაუქმდა 1993 წლის 5 სექტემბერს. დადგენილად ასევე ცნო, რომ თერჯოლის რაიონის სოფ. ...-ის კოლმეურნეობაში არსებობდა ა. კ-შვილის კომლი, რომელიც 1968 წლის 1 იანვრისათვის შედგებოდა ა. კ-შვილის, შ. კ-შვილის, ლ. კ-ძისა და ლე. კ-შვილისაგან.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კოლმეურნეობა წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ერთგვარ ნაირსახეობას. საკოლმეურნეო კომლი კი იყო კოლმეურნეობაში შემავალი სამართლის სუბიექტი. ეს განპირობებდა საკოლმეურნეო კომლის განსხვავებული, სპეციალური სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ 1968 წლის 1 იანვარს, სოფ. ... კოლმეურნეობის გაუქმებასთან ერთად შეწყვიტა არსებობა ა. კ-შვილის საკოლმეურნეო კომლმა. ამის შემდეგ, 1964 წლის რედაქციით საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, მისი ქონება სამართლებრივად გაიყო ა. კ-შვილს, შ. კ-შვილს, ლ. კ-ძესა და ლე. კ-შვილს შორის და ამოქმედდა ამ ქონებაზე მემკვიდრეობის საერთო წესით.

ასევე, დადგენილად ცნო, რომ 1975 წელს ა. კ-შვილისა და შ. კ-შვილის მიერ აგებულ იქნა 120 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, რომელიც იყო ა. კ-შვილისა და შ. კ-შვილის თანასაკუთრება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ა. კ-შვილი გარდაიცვალა 1990 წლის 6 ნოემბერს. ამ დროისათვის ა. კ-შვილის ოჯახი აღარ იყო საკოლმეურნეო კომლი და ამიტომ, 1964 წლის საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის რედაქციით, ამავე კოდექსის 540-ე მუხლის თანახმად, ამ დღეს გაიხსნა ა. კ-შვილის სამკვიდრო.

ა. კ-შვილის სამკვიდროს შეადგენდა ზესტაფონის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 1964 წლის რედაქციით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე მუხლის მიხედვით, ა. კ-შვილის 1-ლი რიგის მემკვიდრეები იყვნენ, მეუღლე, შ. კ-შვილი და შვილები მ. კ-შვილი, მ. მ-ძე, ლ. კ-ძე, ლე. კ-შვილი და თ. კ-შვილი. ა. კ-შვილის გარდაცვალების შემდეგ, სამკვიდროს გახსნიდან 6-თვიან ვადაში მის სამკვიდროს დაეუფლა მხოლოდ შ. კ-შვილი. ამდენად, ა. კ-შვილის სამკვიდრო მიიღო მხოლოდ შ. კ-შვილმა და 1964 წლის რედაქციით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის თანახმად, გახდა ამ ქონების მესაკუთრე. 1995 წლის 20 აპრილის მიღება-ჩაბარების აქტით შ. კ-შვილს სოფ. ... გამოეყო 0,94 ჰა მიწა 5 ნაკვეთად. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 22 მარტის დადგენილებების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონის ამოქმედების თაობაზე მე-2 პუნქტის თანახმად, ზემოხსენებული მიწის ნაკვეთები, ასევე ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებული იყო საცხოვრებელი სახლი, გამოცხადდა შ. კ-შვილის საკუთრებად.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხეთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული მიწის ნაკვეთები ეკუთვნოდა საკომლო მეურნეობას. პალატამ მიუთითა, რომ მიწის ნაკვეთები საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო არა, როგორც საკომლო მეურნეობა, არამედ როგორც შ. კ-შვილის საკუთრება. საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი სადავო ქონების მ. ბ-ძისა და ვ. კ-შვილის თანასაკუთრების შესახებ ნაწილობრივ მცდარია. ამ პირებს სადავო ქონებაში შეიძლება ეკუთვნოდეთ მხოლოდ შ. კ-შვილის სამკვიდროდან თ. კ-შვილის წილი ანუ ქონების 1/5.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მოსაზრებას საჯარო რეესტრის ჩანაწერების მთლიანად ბათილად ცნობის თაობაზე, რადგან მიიჩნია, რომ მოსარჩევეებს ეკუთვნით სადავო ქონების მხოლოდ 4/5 ნაწილი, ქონების 1/5 ნაწილი კი თ. კ-შვილის მემკვიდრეთა საკუთრებაა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ბ-ძემ. მან მიუთითა, რომ სასამართლოს აზრით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებისა და ინვენტარის საკომლო მეურნეობად ტრანსფორმაცია დამოკიდებულია ქონების მესაკუთრის ნებაზე, ეს გამოვლენილია შ. კ-შვილის კომლის წევრების მიერ, რადგან მთელი უძრავი ქონება აღიარებულია შ. კ-შვილის კომლის საკუთრებად, ანუ ინდივიდუალურად შ. კ-შვილი არაა რეგისტრირებული, მესაკუთრედ რეგისტრირებულია ოჯახი. კომლი სპეციფიკური ხასიათის სოფლად მცხოვრები ოჯახია. «სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, საკომლო მეურნეობა არის საადგილმამულო მეურნეობა და მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა თანასაკუთრებას წარმოადგენს. შ. კ-შვილის კომლის სახელზე უძრავი ქონების რეგისტრაცია თერჯოლის სარეგისტრაციო სამსახურის საჯარო რეესტრში განხორციელებულია 2002 წელს. ვინაიდან თანამესაკუთრეები არ არიან რეგისტრირებული, იგულისხმება, რომ ქონება რეგისტრირებულია მხოლოდ შ. კ-შვილის ინდივიდუალურ საკუთრებად რაც არასწორად იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ, მაშინ, როდესაც თანამესაკუთრეების რეგისტრაციას კანონი უკვე აღარ ავალდებულებდა. ამასთან, სარეგისტრაციო მასალებიდან ჩანს, რომ სადავო უძრავი ქონება შ. კ-შვილის ოჯახის საკუთრებადაა რეგისტრირებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შემოწმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სადავო ქონების შ. კ-შვილის ოჯახის საკუთრების უფლებით აღრიცხვა საკმარისია იმისათვის, რომ ამ ურთიერთობაზე გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით გათვალისწინებული მემკვიდრეობის მიღების წესი. იმ დროს მოქმედი «მიწის რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, მესაკუთრის განყოფილებაში მიეთითებოდა მესაკუთრის სახელი, გვარი, მამის სახელი და მისამართი; ჩანაწერი მესაკუთრის უფლების რაიმე შეზღუდვის შესახებ. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარეგისტრაციო ბარათის ჩანაწერებით გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით დასაშვებია ოჯახის (კომლის) წევრთა თანასაკუთრებაში არსებული მიწის ან სხვა სახის ქონების რეგისტრაციისას «მესაკუთრის» გრაფაში ოჯახის უფროსის აღრიცხვიანობა (დანარჩენი წევრებისაგან დელეგირებული პირი), ხოლო ოჯახის დანარჩენი წევრების უფლებები აღრიცხება «შეზღუდვის» გრაფაში. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ოჯახის უფროსთან ერთად ოჯახის წევრების თანამესაკუთრების შემთხვევაში ყველა თანამესაკუთრე რეგისტრირებულ უნდა ყოფილიყო «მიწის რეგისტრაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის მოთხოვნათა დაცვით, უნდა აღნიშნულიყო ყველა ოჯახის დანარჩენი წევრების უფლებები, რაც მოითხოვს მათი სახელის, გვარის, მამის სახელის რეგისტრაციას. ამდენად, აღნიშნული ჩანაწერის სისწორის საწინააღმდეგოდ დადასტურებამდე ივარაუდება, რომ სადავო უძრავი ნივთების მესაკუთრეს წარმოადგენდა შ. კ-შვილი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლის თანახმად, კომლში კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან. ამდენად, მხოლოდ კომლის წევრად რეგისტრაციის (ცნობის) ფაქტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ განსახილველი ნორმით გათვალისწინებული შედეგი დადგეს. აუცილებელია, არსებობდეს სოფლად მცხოვრები პირთა გაერთიანების ის შინაარსი, რომელიც მოიცავს მათ საერთო ქონების საშუალებით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვას.

საკასაციო პალატა განმარტავს, საქმის მასალებით არ დგინდება, რომ სადავო სამკვიდრო ქონება შეადგენდა საკომლო მეურნეობის ნაწილს.

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორის მიერ არ დასტურდება ის ფაქტი, რომ სადავო ქონება წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო მეურნეობის საფუძველს, რაც უნდა შეეფასებინა და არ შეაფასა ან არასათანადოდ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. კანონის მიერ შემკვიდრედ ცნობა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-499-468-2010

25 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის გაუქმება და მესაკუთრედ აღიარება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 19 ოქტომბერს ... რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. ს-მემ მოპასუხე ზ. ს-ძის, ...-ის სახელმწიფო სანოტარო კანტორისა და ...-ის ტექლრიცხვის ბიუროს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ზ. ე.-ს ძე ს-ძის სახელზე 1979 წლის 25 მაისს გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება და ...-ში, ... 110-ში მდებარე სახლმფლობელობის მის საკუთრებად აღიარება.

სარჩელის თანახმად, ვ. ს-მე არის გარდაცვლილი ე. ა. ძე ს-ძის შვილი, ცხოვრობს ... 110-ში მდებარე სახლში, რომელიც იყო მამამისის საკუთრება. ამ სახლში ჩაწერილია თვითონ და მისი ცოლ-შვილი, აგრეთვე, უფროსი ძმა ა., რომელიც 1977 წლიდან ფაქტობრივად ცხოვრობს სხვა ადგილზე და ბინის თაობაზე არავითარი პრეტენზია არ გააჩნია. მას ჰყავს მეორე ძმა – ზ. ს-მე, რომელიც წასულია ოჯახიდან 1976 წლიდან და ცხოვრობს ...-ში. ეს უკანასკნელი სახლიდან ამოწერილია მამის გარდაცვალების შემდეგ, 1976 წლიდან, ოჯახში დარჩა მხოლოდ მოსარჩელე და მამის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით სწორედ მან მიიღო. ზ. ს-მეს კანონით დადგენილ ვადაში არ განუცხადებია მემკვიდრეობის შესახებ და სახლი უკანასკნელ დრომდე მამის სახელზე ირიცხებოდა. სამკვიდრო ქონება თავის სახელზე არც მოსარჩელეს გადაუფორმებია, რადგან იგი ფაქტობრივად მის განკარგულებაში იყო და მიაჩნდა, რომ ქონების ნოტარიულად თავის სახელზე გადაფორმება საჩქარო არ იყო.

მოსარჩელის მითითებით, მას შემდგომ, რაც მან სახლის კუთვნილების შესახებ სათანადო საბუთის მისაღებად მიმართა ტექლრიცხვის ბიუროს, გაიგო, რომ სადავო სახლი საკუთრების უფლებით გადაუფორმებია მის ძმას – ზ. ს-მეს. აღნიშნულის შედეგად დაირღვა ვ. ს-ძის კანონიერი უფლება, ამასთან, ტექლრიცხვის ბიურომ სახლი მისი ძმის სახელზე გააფორმა კანონის უხეში დარღვევით, ვინაიდან, ე. ს-ძის მემკვიდრეები იყვნენ არა მარტო ზ. ს-მე, არამედ თვითონ და მისი ძმა ა., რომელმაც სამკვიდრო მიიღო ასევე ფაქტობრივი ფლობით. მოპასუხეს არ შეუსრულებია კანონის მოთხოვნა, სამკვიდრო მოწმობის მისაღებად 6 თვის განმავლობაში არ მიუმართავს ნოტარიუსსათვის, რის გამოც დაკარგა უფლება სამკვიდროს მიღებაზე. 2000 წლის ოქტომბერში ტექლრიცხვის ბიურომ სახლი გაუფორმა ზ. ს-მეს იმ საფუძველით, რომ მან წარადგინა ...-ის ნოტარიუსის მიერ 1979 წლის 30 მაისს გაცემული სამკვიდრო მოწმობა. ტექლრიცხვის ბიუროს არ ჰქონდა უფლება, აღნიშნული მოწმობის საფუძველზე სახლი გაეფორმებინა ზ. ს-ძის საკუთრებად. მოწმობის მიხედვით, მისი მიმღები ვალდებული იყო, მოწმობის რეგისტრაცია სამი თვის ვადაში განეხორციელებინა. ზ. ს-მემ კი, ტექლრიცხვის ბიუროში მოწმობა წარადგინა 21 წლის შემდეგ. ამავე დროს, სანოტარო კანტორამ საკუთრების მოწმობა გასცა კანონის დარღვევით, ვინაიდან ე. ს-მე გარდაიცვალა 1974 წლის 30 მაისს, ზ. ს-ძის სახელზე მოწმობა გაცემულია 1979 წლის 30 მაისს. სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული მოქმედება უნდა შესრულებულიყო 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

აღნიშნული საქმე არაერთხელ განიხილეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა.

...-ის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საქმეში თანამონაწილედ ჩაება ა. ს-მე.

...-ის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ს-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო.

საბოლოოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინებით ვ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ...-ის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

...-ში, ... 110-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, 1941 წლის ტექნიკური აღრიცხვის ბარათის თანახმად, ეკუთვნოდა ს. ხ.-ს ასულ ა-ოღლის, რომელიც 1946 წელს ყაზახეთში გარდაიცვალა და რომელიც იყო ზ. ე.-ს ძე ს-ძის დედა.



ზ. ს-მე 1955 წელს თავის ღვიძლ დედმამიშვილებთან ერთად გადასახლებიდან დაბრუნდა დედის, ს. ა-ოლის დანატოვარ სახლში – ...-ში, ... '10-ში და შეუდგა დანაშთი ქონების ფლობას;

ე. ა-ს მე ა-ოლი (ზ. ს-ძის მამა), ორი წლის შემდეგ, 1957 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან საქართველოში. მან თან ჩამოიყვანა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ლ. შ-ოვსკი, რომელსაც ახლდნენ შვილები: ა. ზ.-ს მე, ვა. ზ.-ს ასული და ვ. მ.-ს მე შ-ოვსკები;

ე. ა-ოლიმ 1960 წელს დაიბრუნა წინაპრების გვარი ს-მე და 1967 წელს გადაიფორმა ს. ა-ოლის დანაშთი ქონება, ისინი ამის შემდეგ ცხოვრობდნენ ერთად, ფლობდნენ და განაგებდნენ მას;

ე. ა-ს მე ს-მე 1974 წელს გარდაიცვალა;

1979 წლის 30 მაისს ზ. ს-მემ, თავის დედმამიშვილებთან შეთანხმებით, მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა და იმავე წლის 5 ივნისს ...-ის ტექადრიცხვის ბიუროში აღირიცხა ქონების მესაკუთრედ;

ვ. ს-მემ გვარი ს-მე 1979 წელს მიიღო ანუ მამის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ, მანამდე იგი ატარებდა დედის გვარს – შ-ოვსკის;

ვ. ს-ძისათვის 1979 წლის 30 მაისიდან ცნობილია ის ფაქტი, რომ ზ. ს-მემ მის სახელზე გადაიფორმა ...-ში, ... '10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ხოლო დავა ქონებაზე 2000 წლიდან დაიწყო;

ვ. ს-მე მამის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა სადავო სახლში და მასაც სამკვიდრო მიღებული ჰქონდა ფაქტობრივი ფლობით, მაგრამ არა მთლიანი სადავო ფართი, არამედ 9.9 კვ.მ, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაც;

გადახდილი გადასახადებით დგინდებოდა, რომ ვ. ს-მე გადასახადებს იხდიდა თავის საკუთრებაში არსებული ფართის და არა მთლიანი სახლთმფლობელობის შესაბამისად,

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე ზ. ს-მემ დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ვ. ს-მე სამხედრო სამსახურში წასვლამდე ოთხი წელი ცხოვრობდა სადავო სახლში, ჩამოსვლის შემდეგ კი, სადავო სახლში მისცეს ერთი ოთახი. სახლის დანარჩენი ძირითადი ნაწილი ზ. ს-მეს ჰქონდა დაკავებული, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა, რომ ვ. ს-მემ სამკვიდრო მიიღო ფაქტობრივი ფლობით. ეს დასტურდებოდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის განმარტებითაც და საქმეში არსებული 2007 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებითაც.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, ვ. ს-მე იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, მაგრამ სამხედრო სამსახურში წასვლამდე იგი ფაქტობრივი ფლობით დაუფლებული იყო მის წილ სამკვიდროს 2/15-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მისი სამხედრო სამსახურში წასვლა ან ჩამოსვლა და სადავო სახლში დაბრუნება არ შეიძლებოდა გამხდარიყო იმის ვარაუდის საფუძველი, რომ მან გაუშვა სამკვიდროს მიღების ვადა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სადავო ურთიერთობა მოცემულ შემთხვევაში უნდა მოწესრიგებულიყო ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსით (1964 წლის რედაქცია). აღნიშნული კოდექსის 556-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ.

რაც შეეხებოდა საკითხს იმის შესახებ, თუ როდიდან იყო ცნობილი ვ. ს-ძისათვის, რომ სადავო სახლის 3/15 ნაწილის სახლთმფლობელობის მესაკუთრე 1979 წლის 30 მაისის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე გახდა ზ. ს-მე, ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ზ. ს-მემ განმარტა, რომ სამკვიდრო მოწმობა აიღო 1979 წელს. სახლი ზ. ს-ძის სახელზე დარეგისტრირდა იმავე წლის 5 მაისს. ამ ფაქტიდან რამდენიმე დღეში ვ. ს-მემ მოსთხოვა, ეჩვენებინა სახლის ტექნიკური პასპორტი. სწორედ მაშინ გახდა ვ. ს-ძისათვის ცნობილი, რომ სახლი უკვე ზ. ს-ძის საკუთრება იყო. ამის შემდგომ, ვ. ს-მემ მიმართა ნოტარიუსს, რომელმაც აპელანტს განუმარტა, რომ საცხოვრებელი სახლის 13/15 ნაწილი სრულიად კანონიერად აღირიცხა ზ. ს-ძის სახელზე;

ის გარემოება, რომ ვ. ს-მემ სახლის რეგისტრაციის შესახებ გაიგო 1979 წელს, დასტურდებოდა ა. ს-ძის განმარტებითაც, რომელიც უშუალოდ ახლდა მას ნოტარიუსთან და ამ უკანასკნელმა დამატებით აუწყა ვ. ს-ძეს ზ. ს-ძის სახელზე სახლის რეგისტრაციის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ თითქოს ა. ს-მემ მისი წილი დათმო ვ. ს-ძის სასარგებლოდ, რადგანაც ა. ს-ძეს სადავო სახლიდან წილი არ მიუღია, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ა. ს-ძის წილი უნდა შემატებოდა ვ. ს-ძეს.

ხანდაზმულობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით გათვალისწინებულ 10 წლიან ვადაზე. საქმის მასალების თანახმად, ვ. ს-ძეს 2000 წლამდე სადავოდ არ გაუხდია ზ. ს-ძის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი. 1980-იან წლებში ს-ძეებისათვის ცნობილი იყო, რომ სახლი წარმოადგენდა ზ. ს-ძის საკუთრებას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 1980 წლის 31 დეკემბრიდან, შესაბამისად, სარჩელი ხანდაზმული იყო.

სააპელაციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ს-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობს შემდეგში:

მოცემული საქმე არაერთხელ განიხილეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით, ვ. ს-ძის საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 მარტის განჩინება და საქმე შესაბამისი მითითებებით დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინებით სააპელაციო სასამართლოს დაევალი იმის დასაბუთება, ჰქონდა თუ არა ვ. ს-ძეს სამკვიდრო ქონება მიღებული ფაქტობრივი ფლობით, მასვე დაევალი იმ მოწმეების ჩვენებების გამოკვლევა, რომელთა საფუძველზედაც სასამართლომ ვ. ს-ძის მოთხოვნა ხანდაზმულად ჩათვალი. სააპელაციო სასამართლომ არ შესრულა საკასაციო სასამართლოს მითითება. ნაცვლად იმისა, რომ სასამართლომ გამოკვლია მოწმეების სასამართლო პროცესზე მონაწილეობის საკითხი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შეეფასებინა, 2010 წლის 29 მარტის განჩინების გამოტანისას სასამართლო ხანდაზმულობის ნაწილში დაეყრდნო მხოლოდ დაინტერესებული პირების, კერძოდ, მოპასუხე ზ. ს-ძისა და ზ. ს-ძის მხარეზე ჩაბმული მესამე პირის ა. ს-ძის ჩვენებებს. საგულისხმოა, რომ ა. ს-ძე თავის დროზე ვ. ს-ძის სასარგებლოდ თმობდა სამკვიდროს, შემდგომში კი, ზ. ს-ძის სასარგებლოდ შეცვალა პოზიცია. რაც შეეხება მოწმეებს, ვ. ზ-იასა და ზ. ნ-ძეს, მოწინააღმდეგე მხარე შეგნებულად არ დაინტერესდა ამ მოწმეების სასამართლო პროცესზე მონაწილეობის საკითხის გარკვევით და მათი ახსნა-განმარტებების შეფასებით, რადგან ისინი სასამართლო პროცესზე განსხვავებულ ჩვენებებს მისცემდნენ. საკასაციო საჩივარს თან ერთვის ვ. ზ-იასა და ზ. ნ-ძის წერილობითი ახსნა-განმარტებები, რომლებშიც ისინი განმარტავენ, რომ ვ. ს-ძეს განცხადებით სახლის გაფორმების თაობაზე ტექნიკური აღრიცხვის ბიუროსათვის არ მიუმართავს. მას ასევე არ მოუთხოვია ინფორმაცია, თუ ვის სახელზე ირიცხებოდა ქობულეთში, ... '10-ში მდებარე სახლი.

კასატორის მითითებით, მართალია, სადავო სამკვიდროს გახსნიდან ხუთი წლის შემდეგ, ...-ის რაიონის სახალხო სასამართლოს 1979 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ს-ძეს აღუდგა მამისეულ დანაშთ ქონებაზე სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადა, მაგრამ ეს გარემოება ვ. ს-ძის მოთხოვნას ვერ გახდის ხანდაზმულს. ზ. ს-ძემ სასამართლოს სხვა მემკვიდრეების შესახებ არ აცნობა და სამკვიდრო მათი გვერდის ავლით მიიღო. არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ვ. ს-ძეს ჩაჰბარდა.

კასატორის მტკიცებით, ვ. ს-ძემ არათუ არ იცოდა, არამედ ვერც ივარაუდებდა, რომ საცხოვრებელი სახლი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ზ. ს-ძის სახელზე იყო აღრიცხული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა, განიხილა საკასაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ ვ. ს-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შედეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ...-ში, ... '10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი 1941 წლის ტექნიკური აღრიცხვის ბარათის თანახმად, ეკუთვნოდა ს. ხ.-ს ასულ ა-ოლლის, რომელიც 1946 წელს ყაზახეთში გარდაიცვალა. იგი ზ. ე.-ს ძე ს-ძის დედა იყო;

2. ზ. ს-ძე 1955 წელს ღვიძლ დედამამიშვილებთან ერთად გადასახლებიდან დაბრუნდა დედის, ს. ა-ოლლის, დანატოვარ სახლში – ...-ში, ... '10-ში და შეუდგა დანაშთი ქონების ფლობას;

3. ე. ა-ს ძე ა-ოლლი (ზ. ს-ძის მამა), ორი წლის შემდეგ, 1957 წელს დაბრუნდა გადასახლებიდან საქართველოში და თან ჩამოიყვანა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ლ. შ-ოვსკი, რომელსაც ახლდნენ შვილები: ა. ზ.-ს ძე, ვა. ზ.-ს ასული და ვ. მ.-ს ძე შ-ოვსკები;

4. ე. ა-ოლიმ 1960 წელს დაიბრუნა წინაპრების გვარი ს-ძე და 1967 წელს გადაიფორმა ს. ა-ოლის დანაშთი ქონება, რომელსაც შვილებთან ერთად ფლობდა და განაგებდა;

5. 1974 წელს გარდაიცვალა ე. ა-ს ძე ს-ძე;

6. 1979 წლის 30 მაისს ზ. ს-ძემ დედამამიშვილებთან შეთანხმებით მიიღო კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა და იმავე წლის 5 ივნისს ...-ის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში აღირიცხა ქონების მესაკუთრედ;

7. ვ. ს-ძემ გვარი ს-ძე 1979 წელს მიიღო ანუ მამის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ, მანამდე იგი დედის გვარს ატარებდა;

8. 1979 წლის 30 მაისიდან ვ. ს-ძისათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ზ. ს-ძემ მის სახელზე გადაიფორმა ...-ში, ... '10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ხოლო დავა უძრავ ქონებაზე ვ. ს-ძემ 2000 წლიდან დაიწყო;

9. ვ. ს-ძე მამის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა სადავო სახლში და მასაც სამკვიდრო მიღებული ჰქონდა ფაქტობრივი ფლობით, მაგრამ არა მთლიანი სადავო ფართი, არამედ 9,9 კვ.მ, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითაც;

10. გადახდილი გადასახადებით დგინდებოდა, რომ ვ. ს-მე იხდიდა თავის საკუთრებაში არსებული ფართის და არა მთლიანი სახლთმფლობელობის გადასახადებს;

11. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარე ზ. ს-მემ დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ვ. ს-მე სამხედრო სამსახურში წასვლამდე ოთხი წელი ცხოვრობდა სადავო სახლში, ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ კი, სადავო სახლში მისცეს ერთი ოთახი, რომელიც მან დაიკავა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. განსაკუთრებით ეს ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის დარღვევას, კერძოდ, თუ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

კასატორმა ვ. ს-მემ ისარგებლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი მე-8 – მე-11 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო პალატამ შეამოწმა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები და სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მიიჩნევს, რომ კასატორის მოსაზრება გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ ვ. ს-მის სარჩელი ხანდაზმულად არასწორად მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ს-მის სარჩელი ხანდაზმული იყო, ვინაიდან მან ჯერ კიდევ 1979 წლის 30 მაისს შეიტყო სამკვიდრო მოწმობის არსებობის შესახებ და დავა 2000 წელს დაიწყო. აღნიშნული გარემოება სასამართლომ დადგენილად ზ. და ა. ს-მეების ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით მიიჩნია.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზ. ს-მე მოცემულ დავაში მოპასუხეს წარმოადგენს, ამდენად, იგი უშუალოდაა დაინტერესებული დავის განხილვის შედეგით, შესაბამისად, ფაქტობრივი გარემოებების მის ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით დადგენა, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც ამ გარემოებების დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებები სასამართლოს არ გააჩნია, არამართებულია.

რაც შეეხება ა. ს-მეს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იგი ასევე მოპასუხედაა ჩაბმული საქმეში, ამასთან, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ა. ს-მემ სამკვიდროზე უარი თავდაპირველად ვ. ს-მის სასარგებლოდ თქვა და ახსნა-განმარტება სასამართლოში წარსადგენად მის სასარგებლოდ დაწერა, ხოლო, მოგვიანებით, ზ. ს-მეს დაუჭირა მხარი, ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მისი მითითება საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ არ შეიძლება უტყუარად იქნას მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ვ. ს-მისათვის სამკვიდრო მოწმობის არსებობის შესახებ 1979 წლიდან გახდა ცნობილი.

რაც შეეხება საქმეში არსებულ ტექნიურს ყოფილი თანამშრომლების წერილობით განმარტებებს, რომლებიც სასამართლოს მოპასუხემ წარუდგინა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XVIII თავის საფუძველზე, მოწმეების ჩვენებები მტკიცებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, თუ ისინი სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ, მოცემულ შემთხვევაში კი, აღნიშნული პირების სასამართლო სხდომაზე გამოცხადება მოპასუხემ ვერ უზრუნველყო, ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ახსნა-განმარტებები მოწმეთა ჩვენებად მართებულად არ მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინა, რომ ვ. ს-მემ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო, მაგრამ მხოლოდ 2/15-ის ნაწილში. სასამართლოს მტკიცებით, ვინაიდან ვ. ს-მის საკუთრებაში სადავო ბინის მხოლოდ 2/15 ირიცხებოდა, იგი კომუნალურ გადასახადებს მხოლოდ ამ ფართზე იხდიდა. ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხოლოდ თავის საკუთრებაში არსებულ 2/15-ს ფლობდა, სასამართლომ ასევე ზ. ს-მის განმარტებით დაადგინა, ხოლო რაც შეეხება კომუნალური გადასახადების გადახდის ნაწილს, გასაჩივრებული განჩინებიდან არ ირკვევა, აღნიშნული ფაქტის დადგენისას სასამართლომ რა მტკიცებულებებით იხელმძღვანელა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია

მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით კი, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. გასაჩივრებული განჩინებით კი, არ ირკვევა, სააპელაციო სასამართლომ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ვ. ს-მე კომუნალურ გადასახადებს მხოლოდ 2/15 წილზე იხდიდა. მით უფრო, რომ ამგვარი დასკვნის საფუძველს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა. აღნიშნული კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ე1» ქვეპუნქტის საფუძველზე, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები დაუშვებელი მტკიცებულებების საფუძველზე დაადგინა, გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან არ ირკვეოდა, ყოველივე ზემოაღნიშნული კი, ვ. ს-მის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას დაედო საფუძველად. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში დავის გადაჭრისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, ამასთან საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს არ გამოუკვლევია ან არ შეუფასებია, აგრეთვე იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ მოცემული დავა 2000 წლიდან მიმდინარებს, ხოლო საქმე არაერთგზის დაბრუნდა ხელახლა განსახილველად, საკასაციო პალატა თავად მიიღებს გადაწყვეტილებას.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემული დავის გადასაჭრელად 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული.

აღნიშნული კოდექსის 544-ე მუხლის მიხედვით, კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეობად ითვლებიან პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები (მათ შორის შვილობილები), მეუღლე და მშობლები (მშვილებლები).

ე. ა-ს მე ს-მე 1974 წელს გარდაიცვალა. მისი დანაშთი ქონება ორმა მემკვიდრემ – ზ. და ვ. ს-მეებმა მიიღეს.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოპასუხის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მამის გარდაცვალების დროისათვის ვ. ს-მე დედის გვარს ატარებდა, ე. ს-მის მემკვიდრე ვერ იქნებოდა.

მართალია, იურიდიულად ე. ს-მის მამობის ფაქტი 1979 წელსაა დადგენილი და ვ. ს-მესაც მამის გვარი ამ დროიდან აქვს მიანიჭებული, მაგრამ აღნიშნული არ ცვლის იმ გარემოებას, რომ იგი ე. ს-მის შვილი ამ უკანასკნელი გარდაცვალების დროისათვისაც იყო და დანარჩენი და-ძმების თანაბარი უფლებებით სარგებლობდა.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს მოპასუხის მტკიცებას, რომ სადავო სახლი ე. ს-მისა და ზ. ს-მის დედის თანასაკუთრებას წარმოადგენდა, ამდენად, ე. ს-მის გარდაცვალების დროისათვის სამკვიდრო საცხოვრებელი სახლის მხოლოდ 1/2-ზე გაიხსნა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს, რომ, მართალია, ...-ში, ... 110-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, 1941 წლის ტექნიკური აღრიცხვის ბარათის თანახმად, ეკუთვნოდა ზ. ს-მის დედას – ს. ხ.-ს ასულ ა-ოლის, რომელიც 1946 წელს ყაზახეთში გარდაიცვალა, მაგრამ აღნიშნული უძრავი ქონების ერთადერთ მესაკუთრედ 1967 წელს ე. ს-მე აღირიცხა, ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო მთელ საცხოვრებელზე გაიხსნა, იმ 2/15-ის გამოკლებით, რომელიც კომუნალური ფართი იყო და რომელიც ვ. ს-მის საკუთრებად აღირიცხა პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სამკვიდრო მასა ...-ში, ... 110-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 13/15-ს შეადგენდა.

ზ. ს-მეს ...-ის რაიონის სახალხო სასამართლოს 1979 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით სამკვიდროს მიღების ვადა გაუგრძელდა. აღნიშნული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. რაც შეეხება ვ. ს-მეს, მან მამის დანაშთი ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო, ამდენად, არსებობს ორი პირველი რიგის მემკვიდრე, რომლებსაც სადავო სახლზე თანაბარი წილის უფლება გააჩნიათ, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ს-მის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და იგი ...-ში, ... 110-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 13/15-ის ნახევრის - 13/30-ის მესაკუთრედ უნდა იქნას ცნობილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

იმვე კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზ. ს-მემ ვ. ს-მეს უნდა აუნაზღაუროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი – 150 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ვ. ს-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. მოცემულ საქმეზე გაუქმდეს ...-ის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 მარტის განჩინება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ს-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს ქ. ...-ის სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუს ნ. კ-შვილის მიერ ზ. ს-მეზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ...-ში, ... '10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 13/30 ნაწილში;
5. ვ. ს-მე ცნობილ იქნას ...-ში, ... '10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 13/15-ის ნახევრის, ანუ 13/30-ის მესაკუთრედ;
6. ზ. ს-მეს დაეკისროს ვ. ს-მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 150 ლარის ანაზღაურება; საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **8. სავალდებულო წილი**

#### **გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**

1ას-681-637-2010

25 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** ნათესაური კავშირის დადგენა, პირის გარდაცვლილად გამოცხადება, სამკვიდროს მიღება, სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 26 მარტს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს ა. და ს. ბ-მეებმა მოპასუხეების – ფ., ლ., გ. და მ. გ-მეების მიმართ. მოსარჩელეებმა მოითხოვეს:

1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა იმის შესახებ, რომ უ. და მ. ბ-მეები იყვნენ მეუღლეები 1930 წლიდან;
2. მ. ბ-მის გარდაცვლილად გამოცხადება 1940-1941 წლებიდან;
3. მ. ბ-მის წილიდან სამკვიდრო ქონების 1/3-ის ი. ბ-მის მიერ მიღებულად მიჩნევა;
4. უ. ბ-მის სახელზე რიცხული უძრავი ქონებიდან (ი. ბ-მის წილის, მის მიერ მიშენებული ფართის გამოკლებით) მოსარჩელეებისათვის, როგორც თანმყოფი მემკვიდრეებისათვის სავალდებულო წილის გამოყოფა;
5. 2002 წლის 30 დეკემბრის '2-50 სამკვიდრო მოწმობასა (რომლითაც მოპასუხეებმა უ. ბ-მის ანდერძის საფუძველზე მიიღეს ამ უკანასკნელის სახელზე რიცხული უძრავი ქონება) და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ ა. და ს. ბ-ძეების მამას – ი. ბ-ძეს ბათუმში, ... ქ.119-ში გააჩნდა მამისეული სახლი. ეს სახლი 1935 წლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით შეიძინეს მათმა ბებამ და ბაბუამ – მ. და უ. ბ-ძეებმა. თავის დროზე სახლი გაფორმდა უ. ბ-ძის სახელზე. მოსარჩელეთა ინფორმაციით, ბაბუა მ. ბ-ძე გარდაიცვალა 1940-1941 წლებში. მას დარჩა 3 პირველი რიგის მემკვიდრე: შვილი ი. ბ-ძე (მოსარჩელების მამა, დაბადებული 1936 წელს), მეუღლე უ. ბ-ძე და მეორე შვილი ნ. ბ-ძე (დაბადებული 1934 წელს). იმ დროისათვის არასრულწლოვანმა ი. ბ-ძემ სამკვიდროს ნახევრიდან (მამის წილიდან) მიიღო 1/3 წილი. ი. ბ-ძე გარდაიცვალა 1991 წლის 29 იანვარს. გარდაცვლილს დარჩა 4 პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე ე. ს-ძე, შვილები – ა., მა. და ს. ბ-ძეები. მა. ბ-ძე გარდაიცვალა 2008 წელს და მას შვილები არ დარჩენია. მოსარჩელების ბებია უ. ბ-ძე გარდაიცვალა 2001 წლის 18 აპრილს. უ. ბ-ძეს ანდერძი დაუტოვებია შვილიშვილებისათვის ქალიშვილის მხრიდან. ა. და ს. ბ-ძეებს არ უცდიათ მიეღოთ მამის წილი მემკვიდრეობით, ასევე ბებუის წილი დანაშთი ქონებიდან, რამდენადაც ისინი იყვნენ თანმყოფი მემკვიდრეები, თავიანთ წილს ფაქტობრივად ფლობდნენ და განკარგავდნენ როგორც მამკვიდრელების გარდაცვალებამდე, ისე მის შემდგომაც.

მოსარჩელების მითითებით, მას შემდგომ, რაც მათი სახლის გვერდით წარმოებული მშენებლობის (რომელიც ახნელებდა მათივე საცხოვრებელი სახლის ფანჯრებს) აღმოფხვრის მიზნით განიზრახეს სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვა, შეიტყვეს, რომ მთლიანი სახლთმფლობელობა ბებუის ანდერძის საფუძველზე საკუთრებაში აღურიცხავთ ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეებს. სამკვიდროს გაფორმებისას მოპასუხეებს არ გაუთვალისწინებიათ ა. და ს. ბ-ძეების სავალდებულო წილი.

სარჩელის თანახმად, უ. და მ. ბ-ძეებს შორის ქორწინება რეგისტრირებული არ ყოფილა, ისინი ფაქტიურ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1930 წლიდან. ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის, საქართველოში 1944 წლის 8 ივლისამდე მოქმედი კანონმდებლობით ქორწინების რეგისტრაცია სავალდებულო არ იყო. მართალია, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მე-19 მუხლი მიუთითებდა, რომ სამართლებრივ შედეგებს იწვევდა მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება და მხარეებს ავალდებულებდა, ბრძანებულების შემდეგ ქორწინების რეგისტრაციას, მაგრამ აღნიშნული დროისათვის მ. ბ-ძე ცოცხალი არ იყო. ცხადია ასეთ ვითარებაში იგი ქორწინების რეგისტრაციაში ვერ გატარდებოდა. ამგვარი პრობლემების მოსაწესრიგებლად იმავე უმაღლესმა საბჭომ 1944 წლის 9 ნოემბერს მიიღო ბრძანებულება, რომლის თანახმად, თუ 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე ერთ-ერთი მეუღლე გარდაცვლილია ან უგზო-უკვლოდაა დაკარგული ომში, მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ქორწინების ფაქტის დადგენის შესახებ. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მ. ბ-ძის გარდაცვალების თაობაზე ცნობები არ გააჩნდათ, იცოდნენ მხოლოდ ის, რომ იგი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში იმყოფებოდა რუსეთში. აქედან გამომდინარე, ვარაუდობდნენ, რომ მ. ბ-ძე ომში გაიწვიეს ან მოხვდა იმ ადგილას, სადაც საომარი მოქმედება მიმდინარეობდა და დაიღუპა. სარჩელში ასევე მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ ი. ბ-ძემ 70-80-იან წლებში მის წილ ფართს დამოუკიდებლად მიაშენა 55 კვ.მ ფართი, რაც მოსარჩელების მოსაზრებით სამკვიდრო ქონებაში არ უნდა შესულიყო. ამასთან, უ. ბ-ძემ მისი წილიდან 1981 წელს გაყიდა ზემოაღნიშნული საცხოვრებელი სახლის ერთი ოთახი. უ. ბ-ძე დაახლოებით 40 წლის განმავლობაში ცხოვრობდა გვერდით სახლში, ქალიშვილ ნ.-სთან (მოსარჩელების მამიდა) და რაიმე შემოსავალი არ გააჩნდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ა. და ს. ბ-ძეების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, კერძოდ, 1930 წლიდან უ. ბ-ძესა და მ. ბ-ძეს შორის ქორწინების ფაქტი; ა. და ს. ბ-ძეების ბაბუა მ. ბ-ძე გარდაცვლილად გამოცხადდა 1947 წლის 31 დეკემბრიდან; უ. ბ-ძის სახელზე რიცხული ბათუმში, ... ქ.119-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 7/75 ნაწილის მესაკუთრეებად ცნობილ იქნენ ა. და ს. ბ-ძეები; დანარჩენი ფართი 2002 წლის 30 დეკემბრის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე დარჩა ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეების საკუთრებაში; შესაბამისი ცვლილებები შევიდა ნოტარიუს მ. მ-ძის მიერ 2002 წლის 30 დეკემბერს მოპასუხეების სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა (რეესტრში რეგისტრაციის '2-150) და საჯარო რეესტრის მონაცემებში; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ბათუმში, ... ქ.119-ში მდებარე სახლთმფლობელობის 14/25 ნაწილი 1935 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ირიცხებოდა უ. ბ-ძის საკუთრებაში. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 2001 წლის 8 აპრილს. 2002 წლის 30 დეკემბრის ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე უ. ბ-ძის მემკვიდრეობა მიიღეს მოპასუხეებმა – ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეებმა;

უ. ბ-ძე, რომლის ქორწინებამდელი გვარი იყო ნ-ძე, 1930 წელს დაქორწინდა მ. ბ-ძეზე, მაგრამ აღნიშნული ქორწინების რეგისტრაცია არ განხორციელებულა. ამას ადასტურებდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცნობა, რომლის თანახმად, მ. ბ-ძისა და უ. ნ-ძის ქორწინების რეგისტრაციის ჩანაწერი 1927-1939 წლების ჩანაწერებში არ ინახება;

უ. ბ-ძესა და მ. ბ-ძეს ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: ნ. ბ-ძე და ი. ბ-ძე. ი. დაიბადა 1935 წლის 13 აგვისტოს, ხოლო ნ. მასზე რამდენიმე წლით უფროსი იყო;

1935 წლის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უ. ბ-მემ შეიძინა ბათუმში, ... ქუჩაზე (ამჟამინდელი... ქ.119-ში) მდებარე სახლთმფლობელობა, სადაც იგი ცხოვრობდა ოჯახთან ერთად; დაახლოებით 1938-1939 წლებში მ. ბ-მე წავიდა სავაჭროდ რუსეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ამის შემდეგ რაიმე ინფორმაცია მის შესახებ ოჯახისათვის ცნობილი არ ყოფილა. იგი არ დაკავშირებია ოჯახის წევრებს ან ახლობლებს;

ა. და ს. ბ-ძეები (მოსარჩელები) არიან მ. ბ-ძისა და უ. ბ-ძის ვაჟიშვილის ი. ბ-ძის შვილები, ხოლო მოპასუხეები (ფ., ლ., გ., მ. გ-ძეები) მ. ბ-ძისა და უ. ბ-ძის ქალიშვილის ნ. ბ-ძის შვილები.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ მ. ბ-მე 1938-1939 წლებში წავიდა ქ.ბათუმში, ... ქ.119-ში მდებარე თავისი საცხოვრებელი ადგილიდან და 70 წელზე მეტი დროის განმავლობაში ამ მისამართზე არ გამოჩენილა. ამასთან, დასახელებული დროის განმავლობაში არ მოიპოვებოდა არანაირი ცნობები მისი ადგილსამყოფელის შესახებ, რაც სამოქალაქო კოდექსის 22.1 მუხლიდან გამომდინარე, მისი გარდაცვლილად გამოცხადების საფუძველს წარმოადგენდა. კანონის აღნიშნული ნორმის თანახმად, პირი სასამართლო წესით შეიძლება გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის საცხოვრებელი ადგილის შესახებ, აგრეთვე თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. საქალაქო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სავარაუდო იყო მ. ბ-ძის დაღუპვა საომარი მოქმედებების დროს, რამდენადაც ეს უკანასკნელი რუსეთში იმყოფებოდა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში და გაუჩინარდა სწორედ ისეთ დროს, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომი.

საქალაქო სასამართლომ მ. ბ-ძის გარდაცვალების დღედ მიიჩნია 1947 წლის 31 დეკემბერი, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა: სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გავლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან. სამოქალაქო კოდექსის 22.4 მუხლის მიხედვით, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომი დასრულდა 1945 წელს, მ. ბ-ძის გარდაცვალების დროდ უნდა მიჩნეულიყო საომარი მოქმედებების დასრულებიდან ორი წლის შემდეგი დრო, ანუ 1947 წელი. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 123-ე მუხლიდან გამომდინარე, მ. ბ-ძის გარდაცვალების დღედ მიიჩნეოდა წლის ბოლო დღე – 1947 წლის 31 დეკემბერი.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საფუძვლიანი იყო მოსარჩელეთა მოთხოვნა მ. ბ-ძესა და უ. ბ-ძეს შორის ქორწინების ფაქტის დადგენის თაობაზე. საქმის მასალებით, ასევე მოწმეების ჩვენებებით დგინდებოდა, რომ მ. ბ-მე და უ. ბ-მე, რომლის ქორწინებამდელი გვარი იყო ნ-მე, 1930 წელს მართლაც და-ქორწინდნენ და იმყოფებოდნენ ფაქტიურ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში. ამას ადასტურებდა ის გარემოებაც, რომ უ. ნ-მემ გვარი შეიცვალა და გადავიდა ბ-ძის გვარზე. ასეთადაა იგი მოხსენიებული 1935 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებაშიც. მართალია, 1997 წლამდე მოქმედი საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-19 მუხლის, ისევე როგორც ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ფაქტიური ცოლ-ქმრობა არ წარმოშობს მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს, მაგრამ საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო შემთხვევაში განსხვავებულ ვითარებასთან გვექონდა საქმე. 1944 წლის 8 ივლისამდე საქართველოში აღიარებული იყო ფაქტიური საქორწინო ურთიერთობა და მათ მიმართ, ვინც ფაქტიურ საქორწინო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მითითებულ დრომდე მოქმედებდა განსაკუთრებული წესი. მხოლოდ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების მე-19 მუხლით დადგინდა, რომ სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოშობდა მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება და ეს ბრძანებულება მხარეებს ავალდებულებდა გატარებულიყვნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. მიუხედავად ამისა, მ. ბ-მე ქორწინების რეგისტრაციაში ვერ გატარდებოდა, რადგან როგორც საქმეზე დადგინდა, 1939 წლიდან იგი უგზო-უკვლოდ იყო დაკარგული. 1944 წლის 9 ნოემბერს უმაღლესმა საბჭომ მიიღო ბრძანებულება, რომლის თანახმად, თუ აღნიშნული ბრძანებულების გამოცემამდე ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა ან ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა, სასამართლოს მეშვეობით შესაძლებელი იყო დადგენილიყო ქორწინების ფაქტი, რაც გახდებოდა მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი, მიუხედავად ქორწინების რეგისტრაციის არარსებობისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგინდა მიიჩნია იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ უ. ბ-მე და მ. ბ-მე 1930 წლიდან იყვნენ ცოლ-ქმარი, რაც წარმოადგენდა მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველს, მიუხედავად რეგისტრაციის არარსებობისა. შესაბამისად, ბათუმში, ... ქუჩაზე (ამჟამინდელი... ქ.119-ში) მდებარე, უ. ბ-ძის საკუთრებაში რიცხული ქონება (რომელიც უ. ბ-მემ შეიძინა 1935 წლის 30 დეკემბერს), წარმოადგენდა უ. ბ-ძისა და მ. ბ-ძის თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ 1997 წლამდე მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 540-ე მუხლის თანახმად, მ. ბ-ძის სამკვიდრო გაიხსნა 1947 წლის 31 დეკემბერს, სასამართლოს მიერ ამ უკანსკნელის გარდაცვლილად გამოცხადების დროდ მიჩნეულ თარიღში.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქმეზე წარდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის ცნობით დგინდებოდა, რომ უ. ბ-ძის სახელზე ირიცხებოდა ბათუმში, ... ქ.119-ში მდებარე სახლთმფლობელობის 14/25 ნაწილი, საიდანაც მ. ბ-ძის სამკვიდროს წარმოადგენდა ნახევარი (7/25). აღნიშნული ნახევრის 1/3 ფაქტობრივი ფლობით მიიღო ი. ბ-ძემ. ამიტომ სასამართლომ მიიჩნია, რომ მთლიანობაში ი. ბ-ძის წილს უ. ბ-ძის სახელზე რიცხული სახლიდან შეადგენდა 7/75, რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენდა 1947 წლიდან ანუ სამკვიდროს გახსნის დღიდან.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ი. ბ-ძის დანაშთი სამკვიდრო ქონება 1991 წლის 29 იანვრიდან (ი. ბ-ძის გარდაცვალების თარიღი) მიიჩნეოდა მისი პირველი რიგის მემკვიდრეების – ა. და ს. ბ-ძეების საკუთრებად. მათ მამის სამკვიდრო (უ. ბ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 7/75 ნაწილი) მიიღეს ფაქტობრივი ფლობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ უ. ბ-ძის ანდერძით მემკვიდრეებს – ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეებს ანდერძის საფუძველზე უნდა მიეღოთ ბათუმში, ... ქ.119-ში მდებარე უ. ბ-ძის სახელზე რიცხული არა მთლიანი წილი, არამედ მხოლოდ ის, რომლის განკარგვის უფლებამოსილებაც ჰქონდა მამკვიდრებელს, ანუ უ. ბ-ძის სახელზე რიცხული წილს უნდა გამოკლებოდა ა. და ს. ბ-ძეების კუთვნილი წილი – 7/75. აქედან გამომდინარე, მოსარჩელების მოთხოვნა მოპასუხეების სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის შესახებ დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

რაც შეეხებოდა მოსარჩელების მოთხოვნას უ. ბ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონებიდან (ი. ბ-ძის სამკვიდრო წილის გამოკლებით) სავალდებულო წილის გამოყოფის თაობაზე, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლით ზუსტად განისაზღვრება სავალდებულო წილის მიმღებ პირთა წრე. აღნიშნული მუხლი ადგენს, რომ მამკვიდრებლის შვილებს, შობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ამავე კოდექსის 1307-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის. იმის გამო, რომ უ. ბ-ძის გარდაცვალებას წინ უსწრებდა მოსარჩელების მამის, ი. ბ-ძის გარდაცვალება, ბუნებრივია, რომ იგი მოგვიანებით გარდაცვლილი უ. ბ-ძის სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირი ვერ იქნებოდა. თავად მოსარჩელები კანონის მიერ განსაზღვრულ ამ პირთა წრეში არ შედიოდნენ. შესაბამისად, ისინიც ვერ იქნებოდნენ სავალდებულო წილის მიმღები პირები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეებმა (წარმომადგენელი ნ. დ-ძე), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო წილის გამოყოფაზე უარის თქმის ნაწილში შეგებებული სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ს. და ა. ბ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი დასახელებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. გარდა ამისა, აპელანტებმა მოითხოვეს გადაწყვეტილებით წილების ციფრობრივ განსაზღვრაში დაშვებული შეცდომის გასწორება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ფ., მ., ლ. და გ. გ-ძეების სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით ს. ბ-ძისა და ა. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება: ს. და ა. ბ-ძეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავის სწორად გადასაწყვეტად უმთავრესი იყო იმის დადგენა, თუ ვის საკუთრებას წარმოადგენდა ბათუმში, ... ქ.119-ში მდებარე სახლი, რომელიც უ. ბ-ძემ უანდერძა მოპასუხეებს.

იმის გათვალისწინებით, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესაძენად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს ახალ წესებს, ამასთან, უ. ბ-ძის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმების შესაბამისად. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა დაეფუძნა სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება რთული წერილობითი ფორმით დადო უ. ბ-ძემ და მასზევე მოხდა ამ ქონების რეგისტრაცია ტექნიკური აღრიცხვის სამსახურში. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი



ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ამავე კოდექსის 1514-ე მუხლის მიხედვით, საჯარო რეესტრის ჩამოყალიბებამდე, მისი ფუნქციები დაკისრებული ჰქონდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს. ამასთან, გარიგების დადების დროს მოქმედი რედაქციით საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, შენობის ნასყიდობის ხელშეკრულება დამოწმებული უნდა ყოფილიყო სანოტარო წესით და გატარებული ყოფილიყო სანოტარო არქივის რეგისტრაციაში, რაც განხორციელდა კიდევ. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ქონებაზე საკუთრება მოიპოვა უ. ბ-მემ.

რაც შეეხებოდა საკითხს იმის შესახებ, ზემოაღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენდა თუ არა უ. ბ-მისა და მ. ბ-მის თანასაკუთრებას, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მათ შორის უფლება-მოვალეობები არ წარმოშობილა და მ. ბ-მეს სადავო ქონებაზე თანასაკუთრება არ მოუპოვებია სამოქალაქო კოდექსის 1158.1 მუხლით დადგენილი წესით. სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლით დადგენილია, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა უ. ბ-მის ინდივიდუალურ საკუთრებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ბ-მე არ ჩაითვლებოდა ქონების თანამესაკუთრედ დავის გადასაწყვეტად სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე არსებული ნორმატიული აქტების გამოყენების შემთხვევაშიც. როგორც 1930 წლის რედაქციით საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის მე-14 მუხლის, ასევე, 1970 წლის რედაქციით საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის მე-19 მუხლის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშობოდა მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინებით. ამავე კოდექსების მე-17 და 21-ე მუხლების მიხედვით, მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება წარმოადგენდა მათ საერთო საკუთრებას. რამდენადაც მ. ბ-მესა და უ. ბ-მეს შორის ქორწინება რეგისტრირებული არ ყოფილა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მ. ბ-მე ქონების თანამესაკუთრე არ გამხდარა 1930 წლის რედაქციით საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის მე-17 მუხლით დადგენილი წესითაც.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ მ. ბ-მესა და უ. ბ-მეს შორის არსებული ფაქტობრივი ქორწინება უნდა გაუთანაბრდეს რეგისტრირებულ ქორწინებას სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დასახელებული ბრძანებულებისა და სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1944 წლის 26 ნოემბრის 1-დ-41 დირექტიული წერილის თანახმად, მეუღლედ ცნობის მოთხოვნის უფლება ჰქონდა ფაქტიურ ქორწინებაში მყოფ მეორე მეუღლეს და არა სხვა პირს. მოცემულ შემთხვევაში უ. ბ-მეს მითითებული აქტების საფუძველზე, არ მოუთხოვია მ. ბ-მის მეუღლედ ცნობა, ხოლო მესამე პირების მოთხოვნით, მ. ბ-მესა და უ. ბ-მეს შორის არსებული ფაქტიური ცოლ-ქმრული ურთიერთობის, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, გათანაბრება რეგისტრირებულ ქორწინებასთან დაუშვებელია.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ისიც, რომ მოსარჩევეებს რომც ჰქონოდათ უ. ბ-მესა და მ. ბ-მეს შორის არსებული ფაქტიური ცოლ-ქმრული ურთიერთობის ცნობის მოთხოვნის უფლება, საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ აკმაყოფილებდა ზემომითითებული ბრძანებულების მოთხოვნებს. ამ ბრძანებულებისა და დირექტიული წერილის თანახმად, ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობის ცნობა ხდებოდა იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი მეუღლე იყო გარდაცვლილი ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგული, რაც უნდა დადასტურებულიყო ოფიციალური საბუთებით: მოწმობით სიკვდილის რეგისტრაციის შესახებ ან შეიარაღებული ძალებიდან მიღებული უწყებით პირის დაღუპვის ან უგზო-უკვლოდ დაკარგვის თაობაზე. კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში არ მოიპოვებოდა არც ერთი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ 1944 წლის 10 ნოემბრისათვის მ. ბ-მე იყო გარდაცვლილი ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგული. ამდენად, უ. ბ-მესა და მ. ბ-მეს შორის არსებული ფაქტიური ცოლ-ქმრული ურთიერთობის ცნობის საფუძველები არ არსებობდა. შესაბამისად, უ. ბ-მე უფლებამოსილი იყო ანდერძით სრულად განეკარგა სადავო ქონება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ა. და ს. ბ-მეებს არა აქვთ უ. ბ-მის დანაშთ ქონებაზე სავალდებულო წილის მიღების უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლზე და განმარტა, რომ სავალდებულო წილი ეკუთვნით მხოლოდ მამკვიდრების შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს. ამ მუხლში მოცემული სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირების ჩამონათვალი ამომწურავია, სხვა პირებს სავალდებულო წილის მიღების უფლება არა აქვთ. მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის მე-2 წინადადებაში საუბარია მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობითობაზე, მაგრამ ეს წინადადება არ შეიძლება განხილულ იქნეს იმავე მუხლის 1-ელი წინადადებისაგან დამოუკიდებლად, სადაც ნათქვამია, რომ სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და, სწორედ ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. ეს ნიშნავს, რომ თუ სამკვიდროს გახსნის შემდეგ, სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე ვერ მოასწრებს სამკვიდროს მიღებას, ეს უფლება შედის მის სამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეობით.

მოცემულ შემთხვევაში უ. ბ-ის დანაშთ ქონებაზე სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე ი. ბ-მე გარდაიცვალა უ. ბ-ის სამკვიდროს გახსნამდე. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ბ-ის სამკვიდროში არ შესულა უ. ბ-ის სამკვიდროზე სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება და ი. ბ-ის მემკვიდრეებს (ს. და ა. ბ-მეები) უ. ბ-ის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება არ გააჩნდათ.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტების მითითება იმის თაობაზე, რომ მ. ბ-ის გარდაცვლილად გამოცხადების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო, რამდენადაც საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა, რომ მ. ბ-მე უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ ვითარებაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს ა. და ს. ბ-მეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორთა განმარტებით, მართალია, 1920-1930-იან წლებში მოქმედი კანონმდებლობა მოითხოვდა პირებს შორის ქორწინების რეგისტრაციას, მაგრამ იმდროინდელი ცხოვრებისა და დაბალი მართლშეგნების გამო იგი ფაქტობრივად არ ხორციელდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით 1944 წლის 8 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ბრძანებულება, რომლის თანახმად, ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაცია სავალდებულო გახდა. ამ ბრძანებულებით დადგინდა, რომ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება და მხარეებს დაევალიათ მისი დარეგისტრირება. რამდენადაც ამ დროისათვის მ. ბ-მე ცოცხალი არ იყო, ბუნებრივია, რომ მასა და უ. ბ-მეს შორის ქორწინების რეგისტრაცია ვერ განხორციელდებოდა. ამგვარი პრობლემის მოსაწესრიგებლად 1944 წლის 9 ნოემბერს სსრკ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ბრძანებულება, რომლის თანახმად, თუ 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე ერთ-ერთი მეუღლე გარდაცვლილია ან უგზო-უკვლოდაა დაკარგული ომში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ფაქტობრივი ქორწინების დადგენის შესახებ. დასახელებული ბრძანებულების გამოცემის შემდგომ მთელს საბჭოთა კავშირში, მათ შორის, საქართველოში ხდებოდა სასამართლოების მიერ ფაქტიური ქორწინების ფაქტის დადგენა.

კასატორები მცდარად მიიჩნევენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივებს, სადაც საუბარია იმაზე, თითქოს საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ მ. ბ-მე 1944 წლის 10 ნოემბრისათვის იყო გარდაცვლილი ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგული. საქმეში არსებობს მტკიცებულებები, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ 1938-1939 წლებში მ. ბ-მე წავიდა რუსეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. ამასთან, მის შესახებ არაფერი იციან.

კასატორები ასევე არ ეთანხმებიან სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ ა. და ს. ბ-მეებს არ ჰქონდათ უფლება სასამართლოში დაეყენებინათ სარჩელი უ. ბ-მესა და მ. ბ-მეს შორის ფაქტიური ცოლ-ქმრული ურთიერთობის დადგენის შესახებ, რამდენადაც საქმე შეეხება უშუალოდ მათ ინტერესებს და სამკვიდრო ქონებას, რომლის მიღების უფლებაც კანონით გააჩნდათ.

კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირთა წრე. სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი ზოგადად მიუთითებს, თუ ვინ შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით, სადაც ჩამოთვლილია მემკვიდრეთა წრე რიგითობის მიხედვით. კანონის აღნიშნული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, პირველი რიგის მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან შვილები, მეუღლე და მშობლები, ანუ პირები, რომლებიც მითითებულნი არიან სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლში. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მიხედვით, შვილიშვილები მემკვიდრეთა ჩამონათვალში მითითებულნი არიან, თუმცა ისინი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდნენ მემკვიდრეები, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ეკუთვნოდა. ამასთან, სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის სამკვიდროს გახსნამდე გარდაცვალების შემთხვევაში, შვილიშვილები მემკვიდრეობით ერთვებიან როგორც პირველი რიგის მემკვიდრეები და იკავებენ მათი მშობლების (სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირების) ადგილს. ი. ბ-მე ცოცხალი რომ ყოფილიყო, მას როგორც კანონისმიერ მემკვიდრეს უფლება ექნებოდა მიეღო სავალდებულო წილი, ამიტომ, ეს უფლება უნდა გადავიდეს მის შვილებზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ს. და ა. ბ-მეების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.ბათუმში ... ქ.19-ში მდებარე სახლთმფლობელობის 14/25 ნაწილი 1935 წლის 30 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ირიცხებოდა უ. ბ-ის საკუთრებაში;

1996 წლის 25 სექტემბრის ანდერძით უ. ბ-მემ სადავო სახლი უანდერძა თავის შვილიშვილებს – გ., მ., ფ. და ლ. გ-ძეებს;

2001 წლის 18 აპრილს უ. ბ-მე გარდაიცვალა;

2002 წლის 30 დეკემბრის ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე უ. ბ-მის სამკვიდრო ქონება მიიღეს მოპასუხეებმა – ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეებმა;

უ. ბ-მე 1930 წლიდან 1938-1939 წლამდე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მ. ბ-მესთან. ამის შემდეგ მ. ბ-მე სახლიდან გაემგზავრა და მისი ადგილსამყოფელი უცნობია;

უ. ბ-მესა და მ. ბ-მეს ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: ნ. ბ-მე და ი. ბ-მე. ი. ბ-მე დაიბადა 1935 წლის 13 აგვისტოს, ხოლო ნ. მასზე რამდენიმე წლით უფროსი იყო;

ი. ბ-მე გარდაიცვალა 1991 წლის 29 იანვარს, მისი შვილები არიან ა. და ს. ბ-ძეები (მოსარჩელები);

ფ., ლ., გ. და მ. გ-ძეები (მოპასუხეები) არიან ნ. ბ-მის შვილები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში კასატორებს არ წარმოუდგენიათ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ სადავო უძრავი ქონება – ქ. ბათუმში, ... ქ.119-ში მდებარე სახლთმფლობელობის 14/25 ნაწილი, წარმოადგენდა უ. ბ-მის ინდივიდუალურ საკუთრებას.

მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინება. ამავე კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას რეგისტრირებულ ქორწინებას უკავშირებდა ასევე მანამდე მოქმედი საქორწინო და საოჯახო კოდექსებიც. კერძოდ, საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის (1930 წლის რედაქციით) მე-14, მე-17 მუხლების, აგრეთვე საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის (1970 წლის რედაქციით) მე-19, 21-ე მუხლების შესაბამისად, მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობდა მხოლოდ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში გაფორმებული დაქორწინება. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენდა მათ თანასაკუთრებას. მეუღლეებს ჰქონდათ ამ ქონებით სარგებლობის, მისი მფლობელობისა და განკარგვის თანაბარი უფლება.

მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ მ. ბ-მესა და უ. ბ-მეს შორის ქორწინება რეგისტრირებული არ ყოფილა. შესაბამისად, უ. ბ-მის მიერ 1935 წელს შეძენილი სადავო უძრავი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად ვერ იქნება მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს უ. ბ-მე უნდა ეცნო მ. ბ-მის მეუღლედ და მათ შორის არსებული ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობა, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, უნდა გაეთანაბრებინა რეგისტრირებული ქორწინებისათვის.

დასახელებული ბრძანებულების მიხედვით, თუ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე არსებული ცოლ-ქმრული ურთიერთობა არ შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ამავე ბრძანებულების მე-19 მუხლის შესაბამისად, იმის გამო, რომ ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფ პირთაგან ერთ-ერთი გარდაიცვალა ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს სახალხო სასამართლოში შეიტანოს განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ცნობილ იქნას გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მეუღლედ წინათ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, ზემოაღნიშნული ბრძანებულებით განისაზღვრა 1944 წლის 8 ივლისამდე გარდაცვლილის ან უგზო-უკვლოდ დაკარგულის მეუღლედ ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტი – ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფი ცოცხლად დარჩენილი მეუღლე. აღნიშნულს ცხადყოფს ასევე სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1944 წლის 26 ნოემბრის 1დ-41 დირექტიული წერილის შინაარსი, რომელიც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოხსენებული ბრძანებულების შესასრულებლად გამოიცა. აღნიშნული წერილის მიხედვით, ის პირი, რომელმაც შეიტანა განცხადება ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობის ცნობის შესახებ, მოვალეა წარმოადგინოს საბუთები, რომლითაც დამტკიცდება იმ პირის სიკვდილის ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგვის ფაქტი, რომელთანაც განმცხადებელს ფაქტობრივად ცოლ-ქმრული ურთიერთობა ჰქონდა. ამასთან, თუ სასამართლო ცნობს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, იგი გამოიტანს დადგენილებას განმცხადებლის ცნობის შესახებ გარდაცვლილის ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგულის მეუღლედ. სხვა საკითხებს (პენსიის უფლება, მემკვიდრეობა და სხვა) სასამართლოს დადგენილება არ უნდა ეხებოდეს.

მოცემულ შემთხვევაში უგზო-უკვლოდ დაკარგული მ. ბ-მის მეუღლედ უ. ბ-მის ცნობას და მათ შორის არსებული ფაქტობრივი ცოლ-ქმრული ურთიერთობის რეგისტრირებულ ქორწინებასთან გათანაბრებას

მოთხოვნ უ. ბ-ის შვილიშვილები – ს. და ა. ბ-ძეები. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მათ ასეთი მოთხოვნის უფლება არ გააჩნიათ, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება მიენიჭა მხოლოდ გარდაცვლილთან ან ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგულთან ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფ მეუღლეს. მოცემულ შემთხვევაში უგზო-უკვლოდ დაკარგული მ. ბ-ის მეუღლედ ცნობის მოთხოვნის უფლება ჰქონდა მასთან ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მყოფ უ. ბ-ძეს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს გარდაცვალებამდე ხსენებული მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელებს ზემოაღნიშნული მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება რომც ჰქონდეთ, მათი მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ვინაიდან მოსარჩელებმა სასამართლოს ვერ წარუდგინეს მ. ბ-ის ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგვის დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნული საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ზემოხსენებული ნორმატიული აქტების მიხედვით, სასამართლო ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს, ამ უკანასკნელის განცხადების საფუძველზე, ცნობდა ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მეუღლედ. სსრკ იუსტიციის სახალხო კომისრის 1944 წლის 26 ნოემბრის 1დ-41 დირექტიული წერილის თანახმად, ფრონტზე უგზო-უკვლოდ დაკარგვის დამადასტურებელ საბუთებად ჩაითვლება: ა) წითელარმიის სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ უწყება, მიღებული სამხედრო კომისარიატიდან, ან მოქმედი არმიის რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის დანაკარგის პერსონალური აღრიცხვის სამმართველოდან; ბ) სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ უწყება, მიღებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობის დანაკარგის აღმრიცხველი ცენტრალური ბიუროდან, ან ფლოტის (ფლოტილიის) საორგანიზაციო სამწყობრო განყოფილებიდან და სამხედრო ნაწილის სარდლობიდან; გ) შინსახკომისარიატის ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ უწყება, მიღებული სამხედრო კომისარიატიდან ან შსსკ ჯარების სათანადო მთავარი ან საოკრუგო სამმართველოდან ან და სამხედრო ნაწილის სარდლობისაგან. ზემოხსენებული საბუთები, როგორც ითქვა, კასატორთა მიერ წარდგენილი არ ყოფილა და აღნიშნულთან დაკავშირებით მათ არც დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოუდგენიათ.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის შესახებ, რომ უ. ბ-ის დანაშთი ქონებიდან სავალდებულო წილის მიღების უფლება მოსარჩელებს არ გააჩნიათ. კასატორები აღნიშნულ მოთხოვნას იმით ასაბუთებენ, რომ მათი აწ გარდაცვლილი მამა – ი. ბ-ძე წარმოადგენდა უ. ბ-ის დანაშთი ქონებიდან სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირს და ეს უფლება მათ მემკვიდრეობით მიიღეს.

სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი). ამავე კოდექსის 1307-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ცოცხლები იყვნენ მამკვიდრებლის სიკვდილის მომენტისათვის.

მოცემულ შემთხვევაში მამკვიდრებლის, უ. ბ-ის, გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, კასატორების მამის - ი. ბ-ის გარდაცვალება. შესაბამისად, ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაცვლილი უ. ბ-ის სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მისაღებად მოწვეული ვერ იქნებოდა.

კასატორების მოთხოვნის უსაფუძლობას განამტკიცებს სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლი, რომლის თანახმად, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას. უ. ბ-ის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ და შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებითაც შეეძლოთ ესარგებლათ მხოლოდ ამ მომენტისათვის ცოცხლად მყოფ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს. კასატორებზე მათი მამის სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავიდოდა, თუ ეს უკანასკნელი სამკვიდროს გახსნის შემდეგ ისე გარდაიცვლებოდა, რომ სავალდებულო წილის მიღებას ვერ მოასწრებდა.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორების არგუმენტს, რომ სააპელაციო სასამართლოს მათთვის სავალდებულო წილის მიკუთვნების საკითხის გადაწყვეტისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით. აღნიშნული ნორმა ადგენს კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს, რომელშიც შვილიშვილებიც შედიან. ისინი ითვლებიან პირველი რიგის მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული ნორმა განსახილველ შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კანონით მემკვიდრეობა – გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე – მოქმედებს, თუ მემკვიდრეობას არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში მემკვიდრეობის მიერ დატოვებული ანდერძი მოიცავს მთელ სამკვიდროს და შესაბამისად, სადავო ურთიერთობა რეგულირდება სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც მემკვიდრეობის გარდაცვალებამდე სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორების მიერ მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არა აქვს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ს. და ა. ბ-ძეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **9. ანდერძის ბათილად ცნობა**

### **განჩინება**

1ას-589-896-09

22 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),**  
**ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),**  
**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ანდერძის ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ტ-მ-იანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სანოტარო ბიუროს ნოტარიუს ლ. გ-იანის მიმართ, მესამე პირი – ა. ა-ოვი, 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: მ. ტ-მ-იანი ცხოვრობს ქ.თბილისში, ... მე-2 შესახვევში მდებარე 83.98 კვ.მ<sup>14</sup> საცხოვრებელ სახლში (69.72 კვ.მ საცხოვრებელი ფართით), საიდანაც 1\15 წილი ეკუთვნის ა. ა-ოვს, 1\15 – ო. კ-იანს, 1\15 – ს. შ-იანს, 6\15 – აწ გარდაცვლილ ა. ტ-მ-ოვს, ხოლო 6\15 – მოსარჩელეს. 2003 წლის 17 ივლისს მოსარჩელის ბიძა ა. ტ-მ-ოვი გარდაიცვალა. სამკვიდროს გახსნის დროისთვის მოსარჩელე მ. ტ-მ-იანის მამა ცოცხალი აღარ იყო და, შესაბამისად, კანონით განსაზღვრული წილი მოსარჩელეზე უნდა გადასულიყო. მ. ტ-მ-იანმა სამკვიდროს მისაღებად მიმართა სანოტარო ბიუროს, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ მემკვიდრეობა თავისი ქონება უანდერძა ა. ა-ოვს. მითითებული ანდერძი ყალბია, ა. ტ-მ-ოვი გარდაცვალების დროისთვის იყო 81 წლის, ავადმყოფი და ჭკუასუსტი. მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეგნება და წარმართვა. მან დაამთავრა სომხურენოვანი სკოლის 3 კლასი და საერთოდ არ იცოდა ქართულად წერა-კითხვა, ანდერძიდან კი ირკვევა, რომ მის შედგენას თარჯიმანი არ დასწრებია. ანდერძზე ხელმოწერი მოწმეები – რ. დ-იანი და ნ. ჩ-იანი ა. ა-ოვის ახლობლები არიან.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: საფუძველს მოკლებულია მოსარჩელის მითითება ა. ტ-მ-ოვის ჭკუასუსტობისა და ქართულად წერა-კითხვის უცოდინრობის თაობაზე. მემკვიდრეობის გარდაცვალებამდე საღ გონებაზე იმყოფებოდა და შეეძლო ნამდვილი ნების გამოვლენა. მან დაამთავრა ქ. თბილისის 179 საშუალო სკოლის 8 კლასი, რაც ქართულ ენაზე წერისა და კითხვის შესწავლისათვის საკმარისი იყო. ამასთან, ანდერძის კონკრეტული მოწმეების მიერ დადასტურებით ანდერძის ნამდვილობის კანონით დადგენილი პირობები არ დარღვეულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით მ. ტ-მ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნოტარიუს ლ. გ-იანის მიერ ქ.თბილისში 2000 წლის 7 სექტემბერს დადასტურებული ა. ტ-მ-ოვის მიერ შედგენილი ანდერძი ცნობილ იქნა ბათილად, რაც ა. ა-ოვმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მ.ტ-მ-იანმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, იშუამდგომლა განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის განჩინებით მ.ტ-მ-იანის იშუამდგომლობა განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით კი ა. ა-ოვის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მ. ტ-მ-იანის სარჩელს უარი ეთქვა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, ... მე-2 შესახვევის 14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 6/15 საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ა. ტ-მ-ოვს, რომელიც გარდაიცვალა 2003 წლის 17 ივლისს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული გარდაცვალების მოწმობა. მ. ტ-მ-იანი წარმოადგენს გარდაცვლილი ა. ტ-მ-ოვის მმისშვილს, რასაც ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ა. ტ-მ-იანი წარმოადგენს მ. ტ-მ-იანის ბიძას, ანუ მამის – აშ. ტ-მ-იანის ძმას. პალატამ მიიჩნია, რომ დაუსაბუთებელია და საქმის მასალებით არ დასტურდება სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე არსებული მოანდერძის ხელმოწერა არ არის განხორციელებული მოანდერძის, ა. ტ-მ-ოვის მიერ, საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 29 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ანდერძზე და შესადარებელ ნიმუშებზე განხორციელებული ხელმოწერები ეკუთვნის ერთსა და იმავე პიროვნებას - ა. ტ-მ-ოვს. სააპელაციო სასამართლომ 2005 წლის 6 მაისის ექსპერტიზის დასკვნა არ ჩათვალა იმ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად, რომ ანდერძზე განხორციელებული ხელმოწერა არ ეკუთვნის ა. ტ-მ-ოვს, რადგან სადავოა და დადგენილი არ არის შესადარებელ ნიმუშზე არსებული ხელმოწერის ა. ტ-მ-ოვისადმი კუთვნილების ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილით მხარეები არ არიან შებოჭილი გამოსაკვლევი ნიმუშების წარდგენაში, ანუ სამოქალაქო პროცესი სრულ შესაძლებლობას ანიჭებს მათ თავისუფლად, საკუთარი შეხედულებით წარმოადგინონ გამოსაკვლევი ობიექტები. მიუხედავად ამისა, სასამართლო ვალდებულია, თვითონ განსაზღვროს აუცილებელი მასალების წრე. ამგვარი დათქმა თავისთავად არ გულისხმობს მხოლოდ იმ მასალებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, არამედ იგი უფრო გავრცობილად უნდა განიმარტოს, კერძოდ, იმის დასადგენად, ეკუთვნოდა თუ არა ანდერძზე ხელმოწერა კონკრეტულ პიროვნებას, ჯერ უტყუარად უნდა დადგინდეს, ნამდვილად ამავე პიროვნებამ მოაწერა თუ არა ხელი ექსპერტიზაზე დადგენილ შესადარებელ ნიმუშს. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული გარემოება საქმეში არსებული ა. ტ-მ-ოვის კუთვნილი ვეტერანის ანკეტის მიმართ დადგენილი არ არის. ამიტომ სასამართლო ვერ დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც დასტურდება, რომ ანდერძზე განხორციელებული ხელმოწერა არ არის ვეტერანთა ანკეტაზე შესრულებული ხელმოწერის იდენტური. რაც შეეხება, სასამართლო ექსპერტიზის 2008 წლის 29 ოქტომბრის დასკვნას, პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში შესადარებელ ნიმუშად წარმოდგენილ იქნა სადაზღვევო მოწმობა, რომელზე არსებული ა. ტ-მ-ოვის ხელმოწერის ამავე პირისადმი კუთვნილება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ. შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნით სადაზღვევო მოწმობაზე არსებული ხელმოწერისა და ანდერძზე არსებული ხელმოწერის იდენტურობის დადგენის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ანდერძზე არსებული ხელმოწერა ეკუთვნის მოანდერძე ა. ტ-მ-ოვს და ანდერძის შედგენისას მან ნამდვილი ნება გამოავლინა. აღნიშნული შეფასების გაკეთებისას სასამართლო ასევე დაეყრდნო ანდერძის მოწმე რ. დ-იანისა და ნოტარიუსის ახსნა-განმარტებას. პალატამ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ ა. ტ-მ-ოვმა არ იცოდა ქართული წერა-კითხვა, რის გამოც ის ვერ შეძლებდა ქართულ ენაზე ანდერძზე ხელის მოწერას, ვინაიდან საქმის მასალებით დგინდება, რომ ა. ტ-მ-ოვს მიღებული ჰქონდა რვაწლიანი განათლება, მუშაობდა გაზეთ «კომუნისტში», ასევე მოანდერძის მიერ ქართული ენის ცოდნის ფაქტი დადასტურებულ იქნა მოწმეთა და ნოტარიუსის ახსნა-განმარტებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლოს შინაგანი რწმენის ფორმირება ხდება ყველა გარემოების შემეცნების შედეგად. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი გარემოებები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე არსებული ხელმოწერა ა. ტ-მ-ოვს არ მიაკუთვნოს. სამოქალაქო კოდექსის 1357-ე მუხლზე მითითებით სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო სამართალი ანდერძის რამოდენიმე ფორმას ადგენს. მათ შორის, მიუთითებს რეკვიზიტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სანოტარო ანდერძის ნამდვილობას, კერძოდ, მამკვიდრებლის ხელმოწერას და ნოტარიუსის მიერ ანდერძის დადასტურებას. განსახილველ შემთხვევაში ორივე პირობა დაცულია, ანუ 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე ხელი მოაწერა ა. ტ-მ-ოვმა და დადასტურა ნოტარიუსმა ლ. გ-იანმა. ამდენად, ანდერძის ბათილად ცნობის წინაპირობა ამ საფუძველით არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსის ანდერძი თავისი სამართლებრივი ბუნებით გარიგებას წარმოადგენს და, უშუალოდ ანდერძისათვის

დამახასიათებელი წინაპირობების გარდა, სამოქალაქო კოდექსით დადგენილ გარიგების ნამდვილობის პირობებსაც უნდა აკმაყოფილებდეს. პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, ანდერძი ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც არ არის მიღებასავალდებულო, თუმცა მიუხედავად ამისა, გამოვლენილი ნება აღქმადი უნდა იყოს სხვა პირებისათვის და გამოკვეთილად ჩანდეს მამკვიდრებლის ნამდვილი აზრი. სწორედ ამ პირობების არსებობას უკავშირებს სამოქალაქო სამართალი ანდერძის, როგორც გარიგების ნამდვილობას. სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ანდერძი შედგენილია კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ამასთან, დადგენილია მოანდერძის ნების გამოვლენის ნამდვილობა და არ არსებობს ანდერძის, როგორც გარიგების ბათილობის საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მ. ტ-მ-იანმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მათი გაუქმება, საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად და ზემოხსენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გაიზიარა ექსპერტიზის 2005 წლის 5 მაისის დასკვნა იმ საფუძვლით, რომ სადავო და არ არის დადგენილი შესაძარბელ ნიმუშზე ხელმოწერის ა. ტ-მ-ოვისადმი კუთვნილება. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხისათვის კარგად იყო ცნობილი ა. ტ-მ-ოვის ანდერძზე მოანდერძის ხელმოწერის ნამდვილობის სადავობისა და იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მიერ ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის ნიმუშად წარდგენილი იყო ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ვეტერანთა ანკეტაზე დაფიქსირებული ხელმოწერა. მიუხედავად ამისა, ამ ანკეტაზე ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის ნამდვილობა მოპასუხეს და მის წარმომადგენელს სადავოდ არ გაუხდიათ და ამ ხელმოწერასთან მიმართებაში მხარი დაუჭირეს ექსპერტიზის ჩატარებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ანკეტა გაცემული იყო საჯარო დაწესებულების მიერ და მასზე ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის გაყალბება მოსარჩელეს არ შეეძლო. საქმეზე წარმოდგენილი ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის 2008 წლის 4 ივნისის წერილით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული ანკეტის მონაცემებს საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს ვეტერანი საამისოდ სპეციალურად განკუთვნილ გრაფაში. ამავე წერილის თანახმად ამ ანკეტას არ ახლავს არავითარი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ა. ტ-მ-იანის ნაცვლად ანკეტაზე სხვა პირის ხელმოწერას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ექსპერტიზის ამ დასკვნით სასამართლოს სრული საფუძველი ჰქონდა დადგენილად მიეჩნია, რომ ანდერძზე შესრულებული ხელმოწერა მოანდერძეს არ ეკუთვნის და ამ მოტივით ბათილად ეცნო ანდერძი. სასამართლომ არასწორად გაიზიარა ექსპერტიზის 2008 წლის 29 ოქტომბრის დასკვნა და ამ დასკვნის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ წარმოდგენილ ნიმუშზე ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის ნამდვილობა. აღნიშნული არგუმენტი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მოსარჩელე მხარეს არასდროს არ დაუდასტურებია სადაზღვევო მოწმობაზე ა. ტ-მ-იანის ხელმოწერის ნამდვილობა. ასეთ ვითარებაში გაურკვეველია, თუ რა მოსაზრებით მიანიჭა სასამართლომ უპირატესობა ექსპერტიზის დაუსაბუთებელ მეორე 2008 წლის 29 ოქტომბრის დასკვნას. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის დაუსაბუთებლობა იმაში გამოიხატება, რომ ექსპერტის მოსაზრებით, გამოსაკვლევ დოკუმენტებში და ხელმოწერის ნიმუშებში შესრულებული ხელმოწერების გამოკვლევიტა და ურთიერთშედარებით დადგინდა თანადამთხვევები საერთო ნიშნებში – გაქანებაში, დახრაში, გადაბმის დონეში, მიმართულებასა და სხვა კერძო ნიშნებში, კერძოდ: სადავო ანდერძსა და რეესტრის წიგნში შესრულებულ ხელმოწერაში ასო «ო» (ე.წ. ორფეხიანი) განსაკუთრებულ ნიშნებს არ შეიცავს და არაფერი აქვს საერთო სადაზღვევო მოწმობაზე არსებულ ხელმოწერაში შესრულებულ ამავე ასოსთან. ასევე უსაფუძვლოა თანადამთხვევის მითითება ე.წ. კუთხოვან «ო-სთან» მიმართებით, ვინაიდან ნიმუშზე იგი შესრულებულია მომრგვალებულად და არ ემთხვევა შესადარებელ კუთხოვან ასოს. დაუსაბუთებელია ექსპერტიზის მსჯელობა ასო «ი-სთან» მიმართებითაც, რადგან შესადარებელ ხელმოწერებში არსებული ასო «ი» რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გაურკვეველია, რა მეთოდოლოგიის გამოყენებით დადგინდა თანხვედრა სასვენი ნიშნის – ტირეს შედარებით, ვინაიდან პატარა ხაზის გავლებით ექსპერტიზის დასკვნის ერთ-ერთ საფუძველად მითითებული კერძო ნიშნის დადგენა შეუძლებელია. სადავო დასკვნაში გამოკვლეულია ასოები «უ» და «რ», რომლებიც შესადარებელ ნიმუშში მითითებული საერთოდ არ არის. ექსპერტიზა კი უთითებს, რომ თანადამთხვევა არსებობს მოძრაობის მიმართულებაში ასო «უ-ს» სტრიქონული ელემენტების შესრულებისას ზევიდან ქვემოთ. გამოკვლეულ დოკუმენტებში არსებული ასო «ვ-ს» ქვედა ნაწილი სხვადასხვა მოხაზულობისაა და ერთმანეთს აშკარად არ ემთხვევა. დასკვნის თანახმად, მოძრაობის რაოდენობა ასო «ს-ს» შესრულებისას გაზრდილია საწყის ნაწილთან დამატებით შტრიხის ხარჯზე, რაც აღნიშნული ასოს შესრულებისას ნამდვილად შეინიშნება, თუმცა ნიმუშზე შესრულებულ ხელმოწერაში არის არსებითი განსხვავებაც – ასო «ს-ს» მარცხენა მხარე სწორი ხაზით არის გამოკვეთილი, ნიმუშში კი ამავე ასოს მარცხენა ნაწილი გაღუნულია. თანადამთხვევით კერძო ნიშნად ექსპერტიზა თვლის პირველ ორ ხელმოწერაში ასო «ნ-ს» საწყისი წერტილის განლაგებას, მაგრამ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის, ისე როგორც ამ დასკვნისათვის, არსებით მნიშვნელობა ამ ფაქტს არა აქვს, ვინაიდან ნიმუშში ასეთ ასოს არ შეიცავს. ამდენად, შესადარებელ ნიმუშთან მიმართებაში ექსპერტიზის დასკვნა მითითებული 9 კერძო ნიშნიდან ეხება მხოლოდ 4 ასოსთან ჩატარებულ კვლევას, სადაც აღინიშნა ზემოხსენებული უზუსტობები. დასახელებული ექსპერტიზის დასკვნა ეწინააღმდეგება მოცემულ საქმეზე

ამავე საქსპერტო დაწესებულების მიერ გაცემულ 2005 წლის 5 მაისის კატეგორიულ დასკვნას, რომლის თანახმადაც ანდერძსა და ნიმუშზე, რომელიც ოფიციალური ორგანოსაგან არის მიღებული, ხელმოწერა შესრულებულია სხვადასხვა პირის მიერ. ამ გარემოებების გათვალისწინებით 2009 წლის 19 მარტს კასატორმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე და მოითხოვა კომისიური ექსპერტიზის ჩატარება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა და თავისი გადაწყვეტილება სწორედ ამ დაუსაბუთებელ დასკვნას დააყრდნო. ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ა.ტ-მ-იანმა იცოდა ქართული ენა. ამ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად სასამართლოს არ შეეძლო გამოეყენებინა ნოტარიუსისა და მოწმეთა ახსნა-განმარტებები, ვინაიდან ისინი დაინტერესებული პირები არიან, გარდა ამისა, ნოტარიუსმა თავად დაადასტურა სასამართლო სხდომაზე, რომ თარჯიმანი არ დანიშნა და იგი თვითონ უთარგმნა მოანდერძეს ანდერძის შინაარსს. თუ ა. ტ-მ-იანმა ქართული იცოდა, ცხადია მას არ დასჭირდებოდა თარგმანი. ფაქტობრივად, ვეტერანის ანკეტის გარდა, ვერ იქნა მოპოვებული მოანდერძის ქართულ ენაზე შესრულებული ხელმოწერა, სხვა ყველა ოფიციალურ დოკუმენტზე, საპენსიო დოკუმენტაციაზე კი იგი ხელს მხოლოდ რუსულად აწერდა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოანდერძემ ქართული ენა არ იცოდა და არ შეეძლო ანდერძზე ქართულად ხელი მოეწერა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქ.თბილისში, ... მე-2 შესახვევის 14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 6/15 საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ა. ტ-მ-ოვს, რომელიც გარდაიცვალა 2003 წლის 17 ივლისს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული გარდაცვალების მოწმობა. იურიდიული ფაქტის დადგენის თაობაზე ქ.თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, მ. ტ-მ-იანი წარმოადგენს გარდაცვლილი ა. ტ-მ-ოვის ძმისშვილს. აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ა. ტ-მ-იანი წარმოადგენს მ. ტ-მ-იანის ბიძას, ანუ მამის – აშ. ტ-მ-იანის ძმას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ტ-მ-იანის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო ანდერძზე მამკვიდრებლის ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის ვეტერანთა ანკეტაზე შესრულებული ა. ტ-მ-ოვის ხელმოწერის გამოყენება ა. ა-ოვს სადავოდ არ გაუხდია. ამასთან, საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის წერილით დასტურდება, რომ ანკეტის მონაცემებს ვეტერანი საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს. მითითებული მტკიცებულების საფუძველზე სააპელაციო პალატას უნდა გაეზიარებინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 5 მაისის დასკვნა, რომლის მიხედვით სადავო ანდერძზე არსებული ხელმოწერა ა. ტ-მ-ოვს არ ეკუთვნის.

საკასაციო სასამართლო კასატორის ზემოხსენებულ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს შემდეგი დასაბუთებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ამავე კოდექსის 172-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მისი შეფასება ხდება 105-ე მუხლით დადგინილი წესით. დასახლებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი იმ ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, რომელიც მხოლოდ სპეციალური ცოდნის გამოყენებით შეიძლება დადგინდეს, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს და სასამართლო თავისი მოტივირებული გადაწყვეტილებით ასაბუთებს აღნიშნული მტკიცებულების გაზიარების მართლობიერებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგინილი ძალა.



სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამდენად, სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგად აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევი საკითხის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზის როგორც 2005 წლის 5 მაისის, ისე 2008 წლის 29 ოქტომბრის სასამართლო ექსპერტიზების ჩატარების მიზანს წარმოადგენდა 2000 წლის 7 სექტემბრის ანდრეშე ა. ტ-მ-ოვის ხელმოწერის ნამდვილობის საკითხის გარკვევა, რაც უნდა განხორციელებულიყო სადავო ხელმოწერის ისეთ ნიმუშთან შედარების გზით, რომელზეც მამკვიდრებელის მიერ ხელმოწერის ფაქტი უტყუარადაა დადგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელ მასალებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტიზის ჩასატარებლად აუცილებელი მასალების წრეს განსაზღვრავს სასამართლო, რომელსაც შეუძლია გაითვალისწინოს როგორც მხარეების, ისე ექსპერტად დანიშნული პირის მოსაზრებები. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მხარეებს უფლება აქვთ, საკუთარი შეხედულებით წარუდგინონ სასამართლოს ექსპერტიზის მიერ გამოსაკვლევ დოკუმენტთა ნიმუშები, თუმცა საკითხს, თუ რომელი მასალების გამოკვლევის შედეგადაა შესაძლებელი სადავო გარემოების სარწმუნოდ დადგენა და, შესაბამისად, რომელი მასალები უნდა გადაეცეს ექსპერტიზას გამოსაკვლევად, წყვეტს სასამართლო.

განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა და მხარეთა მიერ მითითებულ გარემოებათა ურთიერთმეჯერების შედეგად იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სადავო ხელმოწერის ნამდვილობის დასადგენად სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს მისი შედარება ა. ტ-მ-ოვის არა ვეტერანთა ანკეტაზე, არამედ სადაზღვევო მოწმობაზე არსებულ ხელმოწერასთან და გაზიარებულ იქნეს 2008 წლის 29 ოქტომბრის ექსპერტის დასკვნა, რომელიც აღნიშნული მოწმობის გამოკვლევას ეფუძნებოდა. სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება მითითებული დასკვნის სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთმეჯერებას და გამოსაკვლევი მასალის – სადაზღვევო მოწმობის სარწმუნოებას.

კასატორი მ. ტ-მ-იანი არ ეთანხმება რა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო ბიუროს დასკვნას, მას დაუსაბუთებლად თვლის იმ გარემოებებზე დაყრდნობით, რომ დასკვნით გამოკვლეულ იქნა სასვენი ნიშნები, რომელთა საფუძველზეც ხელმოწერათა თანხვედრის დადგენა შეუძლებელია, ექსპერტიზამ გამოიკვლია ისეთი ასოები, რომლებიც შესაძარებელ ნიმუშებში საერთოდ არ იყო, კვლევა ჩატარდა დასკვნაში მითითებული 9 ნიშნიდან მხოლოდ 4-ზე და გარკვეული უზუსტობებით. კასატორის აღნიშნული არგუმენტი საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან მხარის მიერ ექსპერტიზის დასკვნის უარსაყოფად მითითებული გარემოებანი ფაქტობრივად წარმოადგენს სადავო საკითხების კვლევის სპეციფიკურ მეთოდიკას. სადავო ექსპერტის დასკვნა ეფუძნება შესაბამისი სპეციალური ცოდნის გამოყენებას, რომელიც საექსპერტო კვლევის შედეგების მისაღებად უდავოდ საჭიროებს სასვენი ნიშნისა და რიგი ასოების შესრულების მიმართულების, დახრილობისა თუ სხვა მახასიათებლების გამოკვლევის აუცილებლობას. კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რაში მდგომარეობის ექსპერტიზის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიისა და მისი სადავო დასკვნის კანონშეუსაბამობა. ამავდროულად, საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე სასამართლო გადაწყვეტილება მხოლოდ მითითებულ ექსპერტის დასკვნას არ ემყარება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მ. ტ-მ-იანის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად არ დააკმაყოფილა 2009 წლის 19 მარტს მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა კომისიური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 173-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს, თუ არსებობს ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობები. ამავე კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

დასახელებული ნორმების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სადავო საკითხის გამოსაკვლევად ჩატარებული ექსპერტიზის ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნები ან სასამართლო არსებულ ექსპერტიზის დასკვნას დაუსაბუთებლად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით კანონმდებელი ითვალისწინებს

გარკვეულ დათქმას, კერძოდ, განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება მიზანშეწონილია მაშინ, თუ მის გარეშე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა შეუძლებელია.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, 2000 წლის 7 სექტემბრის ანდერძზე არსებული ა. ტ-მ-ოვის სადავო ხელმოწერის ნამდვილობის დასადაგენად ჩატარებული 2005 წლის 5 მაისისა და 2008 წლის 29 ოქტომბრის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხოლოდ აღნიშნული გარემოება საკმარისი არ არის განმეორებითი ექსპერტიზის დანიშნისათვის, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეფასების შედეგად სასამართლო იზიარებს 2008 წლის 29 ოქტომბრის დასკვნას სადავო ანდერძზე შესრულებული ხელმოწერის მამკვიდრებისათვის კუთვნილების შესახებ და დასაბუთებულად მიიჩნევს მას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის არც ზემოაღნიშნული პრეტენზია არ შეიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივ დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით ვერ დაადასტურა სადავო ანდერძის ბათილად ცნობის საფუძველად მის მიერ მითითებული გარემოება მამკვიდრებელ ა. ტ-მ-ოვის მიერ ქართული ენის არცოდნის თაობაზე, რისი მტკიცების ტვირთიც მას ეკისრებოდა, კერძოდ:

მოცემული საქმის მასალებში წარმოდგენილია პოლიგრაფიულ კომბინატ «კ-ს» დირექტორის მოადგილე ვ. ნ-იანისა და კადრების განყოფილების გამგე შ. ბ-შვილის მიერ ხელმოწერილი 1941 წლის 19 მარტის 101 ცნობა, რომლის თანახმად აწ გარდაცვლილი ა. ტ-მ-ოვი მუშაობდა დასახელებული კომბინატის საამწყობო ცეხში მოწაფის თანამდებობაზე, ასევე 179 სკოლის მიერ გაცემული ცნობა, რომ ა. ტ-მ-ოვმა მიიღო 8 კლასის განათლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის სხდომის ოქმში დაფიქსირებულია ნოტარიუს ლ. გ-იანისა და მოწმის – რ. დ-იანის ახსნა-განმარტებები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ა. ტ-მ-ოვი ქართულ ენას ფლობდა.

ამდენად, დასახელებულ მტკიცებულებათა საფუძველზე სააპელაციო პალატამ მართებულად დაასკვნა, რომ მამკვიდრებელმა ა. ტ-მ-ოვმა ქართული ენა იცოდა და შეძლებდა სადავო ანდერძზე ქართულად ხელის მოწერას. აღნიშნული დასკვნის საწინააღმდეგო გარემოების დადასტურებად ვერ მიიჩნევა კასატორის მითითება, რომ არსებობს რიგი დოკუმენტები, რომელზეც ა.ტ-მ-ოვის ხელმოწერა შესრულებულია რუსულ ენაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ტ-მ-იანის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **10. სამკვიდროს მიღება და გაყოფა**

#### **სამკვიდროს მიღება, სამკვიდროდან წილის გამოყოფა**

#### **ფაქტობრივი გარემოებების დადგენა**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ას-230-219-2010

26 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფა

### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 25 სექტემბერს ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ეფ-ანმა (იგივე თ. ეპ-ანი) მოპასუხეების: ე. ქ-ნის (გ-ანი), ახალქალაქის ნოტარიუს ე. ო-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალქალაქის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა:

ა. აწ გარდაცვლილი ნ. გ-ანის სამკვიდრო ქონებიდან – ახალქალაქში, ...-ის ქ. 156-ში მდებარე ბინიდან და ამ ბინაში არსებული მოძრავი ნივთებიდან წილის გამოყოფა და ამ ნივთების მოსარჩელის საკუთრებაში აღრიცხვის უფლების აღიარება;

ბ. სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანა;

გ. მამკვიდრებელ ნ. გ-ანის მოვლის, მკურნალობის, დაკრძალვასა და საფლავის მოწყობაზე გაწეული ხარჯების ნახევარის – 5 000 ლარის მოპასუხე ე. ქ-ნისათვის დაკისრება.

სარჩელის თანახმად, თ. ეფ-ანი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მამკვიდრებელ ნ. გ-ანთან. ისინი ფლობდნენ ახალქალაქში, ...-ის ქ. 156-ში მდებარე ბინას, რომელიც რეგისტრირებული იყო ნ. გ-ანის სახელზე. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 2008 წლის 16 იანვარს. შემდგომში გამოირკვა, რომ 2006 წლის 27 მარტს ნ. გ-ანს ნოტარიულად შეუდგენია ანდერძი, რომლითაც მის სახელზე რიცხული ზემოაღნიშნული საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთისა და ფარდულის ჩათვლით უანდერძა ქალიშვილს – ე. ნ-ის ასულ გ-ანს. თავად თ. ეფ-ანს სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარი უთხრეს, ხოლო საჯარო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციით აღმოჩნდა, რომ მთელი სახლი 2008 წლის 16 ივლისს რეგისტრირებულ იქნა ე. ქ-ნის სახელზე.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ დაირღვა მისი სამემკვიდრო და ქონებრივი უფლებები, რამდენადაც იგი წარმოადგენდა ნ. გ-ანთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს, რომელიც ამ დროისთვისაც განაგრძობდა სამკვიდრო ბინაში ცხოვრებას. ამასთან, მოსარჩელეს თანაზიარი საკუთრების უფლება გააჩნდა ბინის მიმენებულ ნაწილზე, რაც ნ. გ-ანთან თანაცხოვრების დროს, საერთო მეურნეობის წარმოებისას ჰქონდა მოპოვებული. სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით თ. ეფ-ანს მეუღლის ქონებიდან, ანდერძის მიუხედავად, საკუთრების უფლება გააჩნდა ამ უკანასკნელთან ერთად მოპოვებული ქონების ნახევარზე, რაც მემკვიდრეობის წესით განაწილებას არ ექვემდებარებოდა.

მოსარჩელის მითითებით, ე. ქ-ნმა ბოროტად გამოიყენა მამასთან ნათესაური კავშირი. მან ნ. გ-ანი ავადმყოფობის პერიოდში სხვა პირველი რიგის მემკვიდრეების გვერდის ავლით შეიყვანა შეცდომაში და ხელი მოაწერინა ანდერძზე, რომლის მეშვეობით შემლო გარდაცვლილის ქონების მთლიანად მისაკუთრება.

2008 წლის 7 ოქტომბერს იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა ე. ქ-ნმა (გ-ანმა) მოპასუხე თ. ეფ-ანის მიმართ. შეგებულმა მოსარჩელემ მოითხოვა ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინის 1/2 წილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა.

შეგებებული სარჩელის ავტორმა აღნიშნა, რომ მამამისი – ნ. გ-ანი და მოპასუხე თ. ეფ-ანი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1993 წლის 13 ოქტომბრიდან. მათ ერთად ცხოვრების პერიოდში, კერძოდ, 2005 წლის 2 დეკემბერს შეიძინეს ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინა, რომელიც გაფორმდა თ. ეფ-ანის სახელზე. ნ. გ-ანმა 2006 წლის 27 მარტს შედგენილი ანდერძით გარდაცვალების შემდეგ მთელი უძრავ-მოძრავი ქონება დაუტოვა ე. ქ-ნს. შესაბამისად, შეგებებული მოსარჩელის საკუთრებაში აღმოჩნდა ახალქალაქში, ...-ის ქ. 156-ში მდებარე საცხოვრებელი საცხოვრებელი სახლი მთლიანად, რომელიც მან უკვე აღირიცხა საკუთრებაში და აგრეთვე, ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინის 1/2 ნაწილი, რომელიც რეგისტრირებულია თ. ეფ-ანის სახელზე. ამდენად, ე. ქ-ნი მიიჩნევდა, რომ სტუდიაქალაქის მე-11 კორპუსში მდებარე ბინიდან ერგებოდა მამამისის წილი, რომელიც სასამართლოს მისთვის უნდა მიეკუთვნებინა.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის სხდომაზე მოცემული საქმიდან ამოირიცხა მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ახალქალაქის სარეგისტრაციო სამსახური.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით თ. ეფ-ანის სარჩელი დაკმაყოფილდა, მას, როგორც ნ. გ-ანის კანონისმიერ მემკვიდრეს, მიეკუთვნა სავალდებულო წილი ნ. გ-ანის სამკვიდრო ქონებიდან იდეალური ფორმით ქონების 1/6-ის ოდენობით, ნ. გ-ანის სამკვიდრო ქონებად ჩაითვალა ახალქალაქში, ...-ის ქ. 56-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი (მიწის ნაკვეთით, მრავალწლიანი ნარგავებით და ფარდულით) და აღნიშნულ სახლში ნ. გ-ანის კუთვნილი მოძრავი ნივთები, რომელიც დადგინდა სასამართლოში საქმის განხილვისას, კერძოდ: საძინებლის ავეჯი, მაცივარი, სერვანტი, სარეცხის მანქანა; მოპასუხე ნოტარიუს ე. ო-ძეს დაევალა შესაბამისი ცვლილებების შეტანა 2008 წლის 16 ივლისის ანდერძისმიერ სამკვიდრო მოწმობაში; ე. ქ-ნის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თ. ეფ-ანი არის 2008 წლის 4 იანვარს გარდაცვლილი ნ. გ-ანის მეუღლე. ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1993 წლის 13 ოქტომბრიდან;

ე. ქ-ნი არის 2008 წლის 4 იანვარს გარდაცვლილი ნ. გ-ანის ქალიშვილი;

აწ გარდაცვლილ ნ. გ-ანს ჰყავს მეორე ქალიშვილი – ლ. გ-ანი;

2008 წლის 16 ივლისის ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის თანახმად, ე. ქ-ნმა, რომელიც არის მამკვიდრებელ ნ. გ-ანის ანდერძისმიერი მემკვიდრე, საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება, კერძოდ, ახალქალაქში, ...-ის ქ. 156-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი;

ე. ქ-ნი დარეგისტრირდა ახალქალაქში, ...-ის ქ. 156-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ;

თ. ეფ-ანი მეუღლის – ნ. გ-ანის გარდაცვალების შემდეგ აგრძელებდა ცხოვრებას მამკვიდრებლის კუთვნილ, ახალქალაქში, ...-ის ქ. 156-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, ფლობდა აღნიშნულ სახლს და მასში არსებულ მოძრავ ქონებას;

საქმის განხილვის დროს, ე. ქ-ნის განცხადების საფუძველზე, ახალქალაქის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს მიერ თ. ეფ-ანი გამოსახლდა სადავო ბინიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით თ. ეფ-ანის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, კერძოდ, დავის გადაწყვეტამდე სადავო ბინაში თ. ეფ-ანის შესახლების მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა;

ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე ბინა 119-ის მესაკუთრედ რეგისტრირებულია თ. ეფ-ანი. აღნიშნული ბინა თ. ეფ-ანს საკუთრებაში გადაეცა 2005 წლის 2 დეკემბრის საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე. აქ გარდაცვლილმა ნ. გ-ანმა 2005 წლის 2 დეკემბრის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით უარი განაცხადა ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინის პრივატიზაციაზე მეუღლის – თ. ეფ-ანის სასარგებლოდ.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლსა და 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელთა მიხედვით, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი); მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

რამდენადაც საქმეზე დგინდებოდა, რომ ნ. გ-ანის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე თ. ეფ-ანი ფლობდა და განკარგავდა მამკვიდრებლის სახლს მასში არსებული მოძრავი ქონებით, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ეფ-ანს სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადა არ ჰქონდა გაშვებული. ამასთან, იმის გამო, რომ არსებობდა ანდერძი ე. ქ-ნის სასარგებლოდ, თ. ეფ-ანს შეეძლო მხოლოდ სავალდებულო წილის მიღება, ხოლო სამკვიდროს დანარჩენ ნაწილზე მას არ შეიძლებოდა პრეტენზია ჰქონოდა.

რაც შეეხებოდა საკითხს იმის შესახებ, შედიოდა თუ არა ნ. გ-ანის სამკვიდრო ქონებაში ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინა, ამასთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლზე. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინა არ წარმოადგენდა ნ. გ-ანის საკუთრებას. სადავო ბინა იყო კომუნალური საცხოვრებელი ფონდის მუნიციპალური ქონება, ორდერი გამოწერილი იყო თ. ეფ-ანისა და ნ. გ-ანის სახელზე.

«საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 107 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, მოქალაქეს მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლი (ბინა) საკუთრებაში გადაეცემა მხოლოდ ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით. საცხოვრებელი სახლი (ბინა) მათი სურვილისამებრ შეიძლება გადაეცეს მათ საერთო საკუთრებაში. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნოტარიული დოკუმენტის თანახმად, ჯერ კიდევ სიცოცხლეში (2005 წელს) ნ. გ-ანმა უარი თქვა სადავო ბინის პრივატიზაციაზე მეუღლის თ. ეფ-ანის სასარგებლოდ. ნ. გ-ანი არასდროს ყოფილა ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინის თანამესაკუთრე. ე. ქ-ნმა (გ-ანი) ვერ დაამტკიცა ამ ბინის წილის ნ. გ-ანისადმი კუთვნილების ფაქტი. აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინა არ შედიოდა ნ. გ-ანის სამკვიდრო მასაში.

რაიონული სასამართლოს მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. გ-ანს დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე (მეუღლე და ორი შვილი), ანდერძი რომ არ ყოფილიყო, მაშინ თითოეული მათგანს სამკვიდრო ქონებიდან ერგებოდა 1/3 წილი. შესაბამისად, თ. ეფ-ანს უნდა მიკუთვნებოდა ნ. გ-ანის სამკვიდრო ქონების (ახალქალაქში, ...-ის ქ. 156-ში მდებარე სახლისა და მოძრავი ნივთების – საძინებლის ავეჯი, მაცივარი, სერვანტი, სარეცხი მანქანა) 1/6 წილი. ამასთან, ე. ქ-ნის შეგებებული სარჩელი ნ. გ-ანის სამკვიდრო ქონების – ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინის 1/2 წილის მიკუთვნების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან სადავო უძრავი ქონება არ წარმოადგენდა ნ. გ-ანის სამკვიდრო ქონებას.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ნმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც სასამართლომ თ. ეფ-ანს მიეკუთვნა ნ. გ-ანის სამკვიდროდან 1/6 ნაწილი და ცვლილება შევიდა მოსარჩელის

სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, აგრეთვე, რომლითაც ე. ქ-ნის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მისი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინებით ე. ქ-ნის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, აგრეთვე მათი სამართლებრივი შეფასება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ თ. ეპ-ანს გაშვებული ჰქონდა სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადა, რადგან მას აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია, საქმის მასალებით კი დგინდებოდა საწინააღმდეგო.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო კოდექსის 1371-ე, 1421-ე და 1424-ე მუხლების შესაბამისად, ნ. გ-ანის სამკვიდროდან (ახალქალაქში, ...-ის ქ. 156-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მოძრავი ნივთები: საძინებლის ავეჯი, მაცივარი, სერვანტი, სარეცხი მანქანა) მის მეუღლეს თ. ეპ-ანს ეკუთვნის სავალდებულო წილი 1/6-ის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ ე. ქ-ნის მოთხოვნა ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინის 1/2 წილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ უსაფუძვლო იყო, ვინაიდან მითითებული ქონება არ შედიოდა ნ. გ-ანის საკუთრებაში.

აპელანტი მიიჩნევდა, რომ ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინის 1/2 ნაწილი, როგორც მამამისის კუთვნილი წილი, ეკუთვნოდა მემკვიდრეობით. სააპელაციო სასამართლომ აპელანტის აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

საქმის მასალების თანახმად, ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინაზე ახალქალაქის საკრებულოს გამგეობამ 2003 წლის 28 მარტს გასცა ორდერი თ. ეპ-ანსა და მის მეუღლე ნ. გ-ანზე. 2005 წლის 2 დეკემბერს თ. ეპ-ანმა მოახდინა ბინის პრივატიზაცია და საჯარო რეესტრში აღირიცხა ამ ბინის მესაკუთრედ. ნ. გ-ანს პრეტენზია არ გამოუთქვამს ბინის პრივატიზაციის შესახებ. უფრო მეტიც, მან სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით უარი თქვა სადავო ბინის პრივატიზაციაზე მისი მეუღლე თ. ეპ-ანის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული განცხადებით ნ. გ-ანმა თანხმობა განაცხადა, რომ მისი წილი ბინიდან გადასულიყო თ. ეპ-ანის საკუთრებაში. აქვე, სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ ნ. გ-ანს თავის სიცოცხლეში სადავოდ არ გაუხდია ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე ბინა 119-ის თ. ეპ-ანის საკუთრებაში აღირიცხვა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტ ე. ქ-ნის მოთხოვნა მამის კუთვნილი წილის მემკვიდრეობით მიღების შესახებ უსაფუძვლო იყო და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ქ-ნმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კასატორი აღნიშნავს, რომ სადავო შემთხვევაში სასამართლომ არასწორად განმარტა «საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 1107 დადგენილების მე-2 პუნქტი. საქმეზე დადგენილია, რომ 2003 წლის 28 მარტს ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინაზე ორდერი გაიცა ორ სულზე: თ. ეპ-ანსა და მის მეუღლე ნ. გ-ანზე. პრივატიზაციის დროს ნ. გ-ანი ჩაწერილი იყო მითითებულ საცხოვრებელ ბინაში და მან უარი თქვა ბინის თავის სახელზე აღირიცხვაზე, თუმცა უარი არ განუცხადებია საკუთრებაზე. აღნიშნულს ითვალისწინებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილება. ამდენად, ნ. გ-ანი წარმოადგენდა ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე 119 ბინის თანამესაკუთრეს.

კასატორი მიიჩნევს, რომ, რამდენადაც ზემოთ დასახელებულ ბინაზე საკუთრება იყო თანაზიარი და მეუღლისათვის პრივატიზაციის მის სახელზე განხორციელებაზე თანხმობის გაცხადებით ნ. გ-ანს ბინაზე უფლება არ დაუკარგავს, ნ. გ-ანის შვილი წარმოადგენს იმ წილის მემკვიდრესაც, რომელიც მამამისს ეკუთვნოდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია:

თ. ეპ-ანი არის 2008 წლის 4 იანვარს გარდაცვლილი ნ. გ-ანის მეუღლე. ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1993 წლის 13 ოქტომბრიდან;

ე. ქ-ნი არის ნ. გ-ანის ქალიშვილი;  
ნ. გ-ანს ჰყავს მეორე ქალიშვილიც – ლ. გ-ანი;

**2008 წლის 16 ივლისის** ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის თანახმად, ე. ქ-ნმა, რომელიც არის ნ. გ-ანის ანდერძისმიერი მემკვიდრე, საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება, კერძოდ, ახალქალაქში, ...-ის ქ. **156-ში** მდებარე საცხოვრებელი სახლი;

ე. ქ-ნი რეგისტრირებულია ახალქალაქში, ...-ის ქ. **156-ში** მდებარე სახლის მესაკუთრედ;

თ. ეპ-ანი მეუღლის – ნ. გ-ანის გარდაცვალების შემდეგ აგრძელებდა ცხოვრებას მამკვიდრებლის კუთვნილ, ახალქალაქში, ...-ის ქ. **156-ში** მდებარე საცხოვრებელ სახლში;

თ. ეპ-ანი რეგისტრირებულია ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე **119** ბინის მესაკუთრედ. აღნიშნული ბინა თ. ეპ-ანს საკუთრებაში გადაეცა **2005 წლის 2 დეკემბრის** საცხოვრებელი ბინის პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე. აწ გარდაცვლილმა ნ. გ-ანმა **2005 წლის 2 დეკემბრის** სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით უარი განაცხადა ახალქალაქში, ..., მე-11 კორპუსში მდებარე **119** ბინის პრივატიზაციაზე მეუღლის – თ. ეპ-ანის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას თ. ეპ-ანის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი. კერძოდ, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება თ. ეპ-ანის მიერ ახალქალაქში, ...-ის ქ. **156-ში** მდებარე საცხოვრებელი სახლსა და მოძრავი ნივთებზე სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით მიღება. დადგენილია, რომ მამკვიდრებელ ნ. გ-ანის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე თ. ეპ-ანი აგრძელებდა აღნიშნულ სახლში ცხოვრებას. ე. ქ-ნს ამ ფაქტობრივი გარემოების გასაქარწყლებლად არა აქვს წამოყენებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის **1371-ე, 1421-ე და 1424-ე** მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია თ. ეპ-ანის სარჩელი საფუძვლიანად.

რაც შეეხება ე. ქ-ნის შეგებებულ სარჩელს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ არის სრულყოფილად დასაბუთებული.

ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ნ. გ-ანის **2005 წლის 2 დეკემბრის** სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება პრივატიზაციაზე მეუღლის სასარგებლოდ უარის თქმის შესახებ ნიშნავს ბინიდან მისი კუთვნილი წილის თ. ეპ-ანის საკუთრებაში გადაცემაზე თანხმობას. აღნიშნული განცხადების შინაარსიდან მკაფიოდ ირკვევა, რომ იგი წარმოადგენს არა საკუთრების კუთვნილ წილზე უარის თქმის შესახებ განცხადებას, არამედ – მეუღლის სახელზე პრივატიზების განხორციელებაზე თანხმობას, რასაც სხვადასხვა სამართლებრივი შედეგები მოსდევს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ისე იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, რომ არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რატომ იყო ნ. გ-ანი ბინის თანამესაკუთრე, რა საფუძველით მოიპოვა მან ბინაზე თანასაკუთრების უფლება, ხომ არ წარმოადგენდა ბინა თ. ეპ-ანის ინდივიდუალურ საკუთრებას.

სადავო საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ «საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ» საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **1992 წლის 1 თებერვლის 1107** დადგენილების პირველი პუნქტის, ამავე დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცის გამოყენების შესახებ. მითითებული დადგენილების საფუძველზე საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ პირები, რომლებიც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლებს, ან მათი ოჯახის წევრებს. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის **1992 წლის 1 თებერვლის 1107** დადგენილებით მინიჭებული უფლება, შესაბამისი წილის გათვალისწინებით, ვრცელდება დამქირავებელთან ერთად მცხოვრებ ოჯახის ყველა წევრზე, მიუხედავად იმისა, რომ ბინაზე საკუთრების უფლება მათივე თანხმობით შეიძლება აღირიცხოს ერთ-ერთ დამქირავებელზე. აღნიშნული დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან.

საქმის ხელახლა განხილვისას საქმის მასალების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა ნ. გ-ანი სადავო ბინის დამქირავებელი, რა საფუძველით მოიპოვა მან ბინაზე თანასაკუთრების უფლება, ბინის რა ნაწილი შევიდა სამკვიდრო მასაში, აღნიშნული ბინის რა წილზე აქვს ე. ქ-ნს, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეს უფლება. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს თ. ეპ-ანის სამემკვიდრეო უფლებებიც ნ. გ-ანის სამკვიდრო მასაში შემავალ წილზე და მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **410-ე, 412-ე** მუხლებით და

## დაადგინა:

ე. ქ-ნის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინება ე. ქ-ნის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;  
დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივლისის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამკვიდროს მიღება

### განჩინება

1ას-606-568-10

16 სექტემბრის 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 7 თებერვალს, ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ზ. ჩ-შვილმა, მოპასუხედ დაასახელა მ. კ-შვილი და 2001 წლის ივლისში საცხოვრებელი ბინის შესაძენად, მოპასუხისათვის ნასესხები 2000 აშშ დოლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით, ზ. ჩ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა და მ. კ-შვილს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 აშშ დოლარის გადახდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მ. კ-შვილმა და მისი გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. კ-შვილის საჩივარი და უცვლელად დარჩა 2008 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის განჩინებით მ. კ-შვილის საკასაციო საჩივრის საფუძველზე გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინება, 2008 წლის 12 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ივნისის განჩინებით, მოცემულ საქმეზე დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2009 წლის 29 ივნისისათვის.

2009 წლის 29 ივნისს, სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტი მ. კ-შვილის შვილმა შ. ჩ-მემ და მიუთითა, რომ აპელანტი გარდაიცვალა 2009 წლის 31 მარტს. განცხადებას თან დაურთო მ. კ-შვილის 2009 წლის 28 აპრილს გაცემული გარდაცვალების მოწმობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განჩინებით 2009 წლის 31 სექტემბრამდე შეჩერდა სამოქალაქო საქმის წარმოება, აპელანტის მ. კ-შვილის უფლებამონაცვლის დადგენამდე.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით, ვადის გასვლის გამო განახლდა ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული სამოქალაქო საქმის წარმოება.

მ. კ-შვილის ოჯახის წევრს დაევალა, სასამართლოსათვის წარმოედგინა სამკვიდროს მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2009 წლის 16 ოქტომბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. კ-შვილის შვილმა შ. ჩ-მემ და განმარტა, რომ მ.კ-შვილის შვილებს მოცემული დავისადმი ინტერესი არ დაუკარგავთ, თუმცა მემკვიდრეობა ჯერ არ მიუღიათ და, ვინაიდან სადავო სამართლებრივი ურთიერთობის

უფლებამონაცვლე ჯერ არ დადგენილა, მ. კ-შვილის უფლებამონაცვლის დადგენამდე, კვლავ მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით შეჩერდა 12\ბ-494-09წ. სამოქალაქო საქმის წარმოება ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე აპელანტ მ. კ-შვილის უფლებამონაცვლის დადგენამდე არა უმეტეს 2009 წლის 19 დეკემბრისა.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 19 დეკემბრის განჩინებით განახლდა ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული სამოქალაქო საქმის 12\ბ-494-ის წარმოება.

2009 წლის 29 დეკემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კვლავ მიმართა განცხადებით მ. კ-შვილის შვილმა შ. ჩ-ძემ საქმის წარმოების შეჩერების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით შეჩერდა 12\ბ-494-09წ. სამოქალაქო საქმის წარმოება, ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე აპელანტის მ. კ-შვილის უფლებამონაცვლის დადგენამდე, არა უმეტეს 2010 წლის 31 მარტისა. ამასთან, განჩინებით განიმარტა, რომ, ვინაიდან მ. კ-შვილის საკუთრებაში ირიცხებოდა ლანჩხუთში, ... ქ.116-ში მდებარე უძრავი ქონება – საცხოვრებელი სახლი, თუკი 2010 წლის 31 მარტისათვის სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი არ იქნებოდა აღნიშნული სამკვიდროს მემკვიდრეთა მიერ მიღების დამადასტურებელი მტკიცებულება, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე, 2010 წლის 31 მარტს, საქმის წარმოების განახლებასთან ერთად, საქმეში სათანადო უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნებოდა მ. კ-შვილის უმკვიდრო ქონების მიმღები სახელმწიფო და სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის სახით მოწვეული იქნებოდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინებით განახლდა სამოქალაქო საქმის წარმოება.

სასამართლო სხდომა დაინიშნა 2010 წლის 20 აპრილს. სხდომაზე მოწვეული იქნენ დაინტერესებული პირები – მ.კ-შვილის პირველი რიგის მემკვიდრე შ. ჩ-ძე და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

პალატამ განმარტა, რომ იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში მ. კ-შვილის მემკვიდრეებს სასამართლოში არ წარმოუდგენიათ რაიმე დამამტკიცებელი მტკიცებულება იმისა, რომ მათ მიიღეს სამკვიდრო, შესაბამისად, ლანჩხუთში, ... ქ.116-ში მდებარე მ.კ-შვილის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონება - საცხოვრებელი სახლი, როგორც უმკვიდრო ქონება, მიჩნეულ უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს საკუთრებად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის განჩინებით ლანჩხუთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებაზე მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეზე, აპელანტის მ. კ-შვილის უფლებამონაცვლედ დაშვებული იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შ. ჩ-ძის წარმომადგენელმა ტ. ა-ავამ.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, მ. კ-შვილს ჰყავს შვილები – კანონიერი მემკვიდრეები, რომელთაგან ერთ-ერთმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო და შ. ჩ-ძეზე გაიცა სამკვიდრო მოწმობა ა\წ 22 მაისს.

ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მითითებით, მ. კ-შვილის სამკვიდრო-საცხოვრებელ ბინა, მდებარე ლანჩხუთში, ... ქ.116-ში, პრივატიზებულია მამკვიდრებლის სახელზე და აღრიცხულია ტექ.ბიუროში. ბინას ადევს ყადაღა თავად მოსარჩელე მხარის მოთხოვნით, აღნიშნული მიზეზების გამო კი სახლი მემკვიდრის სახელზე არ აღრიცხულა.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის აზრით, გასაჩივრებული განჩინებით შეილახა საკუთრების უფლება და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული და გარანტირებული მესაკუთრის ინტერესები. მისივე მითითებით, შ. ჩ-ძე ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა სამკვიდროს, რისი დადასტურებაცაა 2010 წლის 22 მაისს შ. ჩ-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 20 აპრილის განჩინების გაუქმება და სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში მ. კ-შვილის უფლებამონაცვლედ შ. ჩ-ძის ცნობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ჩ-ძის წარმომადგენლის ტ. ა-ავას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სადავო ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობებიდან ერთ-ერთი მხარის



გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით, უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საქმეში მონაწილე მხარის გარდაცვალებით კანონით განსაზღვრული გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს მისი უფლებამონაცვლე, რომელიც განსახილველ დავაში გარდაცვლილი მხარის ადგილს დაიკავებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობით ირკვევა, რომ მ. კ-შვილი გარდაიცვალა 2009 წლის 28 აპრილს.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად «მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ბიუროში შეიტანს განაცხადს სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს მიღებას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო».

კერძო საჩივარზე თანდართულია ნოტარიუს ნ. ჯ-ელის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა, საიდანაც ირკვევა, რომ მ. კ-აშვილის პირველი რიგის მემკვიდრეა შ. ჩ-ძე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან შ. ჩ-ძემ მიიღო სამკვიდრო, შესაბამისად აღარ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის თანახმად ქონების უმკვიდროდ აღიარების და მისი სახელმწიფოზე გადასვლის სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და მ. კ-შვილის უფლებამონაცვლედ განსახილველ საქმეში ჩაებას შ. ჩ-ძე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419, 420 მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შ. ჩ-ძის წარმომადგენლის ტ. ა-ავას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინება.

მოცემულ საქმეში მ. კ-შვილის უფლებამონაცვლედ ჩაბმული იქნას შ. ჩ-ძე და საქმე შემდგომი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სამკვიდროს მიღება; სამკვიდრო მოწმობის გაუქმება**

#### **განჩინება**

1ას-263-244-10

14 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**მ. სულხანიშვილი**

**დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაუქმება**

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 6 ივლისის სარჩელით მომართა თ. შ-იამ, დ. შ-იასა და ნოტარიუს ნ. მ-იას მიმართ სამკვიდრო მოწმობის გაუქმების მოთხოვნით.

მოსარჩელემ განმარტა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფება სამოქალაქო დავა აპელანტ დ. შ-იასა და მოპასუხე თ. შ-იას შორის არსებულ სამკვიდრო დავაზე, სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დ. ბ-შვილის 2006 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება. მოცემულ საქმეზე დავა მიმდინარეობს სამკვიდრო ქონების – მცხეთის რაიონის სოფ. დილოში მდებარე მამკვიდრებელ ს. შ-იას სამკვიდრო ქონებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით სადავო სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობის უფლებით საკუთრებაში გადაეცა თ. შ-იას. მოცემულ პერიოდში სააპელაციო სასამართლოში მიმდინარე არსებითი განხილვის ეტაპზე მოპასუხე დ. შ-იამ წარმოადგინა ქ.თბილისის ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ 2007 წლის 30 აპრილს სადავო ქონებაზე გაცემული მემკვიდრეობის მოწმობა.

მოსარჩელემ მოითხოვა მოცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: **2007 წლის 30 აპრილს** გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში აღწერილ ქონებაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე დავის საგანზე მიმდინარეობს სასამართლო დავა და, შესაბამისად, სადავო ქონება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიეკუთვნა თ. შ-იას.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ სადავო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობა გაცემულია კანონის სრული დარღვევით, კერძოდ: მის მიერ სამკვიდრო მოწმობა გაცემულ იქნა მამკვიდრებლის - მ. შ-იას სახელზე, როდესაც სოფ. დიღმის სადავო ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა მამკვიდრებელ ს. შ-იას. ნოტარიუსმა დაადგინა და გასცა სამკვიდრო მოწმობა იმის შესახებ, რომ თურმე სამკვიდრო ქონება აწ გარდაცვლილ მ. შ-იას ფაქტობრივი ფლობითა და განკარგვით მიღებული ჰქონდა მამკვიდრებელ ს. შ-იასაგან. ნოტარიუსმა მემკვიდრეობის უფლება დაადგინა **5 წლის წინ** გარდაცვლილ პირზე და შემდეგ დ. შ-იას სახელზე გასცა სამკვიდრო მოწმობა, რაც კანონის უხეში დარღვევაა, რადგან მემკვიდრემ სამკვიდრო ქონების მიღებაზე, რომ განაცხადოს თანხმობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1421-ე** მუხლის შესაბამისად, სურვილი უნდა ჰქონდეს მემკვიდრეობის მიღებაზე. ს. შ-ია და მ. შ-ია იყვნენ მეუღლეები, ხოლო ს. შ-იას გარდაცვალების შემდგომ მ. შ-იას არც სამკვიდრო მიუღია და, შესაბამისად, არც სურვილი განუცხადებია მის მიღებაზე. ნოტარიუსს არ ჰქონდა უფლება. გარდაცვლილი პირის სამოქალაქო უფლებაზე ემსჯელა მისი თანხმობის გარეშე, ვინაიდან საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში მამკვიდრებელ მ. შ-იას სახელზე არ ირიცხებოდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დაირღვა სამართლებრივი ფაქტები, რადგან საქმეში სამკვიდროს გახსნის ადგილი და მ. შ-იას სამკვიდროს გახსნის ადგილი არის სხვადასხვა. მოსარჩელემ განმარტა, რომ მ. შ-ია ცხოვრობდა და გარდაიცვალა სოფ. დიღომში, ამდენად სამკვიდროს გახსნის ადგილი არის სოფ. დიღომი და არა ქ.თბილისი, ... ქუჩა **116**, რაც მითითებულია სამკვიდრო მოწმობაში. ამდენად, ნოტარიუს ნ. მ-იას არ ჰქონდა უფლება, გაეცა სამკვიდრო მოწმობა, ვინაიდან სამკვიდროს გახსნის ადგილი არ შედიოდა მის სამოქმედო ზონაში. ასევე განმარტა, რომ სამკვიდროს გაცემის დროისათვის მხარეებს შორის უკვე სასამართლოში მიმდინარეობდა დავა და ნოტარიუსს არ ჰქონდა უფლება, გაეცა სამკვიდროს მოწმობა, ამასთან მოსარჩელეს უკვე მიღებული ჰქონდა სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2008 წლის 26 მარტის** დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. შ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. მ-ია მიერ **2007 წლის 30 აპრილს** მოპასუხე დ. შ-იას სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობა.

აღნიშნული დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა დ. შ-იამ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2008 წლის 23 მაისის** განჩინებით დ. შ-იას საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2008 წლის 26 მარტის** დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმების მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი შეიტანა დ. შ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2008 წლის 9 დეკემბრის** განჩინებით დ. შ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2008 წლის 26 მარტის** დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამავე სასამართლოს **2008 წლის 23 მაისის** განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 29 სექტემბრის** გადაწყვეტილებით თ. შ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ მ. შ-იას სამკვიდრო ქონებაზე დ. შ-იას სახელზე გაცემული - **2007 წლის 30 აპრილის (რეესტრის 12-98)** სამკვიდრო მოწმობა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა დ. შ-იამ და ნოტარიუსმა ნ. მ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 28 იანვრის** განჩინებით დ. შ-იას უარი ეთქვა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ნოტარიუს ნ. მ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009 წლის 29 სექტემბრის** გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თ. და დ. შ-იები არიან ს. შ-იასა და მ. შ-იას შვილები. ს. შ-იას საკუთრებას, საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, წარმოადგენდა თბილისში, სოფელ დიღომში მდებარე უძრავი ქონება და თბილისში, ... ქუჩა, მე-2 შესახვევ **111-ში** მდებარე უძრავი ქონება. ს. შ-ია გარდაიცვალა **1992 წლის 10 ოქტომბერს**, მ. შ-ია კი, **2003 წლის 22 აგვისტოს**. **2004 წლის 2 თებერვალს** თ. შ-იამ სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში დ. შ-იას მიმართ, იმ საფუძველით, რომ, ვინაიდან მას ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვს მამის სამკვიდრო, მცხეთის რაიონის სოფ. დიღომში მდებარე უძრავი ქონება, ხოლო დ. შ-იას მამის სამკვიდროდან მიღებული აქვს ნაწილი, მოითხოვა მამის სამკვიდრო ქონების ნაწილის - მცხეთის რაიონის სოფ. დიღომში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთზე მესაკუთრედ ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2006 წლის 30 მაისის** გადაწყვეტილებით თ. შ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, იგი ცნობილ იქნა მამის სამკვიდრო ქონების - მცხეთის რაიონის სოფ. დიღომში მდებარე საცხოვრებელი

სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, რაც დ. შ-იამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. სასამართლოს მიერ დავის განხილვის პერიოდში, ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ დ. შ-იას სახელზე, მ. შ-იას სამკვიდრო ქონებაზე გაცემულ იქნა 2007 წლის 30 აპრილს სამკვიდრო მოწმობა. თ. შ-იას, დედის სამკვიდრო ქონების მიღების მიზნით სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში განცხადება არ შეუტანია. ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ მ. შ-იას სამკვიდრო ქონებაზე დ. შ-იას სახელზე გაცემული 2007 წლის 30 აპრილის სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე, დ. შ-ია საჯარო რეესტრში აღირიცხა სადავო სახლის – თბილისში, სოფ. დილომში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივ დასაბუთებას, სამოქალაქო კოდექსის 1503-ე, 1469-ე, 1450-ე მუხლების, «ნოტარიატის შესახებ» კანონის 1-ელი, მე-2, 47-ე, მე-8 მუხლების (სანოტარო მოქმედების შესრულების დროს მოქმედი კანონი), «სანოტარო მოქმედებათა წესის შესახებ» ინსტრუქციის მე-6 მუხლის ერთობლიობაში განმარტების შედეგად მიღებულ დასკვნას, კერძოდ, მათი ანალიზი განამტკიცებს ძირითად დებულებას და იმპერატიულს ხდის კანონის მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ დავა, მიმდინარეობს მემკვიდრეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობებზე, სამკვიდრო ქონების გაყოფაზე, რაც ასევე მოიცავს სამკვიდრო ქონების ბათილად ცნობის მოთხოვნასაც და სადავო ფაქტების დადასტურებასაც, განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ და მის გადაწყვეტამდე ნოტარიუსი არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს სანოტარო მოქმედება – გასცეს სამკვიდრო მოწმობა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამკვიდრო მოწმობის გაუქმებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ობიექტურად იმ გარემოების არსებობას, რომ 2007 წლის 30 აპრილის სანოტარო აქტი გაცემულ იქნა მხარეთა შორის სასამართლოში დავის არსებობის პერიოდში და სამკვიდრო მოწმობა გაცა მამის – ს. შ-იას სამკვიდროში შემავალ ქონებაზე, რომელზედაც მემკვიდრეები დავობდნენ.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ნოტარიუს ნ. მ-იასა და მისი წარმომადგენლის – მ. პ-შვილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არ იმსჯელა სამკვიდრო მოწმობის იმ ნაწილის გაუქმებაზე, რამდენადაც იგი უშუალოდ მოსარჩელის ინტერესებს შეეხო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს გაყოფის თაობაზე აღძრული დავის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია სწორედ ის საკითხიც, რომ ის ქონება, რომელზედაც მოცემული სარჩელით სადავო სამკვიდრო მოწმობა იქნა გაცემული, ჩაითვლება თუ არა მ. შ-იას სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებად. ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ 2007 წლის 30 აპრილის (რეესტრის '2-98) სამკვიდრო მოწმობა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ სწორად გააუქმა მთლიანად.

სააპელაციო პალატა ასევე არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას იმ ნაწილში, რომლითაც არ იქნა გაზიარებული მოპასუხე დ. შ-იას მითითება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა დ. შ-იამ და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 221-ე, 227-ე, 228-ე მუხლების მოთხოვნა; არასწორად განმარტა «ნოტარიუსის შესახებ» საქართველოს კანონის 47-ე მუხლის «გ» პუნქტი. პალატამ გამოიყენა სსსკ-ის 1469-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგან საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება ქონების გაყოფის თაობაზე. სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ თ. შ-იამ ფაქტობრივი ფლობით მიიღო მამის სამკვიდრო ქონება სოფ. დილომში. სასამართლომ არ გაითვალისწინა სანოტარო აქტი და სოფ. დილომის საკრებულოს თავმჯდომარის 2005 წლის 14.07. '122 პასუხი მის განცხადებაზე, რაც მოწმობს, რომ ს. შ-იას მეუღლემ კანონიერი მემკვიდრეობის მოწმობითა და ფლობით მიიღო სამკვიდრო, ასევე საქმეში არსებობს გადახდის ქვითარი, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია. მას ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვს სამკვიდრო, სოფ. დილომის უძრავი ქონებაზე.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ საქმეში მოიპოვება ს. შ-იას თანხმობა ... მე-2 შესახვევში მდებარე 111 სახლის მის სახელზე გადაფორმებაზე. დ. შ-იას განმარტებით, სამკვიდრო მოწმობის გაცემა მოწინააღმდეგე მხარისათვის ცნობილი იყო 2005 წელს. ასევე, მისი თქმით, დადგენილია, რომ ს. შ-იას მეუღლე მ. შ-იამ 1993 წლის 1 აპრილს მიიღო სამკვიდრო მოწმობა, რომელიც მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, საკასაციო საჩივარი, შემოწმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე იმის შესახებ, რომ სამკვიდრო მოწმობაში ნოტარიუს ნ. მ-იას მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტები: მ. შ-ია და ს. შ-ია ცხოვრობდნენ თბილისში, ... ქუჩა 16-ის, ბინა 3-ში; მ. შ-იამ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, მიიღო მეუღლის ს. შ-იას სამკვიდრო – სადავო მცხეთის რაიონის სოფ. დილომში მდებარე ქონება, მაგრამ გარდაიცვალა ისე, რომ არ გაიფორმა თავის სამემკვიდრეო უფლებები; დ. შ-ია არის მ. შ-იას პირველი რიგის მემკვიდრე შვილი; მემკვიდრეს სამკვიდრო მიღებული აქვს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით ნოტარიუსთან 2004 წლის 21 თებერვალს განცხადების შეტანის გზით.

აღნიშნული ფაქტების საწინააღმდეგოდ კასატორს არა აქვს შემოტანილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

როგორც ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან, ნოტარიუსმა დაადგინა, რომ მ. შ-იამ, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, მიიღო მეუღლე ს. შ-იას სამკვიდრო – სადავო მცხეთის რაიონის სოფ. დილოში მდებარე ქონება, მაგრამ გარდაიცვალა ისე, რომ არ გაიფორმა თავისი სამემკვიდრო უფლებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სამკვიდროს მიღების წესს, რომლის თანახმად სამკვიდრო მიღებულად ითვლება სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანით ან სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით ან მართვით.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის შინაარსი უკავშირდება მცხეთის რაიონში, სოფ. დილოში მდებარე უძრავ ქონებას. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული წესით უძრავი ნივთის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს უძრავი ნივთების საკუთრების შეძენის წესს. ამდენად, უძრავი ნივთის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში, მასზე საკუთრების უფლების შეძენისათვის აუცილებელია მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რაც არ განხორციელებულა. ამ დანაწესების დაცვის შემთხვევაში მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად.

სადავო სამკვიდრო მოწმობის პერიოდში მოქმედი «სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის ინსტრუქციის» 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ სამკვიდრო უძრავი ქონებაა, ნოტარიუსი ვალდებულია, გამოითხოვოს ამ ინსტრუქციის მე-40-ე მუხლით დადგენილი დოკუმენტაცია. კონკრეტულ შემთხვევაში ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (მითითებული ინსტრუქციის მე-40 მუხლის «ა» ქვეპუნქტი). ამდენად, იმ შემთხვევაშიც, თუ მივიჩნევთ, რომ მ. შ-იას მიღებული ჰქონდა ს. შ-იას სამკვიდრო, ის ფაქტი, რომ მის სახელზე ეს ქონება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, უთითებს იმაზე, რომ მას არ შეუძენია ამ ქონებაზე საკუთრების უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სამკვიდრო მოწმობის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც, კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, მიუთითებს სამკვიდრო მოწმობის გაცემის კანონიერებაზე. ამდენად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. შ-ია საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სამკვიდროს მიღება და გაყოფა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-542-510-2010

2 ნოემბერი, 2010 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობაში, ჩუქების ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანა, მესაკუთრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

დ. შ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ს-იმას, ი., ნ. და ს. შ-ძეების მიმართ სამკვიდრო მოწმობაში, ჩუქების ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის, ასევე სადავო სამკვიდრო ქონების 1/6-ის გარდა ვ. შ-ძის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1972 წელს გარდაიცვალა მოსარჩელის მამა ვ. შ-ძე, რომლის სამკვიდრო ქონებას შეადგენდა ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. მამის გარდაცვალების შემდეგ დ.შ-მემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო. მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ მამის დანატოვარი უძრავი ქონება მთლიანად თავის სახელზე აღრიცხა მოსარჩელის დეიდა – ნ.მ-მემ და აჩუქა დ.შ-ძის და-ძმას – ლ. და ვა. შ-ძეებს. ვა. შ-მემ კი, მოტყუებით დაადებინა ჩუქების ხელშეკრულება ლ. შ-ძეს მისთვის დედის მიერ ნაჩუქარ წილზე. ფაქტობრივად, ნ.მ-ძეს ვ. შ-ძის ქონებიდან ეკუთვნოდა 1/6 წილი, რადგან მამკვიდრებელს ჰყავდა სხვა პირველი რიგის მემკვიდრეებიც. შესაბამისად, მოსარჩელის დედა უფლებამოსილი იყო, გაესხვისებინა მხოლოდ მისი კუთვნილი წილი. ამჟამად სადავო ქონება საკუთრების უფლებით უკანონოდ აღრიცხულია ვა. შ-ძის მემკვიდრეების – მოპასუხეების სახელზე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ სარჩელი დაუსაბუთებელია, ნ.მ-მემ სადავო სამკვიდრო კანონიერად მიიღო, ხოლო მოსარჩელეს მისი მიღების კანონით დადგენილი ვადა გაშვებული აქვს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით დ. შ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, შეტანილ იქნა ცვლილება 1981 წელს გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, სადაც ნ.მ-ძის სამკვიდრო განისაზღვრა მოსარჩელის მამის დანაშთი ქონების თანაბარ წილად – 1/6-ით, ასევე შეტანილ იქნა ცვლილება ბათუმის 12 ნოტარიუსის მიერ გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, ნ.მ-ძესა და ვ.შ-ძეს შორის დადებულ ჩუქების ხელშეკრულებაში, ნ.მ-ძესა და ლ.შ-ძეს შორის დადებულ ჩუქების ხელშეკრულებაში, ნოტარიუს მ.ბ-შვილის მიერ 2000 წლის 27 მაისს დამოწმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში, ნოტარიუს ლ.ც-ძის მიერ 2009 წლის 16 იანვარს გაცემულ სამკვიდრო მოწმობასა და საჯარო რეესტრის მონაცემებში, რომლითაც სადავო ქონების მესაკუთრეებად აღირიცხენ მოსარჩელის ძმის – ვა. შ-ძის პირველი რიგის მემკვიდრეები სადავო ქონების 1/6-ის გამოკლებით და აღნიშნული წილი აღირიცხა დ.შ-ძის, როგორც სამკვიდროს ფაქტობრივი მფლობელის საკუთრებად.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. ს-იმამ, ი., ნ. და ს. შ-ძეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განჩინებით საქმეში მოპასუხედ დაშვებულ იქნა ლ. შ-ძე. ამავე სასამართლოს 2010 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით ი., ნ., ს. შ-ძეებისა და ნ. ს-იმას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და დ. შ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ვ. შ-ძის სამკვიდროდან ნ. მ-ძის მემკვიდრეობის უფლება ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/6 ნაწილზე, როგორც დ. შ-ძის წილზე და შეტანილ იქნა ცვლილება 1981 წლის 24 დეკემბერს ნ.მ-ძის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში, 1989 წლის 25 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში და გამჩუქებელ ნ.მ-ძის მიერ ლ.შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონება ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი ქონების 1/2-ის ნაცვლად, მიეთითა მთლიანი სახლთმფლობელობის 5/12, შეტანილ იქნა ცვლილება 1989 წლის 22 მაისის ჩუქების ხელშეკრულებაში ნ.მ-ძის მიერ ლ.შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონების – ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2-ის ნაცვლად მიეთითა მთლიანი სახლთმფლობელობის 5/12, შეტანილ იქნა ცვლილება 2000 წლის 27 მაისს დამოწმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში და ლ.შ-ძის მიერ ვ.შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონება, ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2-ის ნაცვლად მიეთითა სახლთმფლობელობის 5/12, შეტანილ იქნა ცვლილება საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და ი., ნ., ს. შ-ძეებისა და ნ. ს-იმას საკუთრებად აღირიცხა ქ. ბათუმში, ... ქ.189-ში

მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 5/6 ნაწილი, 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის შესახებ სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: გარდაცვალების მოწმობის თანახმად, ვ. შ-მე გარდაიცვალა 1972 წელს. მისი დანაშთი ქონება მდებარეობს ქ. ბათუმში, ... ქუჩა 189-ში. ვ. შ-მის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ მეუღლე და ხუთი შვილი, მათ შორის დ. შ-მე. ქორწინების მოწმობით, ვ. შ-მე 1927 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ნ. მ-მესთან. ბათუმის მეორე სახელმწიფო კანტორის ნოტარიუსის მიერ გაცემული სანოტარო აქტით, რომ 1981 წელს ნ. მ-მემ მიიღო მეუღლე ვ. შ-მის დანაშთი ქონება ქ. ბათუმში, ... ქ. 189-ში მდებარე ქვის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლთმფლობელობა. ბათუმის საქალაქო საბჭოს კომგანყოფილების ტექნიკური ინჟინერის ბიუროს მიერ გაცემული მოწმობით, 1981 წელს სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა ქ. ბათუმში, ... ქ. 189-ში მდებარე უძრავი ქონება. 1989 წლის 25 იანვარს სანოტარო წესით დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულებით, 1989 წლის 25 იანვარს ნ. მ-მემ ვაჟიშვილ ვა. შ-მეს აჩუქა ქ. ბათუმში, ... ქ. 189-ში მდებარე სახლის 1/2 ნაწილი, რომელზედაც ნ. მ-მეს საკუთრება მიღებული ჰქონდა კანონისმიერი მემკვიდრეობით. ბათუმის სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ 1989 წლის 22 მაისს დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულებით, 1989 წლის 22 მაისს ნ. მ-მემ ქალიშვილ ლ. შ-მეს აჩუქა ქ. ბათუმში, ... ქ. 189-ში მდებარე კანონისმიერი მემკვიდრეობით მიღებული სახლის 1/2 ნაწილი.

თბილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორის მიერ 2000 წლის 27 მაისს დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულებით, ლ. შ-მემ 2000 წლის 27 მაისს ჩუქებით მიღებული საცხოვრებელი სახლის ნაწილი აჩუქა თავის ძმას – ვა. შ-მეს. ამდენად, ვა. შ-მე გახდა ქ. ბათუმში, ... ქ. 189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების მესაკუთრე. საჯარო რეესტრიდან ამონაწერითა და სამკვიდრო მოწმობით, ამჟამად ქ. ბათუმში, ... ქ. 189-ის მესაკუთრეებს წარმოადგენენ ი. შ-მე, ნ. ს-იმა, ნ. და ს. შ-მეები.

მხარეთა განმარტებებით, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული სხვადასხვა სახის ცნობებით, გადასახადების შესახებ ინფორმაციითა და თვით გადახდის ქვითრებით სასამართლომ გამოარკვია, რომ დ. შ-მე მამის გარდაცვალებამდეც და შემდეგაც ცხოვრობდა და ცხოვრობს სადავო მისამართზე და პირველი რიგის მემკვიდრის სტატუსით შეუდგა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ ფლობას. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით – 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობის, მემკვიდრეული ვა. შ-მე გარდაიცვალა 2005 წლის 31 იანვარს, მის პირველი რიგის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ ს., ი. და ნ. შ-მეები, ასევე ნ. ს-იმა. მემკვიდრეობა გაიხსნა მთელ სამკვიდრო ქონებაზე სრულად. სამკვიდრო მოწმობის მიხედვით, სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, ..... ქ. 169 მდებარე 141 ბინა. მემკვიდრეებმა სამკვიდრო ქონება მიიღეს თანაბარწილად თითოეულმა 1/4 ნაწილი.

პალატამ მიიჩნია, რომ ვ. შ-მის სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალებიდან - 1972 წლიდან, რის გამოც ამ პერიოდის ურთიერთობის შეფასებისათვის გამოყენებულ უნდა იქნას იმ დროს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი (1964 წლის რედაქციით). სასამართლომ იხელმძღვანელა დასახელებული კოდექსის 544-ე, 556-ე მუხლებით და ჩათვალა, რომ, როგორც სასარჩელო განცხადებით, ისე სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დ. შ-მის განმარტების შესაბამისად, ვ. შ-მის სამკვიდროს დაეუფლა ყველა პირველი რიგის მემკვიდრე, რის გამოც თითოეულის, მათ შორის, მისი წილი სამკვიდროში განისაზღვრა 1/6-ით.

საქმის მასალებითა და მხარეთა განმარტებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ მამის – ვ. შ-მის გარდაცვალების შემდეგ დღემდე დ. შ-მე ცხოვრობს მამის სამკვიდრო საცხოვრებელ სახლში ბათუმში, ... ქ. 189-ში, სხვა საცხოვრებელი არა აქვს, სხვაგან არასდროს უცხოვრია, აქვეა რეგისტრირებული, რაც დასტურდება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაცემული ცნობებით. ამასთან, იგი აღრიცხულია აბონენტად და იხდის გადასახადებს. გადასახადების გადახდის ქვითრებითა და ცნობებით, მოსაკრებელი ერიცხება ერთ სულზე. მიუხედავად სანოტარო ორგანოში განცხადების წარუდგენლობისა, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელემ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის შესაბამისად, ფაქტობრივი ფლობით მიიღო ვ. შ-მის დანაშთი სამკვიდრო, სადაც მის წილს წარმოადგენდა 1/6 ნაწილი და დღემდე მართავს მას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის, სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია) 75-ე და მე-80 მუხლის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის, მე-4 და 103-ე მუხლების თანახმად, მოქმედებს პრინციპი, რომ მხარემ, რომელიც მტკიცებულებად იყენებს რაიმე დოკუმენტს, უნდა დაამტკიცოს ამ დოკუმენტში დაფიქსირებული ფაქტების ნამდვილობა, თუ აღნიშნული სადავო გახდება.

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოპასუხის მტკიცება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულად მიჩნევის თაობაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან მოსარჩელეს ქონების ფაქტობრივი ფლობა არ შეუწყვეტია. ამჟამინდელი მესაკუთრეები არც წარსულში და არც ახლა ცხოვრობენ სახლში, ისინი ფაქტობრივად არ დაუფლებიან ქ. ბათუმში, ... ქ. 189-ში მდებარე სადავო ქონებას, ხოლო დ. შ-მემ დარღვეული უფლების თაობაზე შეიტყო 2009 წლის მაისში და ამ გარემოების საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულება მოწინააღმდეგე მხარემ ვერ წარმოადგინა.

პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის მოსაზრება, რომ დ. შ-მემ, ჯერ კიდევ უზენაეს სასამართლოში ვ. შ-მესა და ლ. შ-მეს შორის მიმდინარე დავის განხილვისას შეიტყო თავისი დარღვეული

უფლების შესახებ, ვინაიდან აღნიშნული არ დადასტურებულა. დ. შ-მემ თავისი დარღვეული უფლების, კერძოდ, კუთვლილი წილი ქონების ნ. მ-მის სახელზე აღრიცხვისა და მესამე პირზე განკარგვის შესახებ შეიტყო 2009 წლის მაისში საჯარო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სარჩელი კი წარადგინა 2009 წლის ივლისში, ამდენად, იგი წარდგენილია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე და მე-80 მუხლების მოთხოვნათა დაცვით და არ წარმოადგენს ხანდაზმულს. მოსარჩელის მოთხოვნა ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის სამართლებრივ რეჟიმშიცაა მოქცეული, ვინაიდან დავის საგანს ასევე წარმოადგენს 2000 წლის 27 მაისს დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულებასა და 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანა, რომელთა მიმართ გამოყენებული უნდა იქნას 1997 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსი.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქციით) 268-ე, 48-ე მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით, 524-ე და 525-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით და განმარტა, რომ როგორც ადრე, ისე დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით მესაკუთრეს გააჩნია უფლება, თავისუფლად ფლობდეს და განკარგოს მხოლოდ ის ქონება, რაც მის საკუთრებას წარმოადგენს. ვ. შ-მის დანაშთი ქონებიდან 1/6 წარმოადგენდა რა დ. შ-მის მიერ მიღებულ სამკვიდროს და მის საკუთრებას, ნ. მ-მეს უფლება არ ჰქონდა, აღნიშნული ნაწილი თავის წილად მიღებულ სამკვიდრო ქონებად აღერიცხა და შემდგომში ჩუქების გზით განეკარგა.

სამოქალაქო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, მართალია, საქმის მასალებით დადგენილია, რომ ვ. შ-მის დანაშთი ქონება თანაბარწილად მიიღო ექვსმა მემკვიდრემ, მათ შორის, დ. შ-მემ, მაგრამ, რადგან მოცემულ დავაში დ. შ-მე სხვა მემკვიდრეთა წარმომადგენელი არ არის, ამასთან, მისივე განმარტებით, დადგენილია, რომ იგი დაეუფლა ვ. შ-მის დანაშთი ქონებიდან მხოლოდ 1/6 ნაწილს, პალატამ მიიჩნია, რომ მას უფლება აქვს, იდავოს მხოლოდ თავის წილ ქონებასთან დაკავშირებით დარღვეული უფლების შესახებ და მოითხოვოს ცვლილებების შეტანა სამკვიდრო მოწმობებსა და ჩუქების ხელშეკრულებებში მხოლოდ მისი 1/6 -ის გათვალისწინებით.

1981 წლის 24 დეკემბერს ნ. მ-მის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში აწ გარდაცვლილი ვ. შ-მის სამკვიდროდან მისი წილი განისაზღვრა არასწორად, რის გამოც უზუსტო ჩანაწერი უნდა გაუქმდეს და ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/6 ნაწილზე, როგორც დ. შ-მის წილზე, ნ. მ-მის მემკვიდრეობის უფლება ბათილად უნდა იქნას ცნობილი, ვინაიდან ნ. მ-მემ ვ. შ-მის დანაშთი ქონებიდან დ. შ-მის მიერ მიღებული სამკვიდრო 1/6 ნაწილი თავის წილად მიღებულ სამკვიდრო ქონებად აღრიცხა და შემდგომ ჩუქების გზით განეკარგა ისე, რომ აღნიშნულზე დ. შ-მე წინასწარ არ დათანხმებულა.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ცვლილება უნდა შევიდეს 1989 წლის 25 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში და გამჩუქებელ ნ. მ-მეს ლ. შ-მისათვის ნაჩუქარი ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 ნაწილის ნაცვლად უნდა მიეთითოს მთლიანი სახლთმფლობელობის 5/6-ის 1/2, ანუ 5/12 ნაწილი, ასევე უნდა იქნეს შეტანილი ცვლილება 1989 წლის 22 მაისის ჩუქების ხელშეკრულებაში და გამჩუქებელ ნ. მ-მის მიერ, ლ. შ-მისათვის ნაჩუქარი ქონება, ნაცვლად ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 ნაწილისა, უნდა მიეთითოს მთლიანი სახლთმფლობელობის 5/6 ნაწილის 1/2, ანუ 5/12 ნაწილი. პალატის მოსაზრებით, ნ. მ-მის მიერ ლ. შ-მისათვის ნაჩუქარი ქონება შეადგენდა არა ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2-ს, არამედ ამ ქონების 5/12-ს და სწორედ ამ ოდენობის ქონების მესაკუთრე გახდა ლ. შ-მე ჩუქების ხელშეკრულების მეშვეობით, ამდენად, მას უფლება ჰქონდა, თავისი წილი საკუთრება განეკარგა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ჩუქების ხელშეკრულება ბათილია ლ.შ-მის მიერ ზედმეტი ოდენობით იმ ქონების განკარგვის ნაწილში, რაც დ. შ-მის ნაწილსაც მოიცავდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა 2000 წლის 27 მაისს დამოწმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ნაწილობრივ საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და გამჩუქებელ ლ. შ-მის მიერ ვა. შ-მისათვის ნაჩუქარო ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 ნაწილის ნაცვლად, მიეთითოს მთლიანი სახლთმფლობელობის 5/12.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1328-ე, 1421-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ, ვინაიდან ნ. მ-მისა და ლ. შ-მის მიერ ჩუქების ხელშეკრულებათა საფუძველზე ვა. შ-მეს გადაეცა ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 5/12 და 5/12, ანუ სულ – 5/6 ნაწილი, ვა. შ-მის მემკვიდრეები მხოლოდ ამ ქონების მესაკუთრეებს წარმოადგენენ. საჯარო რეესტრის ჩანაწერებში კი ი. შ-მე, ნ. ს-იმა, ნ. და ს. შ-მეები, როგორც ვა. შ-მის მემკვიდრეები ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების თანამესაკუთრეებად არიან აღრიცხული, ამდენად, პალატამ ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანის თაობაზე ნაწილობრივ საფუძვლიანია და დ. შ-მის 1/6-ის გათვალისწინებით, ლ. შ-მის, ნ. ს-იმა, ნ. და ს. შ-მეების თანასაკუთრეებად უნდა აღრიცხოს ქ. ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 5/6.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ვინაიდან სამკვიდრო მოწმობის მიხედვით სამკვიდრო ქონებას

წარმოადგენდა ქ.თბილისში, ..... ქ.'69-ში მდებარე 141 ბინა. ამასთან, სამკვიდრო მოწმობით განისაზღვრა მემკვიდრეთა წრე და მათი წილი სამკვიდროში, ხოლო ქ.ბათუმში, ... ქ.'89-ში მდებარე უძრავ ნივთზე უფლება კონკრეტულად არ დადგენილა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ.შ-მისათვის სადავო სამკვიდროდან 1/6-ის მიკუთვნების ნაწილში ნ. ს-იმამ, ი., ნ. და ს. შ-ძეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს გასაჩივრებული ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: დ. შ-მის მამა მამკვიდრებელი ვ. შ-ძე გარდაიცვალა 1972 წელს და, შესაბამისად, სარჩელი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 1964 წლის რედაქციით. სამკვიდრო მოწმობაც და ჩუქების ხელშეკრულებაც შედგენილია 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედებისას და მოქმედი სამოქალაქო კოდექსით მათ შეფასებზე მხარეებს თანხმობა არ განუცხადებიათ. არც სასარჩელო განცხადებით და არც მასზე დართული მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ მოსარჩელემ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის შესაბამისად, მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად. ამდენად, მან სამკვიდროს მიღების ვადა ჯერ კიდევ დედის, აწ გარდაცვლილ ნ. შ-მის სიცოცხლეშივე გაუშვა. აღსანიშნავია, რომ 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსი ჩუქების ხელშეკრულების ბათილობას საერთოდ არ იცნობდა. სასამართლომ დ. შ-მის მიერ სამკვიდროს მიღება დაასაბუთა 1964 წლის რედაქციის 75-ე, მე-80, 268-ე და 556-ე მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 1997 წლის რედაქციის 170-ე, 524-ე, 525-ე, 1328-ე, 1336-ე და 1421-ე მუხლებით, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება. დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან, მოსარჩელის განმარტებით, იგი ცხოვრობდა და ცხოვრობს სადავო სახლთმფლობელობაში, ამდენად, უნდა სცოდნოდა უძრავი ნივთის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ არასწორად განმარტა 1964 წლის რედაქციის სამოქალაქო კოდექსის 75-ე და მე-80 მუხლები. დ. შ-ძემ სარჩელში მითითებული სადავო გარემოებების თაობაზე შეიტყო ჯერ კიდევ 2009 წლის თებერვალში, სარჩელი კი აღძრა ივნისში, ანუ ხანდაზმულობის ვადა მან დაარღვია. თავად მოსარჩელის მიერ, სარჩელში აღნიშნული და სასამართლოს მიერ აღიარებული უდავო ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, რომ დედამ, აწ გარდაცვლილმა ნ. შ-ძემ სამკვიდრო მიიღო 1981 წელს და გააჩუქა 1989 წელს, ანუ 6 თვის შემდგომ. ამდენად, მას სამოქალაქო კოდექსის 1964 წლის რედაქციის მოთხოვნები არ დაურღვევია, ნ.შ-ძეს სრული უფლება გააჩნდა, განეკარგა კუთვნილი ქონება. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ დ. შ-ძე უწყვეტად ფლობდა სამკვიდრო ქონებას, რაც საქმეში თავად დ. შ-მის მიერ წარმოდგენილი საბინაო წიგნით დგინდება, სადაც მითითებულია, რომ ის გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა ქ.მოსკოვში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დ.შ-მის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს დ. და ლ. შ-ძეებმაც, მოითხოვეს მითითებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ ვერ დაასაბუთა, თუ რა საფუძვლით უნდა მიეკუთვნოს დ. შ-ძეს მთლიანი ქონების 1/6 და არა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი 5/6 ნაწილი, მაშინ, როცა დ. შ-ძე მამის, ვ. შ-მის, გარდაცვალებიდან დღემდე უწყვეტად, ფაქტობრივად ფლობდა სადავო ქონებას. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები დ. შ-მის მხრიდან, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის თაობაზე როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, თუმცა არასწორად განსაზღვრა დ.შ-მის წილი, რითაც უგულებელყო მისი მხრიდან მთლიანი სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის ფაქტი. მცდარია სასამართლოს მითითება დ. შ-მის განმარტებაზე, რომ ის დაეუფლა ვ. შ-მის დანაშთი ქონებიდან მხოლოდ 1/6-ს, რადგან დ. შ-ძეს მსგავსი განმარტება პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის არ მიუცია, ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება და სარჩელშიც დაფიქსირებულია მისი მოთხოვნა მთლიანი ქონების 5/6 ნაწილის მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა – ს. ჩ-ძემ და დ. ჟ-ანმა განიხილეს დ. შ-მის სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე – 2000 წლის 27 მაისის ჩუქების ხელშეკრულების ბათილობაზე, რაც პალატის ხსენებულმა მოსამართლეებმა არ დააკმაყოფილეს. პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დ. შ-ძე საცხოვრებლად არასდროს არსად გადასულა, იგი მეცნიერ-მუშაკია და სამეცნიერო მივლინებებით, მოგზაურობდა სხვადასხვა ადგილებში, თუმცა აღნიშნული არ მიუთითებს, რომ მან მიატოვა სამკვიდროს ფლობა, მართვა და აწ უწყვეტად არ ფლობდა სამკვიდრო ქონებას. სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის შესაბამისად, ქონების ფაქტობრივი ფლობა შეიძლება სხვადასხვა გზით განხორციელდეს. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის სამკვიდრო სახლში ცხოვრება ყოველთვის განიხილება, როგორც სამკვიდროს მიღება გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის უარს არ განაცხადებს მის მიღებაზე. რამდენადაც მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა გარდაცვლილის ნივთების ფლობას მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ, მის სახლში მემკვიდრის ცხოვრების ხანგრძლივობას მნიშვნელობა აღარ აქვს. დ. შ-მის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით არ დაუდგენია. სასამართლოს დასკვნები ამ მიმართებით



ემყარება დ. შ-ძის მუდმივი რეგისტრაციის ფაქტს, ის ჩაწერილია და დღემდე ცხოვრობს ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში და სხვა საცხოვრებელი ადგილი არ ჰქონია. გადასახადების გადახდის ქვითრებით და შესაბამისი ცნობებით უტყუარად დასტურდება, რომ აღნიშნულ სახლში, დ. შ-ძის გარდა, არავინ ცხოვრობდა და ცხოვრობს, ყველა მოსაკრებელი ერიცხება ერთ სულს, თუმცა, ლ.შ-ძეს მამისეული სახლი არ მიუტოვებია და დ. შ-ძის სამეცნიერო მივლინებებში გამგზავრებისას უვლიდა მას. ლ. შ-ძემ აღიარა, რომ დ. შ-ძე ვ. შ-ძის გარდაცვალების დღიდან ფაქტობრივად და უწყვეტად ფლობდა და დღემდე ფლობს სამკვიდროს – ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე ბინას, ხოლო მოპასუხეები არც წარსულში და არც ამჟამად, არ ცხოვრობენ სადავო სახლში და ფაქტობრივად არ დაუფლებიან ზემოაღნიშნულ ქონებას.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, რადგან მისი მითითებით, ნ. მ-ძეს ვ. შ-ძის დანაშთი ქონებიდან უნდა მიეღო მხოლოდ თავისი წილი, რომლის განკარგვის უფლებაც მას ჰქონდა. მოცემული მსჯელობის მიხედვით, ნ. მ-ძის 1/6 გადაეცა ვ. შ-ძეს, თუმცა გაუგებარია, სააპელაციო სასამართლომ რა მტკიცებულების საფუძველზე მიიჩნია, რომ ვ. შ-ძის სახელზე აღირიცხა სადავო ქონების 5/6 ნაწილი, თუკი ვ. შ-ძეს ჩუქებით მხოლოდ 1/6 ნაწილი ერგო.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორია საპროცესო ხარჯების ნაწილშიც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ დააკისრა კასატორ დ. შ-ძეს 4166 ლარი, რაც უკანონოა. კასატორი დ. შ-ძე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში. იგი წარმოადგენს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პიროვნებას, შესაბამისად, სარეიტინგო ქულების საფუძველზე იგი გათავისუფლებულ იქნა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ანუ, სააპელაციო პალატამ სახელმწიფო ბაჟის გადახდა დააკისრა ადამიანს, რომელიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. შ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად, ნ. ს-იმას, ი., ნ. და ს. შ-ძეების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დ. შ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ – დ. შ-ძისათვის ქ. ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მიკუთვნების ნაწილში დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავის შეიცავს. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად კი, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და გამონაკლისებით. დასახელებული ნორმების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLVIII თავი არ შეიცავს ამა თუ იმ ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმას, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, გამოიყენოს ურთიერთობის მარეგულირებელი ის ნორმა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია ქვემდგომი ინსტანციის მიერ საქმის განხილვა-გადაწყვეტისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). დასახელებული ნორმის თანახმად, სასამართლო სარჩელს (საკასაციო საჩივარს) დატოვებს განუხილველად ან შეწყვეტს საქმის წარმოებას იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვისას გაირკვა, რომ არ არსებობს მისი წარმოებაში მიღების ესა თუ ის პირობა, ამასთან მითითებული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი – საქმის წარმოების შეწყვეტა ან საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვება გამომდინარეობს საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილით ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია რა უფლების სასამართლო წესით დაცვა, საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. მოცემულ შემთხვევაში ლ. შ-ძის საკასაციო მოთხოვნას წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და დ. შ-ძის სარჩელის დაკმაყოფილება. ამასთან, დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 თებერვლის განჩინებით ლ. შ-ძე დ. შ-ძის სარჩელზე მოპასუხედ იქნა დაშვებული. ლ. შ-ძის საკასაციო მოთხოვნიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მას პრეტენზია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მისი უფლებებისა და ვალდებულებების დადგენის ნაწილში არ გააჩნია, შესაბამისად, იგი საკასაციო საჩივრის სუბიექტს არ წარმოადგენს და მისი საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო პალატამ კანონის მოთხოვნათა დაცვით დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ სამართლებრივად არასწორად შეაფასა, კერძოდ:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს, გასაჩივრებული ჩუქების ხელშეკრულებების სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილობის თაობაზე გამჩუქებელთა – ნ. მ-ძისა და ლ. შ-ძის მიერ ზედმეტი ოდენობით იმ ქონების განკარგვის ნაწილში, რაც დ. შ-ძის ნაწილსაც მოიცავდა. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დ. შ-ძის წილი სამკვიდრო ქონებაში არასწორად განისაზღვრა, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მამკვიდრებელი ვ. შ-ძე გარდაიცვალა 1972 წელს. ვ. შ-ძის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ მეუღლე ნ. მ-ძე და ხუთი შვილი, მათ შორის დ. შ-ძე. 1981 წელს ნ. მ-ძემ მიიღო მეუღლე ვ. შ-ძის დანაშთი ქონება – ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. დ. შ-ძე მამის გარდაცვალებამდე და შემდეგაც ცხოვრობდა და ცხოვრობს სადავო მისამართზე და პირველი რიგის მემკვიდრის სტატუსით შეუდგა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივ ფლობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას, რომ ვ. შ-ძის სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალებიდან – 1972 წლიდან, რის გამოც ამ პერიოდის ურთიერთობა უნდა შეფასდეს იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით (1964 წლის რედაქციით). აღნიშნული კოდექსის 556-ე მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტიურად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ ვ. შ-ძის სამკვიდრო მიიღო ორმა პირველი რიგის მემკვიდრემ – მეუღლე ნ. მ-ძემ სანოტარო ორგანოს მიერ გაცემული მემკვიდრეობის მოწმობით და დ. შ-ძემ ფაქტობრივი ფლობით. მოცემულ საქმეში სხვა მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღება სასამართლოს არ დაუდგენია და სამკვიდროს მიღების ფაქტი, გარდა დ. შ-ძისა და ვა. შ-ძის მემკვიდრეებისა, სადავოდ არავის გაუხდია. ამდენად, სამკვიდრო მიღებულია რა ორი თანაბარი უფლებების მემკვიდრის მიერ, სამკვიდრო მათ შორის თანაბრად უნდა განაწილდეს, ვინაიდან სამკვიდროს მიღების დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 568-ე მუხლით სამკვიდრო ქონების გაყოფა ხდება სამკვიდროს მიღები მემკვიდრეების შეთანხმებით, იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დ. შ-ძის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს 1989 წლის 25 იანვრის, 1989 წლის 22 მაისის და 2000 წლის 27 მაისის ჩუქების ხელშეკრულებებში, 1981 წლის 24 დეკემბრის და 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობებში შემდეგი სახის ცვლილებების შეტანით: შეტანილ იქნეს ცვლილება 1981 წლის 24 დეკემბერს ნ. მ-ძის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში და ნ. მ-ძე ცნობილ იქნეს ვ. შ-ძის სამკვიდრო ქონების 1/2-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ (რეესტრში რეგისტრაციით '13598'); შეტანილ იქნეს ცვლილება 1989 წლის 25 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით '291') და გამჩუქებლის ნ. მ-ძის მიერ ვ. შ-ძისათვის ნაჩუქარი, ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი ქონების 1/2-ის ნაცვლად, მიეთითოს მთლიანი სახლმფლობელობის 1/4 ნაწილი; შეტანილ იქნეს ცვლილება 1989 წლის 22 მაისის ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით '1873') ნ. მ-ძის მიერ ლ. შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონების – ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2-ის ნაცვლად მიეთითოს მთლიანი სახლმფლობელობის 1/4; შეტანილ იქნეს ცვლილება 2000 წლის 27 მაისის დამოწმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით '2-371') და გამჩუქებლის – ლ. შ-ძის მიერ ვ. შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონების, ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2 ნაწილის ნაცვლად, მიეთითოს სახლმფლობელობის 1/4 ნაწილი; შეტანილ იქნეს ცვლილება 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობაში (სანოტარო აქტი, რეესტრში რეგისტრაციით '2-2') და ვ. შ-ძის პირველი რიგის მემკვიდრეები – ი., ნ., ს. შ-ძეები და ნ. ს-იმა ცნობილ იქნენ ვ. შ-ძის სამკვიდრო ქონების – ქ.ბათუმში, ... ქ.189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მემკვიდრეებად; აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს საჯარო რეესტრის მონაცემებში.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ნ. ს-იმას, ი., ნ. და ს. შ-ძეების საკასაციო საჩივრის არგუმენტს, რომ დ. შ-ძეს სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს, რაც ადასტურებს მის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვებას. როგორც ზემოთ აღნიშნა, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია ფაქტობრივი გარემოება დ. შ-ძის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების თაობაზე და ეს ფაქტი დასაბუთებულია საქმეში არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია(შედავება).

უსაფუძვლოა კასატორთა მოსაზრება დ. შ-ძის სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელე დ. შ-ძემ დარღვეული უფლების თაობაზე შეიტყო 2009 წლის მაისში და ამ გარემოების საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულება მოწინააღმდეგე მხარემ ვერ წარმოადგინა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული კასატორთა მითითება, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა, დ. შ-ძის მიერ სამკვიდრო ქონების უწყვეტად ფლობის ფაქტი, ვინაიდან იგი ცხოვრობდა ქ.მოსკოვში. მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამკვიდროს დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით მიღებას, რაც წარმოშობს სამკვიდროზე საკუთრების უფლებას, ხოლო ამ უფლებაზე გავლენას ვერ ახდენს ნივთის უწყვეტი ფლობა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს დ. შ-ძის საკასაციო საჩივრის არგუმენტებს, რომ ვ. შ-ძის სამკვიდრო ნ. მ-ძეს არ მიუღია, სადავო სახლში მხოლოდ თვითონ ცხოვრობდა და, შესაბამისად, სამკვიდროც მხოლოდ მან მიიღო. გადაწყვეტილების კვლევით დასაბუთებულია სადავო სამკვიდროს ორი მემკვიდრის მიერ მიღების ფაქტი, რის საწინააღმდეგოს მტკიცებას საკასაციო საჩივარი არ შეიცავს და მისი დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ დ. შ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილში უნდა გაუქმდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :**

- ნ. ს-იმას, ი., ნ. და ს. შ-ძეების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- დ. შ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- ლ. შ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
- გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
- დ. შ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
- შეტანილ იქნეს ცვლილება 1981 წლის 24 დეკემბერს ნ. მ-ძის სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში (რეესტრში რეგისტრაციით 113598) და ნ. მ-ძე ცნობილ იქნეს ვ. შ-ძის სამკვიდრო ქონების 1/2-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ;
- შეტანილ იქნეს ცვლილება 1989 წლის 25 იანვრის ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით 1291) და გამჩუქებლის ნ. მ-ძის მიერ ვ. შ-ძისათვის ნაჩუქარი, ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი ქონების 1/2-ის ნაცვლად, მიეთითოს მთლიანი სახლმფლობელობის 1/4 ნაწილი;
- შეტანილ იქნეს ცვლილება 1989 წლის 22 მაისის ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით 11873) ნ. მ-ძის მიერ ლ. შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონების – ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2-ის ნაცვლად მიეთითოს მთლიანი სახლმფლობელობის 1/4;
- შეტანილ იქნეს ცვლილება 2000 წლის 27 მაისის დამოწმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციით 12-371) და გამჩუქებლის – ლ. შ-ძის მიერ ვ. შ-ძისათვის ნაჩუქარი ქონების, ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ნივთის 1/2 ნაწილის ნაცვლად, მიეთითოს სახლმფლობელობის 1/4 ნაწილი;
- შეტანილ იქნეს ცვლილება 2009 წლის 16 იანვრის სამკვიდრო მოწმობაში (სანოტარო აქტი, რეესტრში რეგისტრაციით 12-2) და ვ. შ-ძის პირველი რიგის მემკვიდრეები – ი., ნ., ს. შ-ძეები და ნ. ს-იმა ცნობილ იქნენ ვ. შ-ძის სამკვიდრო ქონების – ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 ნაწილის მემკვიდრეებად;
- შეტანილ იქნეს ცვლილება საჯარო რეესტრის ჩანაწერებში და ი., ნ., ს. შ-ძეებისა და ნ. ს-იმას საკუთრებად აღირიცხოს ქ. ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 ნაწილი;
- ქ.ბათუმში, ... ქ189-ში მდებარე მთლიანი უძრავი ქონების 1/2 ნაწილი აღირიცხოს დ. შ-ძის საკუთრებად;
- საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სამკვიდროს გაყოფა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

1ას-724-679-2010

7 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სამკვიდროდან წილის მიკუთვნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ბ-მის კანონიერმა წარმომადგენელმა ც. ც-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ბ-მის მიმართ ნოტარიუს დ. ხ-შვილის მიერ 2001 წლის 14 ივნისს გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და ქ. ქუთაისში, ... ქ<sup>15</sup>-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2-ის მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1994 წლის 3 ნოემბერს გარდაიცვალა ვ. ბ-მის ბაბუა ა. ბ-მე. მისი სამკვიდრო უძრავი ქონება – ქ. ქუთაისში, ... ქ<sup>15</sup>-ში მდებარე ბინა მიიღეს პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრეებმა: მეუღლე ლ. ბ-მემ და შვილმა – თე. ბ-მემ. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის შესაბამისად, მიღებული სამკვიდრო ჩაითვალა მათ საკუთრებად მემკვიდრეობის გახსნის დღიდან, ანუ თითოეული მათგანის საკუთრებას წარმოადგენდა სამკვიდრო ქონების 1/2, თუმცა მათ ეს უფლება საჯარო რეესტრში არ დაურეგისტრირებიათ. 1999 წლის 4 დეკემბერს გარდაცვლილი თე. ბ-მის პირველი რიგის კანონისმიერმა მემკვიდრეებმა: დედა ლ. ბ-მემ და შვილებმა ასევე მიიღეს თ. ბ-მის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით და თითოეული მათგანი გახდა ამავე სამკვიდროს შესაბამისი წილის მესაკუთრე, თუმცა არც ამ შემთხვევაში სამკვიდროში შემავალ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში არ დარეგისტრირებულა. ამდენად, 2001 წლის 14 ივნისს ლ. ბ-მის სახელზე კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ა. ბ-მის მთელ სამკვიდრო ქონებაზე უკანონოდ გაიცა, ვინაიდან ლ. ბ-მეს ეკუთვნოდა ა. ბ-მის სამკვიდრო ქონების 1/2 ნაწილი. აღნიშნულს უნდა დამატებოდა თე. ბ-მის სამკვიდროს 1/3.

თ. ბ-მემ, როგორც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირმა, ამავე საფუძვლებითა და მოთხოვნით ლ. ბ-მის წინააღმდეგ მიმართა სასამართლოს.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირმა – დ. ს-მემ ასევე მიმართა სასამართლოს სარჩელით, მოითხოვა 2001 წლის 14 ივნისს გაცემულ კანონისმიერ სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანა და ა. ბ-მის სამკვიდროდან 1/2 წილის მიკუთვნება.

მოპასუხე ლ. ბ-მემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: თ. ბ-მეს მამის სამკვიდრო არ მიუღია, ამასთან, ა. ბ-მის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო გაიხსნა სადავო სახლის 1/2-ზე, რადგან აღნიშნული ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ვ. ბ-მის კანონიერი წარმომადგენლის – ც. ც-მის სარჩელი, ასევე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირების – თ. ბ-მისა და დ. ს-მის სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. ს-მემ, ვ. და თ. ბ-მეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის განჩინებით დ. ს-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. ამავე პალატის 2010 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით ვ. და თ. ბ-მეების სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა ვ. და თ. ბ-მეების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. და თ. ბ-მეების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. ბ-მე ცნობილ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ<sup>15</sup>-ში მდებარე ა. ბ-მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/8-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ვ. ბ-მე ცნობილ იქნა ქ. ქუთაისში, ... ქ<sup>15</sup>-ში მდებარე ა. ბ-მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 1/8-ის მემკვიდრედ და მესაკუთრედ, შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი ლ. ბ-მის სახელზე გაცემულ 153 სამკვიდრო მოწმობაში შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 1994 წლის 3 ნოემბერს გარდაიცვალა მამკვიდრებელი ა. ბ-მე, რომელიც 1956 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ლ. ბ-მესთან. მამკვიდრებლის საკუთრებას წარმოადგენდა ქ. ქუთაისში, ... ქ<sup>15</sup>-ში მდებარე უძრავი ქონება. საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სადავო უძრავი ქონება ა. ბ-მემ ექსპლუატაციაში მიიღო 1967 წელს, ანუ მეუღლეების ლ. და ა. ბ-მეების ერთად ცხოვრების პერიოდში. ამდენად, ქ. ქუთაისში, ... ქ<sup>15</sup>-ში მდებარე ქონება წარმოადგენდა მამკვიდრებელ ა. ბ-მისა და მისი მეუღლე ლ. ბ-მის საერთო საკუთრებას, რაც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მამკვიდრებელ ა.ბ-ძის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო გაიხსნა მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების წილზე. ა. და ლ. ბ-ძეებს ჰყავდათ ორი შვილი დ. ს-ძე და თე. ბ-ძე. თე. ბ-ძე 1979 წლიდან არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ც. ც-ძესთან, რომელთანაც ჰყავდა ორი შვილი – ვ. და თ. ბ-ძეები. 1999 წლის 4 დეკემბერს თე. ბ-ძე გარდაიცვალა. გარდაცვალების სააქტო ჩანაწერში თე. ბ-ძის საცხოვრებელ ადგილად მითითებულია ქ.ქუთაისი, ... ქ.15. თე. ბ-ძე დაიბადა, გაიზარდა და გარდაიცვალა ქ.ქუთაისში, ... ქ.15-ში, იგი მუშაობდა და პერიოდულად იმყოფებოდა რუსეთში. საქართველოში ყოფნისას იგი მეუღლესა და შვილებთან ერთად ცხოვრობდა ქ.ქუთაისში, ... ქ.15-ში. თ.ბ-ძის საქართველოში არყოფნის პერიოდშიც მისი შვილები - თ. და ვ. ბ-ძეები და მეუღლე ც. ც-ძე მუდმივად ცხოვრობდნენ სადავო ბინაში. პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავია, ნაწილი მოწმეების განმარტავს, რომ თე. ბ-ძე მამის გარდაცვალებიდან 4 თვეში დაბრუნდა საცხოვრებელ სახლში და ფაქტობრივი ფლობით მიიღო მამის სამკვიდრო, ნაწილის განმარტებით კი, თე. ბ-ძე მამის გარდაცვალებისას საქართველოში არ იმყოფებოდა და დაბრუნდა დაახლოებით 5 წლის შემდეგ, გარკვეული პერიოდი იცხოვრა სადავო სახლში, ჩაუტარა მას რემონტი და აქვე გარდაიცვალა. ა. ბ-ძეს გარდაცვალების შემდეგ დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე - ლ. ბ-ძე, დ. ს-ძე და თ.ბ-ძე. დ.ს-ძეს სამკვიდროს მიღებაზე ეთქვა უარი ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის გამო და ამ ნაწილში გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1151-ე, 1339-ე მუხლებით და მიუთითა, რომ 1967 წელს ა. ბ-ძემ სადავო უძრავი ქონება მიიღო ექსპლუატაციაში მეუღლეთა – ა. და ლ. ბ-ძეების თანაცხოვრებისა და რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში, რის გამოც, ლ.ბ-ძე ამ ქონების თანამესაკუთრეა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ ა. ბ-ძის გარდაცვალების დროს სამკვიდრო გაიხსნა სადავო უძრავი ქონების 1\2 წილზე.

სამოქალაქო კოდექსის 1319-ე, 1330-ე, 1328-ე, 1306-ე, 1307-ე, 1421-ე მუხლების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან თე. ბ-ძე დაიბადა და ცხოვრობდა ქ.ქუთაისში, ... ქ.15-ში, არ გააჩნდა სხვა საცხოვრებელი და გარდაცვალების დროსაც ამავე მისამართზე ცხოვრობდა. ამდენად, მან მამის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო. აღნიშნული მსჯელობა ემყარება სამოქალაქო კოდექსის 155-ე და 168-ე მუხლების დანაწესებს. სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 166-ე მუხლების მიხედვით, პირის მიერ ნივთის ფლობის ფაქტობრივი გარემოება შეიძლება დადასტურდეს როგორც მოწმეთა ჩვენებებით, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავია, ისე სხვა წერილობითი მტკიცებულებებით. პალატამ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ქ.ქუთაისის მერიის ძეგლქვიანის ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემულ 2000 წლის 8 ივნისის '585 ცნობაზე, რომლის თანახმად მოქალაქე თ. ბ-ძე 1999 წლამდე ცხოვრობდა ქუთაისში, ... ქ.15-ში და გარდაცვალების აქტის ჩანაწერზე, რომ თ. ბ-ძე მუდმივად ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, ... ქ.15-ში. სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუ პირი დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს ფლობდა ნივთს, ივარაუდება მისი მფლობელობა დროის შუა პერიოდშიც და ამ ვარაუდის საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ფლობის უწყვეტობა დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს. პალატის მოსაზრებით, თე. ბ-ძის მიერ სადავო ნივთის ფლობა მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე და თავად თ. ბ-ძის გარდაცვალების დროისათვის დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებაა, ამდენად, პალატამ მის მიერ ნივთის ფლობა დროის შუა მონაკვეთშიც კანონის ზემოაღნიშნული დათქმიდან გამომდინარე პრეზუმირებულად მიიჩნია, საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი, კი მოწინააღმდეგე მხარეს დააკისრა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამკვიდრო მასას წარმოადგენდა ქ. ქუთაისში, ... ქ.15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1\2. ა. ბ-ძეს დარჩა სამი თანაბარი რიგის მემკვიდრე: მეუღლე – ლ. ბ-ძე, შვილები – დ. ს-ძე და თე. ბ-ძე. მათგან სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღეს მხოლოდ ლ. და თე. ბ-ძეებმა. თითოეულის წილი ა. ბ-ძის სამკვიდროდან შეადგენს მთელი ქონების 1\4-ს. ა. ბ-ძეს მის სამკვიდროზე ანდერძი არ დაუტოვებია. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ თე. ბ-ძის მიერ ფაქტობრივი დაუფლებით მიღებული სამკვიდროდან – მთელი სადავო უძრავი ქონების 1\4 წილიდან, მოსარჩელე ვ. და თ. ბ-ძეებს უნდა მიეკუთვნოთ თითოეულს 1\8 წილი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ლ. ბ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1424-ე მუხლებით და დაედგინა, მიიღო თუ არა თ.ბ-ძემ მამის სამკვიდრო კანონით დადგენილი წესისა და ვადის დაცვით. ვ. და თ. ბ-ძეებმა ვერც ერთი ინსტანციის სასამართლოში ვერ წარადგინეს იმის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, რომ თე. ბ-ძე მამის – ა. ბ-ძის გარდაცვალებიდან, ანუ 1994 წლის 30 ნოემბრიდან ექვს თვეში დაეუფლა მის სამკვიდროს და პრეტენზია განაცხადა მასზე.

სასამართლომ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი და თე. ბ-ძისაგან სამკვიდროს ფლობა დაასაბუთა ამავე კოდექსის 165-ე-168-ე მუხლების, თე. ბ-ძის გარდაცვალების ცნობაში მითითებული მისამართისა და ასევე იმ გარემოების საფუძველზე, რომ თ. ბ-ძე მშობლების სახლში დაიბადა და გაიზარდა. ხსენებული ნორმები მოცემული დავის გადაწყვეტისას პალატას არ უნდა გამოეყენებინა, რადგან სამემკვიდრეო ურთიერთობები რეგულირდება სპეციალური ნორმებით, რაც მითითებულია სამოქალაქო

კოდექსის მეექვსე წიგნში. ამასთან, აღნიშნული მუხლების გამოყენების შემთხვევაშიც, სასამართლოს სწორად უნდა განესაზღვრა დრო, რომლის დასაწყისსა და ბოლოს ნივთის ფლობა შეიძლება ჩათვლილიყო სამკვიდროს ფლობად, კერძოდ, საანგარიშო პერიოდად უნდა მიეჩნია სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით დადგენილი სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადა და არა თ.ბ-ძის მთელი სიცოცხლე, რადგან სწორედ სამკვიდროს გახსნიდან ექვს თვეში უნდა განხორციელდეს მემკვიდრის მიერ ფაქტობრივი ფლობა, ხოლო დანარჩენ დროს, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1424-ე მუხლებით, მნიშვნელობა არ ენიჭება. სასამართლომ გამოიყენა რა სამოქალაქო კოდექსის 165-ე-168-ე მუხლები და დადასტურებულად ჩათვალა თ.ბ-ძის მიერ სამკვიდროს ფლობის განხორციელება, დაასკვნა, რომ ფლობა ფაქტია და არა უფლება, თუ ეს ასეა სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2, 380-ე და 377-ე მუხლების დარღვევით, გადაწყვეტილება დააფუძნა ისეთ ფაქტებსა და არგუმენტებს, რომლებზეც აპელანტი არ უთითებდა და ამ ფაქტებთან დაკავშირებით არ მოისმინა კასატორის არგუმენტები.

სასამართლომ არასწორად განსაზღვრა თ. და ვ. ბ-ძეების წილი, რა დროსაც არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი, ვინაიდან სასამართლომ ჩათვალა, რომ თ. ბ-ძემ მიიღო მამის სამკვიდრო, მისი გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო უნდა გაყოფილიყო არა ორ ნაწილად შვილებზე – თ. და ვ. ბ-ძეებზე, არამედ სამ ნაწილად, შვილებსა და დედაზე, რადგანაც დედა შვილების თანასწორი პირველი რიგის მემკვიდრეა.

სასამართლომ ასევე არასწორად განსაზღვრა სამკვიდროს ოდენობაც, რადგან ა. ბ-ძის სამკვიდრო მთელი ქონების 1\2 უნდა განაწილდეს სამ მემკვიდრეზე, მეუღლესა და ორ შვილზე და არა მხოლოდ მეუღლესა და ერთ შვილზე, როგორც ეს სასამართლომ განახორციელა. პალატამ ვერ მიუთითა მტკიცებულებაზე, რომლითაც დადასტურდება, რომ თე. ბ-ძე მუშაობდა და პერიოდულად იმყოფებოდა რუსეთში. მან დაასკვნა, რომ თ. ბ-ძე დაიბადა, გაიზარდა და გარდაიცვალა ქ.ქუთაისში, ... ქ.15-ში, მაგრამ არ გამოუკვლევიან, სად ცხოვრობდა იგი ზრდასრულ ასაკში. დავის გადაწყვეტისათვის სწორედ ამ პერიოდს ჰქონდა მნიშვნელობა და ამ პერიოდში თე. ბ-ძის ქუთაისში ყოფნის ფაქტი სასამართლომ ვერ დაადგინა საქმეში შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის გამო.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვ. და თ. ბ-ძეების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო პალატამ კანონის მოთხოვნათა დაცვით დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ სამართლებრივად არასწორად შეაფასა, კერძოდ:

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ 1994 წლის 3 ნოემბერს გარდაიცვალა მამკვიდრებელი ა. ბ-ძე, რომელიც 1956 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ლ. ბ-ძესთან და მათ თანასაკუთრებას წარმოადგენდა ქ. ქუთაისში, ... ქ. 15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად ცნო, რომ მამკვიდრებელ ა. ბ-ძის სამკვიდრო ქონებას წარმოადგენდა ქ. ქუთაისში, ... ქ.15-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 1\2. ა. ბ-ძეს დარჩა სამი თანაბარი რიგის მემკვიდრე: მეუღლე - ლ. ბ-ძე, შვილები – დ. ს-ძე და თე. ბ-ძე.

საკასაციო სასამართლო სრულიად ეთანხმება სააპელაციო პალატის სამართლებრივ შეფასებასა და დასკვნას, რომ ა. ბ-ძის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღეს მხოლოდ ლ. და თე. ბ-ძეებმა და თითოეულის წილი ა. ბ-ძის სამკვიდროდან შეადგენს მთელი ქონების 1\4-ს და ამ ნაწილში არ იზიარებს საკასაციო პრეტენზიას უსაფუძვლობის გამო, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ასეთ პრეტენზიად ვერ იქნება მიჩნეული კასატორის მითითება მოწმეთა ჩვენებების შეფასების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს სადავო დასკვნა

თე. ბ-მის მიერ ა. ბ-მის ფაქტობრივი ფლობით მიღების თაობაზე ემყარება როგორც მოწმეთა ჩვენებებს, ასევე საქმეში არსებული სხვა წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევასა და ურთიერთშეჯერებას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ თე. ბ-მე სამკვიდრო უნდა გაყოფილიყო არა ორ ნაწილად შვილებზე – თ. და ვ. ბ-ძეებზე, არამედ სამ ნაწილად, შვილებსა და დედაზე, რადგანაც დედა შვილების თანასწორი პირველი რიგის მემკვიდრეა.

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან პირველ რიგში გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). ამავე კოდექსის 1452-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თე. ბ-მის სამკვიდრო უნდა გაიყოს სამ თანაბარ ნაწილად თანასწორი უფლების მემკვიდრეებს – ლ., ვ. და თ. ბ-ძეებს შორის, შესაბამისად, უნდა შეიცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვ. და თ. ბ-ძეების სარჩელი დაკმაყოფილების ნაწილში შემდეგნაირად: თ. ბ-მე ცნობილ იქნეს ა. ბ-მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების ქ. ქუთაისში, ... ქუჩა 15-ში მდებარე 1/12 წილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ. ვ. ბ-მე ცნობილ იქნეს ა. ბ-მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების ქ. ქუთაისში, ... ქუჩა 15-ში მდებარე 1/12 წილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება ლ. ბ-მის სახელზე გაცემულ 153 სამკვიდრო მოწმობაში.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

ლ. ბ-მის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 მაისის გადაწყვეტილება ვ. და თ. ბ-ძეების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

ვ. და თ. ბ-ძეების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, თ. ბ-მე ცნობილ იქნეს ა. ბ-მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების ქ. ქუთაისში, ... ქ. 15-ში მდებარე 1/12 წილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ, ვ. ბ-მე ცნობილ იქნეს ა. ბ-მის სახელზე რიცხული უძრავი ქონების ქ. ქუთაისში, ... ქუჩა 15-ში მდებარე 1/12 წილზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება ლ. ბ-მის სახელზე გაცემულ 153 სამკვიდრო მოწმობაში.

საკასაციო პალატის განწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სამკვიდროს მიღება**

#### **განჩინება**

1ას-877-825-2010

28 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

**ვ. როინიშვილი,**

**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა, თანამემკვიდრედ ცნობა, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ხ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ხ-შვილის, ნოტარიუს მ. ჟ-იასა და დ. ჩ-მის მიმართ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელების, ქ. თბილისში, ... ქ. 134-ში მდებარე, ნ. ჩ-მის დანაშთ ქონებაზე თანამემკვიდრედ ცნობის, ვ. ხ-შვილსა და დ. ჩ-მეს შორის 2008 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა მოსარჩელის დედა – მამკვიდრებელი ნ. ჩ-მე, რომლის სახელზე ირიცხებოდა ქ. თბილისში, ... ქ. 134-ში მდებარე ბინა. სამკვიდროს გახსნის დროს თ. ხ-შვილმა გართულებული ორსულობის, შემდეგ კი ჩვილის ჯანმრთელობის გაუარესების გამო, კანონით დადგენილ ვადაში სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მისაღებად ვერ მიმართა. აღნიშნულით ისარგებლა მამამისმა – ვ. ხ-

შვილმა, შეცდომაში შეიყვანა ნოტარიუსი, როგორც ნ. ჩ-ძის ერთადერთმა მემკვიდრემ მიიღო მთლიანი სამკვიდრო და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადასცა დ. ჩ-ძეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. ვ. ხ-შვილის განმარტებით, თ. ხ-შვილი ცნობილ უნდა იქნეს უღირს მემკვიდრედ. იგი წლების განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდა მშობლებს, აყენებდა შეურაცხყოფას, რაც დასტურდება საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი აქტით. ამასთან, სამკვიდრო მოიცავს სადავო ქონების 1/2-ს, რადგან თავად ვ. ხ-შვილი გარდაცვლილ მეუღლესთან ერთად თანამესაკუთრეს წარმოადგენდა. ნ. ჩ-ძე გარდაცვალებამდე დაავადებული იყო ონკოლოგიური სენით და მისთვის საჭირო მკურნალობის ხარჯები გადახდილ იქნა დ. ჩ-ძის მამის მიერ. აღნიშნული დანახარჯი შეადგენს სადავო ბინის ღირებულების 1/2-ზე მეტს, შესაბამისად, სადავო ქონება აღარ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ხ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ამ უკანასკნელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინებით თ. ხ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: აპელანტმა მამკვიდრებელ ნ. ჩ-ძის გარდაცვალებიდან კანონით დადგენილ ექვსი თვის ვადაში – 2007 წლის 8 იანვარს (სამკვიდროს გახსნიდან 2007 წლის 17 ივლისიდან – ექსთვნიანი ვადა ამოიწურა 2008 წლის 17 იანვარს) სამკვიდროს მისაღებად განცხადებით მიმართა ნოტარიუს ნ. ჯ-ელს. ამავე ნოტარიუსის 2008 წლის 16 დეკემბრის დადგენილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ ქონება, რომელზეც განმცხადებელი ითხოვდა სამკვიდრო მოწმობის გაცემას, მამკვიდრებლის სახელზე არ აღმოჩნდა – 2008 წლის 28 იანვარს გაცემული იყო სამკვიდრო მოწმობა ვ. ხ-შვილის სახელზე. მოსარჩელის განმარტებით, ნ. ჯ-ელი არ აღმოჩნდა სათანადო ნოტარიუსი, თუმცა აღნიშნული არ გამომდინარეობს უარის თქმის დადგენილებიდან.

პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენით თ. ხ-შვილმა გამოხატა ნება დედის სამკვიდროს მიღების თაობაზე და მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არა ნ. ჯ-ელი სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს, თ. ხ-შვილის მიერ სამკვიდრო მიღებულად ჩათვლება. ნოტარიუს ნ. ჯ-ელის 2008 წლის 2 დეკემბრის დადგენილებით თ. ხ-შვილს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, ვინაიდან სამკვიდრო მოწმობა საჯარო რეესტრის მონაცემებით უკვე გაცემული იყო ვ. ხ-შვილის სახელზე. საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას, აპელანტის განმარტებით, იგი განცხადების მიმართვის შემდეგ აგროვებდა სამკვიდრო მოწმობის გაცემისათვის საჭირო დოკუმენტებს, რამაც განაპირობა მხოლოდ 2008 წლის 2 დეკემბერს ნოტარიუსის მიერ დადგენილების მიღება.

სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1424-ე, 1421-ე და 1336-ე მუხლები, რადგან სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენით თ. ხ-შვილმა გამოხატა ნება დედის სამკვიდროს მიღების თაობაზე და მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არა ნ. ჯ-ელი სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსს, თ. ხ-შვილის მიერ სამკვიდრო მიღებულად ჩათვალა. პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, რომ ვ. ხ-შვილმა განკარგა მემკვიდრეობით მიღებული ქონება 2008 წლის 24 ოქტომბრის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე და საკუთრების უფლება სადავო ნივთზე გადასცა დ. ჩ-ძეს, ანუ სადავო პერიოდში სამკვიდრო ქონება გასული იყო მემკვიდრის – ვ. ხ-შვილის საკუთრებიდან და სადავო უძრავ ნივთზე სამისდღეშიო ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრის მონაცემებით მესაკუთრეს წარმოადგენდა დ. ჩ-ძე. პალატამ აღნიშნა, რომ დ. ჩ-ძეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა საკუთრების უფლება სარჩენის კუთვნილ ნივთზე და იგი ასრულებს მისთვის ხელშეკრულებით დაკისრებული რჩენის ვალდებულებას. ამრიგად, განსახილველ შემთხვევაში მხარეებმა მიიღეს გარიგების იურიდიული შედეგები. საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება მოჩვენებითი გარიგებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი – გარიგების შედეგების არარსებობა და ამ გარიგებით გამოწვეული შედეგის მიმართ განზრახვის არქონა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ მოპასუხეთა შორის დადებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა, რაც სადავო უძრავი ნივთის 1/2-ზე თ. ხ-შვილის საკუთრების უფლების აღიარებას გამორიცხავდა. პალატის მითითებით, აპელანტს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების თაობაზე სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მისი სამართლებრივი შეფასება სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ გაუხდია.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 941-ე, 942-ე მუხლებით და დაასკვნა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების იურიდიული შედეგი შემდეგია: სარჩენი გადასცემს ქონებას მარჩენალს, ეს უკანასკნელი კი ვალდებულია, არჩინოს იგი სიცოცხლის ბოლომდე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. მოცემული სასარჩელო განცხადებით მოსარჩელე ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვდა ამავე კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოჩვენებითობის საფუძველით. პალატამ საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებებით დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ჩ-ძე ასრულებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, საწინააღმდეგო



მტკიცებულებები კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, მოსარჩელებს არ წარმოუდგენიათ, შესაბამისად, დასაბუთებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სადავო უძრავი ნივთის 1/2-ზე თ. ხ-შვილის საკუთრების უფლების აღიარების საფუძველები არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება თ. ხ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არასწორად განმარტა სამართლის ნორმები. უპირველესად, დადასტურებულად უნდა იქნეს მიჩნეული ფაქტობრივი გარემოება, რომ თ. ხ-შვილმა გამოხატა დედის – ნ. ჩ-ძის სამკვიდროს მიღების ნამდვილი ნება. პალატამ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ვ. ხ-შვილმა გაასხვისა, განკარგა მემკვიდრეობით მიღებული ქონება და 2008 წლის 24 ოქტომბრის ხელშეკრულებით სადავო ნივთზე საკუთრების უფლება გადასცა დ. ჩ-ძეს. აღნიშნული გარიგება დაიდო სადავო ქონებაზე ვ. ხ-შვილის საკუთრების უფლების მოსპობის, დ. ჩ-ძისათვის მისი გადაცემისა და ამ უკანასკნელის კეთილსინდისიერ შემძენად მიჩნევის მიზნით. სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მხარეთა მიერ გარიგების იურიდიული შედეგის მიღება და თუნდაც გარიგების პირობების შესრულება გარიგების დადების მომენტისათვის მისი შესაბამისი შედეგის მიღების განზრახვის არარსებობას არ გამორიცხავს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს იმავე სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ დავაზე გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეულია კანონი, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნ. ჩ-ძე გარდაიცვალა 2007 წლის 17 ივლისს. მისმა მეუღლემ – ვ. ხ-შვილმა 2008 წლის 28 იანვარს გაცემული სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე ნ. ჩ-ძის სამკვიდრო ქონება – ქ. თბილისში, ... ქ. 134-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრში აღრიცხა თავის საკუთრებაში, ხოლო 2008 წლის 24 ოქტომბრის სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების უფლება სადავო ნივთზე გადასცა დ. ჩ-ძეს. დედის – ნ. ჩ-ძის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენით თ. ხ-შვილმა გამოხატა ნება სამკვიდროს მიღების თაობაზე, რის გამოც თ. ხ-შვილის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო, ხოლო ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. მითითებული ნორმების შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, თ. ხ-შვილი მემკვიდრეობის მიღებით სამკვიდრო ქონებაში მისი წილის მესაკუთრე გახდა მემკვიდრეობის გახსნის დღიდან – 2007 წლის 17 ივლისიდან. ამავედროულად დადგენილია, რომ თ. ხ-შვილს თავისი საკუთრების უფლება არავისთვის გადაუცია და მასზე ვინმეს სასარგებლოდ უარი არ უთქვამს. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი მოქმედების განხორციელება საკმარისია სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენისათვის, რაც ამავე კოდექსის 1433-ე მუხლით ავტომატურად იწვევს მემკვიდრისათვის სამკვიდროს მესაკუთრის სტატუსის დადგენას.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ: სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინება სამკვიდრო ქონებიდან თ. ხ-შვილის წილზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე დააფუძნა იმ ფაქტს, რომ რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე სამკვიდრო ქონება გადაცემული ჰქონდა დ. ჩ-ძეს, რაც გამორიცხავს თ. ხ-შვილის საკუთრების უფლების აღიარებას სადავო უძრავი ნივთის ნაწილზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, თ. ხ-შვილს მიღებული ჰქონდა რა სამკვიდრო ქონება, წარმოეშვა საკუთრების უფლება და მისი უფლება დარღვეული იქნა ვ. ხ-შვილის მიერ მისი ქონების განკარგვით. სააპელაციო სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 941-ე, 942-ე მუხლებით და დაასკვნა, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან სარჩენმა ვ. ხ-შვილმა რეალურად გადასცა მარჩენალს უძრავი ნივთი. სააპელაციო

სასამართლომ იმავდროულად მიუთითა, რომ მოსარჩელე თ. ხ-შვილი ხელშეკრულების ბათილობას ითხოვდა რა სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული მოჩვენებითობის საფუძველით, ასეთი საფუძველი საქმის მასალებით არ დგინდება.

აღსანიშნავია, რომ თ. ხ-შვილი საქმეში წარმოდგენილი სარჩელით უთითებს რა ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე – სადავო სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით თავისი უფლებების დარღვევაზე, რჩენის ხელშეკრულების ბათილად ცნობას ითხოვს შემდეგი საფუძველით: ხელშეკრულების გაფორმების მომენტში ვ. ხ-შვილი არ წარმოადგენდა სათანადო მესაკუთრეს და ამის შესახებ ცნობილი იყო დ. ჩ-ძისათვის; იგი თ. ხ-შვილის ბიძაშვილია და მისთვის ცნობილი იყო არსებული მდგომარეობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის «თ» ქვეპუნქტი ავალდებულებს მოსარჩელეს, სარჩელში მიუთითოს იმ სამართლებრივ საფუძველებზე, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს, თუმცა ასეთის მიუთითებლობა ან ფაქტობრივი გარემოებების არასწორი სამართლებრივი შეფასება არ შეიძლება იყოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. მხარის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტულ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმასთან შესაბამისობის დადგენა სასამართლოს უფლებაცაა და ვალდებულებაც.

დავის სამართლებრივი შეფასებისას მოსამართლე სრულიად დამოუკიდებელია, განსხვავებით პროცესის ფაქტობრივ საფუძველებზე მუშაობისაგან და არ არის შეზღუდული დისპოზიციურობის ან შეჯიბრებითობის პრინციპებით.

შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ, აღძრან თუ არა დავა სასამართლოში, როგორ წარმართონ ან როგორ დაასრულონ იგი. მათ ასევე შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, საქმის რომელი ფაქტობრივი გარემოებები მოახსენონ და რომელი მტკიცებულებები წარუდგინონ სასამართლოს. მხარეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და მოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება კი მხოლოდ მოსამართლის პრეროგატივაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების შესრულებასთან ერთად მხარეებმა მოსამართლეს უნდა მოახსენონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც მხარე თავის მოთხოვნას ამყარებს და მოთხოვნის შინაარსი. მიზანშეწონილია, თუ მხარეები მოთხოვნის იმ სამართლებრივ საფუძველზეც – ნორმაზე მიუთითებენ, რომელსაც მათი მოთხოვნა ან, შესაბამისად, შესაგებელი ემყარება, თუმცა ეს არ არის შემზღუდავი სასამართლოსათვის და არც გავლენას ახდენს დავის შედეგზე. მოსამართლისათვის სავალდებულო არ არის მხარეთა მოსაზრებები, თუ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად რა სამართლებრივი საფუძველი უნდა იქნეს გამოყენებული და არც კანონის იმპერატიული დათქმაა, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება დაეფუძნოს მხარეთა მიერ მითითებულ მოთხოვნის საფუძველს. მაშინაც კი, თუ მხარეები განსაზღვრულ საკითხებთან მიმართებით არასწორ ან არამყარ სამართლებრივ პოზიციას ირჩევენ, თუ საქმის მასალებზე დაყრდნობით და სხვაგვარი დასაბუთებით კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, მოსამართლეს სხვა გზის არჩევის უფლება აქვს. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სამოსამართლო საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სამართლის სუბიექტთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად და ეფექტურად დაცვას.

მოცემულ დავაში სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით თ.ხ-შვილმა მიიღო სამკვიდრო, მაგრამ მასზე საკუთრების უფლება ვერ მოიპოვა, ვინაიდან ქონება გასხვისებულია რჩენის ხელშეკრულებით, ხოლო ეს ხელშეკრულება ვერ გაბათილდება, ვინაიდან მოსარჩელის მიერ დასახელებული საფუძველი – სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების მოჩვენებითი ხასიათი არ დგინდება.

ზემოთ მითითებული სასარჩელო განცხადებიდან ამონარიდით დასტურდება, რომ მოსარჩელე სადავოდ მიიჩნევს ვ. ხ-შვილის საკუთრების უფლებას ამავე პირის მიერ განკარგულ ნივთზე. ეს გარემოება – ვ. ხ-შვილის უფლების ნაკლი ნივთზე – იკვეთება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებითაც. სასამართლოს მიერ ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენით დასტურდება კანონით დადგენილი წესის დარღვევა. მხარის მიერ უფლების დარღვევის არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია უფლების დაცვაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს საკმარის ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას, რაც მისი გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მოპასუხეთა შესაგებლის ფარგლებში უნდა გამოარკვიოს სადავო რჩენის ხელშეკრულების სუბიექტთა უფლებამოსილების საკითხი; ასევე, შეფასება უნდა მისცეს სადავო ნივთის შემქმნის – დ.ჩ-ძის მიერ ნივთის შექმნის კანონიერებას კეთილსინდისიერების თვალსაზრისით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## დაადგინა:

თ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 12. სამკვიდროს მიღების ვადა

### განჩინება

1ას-596-560-2010

7 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, უძრავი ქონების წილზე საკუთრების უფლების აღიარება, სამკვიდრო წილის მიკუთვნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 10 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. ვ-მემ მოპასუხე გი. ვ-ძის მიმართ 2004 წლის 26 მარტს ნოტარიუს თ. ბ-ძის მიერ გი. ვ-ძის სახელზე გაცემული 12-8 სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობის, ქ.თბილისში, ... ქ.15-ში მდებარე უძრავი ქონების 1/2 ანუ 4/8 წილზე აწ გარდაცვლილი ლ. ვ-ძის საკუთრების უფლების აღიარებისა და ზემოაღნიშნული უძრავი ქონების 2/8 წილზე მოსარჩელის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ, რადგან ზემოხსენებული უძრავი ქონება წარმოადგენდა მისი მშობლების, გრ. ვ-ძისა და ლ. ვ-ძის, თანასაკუთრებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1339-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო გრ. ვ-ძის გარდაცვალების, 2000 წლის 18 ივლისის, შემდეგ უნდა გახსნილიყო უძრავი ქონების მხოლოდ 1/2 წილზე, რადგან თანასაკუთრებიდან 1/2 წილი ეკუთვნოდა გარდაცვლილის მეუღლე ლ. ვ-ძეს. შესაბამისად 2004 წლის 26 მარტს სამკვიდრო მოწმობა მთლიანი სახლის 7/8 წილზე გი. ვ-ძის სახელზე არ უნდა გაცემულიყო, რადგან ლ. ვ-მემ უარი განაცხადა მხოლოდ სამკვიდროდან თავის წილზე გი. ვ-ძის სასარგებლოდ. თავდაპირველად იყო ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე გ., გი., ე. და ლ. ვ-ძეები. ე. ვ-მემ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე. თავად მოსარჩელე გ. ვ-მემ კი, მიიღო 1/8 წილი სამკვიდროდან. ლ. ვ-ძე გარდაიცვალა 2008 წლის 24 თებერვალს. რადგან ე. ვ-მემ კვლავ არ განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე 6 თვის ვადაში და არც ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდროს, დარჩა პირველი რიგის ორი მემკვიდრე მოსარჩელე და მოპასუხე გი. ვ-ძე, ამიტომ ლ. ვ-ძის სამკვიდრო თანაბრად ეკუთვნოდა მათ, კერძოდ, ზემოხსენებული უძრავი ქონების 1/2 ანუ 4/8 ნაწილიდან 2/8 თითოეულ მათგანს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით გ. ვ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ვ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 იანვრის განჩინებით გ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2000 წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა გრ. ვ-ძე. გარდაცვალების დროისათვის მის საკუთრებაში ირიცხებოდა ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე უძრავი ქონება;

2. გრ. ვ-ძეს დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე – მეუღლე ლ. ვ-ძე, რომელთანაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა 1946 წლის 16 ივლისიდან, ასევე შვილები გ., გი. და ე. ვ-ძეები;

3. 2002 წლის 1 ოქტომბერს სასამართლოში გ. ვ-ძის სარჩელთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმეზე მხარეებს შორის შედგა მორიგება, რომლის თანახმადაც, მოპასუხეებმა გამოთქვეს თანხმობა 2003 წლის 1 აპრილამდე შეუძინონ მოსარჩელე გ. ვ-ძეს ერთოთახიანი იზოლირებული ბინა თბილისის ნებისმიერ

რაიონში, რის სანაცვლოდაც გ. ვ-დემ უარი განაცხადა ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე გრ. ვ-ძის სამკვიდროდან წილზე და მასში შესახლებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ ვადაში გ. ვ-ძეს ბინით არ დააკმაყოფილებდნენ, გრ. ვ-ძის სამკვიდროს 1/4, რაც მთლიანი სახლის 1/8-ს შეადგენდა, აღირიცხებოდა გ. ვ-ძის საკუთრებად საჯარო რეესტრში. დამტკიცებული მორიგების პირველი პირობის მოპასუხეების მიერ შეუსრულებლობის გამო, გ. ვ-ძე აღირიცხა ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე სახლის 1/8-ის მესაკუთრედ;

4. 2004 წლის 26 მარტს ნოტარიუს თ. ბ-ძის მიერ მამკვიდრებელ გრ. ვ-ძის პირველი რიგის მემკვიდრის – გი. ვ-ძის სახელზე გაიკა სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც იგი ცნობილ იქნა იმ დროისათვის გრ. ვ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონების – ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების 7/8-ის მემკვიდრედ, რის საფუძველზეც აღირიცხა ზემოაღნიშნული წილის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში;

5. ზემოაღნიშნული სამკვიდრო მოწმობის გაცემისას, 2004 წლის 26 მარტს, ლ. ვ-დემ სანოტარო წესით დამოწმებული ცალმხრივი გარიგების საფუძველზე თანხმობა განაცხადა, რომ მისმა შვილმა გი. ვ-დემ მიიღოს მამისა და ლ. ვ-ძის მეუღლის, გრ. ვ-ძის, სამკვიდრო ქონება, კერძოდ, საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში. მან უარი განაცხადა აღნიშნული ქონების მიღებაზე გი. ვ-ძის სასარგებლოდ. ასევე დადგენილია, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ლ. ვ-ძე ფაქტობრივად დაეუფლა გრ. ვ-ძის დანაშთ სამკვიდრო ქონებას;

6. ლ. ვ-ძე გარდაიცვალა 2008 წლის 24 თებერვალს;

7. გრ. ვ-ძის ერთ-ერთი მემკვიდრეს – ე. ვ-ძეს სამკვიდროდან წილი არ მიუღია და არც რაიმე პრეტენზიას აცხადებს სამკვიდრო ქონებაზე;

8. 2008 წლის 9 ოქტომბერს ნოტარიუს თ. ბ-ძის მიერ გ. ვ-ძის სახელზე გაცემულ იქნა ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობა 12-45, რომლითაც იგი ცნობილ იქნა მამკვიდრებელ ლ. ვ-ძის მემკვიდრედ;

9. ლ. ვ-ძეს პრეტენზია არ გამოუთქვამს გრ. ვ-ძის სამკვიდროში შემავალი ... ქ. 15-ში მდებარე სახლის 7/8 წილის მისი ვაჟის, გი. ვ-ძის, სახელზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით;

10. ლ. ვ-ძე მეუღლის გარდაცვალებამდე გამოხატავდა ნებას სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ვაჟის სასარგებლოდ გადაცემასთან დაკავშირებით. 2004 წლის 26 მარტს მან გამოავლინა ნება ... ქ. 15-ში მდებარე უძრავ ნივთზე მისი მხრიდან პრეტენზიის არარსებობისა და საკუთრების უფლების გი. ვ-ძის სასარგებლოდ გადაცემასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლ. ვ-ძე, როგორც გრ. ვ-ძესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი და ... 15-ში მდებარე უძრავი ნივთის თანამესაკუთრე, ასევე როგორც გრ. ვ-ძის პირველი რიგის მემკვიდრე (მეუღლე) უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა კუთვნილი წილის დარეგისტრირება საჯარო რეესტრში, რაც მას არ განუხორციელებია. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ლ. ვ-ძეს გარდაცვალების მომენტისთვის სამართლებრივი კავშირი შეწყვეტილი ჰქონდა სადავო ბინის მიმართ, რადგან იგი მეუღლის გარდაცვალებამდე გამოხატავდა ნებას სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გი. ვ-ძის სასარგებლოდ გადაცემასთან დაკავშირებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ზემოაღნიშნული განჩინება გ. ვ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, არასწორია სასამართლოს მტკიცება იმის შესახებ, რომ ლ. ვ-ძის გარდაცვალების მომენტისთვის მის საკუთრებას არ წარმოადგენდა სადავო ბინის ნაწილი, არ შედიოდა მის სამკვიდროში და, შესაბამისად, არ გააჩნია კასატორს იურიდიული ინტერესი. საკასაციო საჩივრის თანახმად, ასევე არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ ლ. ვ-ძე მეუღლის გარდაცვალებამდე გამოხატავდა ნებას სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გი. ვ-ძის სასარგებლოდ გადაცემასთან დაკავშირებით, რადგან საქმეში არ მოიპოვება არავითარი მტკიცებულება, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდნენ ამ ფაქტს. კასატორის განმარტებით, სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლები არ უნდა გამოეყენებინა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა, განიხილა საკასაციო საჩივარი და მიიჩნია, რომ გ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2000 წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა გრ. ვ-ძე. გარდაცვალების დროისათვის მის საკუთრებაში ირიცხებოდა ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე უძრავი ქონება;

2. გრ. ვ-ძეს დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე – მეუღლე ლ. ვ-ძე, რომელთანაც იგი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა 1946 წლის 16 ივლისიდან, ასევე შვილები გ., გი. და ე. ვ-ძეები;

3. 2002 წლის 1 ოქტომბერს სასამართლოში გ. ვ-ძის სარჩელთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმეზე მხარეებს შორის შედგა მორიგება, რომლის თანახმადაც, მოპასუხეებმა გამოთქვეს თანხმობა 2003 წლის 1 აპრილამდე შეუძინონ მოსარჩელე გ. ვ-ძეს ერთობაშიანი იზოლირებული ბინა თბილისის ნებისმიერ

რაიონში, რის სანაცვლოდაც გ. ვ-მემ უარი განაცხადა ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე გრ. ვ-ძის სამკვიდროდან წილზე და მასში შესახლებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ ვადაში გ. ვ-ძეს ბინით არ დააკმაყოფილებდნენ, გრ. ვ-ძის სამკვიდროს 1/4, რაც მთლიანი სახლის 1/8-ს შეადგენდა, აღირიცხებოდა გ. ვ-ძის საკუთრებად საჯარო რეესტრში. დამტკიცებული მორიგების პირველი პირობის მოპასუხეების მიერ შეუსრულებლობის გამო, გ. ვ-ძე აღირიცხა ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე სახლის 1/8-ის მესაკუთრედ;

4. 2004 წლის 26 მარტს ნოტარიუს თ. ბ-ძის მიერ მამკვიდრებელ გრ. ვ-ძის პირველი რიგის მემკვიდრის - გი. ვ-ძის სახელზე გაიკა სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც იგი ცნობილ იქნა იმ დროისათვის გრ. ვ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონების - ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების 7/8-ის მემკვიდრედ, რის საფუძველზეც აღირიცხა ზემოაღნიშნული წილის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში;

5. ზემოაღნიშნული სამკვიდრო მოწმობის გაცემისას, 2004 წლის 26 მარტს, ლ. ვ-მემ სანოტარო წესით დამოწმებული ცალმხრივი გარიგების საფუძველზე თანხმობა განაცხადა, რომ მისმა შვილმა გი. ვ-მემ მიიღოს მამისა და ლ. ვ-ძის მეუღლის, გრ. ვ-ძის, სამკვიდრო ქონება, კერძოდ, საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში. მან უარი განაცხადა აღნიშნული ქონების მიღებაზე გი. ვ-ძის სასარგებლოდ. ასევე დადგენილია, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ლ. ვ-ძე ფაქტობრივად დაეუფლა გრ. ვ-ძის დანაშთ სამკვიდრო ქონებას;

6. ლ. ვ-ძე გარდაიცვალა 2008 წლის 24 თებერვალს;

7. გრ. ვ-ძის ერთ-ერთი მემკვიდრეს - ე. ვ-ძეს სამკვიდროდან წილი არ მიუღია და არც რაიმე პრეტენზიას აცხადებს სამკვიდრო ქონებაზე;

8. 2008 წლის 9 ოქტომბერს ნოტარიუს თ. ბ-ძის მიერ გ. ვ-ძის სახელზე გაცემულ იქნა ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მოწმობა 12-45, რომლითაც იგი ცნობილ იქნა მამკვიდრებელ ლ. ვ-ძის მემკვიდრედ;

9. ლ. ვ-ძეს პრეტენზია არ გამოუთქვამს გრ. ვ-ძის სამკვიდროში შემავალი ... ქ. 15-ში მდებარე სახლის 7/8 წილის მისი ვაჟის, გი. ვ-ძის, სახელზე რეგისტრაციასთან დაკავშირებით;

10. ლ. ვ-ძე მეუღლის გარდაცვალებამდე გამოხატავდა ნებას სადავო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ვაჟის სასარგებლოდ გადაცემასთან დაკავშირებით. 2004 წლის 26 მარტს მან გამოავლინა ნება ... ქ. 15-ში მდებარე უძრავ ნივთზე მისი მხრიდან პრეტენზიის არარსებობისა და საკუთრების უფლების გი. ვ-ძის სასარგებლოდ გადაცემასთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია წარმოადგენს მხარის მითითებას პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებზე, რომლებმაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა განაპირობეს. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო პალატისათვის სავალდებულოა.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ სადავო ბინა, მისი შეძენის დროისათვის მოქმედი საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 21-ე მუხლის საფუძველზე, წარმოადგენდა ლ. და გრ. ვ-ძეების თანასაკუთრებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2009 წლის 19 სექტემბერს სამკვიდრო გაიხსნა მხოლოდ გრ. ვ-ძის კუთვნილ წილზე, რომლის ერთ-ერთი მემკვიდრე ლ. ვ-ძეც იყო.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ, ვინაიდან ლ. ვ-ძის კუთვნილი წილი საჯარო რეესტრში მის სახელზე არ დარეგისტრირებულა, მას არ შეეძლო ამ წილის ჩუქების ნება გამოევილინა.

პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციის ფაქტი, თავისთავად, საკუთრების უფლების წარმოშობაზე გავლენას არ ახდენს. საჯარო რეესტრში რეგისტრაცია მხოლოდ ადასტურებს პირის საკუთრების უფლებას კონკრეტულ უძრავ ქონებაზე, ამასთან რეესტრის მონაცემები სამოქალაქო ბრუნვის სხვა მონაწილეების ინტერესების დაცვას ემსახურება, კერძოდ კი, უძრავი ქონების შემძენის, რომლის სასარგებლოდაც მოქმედებს რეესტრის ჩანაწერების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია. რაც შეეხება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვებას, აღნიშნული ხდება გარიგების საფუძველზე. თუ პირმა გარიგების საფუძველზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება შეიძინა, მაგრამ გარკვეული დროის მანძილზე ეს უფლება საჯარო რეესტრში არ დაარეგისტრირა, ვერ ჩაითვლება, რომ ამ დროის მანძილზე იგი ნივთის მესაკუთრე არ იყო. საკუთრების უფლების არსებობა კი, თავისთავად მოიცავს ნივთის განკარგვის შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ბინა მეუღლეების თანასაკუთრებას წარმოადგენდა, ამდენად, ლ. ვ-ძე იმთავითვე იყო 1/2 წილის მესაკუთრე, გარდა ამისა, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, იგი სამკვიდრო ქონების კუთვნილ წილს ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2004 წლის 26 მარტისათვის ლ. ვ-ძე სადავო ბინის 5/8-ის მესაკუთრე იყო.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ 2004 წლის 26 მარტის ნების გამოვლენა სამკვიდროზე უარის თქმად ვერ ჩაითვლება. სამოქალაქო კოდექსის 1447-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. იმავე კოდექსის 1424-ე მუხლის მიხედვით კი, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. განსახილველ შემთხვევაში, ნების გამოვლენა სამკვიდროს გახსნიდან თითქმის 4 წლის გასვლის შემდეგ განხორციელდა, ამასთან, თუნდაც ეს ნება ვადაში ყოფილიყო გამოვლენილი, იგი მხოლოდ გრ. ვ-ძის დანაშთი ქონებიდან ლ. ვ-ძის კუთვნილ წილს შეიძლებოდა შეხებოდა და არა მთლიან ბინას.

სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ლ. ვ-ძის მიერ 2004 წლის 26 მარტს გამოვლენილი ნება უნდა შეფასდეს მისი შინაარსის გათვალისწინებით. ნების გამოვლენის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა საბოლოო შედეგს ისახავდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მიზნად.

სანოტარო აქტიდან ნათლად ირკვევა, რომ ლ. ვ-ძეს სურდა ქ. თბილისში, ... ქ. 15-ში მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების მისი კუთვნილი წილი გადასულიყო გი. ვ-ძის საკუთრებაში, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2004 წლის 26 მარტის სანოტარო აქტი ჩუქების ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც აკმაყოფილებს ამ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ სავალდებულო მოთხოვნებს, კერძოდ: ა) სანოტარო აქტი შეიცავს პირის ნებას ქონების სხვა პირის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასვლასთან დაკავშირებით; ბ) ქონების გამსხვილებელი იყო ამ ქონების მესაკუთრე; გ) ნების გამოვლენა უნაკლო იყო; დ) უძრავ ქონებაზე დადებული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული წერილობითი ფორმა დაცული იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მტკიცებას, რომ ლ. ვ-ძის გარდაცვალების დროისათვის სადავო ქონება მის სამკვიდრო მასაში აღარ შედიოდა, ამდენად, გ. ვ-ძის მოთხოვნა 2/8 წილის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე უსაფუძვლოა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

მართალია, განსახილველ შემთხვევაში არასწორადაა განმარტებული სამოქალაქო კოდექსის 183-ე და 312-ე მუხლები, ასევე სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ 2004 წლის 26 მარტის სანოტარო აქტი ჩუქების ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლებოდა, მაგრამ გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, რის გამოც მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ვ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
  2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 იანვრის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სამკვიდროს მიღების ვადა

### გადაწყვეტილების შემოწმების ფარგლები

#### განჩინება

1ას-641-602-2010

28 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** მემკვიდრეობის მიღების ფაქტის დადგენა (რ. ლ-ძის სარჩელში), სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევა, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, მესაკუთრედ ცნობა (ყ. ლ-ძის სარჩელში)

#### აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ყ. ლ-ძემ მოპასუხეების – რ., თ. და ნ. ლ-ძეების მიმართ და მოითხოვა: სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევა, ქ.ბათუმში, ... ქ. 122-ში მდებარე უძრავ ქონებაზე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება და მესაკუთრედ ცნობა.

სარჩელის თანახმად, ყ. ლ-ძის ბაბუას მ. ლ-ძეს საკუთრებაში გააჩნდა ქ. ბათუმში, ... ქ. 122-ში მდებარე ბინა (საცხოვრებელი სახლის 1/7 ნაწილი). მ. ლ-ძე გარდაიცვალა 1991 წლის 5 ნოემბერს. მას დარჩა 5 პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე თუ. ლ-ძე და ოთხი შვილი – რ., თ., ლ. და ნ. ლ-ძეები. ბაბუის გარდაცვალებამდე და გარდაცვალების შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის ოჯახი მოსკოვში ცხოვრობდა, ყოველწლიურად ბათუმში ჩამოსვლისას თვეების განმავლობაში ცხოვრობდნენ სამკვიდრო სახლში. მოსარჩელის მამა, თ. ლ-ძე დაუფლებული იყო სამკვიდრო ქონებას, მას სამკვიდრო სახლში გააჩნდა ოთახი.

მოსარჩელის მითითებით, როგორც მისთვის იყო ცნობილი, მამკვიდრებლის შვილები შეთანხმებულნი იყვნენ, რომ სამკვიდრო ქონებას გაიყოფდნენ თანაბარწილად. 2008 წლის ივლის-აგვისტოში, როდესაც ყ. ლ-ძის მშობლები ჩავიდნენ ბათუმში მათი წილი სამკვიდრო ქონების გასაფორმებლად, ნოტარიუსისაგან შეიტყვეს, რომ მამკვიდრებელს დაუტოვებია ანდერძი ყ. ლ-ძის სახელზე, თუმცა ანდერძის შინაარსი არ იცოდნენ. მოსარჩელემ მინდობილობა მისცა თავის მშობლებს, რათა მის სახელზე გაეფორმებინათ ანდერძით დატოვებული ქონება. ნოტარიუსმა 2008 წლის 20 ნოემბრის 1105 დადგენილებით უარი განაცხადა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების გამო.

მოსარჩელემ ნოტარიუსის ზემომითითებული უარი უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია. მისი განმარტებით, ანდერძი მოძიებულ იქნა არქივიდან და მოსარჩელე მის შინაარსს გაეცნო 2008 წლის 20 ნოემბერს. მანამდე ყ. ლ-ძისათვის ანდერძის თაობაზე ცნობილი არ ყოფილა. ამიტომ, მოსარჩელის აზრით, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება საპატიოდ უნდა მიჩნეულიყო და იგი ანდერძში მითითებულ ქონებაზე მესაკუთრედ უნდა ყოფილიყო ცნობილი.

2009 წლის 21 იანვარს იმავე სასამართლოში სარჩელი აღძრა რ. ლ-ძემ მოპასუხე თ. ლ-ძის მიმართ და მოითხოვა მ. ლ-ძის სამკვიდრო ქონების – ქ.ბათუმში, ... ქ.122-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (1/7 ნაწილი) ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტის დადგენა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მ. ლ-ძეს დარჩა 5 პირველი რიგის მემკვიდრე, რომელთაგან მამკვიდრებლის მეუღლე თუ. ლ-ძე გარდაიცვალა 2002 წელს, ხოლო შვილი – ლ. ლ-ძე გარდაიცვალა 2003 წელს. ისინი ცხოვრობდნენ იმავე მისამართზე. ნ. ლ-ძე დაოჯახებული იყო და ცხოვრობდა ბათუმში, სხვა მისამართზე. თ. ლ-ძე 15 წელზე მეტია ოჯახთან ერთად ცხოვრობდა მოსკოვში (არის რუსეთის მოქალაქე). თავად მოსარჩელე დაბადებიდან დღემდე ცხოვრობს სადავო სახლში მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად. იგი წარმოადგენდა მამკვიდრებლის თანმყოფ ერთადერთ მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდროს. დანარჩენ მემკვიდრეებს სამკვიდრო არ მიუღიათ. თ. ლ-ძე მამის დაკრძალვის მეორე დღეს წავიდა მოსკოვში. მას სამკვიდროს ფლობასა და მართვაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია, არც ნოტარიუსისათვის მიუმართავს. რ. ლ-ძემ 1993 წლიდან არაერთხელ მიმართა მმას, დაეკანონებინათ სამკვიდრო ქონება. მოპასუხე ეუბნებოდა, რომ მამკვიდრებელს ანდერძი შვილიშვილზე ჰქონდა დატოვებული და მიუხედავად ამისა, საკითხი მოგვარებადი იყო. ამდენად, ანდერძის შესახებ თ. ლ-ძემ იცოდა. რ. ლ-ძის განმარტებით, მოპასუხეს წარმატებული ბიზნესი ჰქონდა მოსკოვში, ეკონომიურად არ უჭირდა, 1995 წელს გამსახურდიას ქუჩაზე შეიძინა ბინა. მამის გარდაცვალების შემდეგ თ. ლ-ძე ზაფხულობით ჩადიოდა და ცხოვრობდა მამისეულ სახლში, თუმცა მოსარჩელის აზრით, აღნიშნული

თავისთავად არ ნიშნავდა სამკვიდრო ქონების დაუფლებას, თ. ლ-მე ვერ წარადგენდა ვერც ერთ მტკიცებულებას, რომ მართავდა მამის დანატოვარ ქონებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელებით აღძრული საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

2009 წლის 20 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინეს ნ. და თ. ლ-მეებმა, რომლებმაც მოითხოვეს: ნ. ლ-ძის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევა, თ. ლ-ძის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიმღებ მემკვიდრედ ცნობა და სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის, თითოეულისათვის 1/10 ნაწილის მიკუთვნება. შეგებებული სარჩელის თანახმად, მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებიდან ამ დროისათვის დარჩენილნი იყვნენ შვილები – ნ., თ. და რ. მამის გარდაცვალების შემდგომ მემკვიდრეებმა მოილაპარაკეს, რომ მემკვიდრეობა გაეყოთ თანაბარწილად და როცა მოახერხებდნენ ნოტარიუსთან მისულიყვნენ სამკვიდროს გასაფორმებლად. მართალია, თ. ლ-მე მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ იგი ხშირად ჩადიოდა და ცხოვრობდა მამისეულ სახლში, სანამ 1997 წელს ბინას შეიძენდა. ამ სახლში მას თავისი ოთახი ჰქონდა და ხშირად ცოლ-შვილთან ერთად ჩადიოდა. შეგებებული მოსარჩელების მითითებით, 2008 წლის ივლის-აგვისტოში შეიტყვეს, რომ რ. მათ გარეშე აპირებდა ქონების გადაფორმებას. იმავდროულად, გაიგეს, რომ რაღაც ანდერძზე იყო საუბარი. მოგვიანებით, 2008 წლის ნოემბერში ნოტარიუსის მეშვეობით გაარკვიეს, რომ მამკვიდრებელს ანდერძი შვილიშვილის – ყ. ლ-ძის სახელზე დაუტოვებია მთლიან სამკვიდროზე. ისინი სადავოდ არ ხდიდნენ ანდერძის ნამდვილობას, მაგრამ მოითხოვდნენ სავალდებულო წილის მიკუთვნებას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კლდეგის 2010 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით ყ. ლ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს სამკვიდროს მიღების ვადის გაშვება ჩაეთვალა საპატიოდ და იგი ცნობილ იქნა გარდაცვლილი მ. ლ-ძის სამკვიდრო უძრავი ქონების (1/7 ნაწილი), ქ. ბათუმში, ... ქ.122-ში მდებარე სახლის 9/10 ნაწილის მესაკუთრედ; რ. ლ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დადგინდა მის მიერ გარდაცვლილი მ. ლ-ძის სამკვიდროდან, ქ. ბათუმში, ... ქ. 122-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (1/7 ნაწილი) სავალდებულო წილის – 1/10 ნაწილის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი, ხოლო მთლიანი სამკვიდროს მემკვიდრეობით მიღების ფაქტის დადგენაზე რ. ლ-ძეს უარი ეთქვა; ნ. და თ. ლ-მეების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე დადგენილ შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

მამკვიდრებელი მ. ლ-მე გარდაიცვალა 1991 წლის 5 ნოემბერს;

მ. ლ-ძეს დარჩა 5 პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე თუ. ლ-მე და ოთხი შვილი – რ., თ., ლ. და ნ. ლ-მეები;

მ. ლ-ძის მეუღლე თუ. ლ-მე გარდაიცვალა 2002 წლის 22 ივლისს; მ. ლ-ძის შვილი ლ. ლ-მე გარდაიცვალა 2003 წლის 28 მარტს;

საქმეზე წარდგენილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 25 ნოემბრის ცნობის თანახმად, ბათუმის მერიის ყოფილი ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის არქივის მასალებით, ... ქ. 122-ში მდებარე უძრავი ქონების 1/7 ნაწილი 1970 წლის 14 დეკემბრის სამემკვიდრეო უფლების (126504) მოწმობის საფუძველზე ირიცხება მ. ლ-ძის სახელზე;

მ. ლ-მემ 1986 წლის 4 ივნისის ანდერძით მთელი სამკვიდრო ქონება უანდერძა შვილიშვილს – ყ. თ.-სმე ლ-ძეს;

მ. ლ-ძის მიერ დატოვებული 1986 წლის 4 ივნისის ანდერძის ნამდვილობა დავის საგანს არ წარმოადგენდა. ანდერძის ძალაში ყოფნა დასტურდებოდა აჭარის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო ცნობით, რომელიც დამოწმებული იყო ნოტარიუსის მიერ 2008 წლის 20 ნოემბერს;

უდავო იყო რ. ლ-ძის მიერ მამის სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი;

ასევე უდავო იყო მ. ლ-ძის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეების, მეუღლე თუ.-სა და შვილის ლ. ლ-მეების სამკვიდრო სახლში ცხოვრების ფაქტი;

სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ ნოტარიუსის 2008 წლის 20 ნოემბრის 1105 დადგენილებით ყ. ლ-ძეს უარი ეთქვა მ. ლ-ძის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების გამო;

სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ ნოტარიუსის 2008 წლის 20 ნოემბრის 1102 დადგენილებით რ. ლ-ძეს უარი ეთქვა მ. ლ-ძის ქონებაზე კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ანდერძის არსებობისა და სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების გამო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებმა მოცემული დავის გადაწყვეტა, მათ შორის არსებული ურთიერთობის მოწესრიგება მოითხოვეს ამჟამად მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების მიხედვით.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოქმედი კანონის თანახმად, სამკვიდროს მიღების ორი საშუალება არსებობს – სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანა და სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა-მართვა (სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში დასტურდებოდა, რომ



არც ერთ მემკვიდრეს სანოტარო ორგანოსათვის დადგენილ ვადაში არ მიუძღვრება. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღნიშნა, სამკვიდრო მიღებულად ითვლება როდესაც მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება იმავე საცხოვრებელ სახლში განიხილება სამკვიდროს მიღებად. ქონების ფაქტობრივ ფლობას ნიშნავს აგრეთვე მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ნივთების თავისთან გადატანა, მამკვიდრებლის ობლიგაციების, ბანკის წიგნაკის და სხვა დოკუმენტის შენახვა, ასევე ქონების გადასახადის გადახდა. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მემკვიდრეებიდან სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღეს თუ., ლ. და რ. ლ-ძეებმა (სავალდებულო წილი), რომლებიც აგრძელებდნენ სამკვიდრო სახლში ცხოვრებას. როდესაც მემკვიდრე მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობს და მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ განაგრძობს მისი ქონებით სარგებლობას ითვლება, რომ მან სამკვიდრო მიიღო. რაც შეეხებოდა თ. და ნ. ლ-ძეების მიერ მემკვიდრეობის, სავალდებულო წილის, ფაქტობრივი ფლობით მიღებას, ეს გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. ნ. ლ-ძე ამ თვალსაზრისით ვერ მიუთითებდა ვერანაირ მტკიცებულებაზე. თ. ლ-ძე მართალია განმარტავდა, რომ აგრძელებდა მამის სახლში ცხოვრებას (ჰქონდა საკუთარი ოთახიც), მაგრამ ეს გარემოება საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. თ. ლ-ძე მიუთითებდა, რომ სადავო სახლში ხშირად ჩადიოდა ოჯახთან ერთად. საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ ეს უკანასკნელი რუსეთში ცხოვრობდა მამის გარდაცვალებამდე და ამჟამად იქ ცხოვრობს ოჯახით. ამიტომ სასამართლოსათვის უტყუარად დადასტურებული არ იყო მის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობა და მართვა. როგორც წესი, კანონით დადგენილი ექსთენიანი ვადის გასვლის შემთხვევაში მემკვიდრე კარგავს სამკვიდროს მიღების უფლებას. ამავე დროს დაშვებულია სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზებს საპატიოდ მიიჩნევს. ამ შემთხვევაში სასამართლომ თ. და ნ. ლ-ძეების მიერ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაშვება საპატიოდ არ მიიჩნია, რამდენადაც ამისათვის არ არსებობდა შესაბამისი საფუძველი. დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ თ. და ნ. ლ-ძეების შეგებებული სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ანდერძისმიერი მემკვიდრის, ყ. ლ-ძის სარჩელის დაკმაყოფილება საქალაქო სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

მოქმედი კანონმდებლობა მამკვიდრებელს აძლევს მემკვიდრეთა ამორჩევის უფლებას. პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც (სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლი). ანდერძი არის მოანდერძის განკარგულება მისი ქონების ბედის შესახებ. ამდენად, მას შეუძლია ანდერძის მეშვეობით შეცვალოს არა მარტო კანონით დადგენილი მემკვიდრეთა რიგითობა, არამედ, იმ წილთა მოცულობა, რომელსაც მიიღებდა თითოეული მემკვიდრე კანონით მემკვიდრეობის დროს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა რ. ლ-ძის მოსაზრება, რომ ყ. და თ. ლ-ძეებმა ანდერძის არსებობის შესახებ იცოდნენ წლების განმავლობაში. ამ გარემოების დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებები საქმეში წარდგენილი არ იყო. რ. ლ-ძე მიუთითებდა სასამართლო სხდომაზე ნოტარიუსის მიერ მიცემულ ჩვენებაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ დაახლოებით 1995-1997 წლებში, მასთან კონსულტაციისათვის (სამკვიდროს მიღების თაობაზე) მისული იყო თ. ლ-ძე, რომელსაც ხელში ჰქონდა ანდერძი და მ. ლ-ძის გარდაცვალების მოწმობა. საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ნოტარიუსის ჩვენება სასამართლოს მიერ ვერ განიხილებოდა ყ. ლ-ძის სარჩელის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველად. საქმეში არსებობდა აჭარის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა 1986 წლის 4 ივნისის ანდერძის ძალაში ყოფნა. ანდერძი დამოწმებული იყო ნოტარიუსის მიერ 2008 წლის 20 ნოემბერს. ყ. ლ-ძის განმარტებით, მან ანდერძის შინაარსის შესახებ, ანუ იმის შესახებ რომ მამკვიდრებელმა უანდერძა ქონება, შეიტყო საარქივო სამმართველოდან ანდერძის გაცნობის შემდეგ. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები წარდგენილი არ იყო. საქმეში არსებობდა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის ამავე თარიღის 1105 დადგენილება, რომლითაც ყ. ლ-ძეს უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის გაშვების გამო.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. სამკვიდროს მიღების უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრის გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი. სამკვიდროს მიღების წესი ერთნაირია როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრეობის დროს. მემკვიდრეს (როგორც კანონით, ისე ანდერძით) შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად.

ზემოაღნიშნული გარემოებების გამო საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ყ. ლ-ძეს უნდა გაგრძელებოდა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა, რადგან არსებობდა ვადის გადაცილების საპატიო მიზეზები.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მ. ლ-ძეს დარჩა ხუთი პირველი რიგის მემკვიდრე. თითოეული მათგანის სავალდებულო წილი შეადგენდა 1/10-ს. ამ მემკვიდრეებიდან რ. ლ-ძემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სავალდებულო წილი (სამკვიდრო ქონების

1/10 წილი). სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილი ფაქტობრივი ფლობით მიიღო აგრეთვე მამკვიდრებლის აწ გარდაცვლილმა მეუღლე თუ.-მ და შვილმა ლ.-მ (თითოეულმა 1/10 წილი). ნ. და თ. ლ-ძეების მიერ სამკვიდროდან სავალდებულო წილის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი არ დადასტურდა. ამდენად, მთელი სამკვიდროს მოცულობიდან ყ. ლ-ძეს, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეს ეკუთვნოდა 9/10 ნაწილი, ხოლო რ. ლ-ძეს სავალდებულო წილის სახით – 1/10 ნაწილი. ყ. ლ-ძის სარჩელის მოთხოვნის შესაბამისად, იგი ცნობილ უნდა ყოფილიყო მ. ლ-ძის სამკვიდრო ქონების 9/10 ნაწილის მესაკუთრედ. რაც შეეხებოდა გარდაცვლილი თუ. და ლ. ლ-ძეების სამკვიდრო ქონებას, იგი დავის საგანს არ წარმოადგენდა, ამასთან დაკავშირებით მხარეს სარჩელი არ დაუყენებია.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება რ. ლ-ძის სარჩელის დაუკმაყოფილებლობისა და ყ. ლ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ლ-ძემ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ყ. ლ-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინებით რ. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ყ. ლ-ძემ ანდერძის შესახებ გაიგო 2008 წელს, მანამდე მან ანდერძის შესახებ არაფერი იცოდა.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ყ. ლ-ძეს სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის შესაბამისად სწორად გაუგრძელდა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა, რადგან არსებობდა ვადის გადაცილების საპატიო მიზეზი. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რ. ლ-ძის მოსაზრება, რომ ყ. და თ. ლ-ძეებმა ანდერძის არსებობის შესახებ იცოდნენ წლების განმავლობაში. აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი სარწმუნო მტკიცებულებები საქმეზე წარდგენილი არ იყო. რ. ლ-ძე მიუთითებდა სასამართლო სხდომაზე ნოტარიუსის მიერ მიცემულ ჩვენებაზე, რომელმაც აღნიშნა, რომ დაახლოებით 1995-97 წლებში, მასთან კონსულტაციისათვის, სამკვიდროს მიღების თაობაზე, მისული იყო თ. ლ-ძე, რომელსაც ხელში ჰქონდა ანდერძი და მ. ლ-ძის გარდაცვალების მოწმობა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა ნოტარიუსის აღნიშნული ჩვენება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ყ. ლ-ძის განმარტება, რომ მან ანდერძის შესახებ შეიტყო საარქივო სამმართველოდან ანდერძის მიღების და გაცნობის შემდეგ. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეზე წარდგენილი არ იყო.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ანდერძის თავისუფლება მემკვიდრეობის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, მაგრამ იგი შეიძლება შეიზღუდოს მამკვიდრებლის ოჯახის ინტერესების სასარგებლოდ. სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ მამკვიდრებლის შვილებს, შშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდათ (სავალდებულო წილი). სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის თანახმად, ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. ამავე კოდექსის 1374-ე და 1380.1 მუხლების შესაბამისად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. ანდერძით მემკვიდრეები მხედველობაში არ მიიღებიან; სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას მის მიღებაზე, მაგრამ ეს არ გამოიწვევს სხვა თანამემკვიდრეების სავალდებულო წილის გაზრდას. მისი წილი გადადის ანდერძით მემკვიდრეებზე.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მ. ლ-ძეს დარჩა 5 კანონით მემკვიდრე. თითოეული მათგანის სავალდებულო წილი შეადგენდა 1/10-ს. ამ მემკვიდრეებიდან რ. ლ-ძემ ფაქტობრივი ფლობით მიიღო სავალდებულო წილი (სამკვიდრო ქონების 1/10 ნაწილი). ნ. და თ. ლ-ძეების მიერ სამკვიდროდან სავალდებულო წილის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი არ დადასტურდა. ამდენად, მთელი სამკვიდროს მოცულობიდან ყ. ლ-ძეს, როგორც ანდერძისმიერ მემკვიდრეს ეკუთვნოდა 9/10 ნაწილი, ხოლო რ. ლ-ძეს სავალდებულო წილის სახით – 1/10 ნაწილი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა რ. ლ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება.

კასატორის მითითებით, მოცემული დავის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა გააჩნია იმის დადგენას, თუ როდის შეიტყო ყ. ლ-ძემ ანდერძის თაობაზე. დასახელებული საკითხის სრულყოფილად გამორკვევის მიზნით რ. ლ-ძემ სააპელაციო სასამართლოში იშუამდგომლა ბათუმის არქივიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, რომლითაც გაირკვეოდა თ. ან ყ. ლ-ძეებს 2008 წლამდე ხომ არ მოუთხოვიათ ინფორმაცია არქივში დაცულ ანდერძთან დაკავშირებით. დასახელებული შუამდგომლობა

სასამართლომ არ დააკმაყოფილა, რის შედეგადაც არასრულყოფილად გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება.

კასატორის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ მითითებული მიზეზები სასამართლოს მიერ საპატიოდ იქნება მიჩნეული. ამ შემთხვევაში მხარის მიერ დასახელებული მიზეზები (გარემოებები) უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებებით. სასამართლომ ეს მიზეზები საპატიოდ შეიძლება მიიჩნიოს მხოლოდ ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მხრიდან ასეთს ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ ყ. ლ-ძის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ მან ანდერძის არსებობის შესახებ შეიტყო 2008 წლის ივლის-აგვისტოში, მაშინ როდესაც მამამისი ჩასული იყო ბათუმში მისი წილი სამკვიდროს გასაფორმებლად. კასატორის მტკიცებით, ყ. ლ-ძემ ანდერძის შესახებ შეიტყო მისი მამის (თ. ლ-ძე) მეშვეობით, ხოლო თავად თ. ლ-ძემ – მისივე განცხადების საფუძველზე ნოტარიუსისაგან. აღნიშნული თვალსაზრისით საკითხის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ნოტარიუსის ვ. ნ-ძის ჩვენება. სასამართლომ ეს ჩვენება არ გაიზიარა, რაც მხოლოდ იმით დასაბუთა, რომ იგი წარმოადგენდა არასარწმუნო მტკიცებულებას. იმის დადგენა, თუ როგორ მივიდა სასამართლო ამ დასკვნამდე, გასაჩივრებული განჩინებით შეუძლებელია. საგულისხმოა, რომ ნოტარიუსი ადასტურებს 1996-97 წლებში მასთან ყ. ლ-ძის მამის, თ. ლ-ძის არაერთხელ მისვლის ფაქტს, რა დროსაც ამ უკანასკნელს ხელზე ჰქონდა ანდერძი და გარდაცვალების მოწმობა და აინტერესებდა, თუ როგორ შეიძლება მის შვილზე მემკვიდრეობის გაფორმება. მოწმე ვ. ნ-ძის ჩვენებით ანდერძი მან დაამოწმა ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადასცა მამკვიდრებელს, ხოლო მეორე ინახებოდა მასთან. ამდენად, ყ. ლ-ძემ ანდერძის შესახებ იცოდა ჯერ კიდევ 1996-97 წლებში. თუკი 2008 წელს ანდერძის თაობაზე მას მამამ შეატყობინა, ლო-გიკურია, რომ 1996-97 წლებში ასევე მამისგან ეცოდინებოდა მითითებული ანდერძის შესახებ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ რ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მამკვიდრებელი მ. ლ-ძე გარდაიცვალა 1991 წლის 5 ნოემბერს;

მ. ლ-ძეს დარჩა 5 პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე თუ. ლ-ძე და ოთხი შვილი – რ., თ., ლ. და ნ. ლ-ძეები;

მ. ლ-ძის მეუღლე თუ. ლ-ძე გარდაიცვალა 2002 წლის 22 ივლისს;

მ. ლ-ძის შვილი ლ. ლ-ძე გარდაიცვალა 2003 წლის 28 მარტს;

მ. ლ-ძემ 1986 წლის 4 ივნისის ანდერძით მთელი სამკვიდრო ქონება უანდერძა შვილიშვილს – ყ. თ-ს ძე ლ-ძეს;

მ. ლ-ძის მიერ დატოვებული 1986 წლის 4 ივნისის ანდერძის ნამდვილობა დავის საგანს არ წარმოადგენს. ანდერძი ძალაშია, რაც დასტურდება აჭარის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს ცნობით, რომელიც დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ 2008 წლის 20 ნოემბერს;

ყ. ლ-ძემ ანდერძის შესახებ გაიგო 2008 წელს, მანამდე მან ანდერძის შესახებ არაფერი იცოდა;

უდავოა რ. ლ-ძის მიერ მამის სამკვიდრო ქონებიდან სავალდებულო წილის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი;

სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ ნოტარიუსის 2008 წლის 20 ნოემბრის 1105 დადგენილებით ყ. ლ-ძეს უარი ეთქვა მ. ლ-ძის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების გამო;

სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის შესახებ ნოტარიუსის 2008 წლის 20 ნოემბრის 1102 დადგენილებით რ. ლ-ძეს უარი ეთქვა მ. ლ-ძის ქონებაზე კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე ანდერძის არსებობისა და სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

განსახილველ შემთხვევაში კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი რ. ლ-ძე სადავოდ ხდის სამკვიდრო ქონების – ქ. ბათუმში, ... ქ.122-ში მდებარე უძრავი ქონების 9/10 ნაწილის ანდერძისმიერი მემკვიდრისათვის, ყ. ლ-

მისათვის მიკუთვნებას. აღნიშნულს კასატორი იმით ასაბუთებს, რომ სასამართლომ ყ. ლ-მეს არასწორად გაუგრძელა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა, ვინაიდან სახეზე არ არის ამ უკანასკნელის მიერ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის საფუძველი, რამდენადაც ყ. ლ-მემ ანდერძის შესახებ იცოდა ჯერ კიდევ **1996-1997 წლებში**.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. დასახელებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ სამკვიდრებლის ანდერძის თაობაზე ყ. ლ-მისათვის **1996-1997 წლებიდან** იყო ცნობილი, კასატორს ეკისრება. სადავო გარემოების დასადასტურებლად კასატორი მიუთითებს მოწმის სახით დაკითხული ვ. ნ-ძის (ნოტარიუსის) მიერ მიცემულ ჩვენებაზე, რაც მისი მოსაზრებით სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **105-ე** მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა; სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შემდეგაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლომ, შეაფასა რა მოწმის ჩვენება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, არასარწმუნოდ მიიჩნია იგი.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის მიერ მითითებული მოწმის ჩვენების გაზიარების შემთხვევაშიც, ეს მტკიცებულება არ იძლევა ინფორმაციას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ გარემოების შესახებ, თუ როდის გახდა ცნობილი ყ. ლ-მისათვის **1986 წლის 4 ივნისის** ანდერძის თაობაზე. მოწმე ვ. ნ-ძის მიერ მიცემული ჩვენებით მხოლოდ ის დასტურდება, რომ ანდერძის არსებობის თაობაზე **1996-1997 წლებში** იცოდა თ. ლ-მემ და არა თავად ანდერძისმიერმა მემკვიდრემ – ყ. ლ-მემ. ის გარემოება, რომ თ. ლ-მე არის ყ. ლ-ძის მამა, უტყუარად ვერ ასაბუთებს იმ ფაქტს, რომ ყ. ლ-მეს მამისაგან აუცილებლად ეცოდინებოდა ანდერძის არსებობის შესახებ. ამ გარემოების დამტკიცების ტვირთიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-103-ე** მუხლების შესაბამისად, კასატორს ეკისრებოდა, თუმცა ამ უკანასკნელმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები და ამდენად, ვერ შეძლო მითითებული გარემოების დადასტურება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ ყ. ლ-მემ ანდერძის თაობაზე გაიგო **2008 წელს**, აჭარის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს მეშვეობით ანდერძის გაცნობის შემდეგ. საქმეში წარმოდგენილ ანდერძზე დასმულია საარქივო სამმართველოს შტამპი, რომელშიც დაფიქსირებულია თარიღი – **2008 წლის 18 ნოემბერი**. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია ნოტარიუსის **2008 წლის 20 ნოემბრის 1105** დადგენილება, რომლითაც ირკვევა, რომ აღნიშნულ დღეს სადავო უძრავ ქონებაზე ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის მიღების მოთხოვნით ნოტარიუსს მიმართა ყ. ლ-ძის წარმომადგენელმა, რომელსაც სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარი ეთქვა სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დადგენილია, რომ ყ. ლ-მემ ანდერძის შესახებ შეიტყო **2008 წლის ნოემბერში** და დაუყოვნებლივ მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად, ხოლო ნოტარიუსის უარის შემდეგ, იმავე წლის დეკემბერში სარჩელი აღძრა სასამართლოში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა ყ. ლ-მისათვის სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელების საფუძველი, რამდენადაც ადგილი აქვს ვადის საპატიო მიზეზით გადაცილებას. ამდენად, კასატორის მოსაზრება, რომ არ არსებობდა ყ. ლ-მისათვის სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის საფუძველი, დაუსაბუთებელია.

გასაჩივრებული განჩინების უკანონობის დასასაბუთებლად კასატორი ასევე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი წარმომადგენლის შუამდგომლობა აჭარის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოდან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. აღნიშნული საკითხის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სააპელაციო სასამართლომ **2010 წლის 18 მაისის** საოქმო განჩინება კასატორს საბოლოო გადაწყვეტილებასთან (განჩინებასთან) ერთად საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია, რისი შესაძლებლობაც მას კანონით გააჩნდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **134-ე** მუხლის მე-4 ნაწილით, წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის განჩინებაში, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება. ამავე კოდექსის **404-ე** მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა. ამდენად, ზემოთმითითებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინების მართლზომიერება ვერ გახდება საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, ვინაიდან იგი კანონით დადგენილი წესით გასაჩივრებული არ არის. ამასთან, საგულისხმოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **380-ე** მუხლი, მართალია, ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ახალი ფაქტების მოყვანის და ახალი მტკიცებულებების

წარდგენის შესაძლებლობას, მაგრამ ამავე ნორმის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, თუ მხარეს ისინი შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. მოცემულ შემთხვევაში მხარეს მითითებული შუამდგომლობის პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენის შეუძლებლობა არ დაუსაბუთებია. სააპელაციო სასამართლოში დასახელებული შუამდგომლობის დაყენებისას მას არც წერილობითი მტკიცებულება წარუდგენია იმის შესახებ, რომ შუამდგომლობაში ასახული მოთხოვნით უკვე მიმართა აჭარის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს, რომლისგანაც უარი მიიღო, მაშინ როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მე-2 ნაწილი მხარეს სასამართლოსათვის მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით მიმართვის უფლებას იმ შემთხვევაში ანიჭებს, თუკი იგი თავად ვერ შეძლებს მათ მოპოვებას იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მიერ მითითებულ კანონის დარღვევას ადგილი არა აქვს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველია.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. რ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 მაისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სამკვიდროს მიღებად დადგენილი ვადის გაგრძელება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

1ას-851-800-2010

16 თებერვალი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა, სამკვიდროდან წილის მიკუთვნება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოს დ. ქ-შვილის მიმართ სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენისა და სამკვიდროდან წილის მიკუთვნების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელის დედას – თ. ქ-შვილს საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა სოფელ ... მდებარე საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთთან ერთად; დედის გარდაცვალების შემდეგ ექვს თვეში მან ვერ შესძლო სასაჯარო წესით მემკვიდრეობის მიღება, ვინაიდან ამავე პერიოდში უვლიდა გარდაცვლილის დის, ნ. გ-შვილის შვილს – ი. ლ-ძეს, რომელიც მეთვალყურეობასა და ზრუნვას საჭიროებდა; 2000 წელს გარდაეცვალა ძმა – შ. გ-შვილი, რომლის მეუღლე დ. გ-შვილი მას საშუალებას არ აძლევს, დაიცვას თავისი სამემკვიდრეო უფლებები; როგორც მისთვის (მოსარჩელისთვის) გახდა ცნობილი, აწ გარდაცვლილ თ. გ-შვილის სახელზე რეგისტრირებულია სახლის მხოლოდ 1/5 ნაწილი, ხოლო დარჩენილი ნაწილი რეგისტრირებულია შ. გ-შვილის სახელზე, რაც არასწორია, რამდენადაც შ. გ-შვილს სახლის მშენებლობაში მონაწილეობა არ მიუღია, დედის სურვილით კი, სამკვიდრო თანაბრად უნდა განაწილებულიყო; მოსარჩელემ მოითხოვა სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოდ ჩათვლა და გაგრძელება, ასევე სამკვიდრო ქონების 75%-ის მისთვის მიკუთვნება, რამდენადაც სხვა დარჩენილი მემკვიდრეები თმობენ ასეთივე უფლებას მის სასარგებლოდ.

მოპასუხე დ. ქ-შვილმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია, კერძოდ, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის შეჩერების რაიმე მტკიცებულება, სადავო ფართის 4/5 ნაწილი მისი (მოპასუხის) საკუთრებაა და იგი კანონიერად ფლობს აღნიშნულ ფართს.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ი. გ-შვილს გაუგრძელდა კანონიერი მემკვიდრეობის წესით სამკვიდროს მიღების ვადა 1999 წლის 4 სექტემბერს გარდაცვლილი მამკვიდრებლის, თ. გ-შვილის, სამკვიდრო ქონებაზე – სიღნაღის რაიონის სოფ. ... მდებარე სახლმფლობელობის 1/5 ნაწილზე; ი. გ-შვილს უარი ეთქვა მემკვიდრეობით მთლიანი სახლმფლობელობის 3/4 ნაწილის მიკუთვნებაზე უსაფუძვლოების გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ქ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინებით დ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგი საფუძვლებით: თ. გ-შვილის სახელზე სამკვიდროს გახსნის დროისათვის უძრავი ნივთი კანონით დადგენილი წესით არ აღრიცხულა, ანუ თ. გ-შვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ იყო რეგისტრირებული არც ტექარქივში და არც საჯარო რეესტრში – არც ერთ იმ ორგანოში, რომლებიც 1999 წლისათვის ახდენდნენ უძრავ ნივთზე გარიგებების რეგისტრაციას, ამდენად, ვინაიდან თ. გ-შვილის სამკვიდრო მასა გახსნის დროისათვის არ მოიცავდა უძრავ ნივთს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი სამკვიდრო მასა შედგებოდა უფლებისაგან, განეხორციელებინა უძრავი ნივთის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში კანონით დადგენილი წესით. სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ თ. გ-შვილის სახელზე სამკვიდროს გახსნის დროისათვის უძრავი ნივთი კანონით დადგენილი წესით არ იყო აღრიცხული, ანუ თ. გ-შვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ იყო რეგისტრირებული არც ტექარქივში და არც საჯარო რეესტრში – არც ერთ იმ ორგანოში, რომლებიც 1999 წლისათვის ახდენდნენ უძრავ ნივთზე გარიგებების რეგისტრაციას. ვინაიდან თ. გ-შვილის სამკვიდრო მასა გახსნის დროისათვის არ მოიცავდა უძრავ ნივთს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი სამკვიდრო მასა შედგებოდა უფლებისაგან, განეხორციელებინა უძრავი ნივთის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში კანონით დადგენილი წესით. სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 1999 წლის 4 სექტემბერს თ. გ-შვილის სახელზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება არ იყო რეგისტრირებული და მიუთითა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამკვიდრო მასაში შემავალი უფლების მიღების რაიმე სპეციალურ ფორმას, ასევე აღნიშნა, რომ, სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მიღება ხდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად სამკვიდროს ფლობით ან მართვით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მან სამკვიდრო მიიღო, მაგრამ აღნიშნული შეეხება ისეთ ვითარებას, როდესაც სამკვიდრო მოიცავს მატერიალურ ნივთებსა და არა არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს – უფლებას; საქართველოს იუსტიციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 17 მაისის წერილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ სოფ. ... მდებარე უძრავი ნივთი ტექაღრიცხვის ბიუროში აღრიცხა 2003 წლის 6 ივნისს, ანუ, მაშინ, როდესაც უკვე გარდაცვლილები იყვნენ თ. გ-შვილი და შ. გ-შვილი. ი. გ-შვილისათვის უცნობი იყო 2003 წელს მისი გარდაცვლილი დედის სახელზე უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ და ამის თაობაზე არავის შეუტყობინებია, ამდენად, იგი ვერ შესძლებდა სამკვიდროს მიღებას სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. ი. გ-შვილს თ. გ-შვილის სახელზე სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლის 1/5 ნაწილის აღრიცხვის თაობაზე ეცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 5 სექტემბრის ცნობით, ამდენად, მიიჩნია, რომ ი. გ-შვილისათვის ცნობილი გახდა თ. გ-შვილის სამკვიდრო მასაში შემავალი კონკრეტული მატერიალური ნივთის შესახებ სამკვიდროს გახსნიდან 9 წლის შემდეგ და იგი ვერ შეძლებდა სამკვიდროს მიღებას სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული წესებითა და ვადებში.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა დ. ქ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად შეაფასა ისინი, კერძოდ, დადგენილად ცნო, ის გარემოება, რომ ი. გ-შვილს 6 თვის განმავლობაში არ მიუმართავს განცხადებით ნოტარიუსისათვის და არც ფაქტობრივი ფლობით დაუფლება სამკვიდრო ქონებას, ამასთან მიიჩნია, რომ დედის გარდაცვალების შემდგომ მოსარჩელე შეეცადა, მიეღო კუთვნილი წილი სამკვიდროდან მისი გახსნის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, მაგრამ ხელი შეეშალა ძმის, შ. გ-შვილის, გარდაცვალების გამო, ვინაიდან და-ძმა აპირებდა დედის სამკვიდროს გაფორმებას ერთობლივად. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილი და არასწორად მიიჩნია საპატიოდ სამკვიდროს მიღების კანონით განსაზღვრული ვადის გადაცილების მიზეზები. მოსარჩელის ძმა შ. გ-შვილი გარდაიცვალა 2000 წლის 17 ოქტომბერს, მას კი (მოსარჩელეს) 9 წლის განმავლობაში არ უცდია დაუფლებოდა სამკვიდრო ქონებას.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება ი. გ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მამკვიდრებელი თ. გ-შვილი გარდაიცვალა 1999 წლის 4 სექტემბერს, რომელსაც დარჩა ოთხი შვილი, პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრეები, მათ შორის მოსარჩელე ი. გ-შვილი და მოპასუხე დ. ქ-შვილის მეუღლე შ. გ-შვილი. გასაჩივრებული განჩინებით ასევე დადგენილია, რომ შ. გ-შვილმა ფაქტობრივი ფლობით მიიღო დედის მემკვიდრეობა. ი. გ-შვილს სამკვიდროს გახსნიდან 6-თვიან ვადაში სამკვიდრო გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში არ შეუტანია სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადება და არც ფაქტობრივად შესდგომია სამკვიდროს ფლობას ან მართვას.

ი. გ-შვილმა თ. გ-შვილის სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენისა და სამკვიდრო ქონების გადაცემის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2009 წლის 27 აგვისტოს იმ საფუძველით, რომ მემკვიდრეობა ვერ მიიღო საპატიო მიზეზით, ძმის – შ. გ-შვილის ავადმყოფობა – გარდაცვალებისა და დისშვილის დაყაჩაღების გამო. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით მიიჩნია, რომ უძრავი ნივთი თ. გ-შვილის სახელზე აღირიცხა 2003 წლის 6 ივნისს, ხოლო ი. გ-შვილს ამ ფაქტის შესახებ ეცნობა 2008 წლის 5 სექტემბერს, სამკვიდროს გახსნიდან 9 წლის შემდეგ, შესაბამისად, სამკვიდრო მიღების ვადა საპატიო მიზეზით გადაცილდა.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო პალატის ზემოხსენებულ დასკვნას შემდეგი დასაბუთებით:

სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არ არის ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების სარეალიზაციოდ აუცილებელია კონკრეტული მოქმედების განხორციელება – მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს, მემკვიდრეობის მიღებას უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვითა და კონკლუდენტური მოქმედებით. უფლებამოსილ თანამდებობის პირთან ნების გამოხატვა შეზღუდულია დროით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიოობის კრიტერიუმებს არ აკონკრეტებს, აღნიშნული ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარეობს, თუმცა, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: ა. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძველის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა.

მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ ი. გ-შვილმა იცოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე. ამდენად, სასამართლოს მტკიცება ქონების საჯარო სამსახურში დაგვიანებით აღრიცხვის თაობაზე უსაფუძველოა, ვინაიდან მამკვიდრებელ თ. გ-შვილს სადავო უძრავ ნივთზე უფლება მოპოვებული ჰქონდა საჯარო რეესტრში მის აღრიცხვამდე. სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

აღნიშნული ნორმის ანალიზით, სამკვიდრო წარმოადგენს იმ უფლებებისა და ვალდებულებების კომპლექსს, რომელიც მამკვიდრებელს სიცოცხლეში ჰქონდა. სამკვიდროში შედის არა კონკრეტული საგნები, არამედ მამკვიდრებლის უფლება ამ საგნებზე. ამასთან, უფლება ნივთზე (საკუთრების, სარგებლობის) იმავე სახით გადადის მემკვიდრეებზე, რა სახითაც ის მამკვიდრებელთან არსებობდა. ამდენად, მამკვიდრებელ თ. გ-შვილის სამკვიდრო აქტივში შედის ის უფლებაც, რომელიც მას გააჩნდა სადავო ნივთთან – საცხოვრებელ სახლთან მიმართებით. მიუხედავად ნივთზე უფლების კანონით დადგენილი წესით აღრიცხვის განუხორციელებლობისა, ეს უფლება სამკვიდრო მასაში შედის.

სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზი საპატიოდ იქნება მიჩნეული. ვადის გასვლის შემდეგ სამკვიდრო შეიძლება მიღებულ იქნეს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე, თუ თანახმა იქნება სამკვიდროს მიღები ყველა მემკვიდრე.

ი. გ-შვილისათვის ცნობილი იყო რა სამკვიდროს გახსნის და მამკვიდრების ქონებრივი უფლებების თაობაზე, მას კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოსათვის არ მიუმართავს, ხოლო, რაც შეეხება სააპელაციო პალატის მიერ დასახელებულ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიდნალის სარეგისტრაციო სამსახურის 2008 წლის 5 სექტემბრის ცნობას, აღნიშნული საპატიო მიზეზად ვერ იქნება მიჩნეული გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებული დასაბუთების გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება ი. გ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ი. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება**

#### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

1ას-1224-1076-2010

12 აპრილი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

პ. ქათამაძე,

ბ. ალავეძე

**დავის საგანი:** სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება და ქონების საკუთრებაში გადაცემა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ხ-ავამ სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. ხ-ავას მიმართ აწ გარდაცვლილი მამის, მ. ხ-ავას, კუთვნილი სამკვიდროს მიღებაზე ვადის გაგრძელებისა და დანაშთი ქონებიდან წილის მიკუთვნების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის მამა მ. ხ-ავა და დედა ნ. ს-ია 1990 წლიდან 1992 წლამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ერთად ცხოვრების პერიოდში, 1990 წლის 8 აგვისტოს, შეეძინათ შვილი – ნ. ხ-ავა. მათი ოჯახი მშობლების განქორწინებამდე ცხოვრობდა ქ. ზუგდიდში, ... ქ. '31-ში. შემდეგ იზრდებოდა დედასთან, ნ. ს-იასთან. მოსარჩელის მამა გარდაიცვალა 1996 წლის 27 ივლისს. მოსარჩელის საარსებო წყაროს 18 წლამდე შეადგენდა მამის გარდაცვალების გამო დანიშნული პენსია. აღნიშნული პენსიის გარდა სხვა რაიმე დახმარება არ გააჩნია, მამის კუთვნილი სამკვიდრო ქონებიდან წილი არ მიუღია, როგორც პირველი რიგის კანონით მემკვიდრეს. ამჟამად, სტუდენტია, დედა მეორე ჯგუფის ინვალიდია, ფსიქიკურად დაავადებული, რომლის რჩენაც ფაქტობრივად მოსარჩელეს ეკისრება. მშობლებმა ერთად თანაცხოვრების პერიოდში კაპიტალური რემონტი ჩაუტარეს ბაბუსს, კ. ხ-ავას, სახელზე რიცხულ საცხოვრებელ სახლს, მდებარე ქ. ზუგდიდში, ... ქ. '31-ში. ბაბუს კ. ხ-ავა გარდაიცვალა 1989 წელს. მას დარჩა ხუთი პირველი რიგის მემკვიდრე. მოპასუხე თ. ხ-ავამ ისე აიღო სამკვიდრო მოწმობა, რომ არ განუცხადებია სანოტარო ბიუროში სხვა მემკვიდრეების არსებობის შესახებ. მანამდე ჰპირდებოდა, რომ მამის კუთვნილი ქონებიდან წილს მისცემდა, თუმცა დანაპირები არ შეასრულა. მოსარჩელეს მამის სამკვიდრო ქონებიდან, როგორც მამის – მ. ხ-ავას ერთადერთ ქალიშვილს, ეკუთვნის წილი. სამკვიდროს მიღების ვადა გაშვებული აქვს საპატიო მიზეზით. მოსარჩელემ მთავარ სხდომაზე შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ექვსთვიანი ვადის გაგრძელება და კ. ხ-ავას სამკვიდრო ქონებიდან 1/6 წილის მიკუთვნება. ამასთან განმარტა, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა მოსარჩელემ გაუშვა



საპატიო მიზეზით, კერძოდ, აღნიშნა, რომ, როცა მოსარჩელის მამა გარდაიცვალა, იყო მცირეწლოვანი, ხოლო დედა კი, ფსიქიკურად დაავადებული. შემდეგ ნ.ხ-ავა გახდა სტუდენტი, შემოსავლის წყარო არ ჰქონდა და ბაჟი ვერ გადაიხადა. ამჟამად აიღო სესხი და სარჩელით მიმართა სასამართლოს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა, უარი ეთქვა სარჩელს დაკმაყოფილებაზე შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელეს დედასთან ერთად არ უცხოვრია სადავო სახლში. მშობლების განქორწინების შემდეგ მოსარჩელის დედამ სახლიდან გაიტანა მათი კუთვნილი ქონება. ნ.ხ-ავა ძმის, მ. ხ-ავას, შვილია და ამ უკანასკნელის დანაშთი ქონებაზე მათ შორის კ. ხ-ავასაგან მისაღებ ქონებაზე ეკუთვნის წილი, მაგრამ არა 1/5, არამედ 1/6. ამასთან, მოსარჩელემ არასაპატიო მიზეზით გაუშვა სამკვიდროს მიღების ვადა. მიუხედავად ამისა, წილის სანაცვლოდ თანახმაა, ძმისშვილს გადაუხადოს 5000 ლარი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნ. ხ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე ნ. ხ-ავას გაუგრძელდა სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა და ქ. ზუგდიდში, ... ქ. 137-ში მდებარე ბაზუის, კ. ხ-ავას, დანაშთი ქონებიდან (მიწის ნაკვეთიდან და მასზე არსებული სახლიდან, დამხმარე და სამეურნეო ფართიდან) მიეკუთვნა 1/6 ნაწილი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ხ-ავამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ხ-ავას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ნ. ხ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მოსარჩელის მშობლები ნ. ს-ია და მ. ხ-ავა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1990 წლის 16 აგვისტოდან, ერთად ცხოვრების პერიოდში, 1990 წლის 8 აგვისტოს, შეეძინათ მოსარჩელე ნ. ხ-ავა, 1996 წლის 27 ივლისს გარდაიცვალა მ. ხ-ავა, 1991 წლის 21 ნოემბერს გარდაიცვალა კ. ხ-ავა, 2008 წლის 7 აგვისტოს 12.25 სანოტარო აქტის თანახმად, თ. ხ-ავამ მიიღო მამის – კ. ხ-ავას სახელზე რიცხული სამეკვიდრო მასა, კერძოდ, უძრავი ქონება მდებარე ქ. ზუგდიდში, ... ქუჩა 137-ში.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ნ. ხ-ავას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მან საპატიო მიზეზით გაუშვა სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ვადა. პალატამ მიუთითა, რომ, მართალია, ნ. ხ-ავა 2008 წლის 8 აგვისტოს გახდა სრულწლოვანი, მაგრამ საქართველოში იმ დროს მიმდინარე საომარი მოქმედება არ გაგრძობებულა დიდხანს და ამ საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ ნ. ხ-ავას არ მიუმართავს 6 თვის ვადაში სასამართლოსთვის სამკვიდროს ვადის აღდგენისთვის. მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა 2010 წლის 19 ივნისს, საომარი მოქმედებების დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ ანუ ვადის დარღვევით, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მის მიერ გაშვებულია სამკვიდროს მისაღებად კანონით დადგენილი ვადა და მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია. პალატამ ასევე არ გაიზიარა ნ. ხ-ავას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან სტუდენტი იყო, ვერ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი და მხოლოდ სესხის გამოტანის შემდეგ აღძრა სარჩელი სასამართლოში. პალატამ მიიჩნია, რომ მხარეს შეეძლო, სარჩელით მიემართა სასამართლოსთვის (საომარი მოქმედების დამთავრებიდან 6 თვის ვადაში) და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე-48-ე მუხლების შესაბამისად, ეშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის თანხის გადავადებაზე ან განთავისუფლებაზე, რაც მას არ განუხორციელებია. ამასთან, გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნ. ხ-ავამ ვერ დაასაბუთა მის მიერ სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის საპატიო მიზეზით გაშვება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლით, 1421-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 1336-ე მუხლის პირველი ნაწილით, 1430-ე მუხლით, 1426-ე მუხლის 1-ელი ნაწილით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხ-ავამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადა საპატიო მიზეზით იქნა გაშვებული, კერძოდ, 2008 წლის 8 აგვისტომდე მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი და მისი დედა კი – ფსიქიკურად დაავადებული, მეორე ჯგუფის ინვალიდი, რის გამოც არ გააჩნდა მატერიალური შესაძლებლობა, მიემართა სასამართლოსთვის. 2009 წლის ივლისში მოპასუხემ მიიღო პაპის სამკვიდრო ქონება ერთპიროვნულად და დაარეგისტრირა საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში. მოსარჩელემ 2010 წლამდე ორჯერ მიმართა სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად, მაგრამ ბაჟის გადაუხდელობის გამო, ორჯერვე სარჩელი დარჩა განუხილველად. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე დაუსაბუთებელია. სასამართლო არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლი. ამ ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენის საკითხი უნდა გადაწყვიტოს კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. მოცემულ შემთხვევაში მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სააპელაციო სასამართლომ სრულად არ განიხილა, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლის მოთხოვნები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება ნ. ხ-ავას სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ნ. ს-ია და მ. ხ-ავა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1990 წლის 16 აგვისტოდან. ერთად ცხოვრების პერიოდში, 1990 წლის 8 აგვისტოს, შეემინათ მოსარჩელე ნ. ხ-ავა. 1991 წლის 21 ნოემბერს გარდაიცვალა მოსარჩელის ბაბუა კ. ხ-ავა. 1996 წლის 27 ივლისს გარდაიცვალა მოსარჩელის მამა მ. ხ-ავა. 2008 წლის 7 აგვისტოს 12.25 სანოტარო აქტის თანახმად, თ. ხ-ავამ მიიღო მამის – კ. ხ-ავას სახელზე რიცხული სამკვიდრო ქონება – უძრავი ქონება მდებარე ქ. ზუგდიდში, ... ქუჩა 137-ში.

სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს განჩინებით ნ. ხ-ავას სარჩელს სამკვიდრო ქონებიდან წილის მიკუთვნების შესახებ დაუდგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხოლო ამავე სასამართლოს 2009 წლის 21 ოქტომბრის ხარვეზის შეუსვებლობის გამო ნ. ხ-ავას სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული. იმავე სარჩელზე იმავე სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის განჩინებით დადგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ხოლო 2010 წლის 14 აპრილის განჩინებით სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაგრამ 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველი მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით მოწინააღმდეგე მხარეს პრეტენზია არ განუცხადებია, რის გამოც სასამართლო სარწმუნოდ მიიჩნევს კასატორის განმარტებას, რომ სახელმწიფო ბაჟის – 3000 ლარის გადასახდელად ბანკიდან აიღო სესხი და, ვინაიდან ვერ უზრუნველყო მისი დაფარვა, სარჩელი გაიხმო და გადახდილი ბაჟის თანხა დაიბრუნა სკრედიტო ვალდებულების შესასრულებლად.

ასევე უდავოა ის გარემოება, რომ მოსარჩელე ნ. ხ-ავა სამკვიდროების გარდაცვალების დროს – 1996 წლის 27 ივლისს იყო არასრულწლოვანი და იგი სრულწლოვანი გახდა 2008 წლის 8 აგვისტოს. ნ. ხ-ავას დედა ნ. ს-ია არის ფსიქიკურად დაავადებული, მეორე ჯგუფის ინვალიდი. ნ. ხ-ავა და ნ. ს-ია არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულები. ნ. ხ-ავა სწავლობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე (2010-2011 სასწავლო წელს ბაკალავრიატის პროგრამის მე-5 სემესტრის სტუდენტი). მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია და, შესაბამისად, არც სასამართლოს გამოუკვლევია ფაქტი, ჰყავდა თუ არა ნ. ხ-ავას მეურვე დანიშნული არასრულწლოვანების პერიოდში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, თუ ვადის გადაცილების მიზეზები საპატიოდ იქნება მიჩნეული. კანონმდებელი საპატიოობის კრიტერიუმებს არ აზუსტებს, ვინაიდან იგი შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომით უნდა გადაწყდეს. ამასთან, სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიოობის ორი მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა განისაზღვროს: ა. თუ მემკვიდრემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამკვიდროს გახსნის თაობაზე; ბ. თუ მემკვიდრემ ვადა რაიმე საპატიო საფუძველით გაუშვა და მან სასამართლოს ვადის აღდგენის თაობაზე აღნიშნული საფუძველის აღმოფხვრის შემდეგ მიმართა.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების ურთიერთშეჯერებითა და შეფასებით სასამართლოს შეექმნა მყარი შინაგანი რწმენა, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა ნ. ხ-ავამ საპატიო მიზეზებით გადააცილა. ამასთან, სამკვიდროს გახსნის დროს მას არც ისეთი კანონიერი წარმომადგენელი ჰყავდა, რომლის მემკვიდრეობაც განახორციელებდა სამკვიდროს მიღებას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ, მართალია, ნ. ხ-ავა 2008 წლის 8 აგვისტოს გახდა სრულწლოვანი, მაგრამ საქართველოში იმ დროს მიმდინარე საომარი მოქმედება არ გაგრძელდებოდა დიდხანს და ამ საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ ნ. ხ-ავას არ მიუმართავს 6 თვის ვადაში სასამართლოსთვის სამკვიდროს ვადის აღდგენისთვის. მოსარჩელემ სასამართლოს მიმართა 2010 წლის 19 ივნისს, საომარი მოქმედებების დამთავრებიდან 2 წლის შემდეგ, ანუ ვადის დარღვევით. სააპელაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ, მიუხედავად საომარი მოქმედებებისა, სასამართლო სისტემას ფუნქციონირება არ შეუწყვეტია და არც შეუჩერებია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 აგვისტოს განჩინებით ნ. ხ-ავას სარჩელს სამკვიდრო ქონებიდან წილის მიკუთვნების შესახებ დაუდგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, ამდენად, ნ. ხ-ავამ მემკვიდრეობის დარღვეული უფლების დასაცავად სასამართლოს მიმართა არა 2010 წელს, არამედ 2009 წლის 3 აგვისტოს. ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველო-რუსეთს შორის დაწყებული საომარი მოქმედება დიდხანს არ გაგრძელებულა და ის არც შეიძლება სარჩელის წარუდგენლობის საპატიო მიზეზად ჩაითვალოს. გამოკვლევას და მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ქვეყანაში გამოცხადებული საომარი მდგომარეობის ხანგრძლივობისა (ერთი თვე), საზოგადოებაში შექმნილი ემოციური დაძაბულობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ამ მხრივ საფუძველს არ არის მოკლებული კასატორის მოსაზრება, რომ ომმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მის ოჯახზე, როგორც იძულებით გადაადგილებულზე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ხ-ავას, სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ექვსი თვის ვადაში საპატიო გარემოების – არასრულწლოვანებისა და სათანადო წარმომადგენლის არარსებობის გამო, არ შეეძლო სამკვიდროს მიღება და ასეთივე მემკვიდრეობის მიღების ხელშეშლილი საპატიო გარემოებები არსებობდა მისი სრულწლოვანების ასაკს მიღწევის შემდეგაც.

საკასაციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს იმ ფაქტზეც, რომ მოპასუხე თ. ხ-ავამ სადავო სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით მიიღო 2008 წლის 7 აგვისტოს მამის – კ. ხ-ავას გარდაცვალებიდან 17 წლის, ხოლო ძმის (ნ. ხ-ავას მამის), მ. ხ-ავას, გარდაცვალებიდან – 12 წლის შემდეგ. უდავოა, თ. ხ-ავასთვის ცნობილი იყო მ. ხ-ავას მემკვიდრის არსებობის შესახებ, თუმცა სხვა მემკვიდრეების ვინაობის შესახებ სანოტარო ორგანოში მემკვიდრეობის უფლების დადგენისას არ განუცხადებია. აღნიშნულით თ.ხ-ავამ დაარღვია ვალდებულება, ნოტარიუსისათვის სხვა მემკვიდრეებზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ. ამ დასკვნის საფუძველს იძლევა სამოქალაქო კოდექსის 1310-ე, 1427-ე, 1478-ე, 1479-ე და მემკვიდრეობის სამართლის ნორმების ზოგადი ანალიზი, რომელიც ავალდებულებს კერძო სამართლის სუბიექტებს, იმოქმედონ კეთილსინდისიერების ფარგლებში. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. ამდენად, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფოებო სამართლის აღიარებული ზოგადი დათქმაა, რომელიც განმტკიცებულია სამოქალაქო კანონმდებლობით. მართალია, ნორმათა უმრავლესობა მასზე პირდაპირ არ უთითებს, მაგრამ მაინც მას ემყარება, ვინაიდან სამოქალაქო მართლწესრიგი სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული. კეთილსინდისიერი ქცევა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებითა და პატივისცემით მოქმედებას გულისხმობს. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის გაგრძელებასთან ერთად უნდა გადაწყდეს მოსარჩელის მემკვიდრედ და სამკვიდროში მის კუთვნილ წილზე მესაკუთრედ ცნობის საკითხი. ნ. ხ-ავა, სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად, ცნობილ უნდა იქნეს ქ. ზუგდიდში, ... ქ. '31-ში მდებარე უძრავი ქონების 1/6-ის მესაკუთრედ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ხ-ავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება ნ. ხ-ავას სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

#### გ ა და წ ყ ვ ი ტ ა:

ნ. ხ-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ნ. ხ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდეს:

ნ. ხ-ავას გაუგრძელდეს სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა კ. ხ-ავას დანაშთი ქონების 1/6 წილზე;

ნ. ხ-ავა ცნობილ იქნეს ქ. ზუგდიდში, ... ქუჩა '31-ში მდებარე უძრავი ქონების 1/6-ის მესაკუთრედ;

ნ. ხ-ავას დაუბრუნდეს პირველი ინსტანციის სასამართლოში ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 2500 ლარი.

თ. ხ-ავას დაეკისროს ნ. ხ-ავას მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 900 ლარის გადახდა, ნ. ხ-ავას სასარგებლოდ.

თ. ხ-ავას დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საკასაციო სასამართლოს მიერ ნ. ხ-ავასათვის შემცირებული სახელმწიფო ბაჟის, 433 ლარისა და 30 თეთრის გადახდა.  
საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

### განჩინება

1ას-177-167-2011

7 ივლისი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თ. მ-შილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სახელმწიფო ... სამმართველოს მიმართ და მოითხოვა მამის – ი. მ-შილის დანაშთი 0.75 ჰა მიწის ნაკვეთის, ასევე ბებიის – ს. მ-შილის დანაშთი 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 100 კვ.მ შენობა-ნაგებობის მემკვიდრეობით მიღების ვადის გაგრძელება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის მამა გარდაიცვალა 1996 წლის 21 მარტს, ხოლო ბებია 1997 წლის 6 ივლისს. თ.მ-შილი დარჩა ინვალიდ დედასთან ერთად და თავად გახდა ავად. ოჯახმა გაჭირვებით მოაგროვა თანხა და ბებიის გარდაცვალებიდან 4 თვეში მოსარჩელე გაემგზავრა გერმანიაში სამკურნალოდ და სწავლის გასაგრძელებლად.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. მ-შილს სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელე თ. მ-შილს გაუგრძელდა კანონიერი მემკვიდრეობის წესით სამკვიდროს მიღების ვადა მამკვიდრებელ ს. მ-შილისა და ი. მ-შილის სამკვიდრო ქონებაზე.

სიღნაღის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. მ-შილმა და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის განჩინებით განცხადება დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ამავე სასამართლოს 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება. საბოლოოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 24 ნოემბრის განჩინებით გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის განჩინება ძალაში დარჩა ს. მ-შილის სამკვიდრო ქონებაზე კანონიერი მემკვიდრეობის წესით სამკვიდროს მიღების ნაწილში, ხოლო ი. მ-შილის სამკვიდროს მიღების ნაწილში 2007 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით თ. მ-შილის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს გაუგრძელდა კანონიერი მემკვიდრეობის წესით სამკვიდროს მიღების ვადა 1997 წლის 6 ივლისს გარდაცვლილ მამკვიდრებელ ს. მ-შილის სამკვიდრო ქონებაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-შილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით ნ. მ-შილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

1997 წლის 6 ივლისს გარდაიცვალა ს. მ-შილი, რომელსაც ანდერძი არ დაუტოვებია. ს. მ-შილის გარდაცვალების შემდეგ, 1997 წლის 6 ივლისს გაიხსნა მისი სამკვიდრო, რაც წარმოადგენს სიღნაღის რაიონის სოფელ ... მდებარე 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე განლაგებულ 100 კვ.მ შენობა-ნაგებობას.

ს. მ-შილის პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრეები: მისი მეუღლე და შვილები გარდაიცვალნენ. მხარეები არიან ერთმანეთის ბიძაშვილები. თ. მ-შილის მამა – ი. მ-შილი გარდაიცვალა 1996 წელს, ხოლო ნ. მ-შილის მამა – ლ. მ-შილი – 2002 წელს.

თ. მ-შილს ს. მ-შილის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია და 1997 წლის 6 ივლისიდან, სამკვიდროს გახსნის მომენტიდან კანონით დადგენილ ვადაში – 1998 წლის 6 იანვრამდე სამკვიდროს მისაღებად ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს.

სსიპ «... კოლეჯის მიერ» 2007 წლის 22 ივნისით გაცემული 1133 ცნობის თანახმად, სკოლამდელი აღზრდის ფაქტობრივი სტატუსი, თ. ი.ის ასული მ-შვილი 1997 წლის 20 ნოემბრიდან 1998 წლის 1 ნოემბრამდე იმყოფებოდა აკადემიურ შევებულებაში საზღვარგარეთ მკურნალობის გამო, ხოლო საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ 2007 წლის 17 მაისის 1... ცნობის თანახმად, 1997 წლის 17 ნოემბერს დაფიქსირებულია თ. მ-შვილის მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა აეროპორტ «თ-ის» გავლით. აღნიშულიდან გამომდინარე, სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ თ. მ-შვილს, აკადემიუგობის და ამავე მიზეზით საქართველოში არყოფნის გამო, ობიექტურად არ ჰქონდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა სამემკვიდრეო უფლებები სამკვიდროს გახსნიდან ექვსთვიან ვადაში. ამასთან, დავის გადაწყვეტისათვის სასამართლომ გასათვალისწინებლად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ სამკვიდრებლის – ს. მ-შვილის სახელზე უძრავი ქონების აღრიცხვა მხოლოდ 2007 წელს გახდა შესაძლებელი და მხოლოდ თ. მ-შვილის ძალისხმევით, მისი ფინანსური დანახარჯებით. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თ. მ-შვილის კმაყოფაზე მისი მძიმედ დაავადებული დედა, რომელიც მოსარჩელის განმარტებით, საჭიროებს მუდმივ ზრუნვას და მეთვალყურეობას, რაც ასევე ხელისშემშლელი აღმოჩნდა სამემკვიდრეო საკითხების დროულად მოგვარებისათვის.

სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა აპელანტის მოსაზრებას სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მეხამე ნაწილის, 138-ე, 139-ე და 140-ე მუხლების შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია და არც მხარეთა შორის არ იწვევს დავას ის გარემოება, რომ თ. მ-შვილს, ს. მ-შვილის სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება წარმოემვა 1997 წლის 6 ივლისს, ხოლო თ. მ-შვილმა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით სამკვიდრო მიღების ვადის გაგრძელების შესახებ მიმართა 2007 წლის 5 ივლისს, როდესაც ჯერ კიდევ გასული არ იყო ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა და აღნიშნულით შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლით და მიიჩნია, რომ, მართალია, კანონი ზუსტად – თვეებით განსაზღვრავს სამკვიდროს მიღების ვადას, არ ადგენს სამკვიდრებლის გარდაცვალებიდან მერამდენე დღეს, კვირას ან თვეს შეუძლია მემკვიდრეს თავისი სამემკვიდრეო უფლებების რეალიზაცია. უდავოა, რომ ასეთი დასაშვებია ყოველთვის, მაგრამ კონკრეტული ექვსი თვის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, უფლების ვადაში განუხორციელებლობისას გადამწყვეტი უნდა იყოს ვადის გაშვების მიზეზის საპატიობა სამკვიდროს გახსნიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში, მიუხედავად შემდგომში უფრო ხანგრძლივი ვადაგადაცილებებისა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სამკვიდროს მიღების ექვსთვიანი ვადის გაშვება მოსარჩელის მიერ განპირობებულია საპატიო მიზეზით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო პალატა ასევე არ ეთანხმება აპელანტის მოსაზრებას, რომ დავის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას მას არ მიეცა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა. საქმეში წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 21 აპრილის სხდომის ოქმით ირკვევა, რომ მოპასუხე ნ. მ-შვილმა სასამართლოს შევითხვაზე, სურდა თუ არა საქმის განხილვის გადადება საქმის მასალების გაცნობის მიზნით, განმარტა, რომ მიუხედავად მოპასუხედ ამ სხდომაზე ჩართვისა, იგი კარგად იყო გარკვეული, მისთვის ახალი და გაურკვეველი არაფერი იყო, რის გამოც მიუთითა, რომ არ სურდა საქმის განხილვის გადადება და მოითხოვდა მის განხილვას არსებითად იმავე სხდომაზე. ამავე სხდომაზე მოსამართლის მიერ საქმის მოხსენების, ასევე მოსარჩელის მიერ ახსნა-განმარტების ჩამოყალიბებისას აღინიშნა, რომ სამკვიდროს მიღების ვადის გაშვების საპატიო გარემოებას წარმოადგენდა მითითებული ცნობა. მოპასუხე მხარეს არც აღნიშნულის შემდეგ მოუთხოვია საქმის განხილვის გადადება, არ გამოუთქვამს ცნობის ნამდვილობის ან მისი შეფასების თვალსაზრისით პრეტენზია და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი სასამართლოს უნდა გაერკვია, ხოლო თვითონ არ ეთანხმებოდა სარჩელს, ვინაიდან მისმა მამამ გაიღო სამკვიდრებლის დაკრძალვის ხარჯები, იგი ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდროს და მამის გადაცვალების შემდეგ დარჩენილი ვალები მან გადაიხადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლისა და 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მხარემ აღნიშნული ნორმით დადგენილი წესით ვერ დაადასტურა გარემოებები, რაზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რის გამოც სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ნ. მ-შვილმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების შეწყვეტა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 ნოემბრის განჩინებით თ. მ-შვილს უარი ეთქვა სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის განჩინების იმ ნაწილში გაუქმებაზე, რომლითაც თ. მ-

შვილის მოთხოვნა ს. მ-შვილის სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება შესულია კანონიერ ძალაში. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი და არ შეწყვიტა მოცემული საქმის წარმოება.

სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის დანაწესი. ნ. მ-შვილი თავისი მამის – ლ. მ-შვილის შემდეგ წარმოადგენს ს. მ-შვილის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეს, რაც აღიარებულია და კანონიერ ძალაშია.

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ სამკვიდროს მიღების ვადა შეიძლება შეუზღუდავად გაგრძელდეს, რადგან კანონი ითვალისწინებს აღნიშნული ვადის აღდგენის შესაძლებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ თ. მ-შვილს ს. მ-შვილის სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება წარმოეშვა 1997 წლის 6 ივლისს და იგი ამოიწურა 1998 წლის 6 იანვარს. თ. მ-შვილმა სასარჩელო განცხადებით სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოს მიმართა 2007 წლის 5 ივლისს. სასამართლომ დაადგინა, რომ თ. მ-შვილს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია და არც სანოტარო ორგანოსათვის მიუმართავს განცხადებით. პირველი ინსტანციის სასამართლომ სსიპ ... კოლეჯის მიერ 2007 წლის 22 ივნისს გაცემული წერილის საფუძველზე მიიჩნია, რომ თ. მ-შვილს ავადმყოფობის და ამავე მიზეზით საქართველოში არ ყოფნის გამო ობიექტურად არ ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებინა სამემკვიდრეო უფლებები. აღნიშნული ცნობაში მითითებული იყო, რომ თ. მ-შვილი 1997 წლის 20 ნოემბრიდან 1998 წლის 1-ელ ნოემბრამდე იმყოფებოდა აკადემიურ შვებულებაში საზღვარგარეთ მკურნალობის გამო. აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს საქართველოს საზღვრის პოლიციის მიერ 2007 წლის 17 მაისს გაცემული ცნობაც, რომლის თანახმადაც 1997 წლის 17 ნოემბერს გადაკვეთილი აქვს საქართველოს საზღვარი.

ორივე ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, თ. მ-შვილმა საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო სამკვიდროს მიღება კანონით დადგენილ ვადაში, რაც საფუძველია იმისა, რომ მას გაუგრძელდეს სამკვიდროს მიღების ვადა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამკვიდროს მიღების უფლების ვადაში განუხორციელებლობისას გადამწყვეტი უნდა იყოს ვადის გაშვების საპატიობა სამკვიდროს გახსნიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში, მიუხედავად შემდგომში უფრო ხანგრძლივი ვადაგადაცილებისა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ასეთი სახის განმარტება არ გამომდინარეობს სამართლებრივი ნორმების განმარტებიდან.

სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის ან ქონების ფაქტობრივად დაუფლების შემთხვევაში. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს მითითებული ნორმებით გათვალისწინებული არც ერთი მოქმედება არ განუხორციელებია. მან მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების წარმოშობიდან მე-10 წელს მიმართა სასამართლოს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების მოთხოვნით.

სამოქალაქო კოდექსის 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს, თუ ვადის გადაცილების მიზეზი საპატიოდ იქნება მიჩნეული. აღნიშნული ნორმის თანახმად, სასამართლოს შეფასების საგანია ვადის გადაცილების მიზეზის საპატიობა, რაც გულისხმობს იმ ვადის საპატიობის შეფასებას, რითაც გადაცილებულია სამკვიდროს მიღებისათვის კანონით გათვალისწინებული ვადა. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს თვითონ ტერმინის «ვადაგადაცილების» განმარტებიდან. მითითებული ტერმინი გულისხმობს არა რაიმე ვადაში, არამედ ამ ვადის გასვლის შემდგომ პერიოდშიც არსებულ მდგომარეობას. ანუ ეს ეხება არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ ექვს თვეს, არამედ იმ პერიოდსაც ვიდრე მხარემ მიმართა სათანადო ორგანოებს სამკვიდროს მიღების მოთხოვნით. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ ნაცვლად ექვსი თვისა სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი ღონისძიებები გამოიყენა თითქმის 10 წლის შემდეგ ანუ მოსარჩელემ 9-10 წლით გადააცილა სამკვიდროს მისაღებად კანონის გათვალისწინებული ვადას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გარემოება მიიჩნია საპატიოდ, რაც განაპირობა ამ ნორმის არასწორმა განმარტებამ, რამაც არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. შესაბამისად, არასწორად განისაზღვრა იმ დასადგენ ფაქტობრივ გარემოებათა წრე, რომლის შესაბამისადაც შეიძლება მიღებული იქნეს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა არასწორად იქნა განმარტებული სასამართლოს მიერ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმის დასადგენად, გადააცილა თუ არა საპატიო მიზეზით მხარემ კანონით დადგენილ ვადას, უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სამკვიდროს მისაღებად დადგენილ დროში სანოტარო ორგანოსთვის მიმართვის ან ქონების დაუფლების

შეუძლებლობის ფაქტი, არამედ იმ ვადის საპატიოობაც, რომლითაც მან გადააცილა ამ მოქმედებათა განხორციელების ვადას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ ნორმის არასწორმა განმარტებამ განაპირობა ფაქტობრივ გარემოებათა დადგენა არასრული სახით, რის გამოც შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება საქმის განხილვის მოცემულ ეტაპზე. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს გარემოებანი, რომელთა გამოც მხარემ ვერ შესძლო სამკვიდროს მიღება მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან სასამართლოსათვის მიმართვამდე. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საქმე ხელახლა უნდა იქნეს განხილული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **12. უარი სამკვიდროს მიღებაზე**

### **იძულებით დადებული გარიგება**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ას-578-544-2010

4 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),

მ. სულხანიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ გარიგების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ე. გ-შვილმა სარჩელით მიმართა ახმეტის რაიონულ სასამართლოს ახმეტის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსის ლ. ღ-ურის მიმართ, მესამე პირი ნ. ჯ-შვილი, სანოტარო აქტის ბათილად ცნობისა და სამკვიდრო ქონებაზე უფლების აღდგენის მოთხოვნით.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მისი ძმა დ. ჯ-შვილი გარდაიცვალა 2007 წლის 23 ივნისს. მას პირველი რიგის მემკვიდრე არ დარჩენია და შესაბამისად მემკვიდრეობა განაწილდა მოსარჩელესა და მის დას – ნ. ჯ-შვილს (თ-შვილს) შორის. მოსარჩელე ე. გ-შვილის განმარტებით მისმა დისშვილმა, ზ. თ-შვილმა, რამდენჯერმე მოსთხოვა მას მემკვიდრეობაზე უარის თქმა.

ე. გ-შვილი სარჩელში უთითებს, რომ ზ. თ-შვილი ემუქრებოდა მას და მის შვილს მოკვლით, აყენებდა მას ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის შედეგადაც იგი საავდემყოფოში მოხვდა.

სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელის, ე. გ-შვილის დარწმუნებას ასევე ცდილობდნენ მისი დეიდაშვილები – თ. ო-ოვი და გ. ბ-ური, იმ პირობით, რომ მემკვიდრეობაზე უარის თქმის სანაცვლოდ ახმეტის რაიონის სოფელ მატანში მდებარე დედ-მამისეულ ბინას ე. გ-შვილს მისცემდნენ.

2007 წლის 4 აგვისტოს ე. გ-შვილმა ნოტარიუს ლ. ღ-ურთან უარი თქვა მემკვიდრეობის მიღებაზე.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით ე. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. გ-შვილმა მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებით ე. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა ახმეტის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 აგვისტოს განჩინებით იძულების საფუძველზე გარიგების ბათილობის მოთხოვნის ნაწილში არასათანადო მოპასუხე – ნოტარიუსი ლ. ლ-ური შეიცვალა სათანადო მოპასუხით – ნ. თ-შვილით.

საქმის სასამართლო განხილვისას, ცნობილი გახდა, რომ აწ გარდაცვლილ დ. ჯ-შვილს ჰყავდა მეუღლე და შვილები, ე.ი. პირველი რიგის მემკვიდრეები.

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილებით ე. გ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 3 აგვისტოს ახმეტის სასამართლო ბიუროს ნოტარიუსის – ლ. ლ-ურის მიერ შესრულებული სასამართლო მოქმედება (რეესტრში რეგისტრაციის 12-197).

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-შვილმა (თ-შვილმა) მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. თ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახმეტის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ე. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი მამკვიდრებლის – დ. ჯ-შვილის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან დის – ნ. თ-შვილის (ჯ-შვილის) სასარგებლოდ, ე. გ-შვილის მიერ თავისი წილის მიღებაზე უარის თქმის შესახებ 2007 წლის 03 აგვისტოს სასამართლო წესით დამოწმებული გარიგება (რეესტრში რეგისტრაციის 12-197).

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 03 აგვისტოს სასამართლო აქტით (რეესტრში რეგისტრაციის 12-197) დადასტურებულია, რომ ე. გ-შვილმა უარი განაცხადა მამკვიდრებლის – დ. ჯ-შვილის კუთვნილი უძრავი მოძრავი ქონებიდან მისი წილის მიღებაზე მისი დის ნ. თ-შვილის (ჯ-შვილის) სასარგებლოდ.

მხარეთა ახსნა განმარტებით დადგენილია, რომ ე. გ-შვილი და ნ. თ-შვილი წარმოადგენენ გვერდითი ხაზის ნათესავებს - დედამამიშვილებს. ასევე დადგენილია, რომ მხარეები წარმოადგენენ მამკვიდრებლის – დ. ჯ-შვილის მეორე რიგის მემკვიდრეებს – დებს.

მოწმეთა ჩვენებით და თავად ნ. თ-შვილის (ჯ-შვილის) ახსნა-განმარტების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. გ-შვილმა თავისი ძმის – დ. ჯ-შვილის მოძრავ-უძრავი ქონების მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნება გამოავლინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ნათესავები – დეიდაშვილები თ. თ-ოვი, გ. და ზ. ბ-ურები მივიდნენ მასთან და გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს, კერძოდ ე. გ-შვილის მიერ ფაქტობრივად მხოლოდ იმ პირობით, რომ ფორმალურად უნდა მომხდარიყო დ. ჯ-შვილის დანაშთი სამკვიდროს აღიკვება მისი დის – ნ. თ-შვილის სახელზე და დასთან ერთად მასაც მიეცემოდა დასახელებული ბინით სარგებლობის უფლება, ნოტარიუსთან გამოავლინა ნება დ. ჯ-შვილის სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ არ არის დადასტურებული გარემოება იმის შესახებ, მიღებული აქვს თუ არა წინა რიგის მემკვიდრეს (მამკვიდრებლის ცოლ-შვილს) დ. ჯ-შვილის სამკვიდრო. შესაბამისად ზოგადი ხასიათის მტკიცება იმის თაობაზე რომ არსებობს პირველი რიგის მემკვიდრე, კონკრეტულ შემთხვევაში არ ქმნის საფუძველს მოცემული სარჩელის დაკმაყოფილებისადმი ე. გ-შვილის იურიდიული ინტერესის არარსებობის შესახებ.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლის ნამდვილობისთვისაც აუცილებელ წინაპირობად მოიაზრება ნების გამომვლენის მიერ ერთმნიშვნელოვნად ყოველგვარი დათქმის და პირობების გარეშე სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნების გამოვლენა. სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ გარიგების ნამდვილობისათვის ამგვარი წინაპირობის არსებობა ნაკარნახევია იმ გარემოებით, რომ ასეთი ნების დაფიქსირების შემთხვევაში მას ეძლევა შეუქცევადი ხასიათი, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 1446-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაწესისა, რომლის მიხედვითაც მემკვიდრის განცხადება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ შეუქცევადია. ნორმის ანალიზიდან გამომდინარე სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემდგომ ნების გამომვლენს აღარ შეუძლია პოზიციის შეცვლით, შეცვალოს თანამდევნი სამართლებრივი შედეგები, რაც მოყვება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნების გამოვლენას.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა იმავდროულად გულისხმობს სამკვიდროში შემავალი ნივთების მიმართ ყოველგვარი უფლებრივ უპირატესობაზე უარის თქმას, ანუ ამგვარი ნების გამოვლენით ფაქტობრივად პირი წყვეტს სამართლებრივ კავშირს სამკვიდროზე და მას არანაირი უფლება სამკვიდროში შემავალი ნივთების მიმართ აღარ უნარჩუნდება. იმ პირობებში, როდესაც ცალსახად დადგენილია, რომ ე. გ-შვილმა დ. ჯ-შვილის სამკვიდროზე მისი უფლების (მფლობელობის, სარგებლობის) შენარჩუნების პირობით გამოხატა ნება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ფაქტობრივად სადავო გარიგებაში გამოვლენილი მისი ნება არ შეიძლება შეფასებული იქნეს უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე, რამდენადაც იგი ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არ აფიქსირებს სამკვიდროს მიღებაზე უარს.

ამდენად სააპელაციო პალატა თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ე. გ-შვილის მიერ არ ყოფილა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივად ვარგისი ნება გამოვლენილი, რაც წარმოშობს სადავოდ გამხდარი გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძველს.



სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ჯ-შვილმა (თ-შვილმა) მისი გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რადგან სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის თანახმად, თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროზე რაიმე პირობით, ითვლება, რომ მან უარი თქვა სამკვიდროზე. კასატორის განმარტებით, სასამართლომ არ გამოიკვლია საქმე სრულად და ობიექტურად და მიღებული გადაწყვეტილება განსხვავდება ადრე არსებული პრაქტიკისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი სსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული, ხოლო 2010 წლის 22 ივლისის განჩინებით ნ. თ-შვილის (ჯ-შვილის) საკასაციო საჩივარი, მიღებული იქნა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ ნ. ჯ-შვილის (თ-შვილის) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოწმეთა ჩვენებით და თავად ნ. თ-შვილის (ჯ-შვილის) ახსნა-განმარტების საფუძველზე სააპელაციო პალატამ დადგინდა, რომ ე. გ-შვილმა თავისი ძმის – დ. ჯ-შვილის მოძრავ-უძრავი ქონების მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნება გამოავლინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ნათესავები – დეიდაშვილები თ. ო-ოვი, გ. და ზ. ბ-ურები მივიდნენ მასთან და გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს, კერძოდ ე. გ-შვილის მიერ ფაქტობრივად მხოლოდ იმ პირობით, რომ ფორმალურად უნდა მომხდარიყო დ. ჯ-შვილის დანაშთი სამკვიდროს აღიკვება მისი დის – ნ. თ-შვილის სახელზე და დასთან ერთად მასაც მიეცემოდა დასახელებული ბინით სარგებლობის უფლება, ნოტარიუსთან გამოავლინა ნება დ. ჯ-შვილის სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს, რომ თუ მემკვიდრე უარს იტყვის სამკვიდროს ნაწილზე ან დათქვამს რაიმე პირობას, ითვლება, რომ ის უარს ამბობს სამკვიდროზე. აქედან გამომდინარე, მემკვიდრე, რომელიც უარს ამბობს სამკვიდროს ნაწილზე, ან მის მისაღებად დათქვამს რაიმე პირობას ითვლება, რომ იგი ამბობს უარს მთელ სამკვიდროზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორია სააპელაციო პალატის განმარტება, რომ ე. გ-შვილის მიერ დ. ჯ-შვილის სამკვიდროს ნაწილზე მისი უფლების (მფლობელობის, სარგებლობის) შენარჩუნების პირობით გამოხატული ნება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, არ შეიძლება შეფასებული იქნეს უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე, რამდენადაც იგი ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არ აფიქსირებს სამკვიდროს მიღებაზე უარს. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ე. გ-შვილის მიერ არ ყოფილა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივად ვარგისი ნება გამოვლენილი, რაც წარმოშობს სადავოდ გამხდარი გარიგების ბათილობის სამართლებრივ საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმა, ან მის მისაღებად რაიმე პირობის დათქმა ითვლება მთელ სამკვიდროზე უარის თქმად. შესაბამისად სააპელაციო პალატის მიერ აღნიშნული მუხლის განმარტება არასწორია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო ეს გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას. კოდექსის 86-ე მუხლი განმარტავს, რომ გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. ამავე დროს, იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი. სამოქალაქო კოდექსის 87-ე მუხლში ცალსახად არის მითითებული, რომ იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

მოსარჩელე – ე. გ-შვილი საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას უთითებს, რომ მისი დისშვილი – ზ. თ-შვილი იძულებით ცდილობდა დაერწმუნებინა იგი სამკვიდროზე ეთქვა უარი: ემუქრებოდა მას და მის შვილს მოკვლით, აყენებდა მათ ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის შედეგად მოსარჩელე საავდემყოფოშიც მოხვდა. საქმის სააპელაციო ინსტანციაში განხილვისას ე. გ-შვილის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოვლენილი ნება წარმოადგენდა მოსარჩელეზე განხორციელებული იძულებისა და მოტყუების შედეგს.

მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში იძულების, როგორც გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძვლის შესახებ არ უმსჯელია.

საკასაციო პალატის მოსარჩელით, სასამართლოს უნდა გამოეკვლია და ემსჯელა, არსებობდა თუ არა იძულების ფაქტი მოსარჩელისა და მისი შვილის მიმართ მოპასუხის შვილის – ზ. თ-შვილის მხრიდან. სასამართლოს ასევე უნდა გაეთვალისწინებინა იძულების (ასეთის არსებობის დადგენის შემთხვევაში) ხასიათი, მოსარჩელის ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი. სააპელაციო სასამართლომ კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მითითებული საკითხების თაობაზე საერთოდ არ იმსჯელა და ე. გ-შვილის სარჩელი დააკმაყოფილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლის არასწორი განმარტების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოში მოსარჩელის მიერ მითითებული ზემოაღნიშნული გარემოებები, რაზეც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნამსჯელი არ ყოფილა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები ან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ამგვარ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს მოსარჩელესა და მოპასუხის შვილს შორის იძულების არსებობის ფაქტი, ასევე უნდა გაითვალისწინოს იძულების ხასიათი, მოსარჩელის ასაკი, სქესი, ცხოვრებისეული გარემოებანი და დავა აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ჯ-შვილის (თ-შვილის) საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **13. კრედიტორების დაკმაყოფილება მემკვიდრეთა მიერ**

#### **კრედიტორების მოთხოვნათა წარდგენის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-143-136-10

7 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ო. ფ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ი., ლ. და ა. მ-მეებს ო. ფ-მის სასარგებლოდ დაეკისრათ მორალური ზიანის 5000 ლარის, ხოლო მატერიალური ზიანის ანაზღაურება 8262,88 ლარის ოდენობით. მათვე მოსარჩელის სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრათ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხეებისათვის მორალური ზიანის სახით **5000 ლ.** და მატერიალური ზიანის – **1865 ლარის** დაკისრებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს ი., ლ. და ა. მ-ძებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 22 დეკემბრის** გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით ო. ფ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

**2007 წლის 20 ივნისს**, დაახლოებით **16.25** საათზე, სენაკი-ფოთის საავტომობილო გზის მესამე კმ-ზე ხობის რაიონის სოფ. ... ავტომანქანა «მერსედეს-ბენც **200**» სანომრე ნიშნით «...» რომელსაც მართავდა თ.მ-ძე, გადავიდა საპირისპირო მარჯვენა მხარეს და შეეჯახა მოძრავ ავტომანქანა «ფორდ-ტრანზიტს» სახ. «...», რომელსაც მართავდა ო.ფ-ძე.

შეჯახების შედეგად გარდაიცვალა ავტომანქანა მერსედესის მძღოლი თ.მ-ძე.

საქმეზე ჩატარებული ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მერსედესის მძღოლ, თ.მ-ძის მოქმედება არ შეესაბამებოდა მოძრაობის წესების **30.1** მუხლის მოთხოვნებს, რომლის დაცვის შემთხვევაშიც, შესაძლებელი იქნებოდა ავტოავარიის თავიდან აცილება.

დადგენილია, რომ ბრალდებულად პასუხისგებაში მისაცემი პირი გარდაიცვალა, საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა, რაზეც **2008 წლის 9 ივნისს** მიღებულ იქნა დადგენილება წინასწარ გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

ავტოავარიის შედეგად ო.ფ-ძემ მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხასიათის დაზიანება, კერძოდ აღნიშნებოდა ცხვირის ძვლის, ორთავე ყვრიმალის, ზედა ყბების, ქვედა ყბის სასახსრე თავების ორმხრივ მოტეხილობები, მარჯვენა სახსრის თავის ამოვარდნილობა, ორთავე თვალბუდის ჰემატომაში, თავის ქალის მძიმე ტრავმაში, ტვინის დაჟეჟილობა, სახის მრავლობით ესკორაციებში.

ამ მოქმედებით ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის სამკურნალოდ ო.ფ-ძემ გადაიხადა **2089,88 ლარი**. ავტომანქანის საჯარიმოზე დგომისა და ევაკუატორის გამოძახებისათვის გადახდილ იქნა **108 ლარი**, **6060 ლარის** ღირებულების ზიანი მიადგა ავტომობილს.

ი., ლ. და ა. მ-ძეები არიან თ. მ-ძის მემკვიდრეები, რომლებმაც ფაქტობრივად მიიღეს სამკვიდრო.

პალატამ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1320-ე** მუხლის თანახმად მიიჩნია, რომ **2007 წლის 20 ივნისს** გაიხსნა თ. მ-ძის სამკვიდრო, ო. ფ-ძეს **2007 წლის 20 დეკემბრამდე** მოთხოვნა მემკვიდრეებისათვის არ წარუდგენია, არ აღუძრავს სარჩელი და არც სახელმწიფო ოგანოებისთვის მიუმართავს სამოქალაქო უფლებების დასაცავად.

პალატამ განმარტა, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შესაწყვეტად პროკურატურის ორგანოებისათვის ყოველგვარი მიმართვა არ ჩაითვლება, არამედ – მხოლოდ ისეთი მიმართვა, რომლითაც მოთხოვნილია სისხლის სამართლის საქმეში სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობა და ჩაბმა, ანდა თხოვნა იმის შესახებ, რომ პროკურატურამ, პირის ინტერესების დასაცავად, შეიტანოს სათანადო სარჩელი.

აქედან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ წინასწარი გამოძიების დაწყების ფაქტით მემკვიდრეთათვის პრეტენზიების წარდგენის ხანდაზმულობის ვადა არ შეწყვეტილა.

პალატამ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს პოზიციას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **39-ე** მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პალატამ განმარტა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საერთოდ არ ითვალისწინებს მემკვიდრეთა მიმართ სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას, შესაბამისად, ო.ფ-ძის მოთხოვნა ხანდაზმულია.

პალატამ ო. ფ-ძის მოთხოვნა ნაწილობრივ უსაფუძვლოდ მიიჩნია და განმარტა, რომ ო. ფ-ძეს და ხ-ძეს შორის დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება - ხ-ძე იყო ნივთის მესაკუთრე, ხოლო ო. ფ-ძე – მოიჯარე.

ო. ფ-ძე ავტომობილით სარგებლობისათვის მესაკუთრეს უხდოდა საზღაურს, ხოლო ავტომობილს კი იყენებდა მოგების მიღების მიზნით, შესაბამისად, ნივთისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ნივთის მესაკუთრეს, რომელიც ვალდებულია გასწიოს იჯარის საგნის კაპიტალური რემონტის ხარჯები და უზრუნველყოს ნივთიდან ნაყოფის მიღების შესაძლებლობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2009 წლის 22 დეკემბრის** გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ო. ფ-ძემ.

კასატორის განმარტებით, სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **1487-ე** მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად მემკვიდრეები ვალდებული არიან, შეატყობინონ მამკვიდრებლის კრედიტორებს სამკვიდროს გახნის შესახებ, თუ მათთვის ცნობილია გარდაცვლილის ვალების შესახებ. თ. მ-ძის მემკვიდრეებისათვის კარგად იყო ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში არსებული ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესახებ, რომლის მიხედვითაც ავტოავარია გამოწვეული იყო თ.მ-ძის ბრალეულობით და მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის შესახებ.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატა გასცდა აპელანტის მოთხოვნას იმ ნაწილში, სადაც იმსჯელა მიკროავტობუსს «ფორდ-ტრანზიტის» ო.ფ-ძის კუთვნილებასთან დაკავშირებით. აპელანტს არც პირველი

ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო მოთხოვნაში სადავოდ არ გაუხდა ის ფაქტი, რომ მიკროავტობუსი «ფორდ ტრანზიტი» მის საკუთრებას არ წარმოადგენდა და, შესაბამისად მისი დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მასა და გ.ხ-მეს შორის, რომელიც არის ფორდ-ტრანზიტის მესაკუთრე დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება, ე.ი. ის იყო მოიჯარე.

მიკროავტობუსს «ფორდ-ტრანზიტს» მართავდა ასევე მინდობილობით, როგორც «მინდობილი მესაკუთრე».

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად თუ მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი – ამ კანონიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც მესაკუთრე, ისე მისი დამქირავებელი.

სატრანსპორტო საშუალების მფლობელად ითვლება იურიდიული პირი ან მოქალაქე, რომელიც ექსპლუატაციას უწევს სატრანსპორტო საშუალებას იჯარის ხელშეკრულების, ქირის ანდა მინდობილობის საფუძველზე.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას, ან ავალდებულებს მას, ფლობდეს ნივთს. მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად.

კასატორის აზრით, თ.მ-მის მემკვიდრეებს ი., ლ. და ა. მ-მეეს უნდა დაკისრებოდა როგორც მისი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება, ისე ტრანსპორტის დაზიანებისა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

კასატორის განმარტებით, მას არ გაუშვია სასამართლოსთვის მიმართვის კანონიერი ვადა. სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ სამოქალაქო სამართალურთიერთობით. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1488-ე მუხლით, არ გაითვალისწინა რომ მისი სარჩელი გამომდინარეობდა სისხლის სამართლის საქმიდან, რომლის მიხედვით 2007 წლის 17 დეკემბერს დაზარალებულად ცნეს. მოთხოვნის სამართლებრივი უფლება წარმოეშვა 2007 წლის 17 დეკემბერს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწ. თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა გამო აღძრულ სამოქალაქო სარჩელებზე არ ვრცელდება სამართლის სხვა დარგებში დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები..

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკავსაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას სასამართლო დაეყრდნო სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის 1-ელ და მე-3 ნაწილებს, რომლის თანახმად მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად. ამ წესის დაუცველობა იწვევს მოთხოვნის უფლების დაკარგვას. პალატა თვლის, რომ მითითებული ნორმით დადგენილია პრეტენზიის მოთხოვნის წარდგენის ვადა და არა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც სასამართლოსათვის მიმართვის გზით კრედიტორს შეუძლია დააკმაყოფილოს მოთხოვნა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალეს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოთხოვნა კი, როგორც წესი, წარედგინება უშუალოდ მხარეს. საპრეტენზიო ვადაში მოთხოვნის წარუდგენლობა სასამართლოში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია. საპრეტენზიო ვადაში წარდგენილი მოთხოვნა კი შეიძლება არ დააკმაყოფილოს სასამართლომ თუ გავიდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მოვალე გააკეთებს მითითებას ამის თაობაზე. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს მიერ ამ ინსტიტუტთა მნიშვნელობა არასწორადაა გაგებული და შესაბამისად არასწორადაა განმარტებული გამოყენებული ნორმის შინაარსი, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგან ამოწურულია პრეტენზიის წარდგენის ვადა, რის გამოც მოსარჩელეს დაკარგული აქვს მოთხოვნის უფლება მოვალის მიმართ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს ის მოსაზრებაც, რომ ვინაიდან ავტომობილი არ ეკუთვნის მოსარჩელეს, მას უფლება არ აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სასამართლოს მიერ მითითებული მოსაზრება არ ემყარება კანონის არცერთ ნორმას. ასეთს ვერ უთითებს სასამართლოც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს არსებითად სწორი გადაწყვეტილება აქვს გამოტანილი, მიუხედავად მითითებული უსწორობებისა აღნიშნული კი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

ო. ფ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.